

თეიმურაზ ზვლქაძე

საბანგეობო სიტუაციების
მართვა

„ტექნიკური უნივერსიტეტი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თეიმურაზ მელქაძე

საგანგებო სიტუაციების მართვა



დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის სარედაქციო-
საგამომცემლო საბჭოს
მიერ. 27.12.2016, ოქმი № 3

თბილისი
2017

სახელმძღვანელოში განხილულია საგანგებო სიტუაციების რისკის მართვის საფუძვლები, მისი განმსაზღვრელი ძირითადი კომპონენტები და ამ კომპონენტების შეფასების მეთოდები, საგანგებო სიტუაციების რისკის მართვის გეგმების მომზადების, ასევე რისკის შემცირების, საგანგებო სიტუაციებისას მოსახლეობის დაცვის, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები, მათი ქცევისა და მოქმედების წესები.

სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, ასევე უწყებებისა და ორგანიზაციების სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში პასუხისმგებელი პირებისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურული ობიექტების მენეჯერთათვის.

რევენუენტები: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი მალხაზ წიქარიშვილი

სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, ტექნიკის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,
გენერალ-მაიორი ელგუჯა მემმარიაშვილი

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2017
ISBN 978-9941-20-749-5
<http://www.gtu.ge/>

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის ნებისმიერი ნაწილის (ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არც ერთი ფორმითა და საშუალებით (ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

შესავალი

საქართველოში, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, გახშირდა სტიქიური უბედურებებით გამოწვეული საგანგებო სიტუაციები. დედამიწაზე მიმდინარე გლობალური დათბობა, სეისმოაქტივობა, რელიეფის გეოლოგიური აგებულება და მაღალი ენერგეტიკული პოტენციალი, უხვი ატმოსფერული ნალექები, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ადამიანის ზღვარგადასული ყოფითი და სამეურნეო საქმიანობა, მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნის ისეთი ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული სტიქიური უბედურებებისათვის, როგორებიცაა: მიწისძვრა, მ ეწყერი, ღვარცოფი, თოვლის ზვავი, წყალმოვარდნა, წყალდიდობა და სხვ. როგორც წესი, მათ თან სდევს ადამიანთა მსხვერპლი, შენობა-ნაგებობების ნგრევა, საინჟინრო კომუნიკაციებისა და სხვადასხვა სახის ობიექტების მწყობრიდან გამოსვლა და მატერიალურ ფასეულობათა მასობრივი განადგურება.

ბოლო პერიოდში, საქართველოში განვითარებული სტიქიური უბედურებებიდან, უარყოფითი შედეგების თვალსაზრისით, გამოირჩეოდა ე.წ. დევდორაკის და ვერეს ხეობის კატასტროფები.

მცინვარი დევდორაკი მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალურ ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე, მცინვარწყერის მასივის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე, მდინარე თერგის მარცხენა შენაკადის - დევდორაკი-ამალის სათავეში. თერგის ხეობის რელიეფის ძირითადი მორფომეტრიული და მორფოლოგიური ერთეულები ჩამოყალიბებულია ტექტონიკური და ეროზიულ-აკუმულაციური პროცესების ურთიერთქმედებით. რელიეფის ძირითადი ფონი გართულებულია მცინვარული და გრავიტაციული ფორმებით.

მდ. თერგის ხეობაში კატასტროფული გლაციალური ღვარცოფების არსებობა დაფიქსირებულია 1776 წლიდან. აღსანიშნავია კატასტროფა, რომელიც 2002 წლის 20 სექტემბერს, მდ. გენალდონის ხეობაში (ჩრდ. ოსეთი) მოხდა. ამ ხეობაში კატასტროფული გლაციალური ღვარცოფი განვითარდა მცინვარწყერის მცინვარული კვანძის კოლკის მცინვარიდან. გრანდიოზული ყინულოვანი მასის მოწყვეტის შედეგად, დაახლოებით 20 მლნ მ³ მოცულობის ტრანსფორმირებულმა ქვატალახოვანმა ყინულოვანმა ნაკადმა წალეკა თავის გზაზე ყველა სახის წინააღმდეგობა და 200-ზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა.

2014 წლის 17 მაისს მდ. თერგისა და მდ. დევდორაკი-ამალის შესართავში აღინიშნა კატასტროფული მასშტაბის ღვარცოფული მოვლენა. მდინარე ამალის ხეობაში მოხდა ჩამოშლილი მასის (დაახლოებით 1,5 მლნ მ³ მოცულობის) ტრანზიტი მდ. თერგის ხეობაში, რამაც მდინარე თერგის ჩახერგვა და დაგუბება გამოიწვია. წარმოიქმნა ხელოვნური კაშხალი, რომლის სიგრძე იყო 150 მ, სიგანე

60—70 მ და სიმაღლე 30—40 მ. კატასტროფამ გამოიწვია ქვეყნისათვის სტრატეგიული დანიშნულების ინფრასტრუქტურული ობიექტების ფუნქციონირების სრული პარალიზება.

ღვარცოფულმა ნაკადებმა მწყობრიდან გამოიყვანა საქართველოს სამხედრო გზის 600 მეტრამდე მონაკვეთი, ავტომაგისტრალის სტეფანწმინდა-ლარსის მონაკვეთზე შეწყდა ავტომობილების მოძრაობა, დაზიანდა "ჩრდილოეთი - სამხრეთის" დამაკავშირებელი 700 და 1200 მმ-იანი მაგისტრალური გაზსადენები, რის გამოც სომხეთს შეუწყდა რუსეთიდან გაზის მიწოდება, წაიქცა მაღალი ძაბვის (110 კილოვოლტიანი) ელექტროგადამცემი ხაზის ანძა, განადგურდა სატრანსპორტო საშუალებები, გარე სამყაროს მოსწყდა მესაზღვრეთა ბაზა, საბაჟო გამშვები პუნქტი, საქართველოს საპატრიარქოს რეზიდენცია და დიდი ყოფითი პრობლემები შეუქმნა მათ მომსახურე პერსონალს და, რაც ყველაზე სავალალოა, მოჰყვა მსხვერპლი.

კატასტროფის შედეგად დაიღუპა 7, გადაარჩინეს 13 ადამიანი, განადგურდა სამშენებლო ტექნიკა, რომელიც გამოიყენებოდა „დარიალჰესის“ მშენებლობაზე, მათ შორის, 4 ავტოტრაილერი, რომლებიც ავტომაგისტრალზე სატვირთო გადაზიდვას ახორციელებდნენ. საერთო მატერიალურმა ზარალმა ათეულობით მილიონი ლარი შეადგინა.

ადამიანების დიდი მსხვერპლითა და მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალით გამოირჩეოდა ქალაქ თბილისში, მდინარე ვერეს ხეობაში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი კატასტროფული ღვარცოფული წყალმოვარდნა, რომლის შედეგადაც დაიღუპა 20 და დაიკარგა 2 ადამიანი, ერთი ადამიანი ემსხვერპლა ზოოპარკიდან გაქცეული ლომის თავდასხმას, დაიხოცა ზოოპარკისა და ძაღლთა თავშესაფრის ბინადართა დიდი ნაწილი, უსახლკაროდ დარჩა ასობით მოქალაქე, განადგურდა ათობით სატრანსპორტო საშუალება. მიყენებულმა ზარალმა ათეულობით მილიონი დოლარი შეადგინა.

ისტორიულ-სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მდ. ვერეს ხეობაში ამ სახის სტიქიური მოვლენა არაერთხელ ყოფილა, რის შედეგადაც ქალაქ თბილისის ინფრასტრუქტურას განუცდია უდიდესი ზარალი, ხშირად მოჰყოლია ადამიანთა მსხვერპლი. მაგალითად, 1924 წლის 12 ივნისს 8 საათზე, ძლიერი წვიმების შედეგად, რომელიც გაგრძელდა 1 საათი, მოვარდნილმა ღვარცოფულმა ნიაღვარმა გაიტაცა და მტკვარში ჩაიტანა ვერეს ხეობაში დროებით დაბანაკებული გლეხები თავიანთი ხარ-ურმებით. 1940 წლის 10 მაისს მდ. ვერეს აუზში განვითარებულმა წყალმოვარდნამ და ღვარცოფმა ქალაქის ტერიტორიაზე ჩამოიტანა დიდი რაოდენობის ლამი და ხრეში, დაიტბორა ეზოები, სარდაფები, ქუჩები, ვარაზისხევიდან წამოსულმა ნიაღვარმა წაღვეკა უნივერსიტეტის ქუჩა და ტრამვაის ლიანდაგი. ამ დღეს მოვიდა 110-მმ ნალექი. ასეთივე სიძლიერის კატასტროფული წყალმოვარდნა-ღვარცოფი დაფიქსირდა 1960 წლის 4 ივლისს, დაიტბორა მნიშვნელოვანი ტერიტორია. წყალმოვარდნა აღინიშნა 1961 წელს და მაშინაც ასევე დიდი

ზარალი მიაყენა ზოოპარკის ინფრასტრუქტურას, დაიღუპა ცხოველები. კატასტროფული ღვარცოფული წყალმოვარდნა დაფიქსირდა 1980 წლის 13 მაისს, კოკისპირული წვიმის შედეგად გაირღვა წყნეთში არსებული ხელოვნური წყალსაცავის მიწაყრილი ჯებირი, რასაც ემსხვერპლა 8 ადამიანი, დაანგრია სახლები, დაიღუპა დიდი რაოდენობით პირუტყვი და კოლოსალური ზარალი მიაღება ზოოპარკის ინფრასტრუქტურას.

მდინარე ვერეზე წყალმოვარდნის კატასტროფული ეფექტის ძირითადი მიზეზია ადამიანის მიერ ამ მდინარის კალაპოტისპირა ტერიტორიის გაუზრებელი სამეურნეო ათვისება, რაც ძირითადად მე-20 საუკუნის შუა პერიოდიდან მიმდინარეობს და განპირობებულია მიწათსარგებლობის დაგეგმვაა და ინფრასტრუქტურულ სამშენებლო პროექტებში საგანგებო სიტუაციების რისკის მართვისა და მისი შემამცირებელი ღონისძიებების გაუთვალისწინებლობით.

სტიქიური მოვლენებიდან ყველაზე დიდი უბედურება მიწისძვრებს მოაქვს. ვარაუდობენ, რომ ცივილიზაციის დაწყებიდან დღემდე დედამიწაზე მიწისძვრების შედეგად რამდენიმე ასეული მილიონი ადამიანია დაღუპული. ამის მაგალითად მსოფლიოში აღრიცხული მიწისძვრებიდან ჩინეთში 1560 წლის 23 იანვარს და 1976 წლის 27 ივლისს მომხდარი მიწისძვრებიც კმარა, როდესაც შესაბამისად დაახლოებით 830 და 650 ათასი ადამიანი დაიღუპა. ინდოეთში 1737 წლის 11 ოქტომბერს მომხდარ მიწისძვრას 300 ათასამდე ადამიანი ემსხვერპლა, საქართველოს მეზობლად, კერძოდ, 1139 წლის 30 სექტემბერს განჯაში (აზერბაიჯანი) მიწისძვრას შეეწირა 230 ათასი, 1988 წლის 7 დეკემბერს სპიტაკში (სომხეთი) - 25 ათასი ადამიანის სიცოცხლე. სამწუხაროდ, საქართველოს ტერიტორიაზეც არის დაფიქსირებული კატასტროფული მიწისძვრები, რომელთა შესახებაც ინფორმაცია წიგნის ბოლოს წარმოდგენილია 1-ლი დანართის სახით.

თავი I. საგანგებო სიტუაციების რისკის მართვა

1. საგანგებო სიტუაციების რისკის ცნება

საგანგებო სიტუაცია ცალკეულ ტერიტორიაზე ან ორგანიზაციაში შექმნილი ისეთი მდგომარეობაა, რომელიც გამოწვეულია კატასტროფით, მასშტაბური სამრეწველო ავარიით, ხანძრით, სტიქიური უბედურებით, ეპიდემიით, ეპიზოოტიით, ეპიფიტოტიით ან საბრძოლო საშუალებების გამოყენებით, ხასიათდება მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების ნორმალური პირობების დარღვევით, საფრთხეს უქმნის ან/და შეიძლება საფრთხე შეუქმნას მოსახლეობის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს მსხვერპლი, ადამიანთა დაშავება ან/და მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. საგანგებო სიტუაციის რისკი (შემდგომში რისკი) კი საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შესაძლებლობაა, რომელიც განისაზღვრება საფრთხის წინაშე მდგარი ადამიანის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობასა და ქონებაზე, აგრეთვე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედებითა და შედეგებით.

ჩვენ გარშემო ბუნებასა და ყოფაში უსაფრთხო და ხიფათისაგან დაცული პრაქტიკულად არაფერი არ არსებობს. მაგალითად, ქუჩის გადაკვეთისას ფეხით მოსიარულეს ავტომანქანებისაგან ემუქრება საფრთხე, სახლში ყოველთვისაა ხანძრის საფრთხე. მოსალოდნელი საფრთხეების მოხდენა (რისკი) რომ ავიცილოთ თავიდან, მივმართავთ სხვადასხვა ზომას. კერძოდ, ქუჩის გადაკვეთისას ვიყურებით აქეთ-იქით და ვცდილობთ, დავიცვათ ქუჩაში მოძრაობის წესები, რომ მანქანამ არ გაგვიტანოს. შინიდან გამოსვლისას ვთიშავთ ელექტროხელსაწყოებს, ვცდილობთ დავიცვათ ელექტრომოწყობილობის ექსპლუატაციის, ასევე სახანძრო უსაფრთხოების წერსები და ამით ვამცირებთ მოსალოდნელი ხანძრის გაჩენის შესაძლებლობას. ამგვარად, საგანგებო სიტუაციის შექმნის ალბათობის დონეს ვწევთ დაბლა და შესაბამისად ვამცირებთ საგანგებო სიტუაციის რისკს.

ჩვენ, კონკრეტული პირები ან გარკვეული ჯგუფი ადამიანებისა (საცხოვრებელი, სამუშაო და სხვა გარემოებათა შესაბამისად), ყოველთვის ვიმყოფებით ბუნებრივი თუ ტექნოგენური კატასტროფების საფრთხის პირისპირ. ზოგიერთი ჩვენთაგანისთვის კონკრეტული რისკის დონე უფრო მაღალია, ვიდრე პირობითად სხვებისათვის. ამ შემთხვევაში რისკს განსაზღვრავს: ჩვენი საცხოვრებლის ადგილმდებარეობა, ცხოვრების პირობები (საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციული თავისებურებანი, ლანდშაფტი, განაშენიანების მდგომარეობა, ინფრასტრუქტურა და ა.შ) და ისიც, როგორ სოციალურ, გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში ვცხოვრობთ.

ბუნებრივი კატასტროფების რისკის სიდიდე დამოკიდებულია იმაზე, მივმართავთ თუ არა რაიმე ზომებს მისგან გამომდინარე დამაზიანებელი

ზემოქმედებისაგან დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. და თუ მივმართავთ, როგორი სახისაა და რამდენად საკმარისია ეს ღონისძიებები. ზოგადად, საზოგადოების დამოკიდებულება რისკის შემცირების საკითხთან განისაზღვრება იმით, რამდენად აქვს მოსახლეობას გაცნობიერებული ყველაზე მეტად მოსალოდნელი რისკი და აქვს თუ არა გაანალიზებული მათ ამ რისკის შედარების შედეგები სხვა ტიპის შესაძლო საფრთხეებთან დაკავშირებულ რისკებთან.

საგანგებო სიტუაციების რისკის არსის აღქმა და მისი გამომწვევი მიზეზების ცოდნა მნიშვნელოვანია საგანგებო სიტუაციების დამაზიანებელი ფაქტორებისაგან თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ცოდნა იმისა, რა აქცევს საზოგადოებას ან ადამიანს მეტ-ნაკლებად მოწყვლადად, განაპირობებს რისკის შემცირების მიზნით განსახორციელებელ ქმედებებს. საზოგადოების კოლექტიური ძალისხმევა, თავი დაეცვა ყოველგვარი რისკისაგან, კაცობრიობის განვითარების მთელ პერიოდში ყოველთვის აღინიშნებოდა. ბოლო ხანებში კი, უახლესი დახვეწილი ტექნოლოგიების დამკვიდრებისა და განვითარების კვალდაკვალ, საზოგადოება სულ უფრო მეტად დაცული და რისკზე ნაკლებად დაქვემდებარებული ხდება. მიუხედავად ამისა, ტექნოლოგიათა განვითარების რამდენიმე სახეობა პირიქით, ზრდის რისკების რაოდენობას. მაგარამ, როგორც იკვეთება, ახალი ტექნოლოგიის გამოყენების შედეგად მიღებული სარგებელი გაცილებით დიდია, ვიდრე მათგან მოსალოდნელი საფრთხე (და მათგან გამომდინარე რისკი). ამიტომ, ჩვენდა უნებურად, საზოგადოება და თითოეული ჩვენთაგანი, ყოველთვის მომთმენია გარკვეული რისკების მიმართ. ამდენად, რისკის კონცეფციის შესწავლას, კვლევასა და შეფასებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება რისკის შემცირების სტრატეგიათა განსაზღვრაში.

ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული რისკის ოფიციალური განსაზღვრება შეთანხმებულ იქნა ჯერ კიდევ 1979 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფისის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაზე ექსპერტთა შეხვედრის დროს.

რისკის არსის გასაგებად და რისკის სხვადასვა სახეების ერთმანეთთან შესადარებლად ექსპერტები, ჩვეულებრივ, ცდილობენ გაზომონ რისკი. ამის საფუძველი კი სხვადასხვა საგანგებო სიტუაციების შესახებ მოგროვილი ინფორმაციის სტატისტიკური ანალიზია. სწორედ სტატისტიკური ანალიზის მიხედვით განისაზღვრება შესაძლო საშიშროების განვითარების ალბათობა. მიზეზთა, შედეგთა და კატასტროფის გამოვლენის პროცესთა აღქმის იდენტიფიცირება დიდ როლს თამაშობს მოსალოდნელი რისკის შეფასებაში. რისკის გაზომვის სიზუსტე უმეტესწილად დამოკიდებულია არსებული ინფორმაციის მოცულობაზე, ხოლო აუცილებელი ინფორმაცია, რომელიც მოვლენათა რაოდენობითაა განსაზღვრული, არსებითი უნდა იყოს, რათა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გახდეს. ამის გარდა, უზრუნველყოფილი

უნდა იყოს ინფორმაციის ხარისხი და უტყუარობა.

საგანგებო სიტუაციათა შესახებ ინფორმაციის შეგროვება საკმაოდ რთულია, ვინაიდან საგანგებო სიტუაციათა და მათი მართვის შესწავლა შედარებით ახალგაზრდა მეცნიერებაა. აქედან გამომდინარე, საგანგებო სიტუაციის რისკის განმსაზღვრელი ინფორმაციის ხარისხი შედარებით დაბალია იმ ინფორმაციათა ხარისხზე, რომლებიც გვეყრდნობა სხვადასხვა სახის საფრთხეთა განსასაზღვრავად. საგანგებო სიტუაციის შედეგების დეტალური შესწავლის საფუძველზე დგინდება და იდენტიფიცირება უკეთდება საფრთხესა და მოწყვლადობას შორის დამოკიდებულებას. მაგალითად, მიწისძვრით გამოწვეული ნგრევის სისტემატური შესწავლით ირკვევა, რომ შენობათა გარკვეული ტიპები უფრო მეტად ინგრევა, ე.ი. გარკვეული ტიპის შენობათა მოწყვლადობა უფრო მაღალია. ამგვარად, ცხადი ხდება, რომ შესაძლო საფრთხის შედეგების შესწავლა აუცილებელია რისკის განსასაზღვრავად. აქედან გამომდინარე, რისკის არსის გასაგებად აუცილებელია მისი მოსალოდნელი შედეგების გამოკვლევა, განსაკუთრებით ადამიანთა მსხვერპლთან მიმართებაში, ხოლო, რისკის შემცირების მისაღწევად აუცილებელია რისკის მართვის პროცესში ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება.

რისკის აღქმის გამოკვლევათა სფეროში მნიშვნელოვან აღმოჩენად ითვლება ის, რომ აბსტრაქტული რისკი უფრო ადვილად აღიქმება, ვიდრე პერსონალური. „მსგავსი რამ მე არასოდეს არ დამემართება“ - ეს არის აბსტრაქტული რისკისადმი დამოკიდებულების ძირითადი კრედო, რომელსაც ვხვდებით, როგორც მდიდარ, ასევე ღარიბ მოსახლეობაში. ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიურად უარყოფილია რისკისა და პიროვნული დაზიანების ალბათობის შესახებ კომპლექსური საკითხები ანუ ადამიანთა ზოგი ჯგუფის ან ამ ჯგუფიდან ცალკეული ადამიანის შესაძლო დაღუპვის ფაქტორი უფრო ჩქარა და ადვილად აღიქმება, ვიდრე - განყენებულად მყოფი ინდივიდისა.

რისკის აღქმის მაღალი დონე ასოცირდება მოქმედების სურვილის ფაქტთან - შევამციროთ ან/და თავიდან ავიცილოთ რისკი. ცხადია, რომ ინფორმაციის წყაროთა გაზრდა ზრდის რისკის აღქმასაც და შესაბამისად - რისკის მიმართ უსაფრთხოებასაც.

ძირითადად განისაზღვრება საგანგებო სიტუაციების დარჩენილი, დასამუშავი, ექსტენსიური, ინტენსიური, მხოლოდითი და მრავლობითი რისკები.

ა)დარჩენილია რისკი, რომელიც ექვემდებარება მართვას მაშინაც კი, როცა საგანგებო სიტუაციების რისკის შემცირების ეფექტური ზომები უკვე მიღებულია და მისი შემდგომი გამკლავების მიზნით აუცილებელ პირობად რჩება საგანგებო რეაგირებისა და აღდგენისათვის საჭირო პოტენციალის შენარჩუნება.

დარჩენილი რისკის არსებობა გულისხმობს შესაძლო საგანგებო სიტუაციისადმი გამკლავების ეფექტურ შესაძლებლობათა განვითარების აუცილებლობასა და საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მათზე მზადყოფნის,

რეაგირებისა და აღდგენის ღონისძიებათა უზრუნველყოფის მიზნით, საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში უფლებამოსილი სამსახურების (ორგანიზაციების, უწყებების) მუდმივ მხარდაჭერას. ასევე, ისეთი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას, როგორცაა უსაფრთხოების სისტემისა და რისკის ტრანსფერის მექანიზმების დანერგვა. ამ შემთხვევაში შესაძლებლობებში იგულისხმება ინფრასტრუქტურა, მატერიალური რესურსები, უწყებები და ორგანიზაციები, პრობლემების გამკლავების საზოგადოებაში არსებული უნარი, ადამიანების მიერ დაგროვილი ცოდნა, მათი უნარ-ჩვევები და კოლექტიურად მოქმედების ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა: სოციალური ურთიერთობები, ლიდერობა და ხელმძღვანელობა.

ბ) დასაშვები რისკი არის იმ რისკის ზღვარი, რომლისგან გამომდინარე პოტენციურ დანაკარგს საზოგადოება, ორგანიზაცია ან ადგილობრივი თემი დასაშვებად მიიჩნევს მოცემული სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, ტექნიკური და ეკოლოგიური პირობების გათვალისწინებით.

დასაშვები რისკის მაღალი დონე ასოცირდება რისკის შემცირებასთან. შესაძლო საგანგებო სიტუაციის ზონაში ადამიანები გადაადგილდებიან მაშინაც, როცა მიმდებარე ტერიტორიაზე ვულკანის ამოფრქვევის შიში მაღალია. გარკვეულ დონეზე რისკი დაუშვებელი ხდება. მისი გარკვეული დონის დაშვება ყოველთვის რთულია. ხშირად ის არის პოლიტიკური დისკუსიის საგანი, ეყრდნობა მოსახლეობის არჩევანსაც. რისკის დასაშვები დონე, როგორც კონკრეტულ პიროვნებათა, ისე საზოგადოების შემთხვევაში, დამოკიდებულია იმ სარგებელზე, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს რისკის კვალდაკვალ.

დასაშვები რისკის ცნება გამოიყენება ჩასატარებელი სტრუქტურული და არასტრუქტურული ღონისძიებების განსასაზღვრავად და შესაფასებლად. ეს შეფასება საჭიროა მოსახლეობის, მისი საკუთრების, მომსახურებისა და სხვა სასიცოცხლო უზრუნველყოფის სისტემებისადმის მიყენებული შესაძლო ზიანის დასაშვებ ზღვრამდე შესამცირებლად, იმ სტანდარტებისა და მიღებული პრაქტიკის შესაბამისად, რომლებიც ეფუძნება საფრთხის ალბათობისა და რისკის მართვისათვის აუცილებელ, ასევე სხვა ფაქტორების შესახებ ცოდნას.

გ) ექსტენსიური რისკი - ფართოდ გავრცელებული რისკი, რომელიც უკავშირდება დაშორიშორებული მოსახლეობის წინაშე არსებულ განმეორებით ან მუდმივ საფრთხეს, ხასიათდება დაბალი ან საშუალო ინტენსივობით. ის ხშირად მკაცრად არის ლოკალიზებული, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საგანგებო სიტუაციების ჯამური ზეგავლენის შესუსტება.

ექსტენსიური რისკი ძირითადად ახასიათებს სასოფლო და ურბანული ზონების მომიჯნავე ტერიტორიებს, რომელთა მოსახლეობა დაუცველია განმეორებითი, ლოკალიზებული წყალდიდობის (წყალმოვარდნის), მეწყრის, ქარიშხლის ან გვალვისაგან. რისკის ეს სახეობა ხშირად ასოცირდება სიღარიბესთან, ურბანიზაციასა და გარემოს დეგრადაციასთან.

დინტენსიურია რისკი, რომელიც დაკავშირებულია მოსახლეობისა და ეკონომიკური საქმიანობის დიდი კონცენტრაციის ადგილებში მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი მოვლენების არსებობასთან, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს საგანგებო სიტუაცია, დიდი მსხვერპლი და დიდი მატერიალური დანაკარგები.

ინტენსიურ რისკის არსებობა ძირითადად დამახასიათებელია დიდი ქალაქებისა და მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიებისათვის, რომლებსაც, გარდა იმისა, რომ ინტენსიური (ძლიერი ზემოქმედების) საფრთხე, როგორცაა ძლიერი მიწისძვრა, მოქმედი ვულკანი, დიდი წყალდიდობა, ცუნამი, ქარბორბალა და ა.შ. ემუქრება, ასევე ახასიათებს ამ საფრთხეების მიმართ მაღალი მოწყვლადობა.

ე) მხოლოებითი რისკი - კონკრეტულ გეოგრაფიულ ზონაში ერთი კონკრეტული საფრთხისგან გამომდინარე საგანგებო სიტუაციის შექმნის შესაძლებლობა, რომელიც განისაზღვრება საფრთხის წინაშე მდგარი ადამიანების სიცოცხლეზე, ჯანმრთელობასა და ქონებაზე, აგრეთვე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედებითა და შედეგებით.

მხოლოებითი რისკი ასოცირდება ერთ კონკრეტულ საფრთხესთან დაკავშირებულ რისკთან, რომელიც შესაძლებელია კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში და დროის მოცემულ პერიოდში.

ვ) მრავლობითი რისკი - ერთდროულად ან დროის მოკლე შუალედში თანმიმდევრობით მოსალოდნელი, ერთმანეთზე დამოკიდებული ან ერთი და იმავე მიზეზით გამოწვეული რამდენიმე საფრთხისგან გამომდინარე ან ქრონოლოგიური დამთხვევის გარეშე ერთი და იმავე მოწყვლადი ელემენტებისთვის საგანგებო სიტუაციის შექმნის შესაძლებლობა, რომელიც განისაზღვრება ამ საფრთხეების წინაშე მდგარი ადამიანების სიცოცხლეზე, ჯანმრთელობასა და ქონებაზე, აგრეთვე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედებითა და შედეგებით.

მრავლობითი რისკი გულისხმობს ისეთ ზოგად რისკს, რომელიც გამომდინარეობს რამდენიმე საფრთხისგან. შესაბამისად განიხილება მრავლობითი რისკის სცენარის ორი სახე: პირველის მიხედვით საფრთხეები ვითარდება ერთდროულად ან დროის მოკლე ინტერვალში, ამ შემთხვევაში ის უკავშირდება ისეთ კონკრეტულ მოვლენას, როდესაც ერთი საფრთხიდან გამომდინარეობს მეორე და აღინიშნება პირველადი და მეორეული დამაზიანებელი ფაქტორებით გამოწვეული ზეგავლენა ერთდროულად ან დროის მოკლე მონაკვეთის ინტერვალით ერთსა და იმავე მოწყვლად ელემენტებზე. მეორე სახის სცენარი კი გულისხმობს მრავლობითი საფრთხეების ისეთ განვითარებას, როდესაც ზეგავლენა სხვადასხვა დროს ხდება ერთსა და იმავე მოწყვლად ელემენტებზე.

ისტორიულად რისკის აღქმა და საზოგადოების მოტივაცია, შეამციროს რისკი, გარკვეულ წილად დამოკიდებულია ამ რისკის შესაძლებლობაზე

(სიდიდეზე). რისკის ეფექტურად მართვისათვის აუცილებელია გვექონდეს ზუსტი ინფორმაცია მოსალოდნელი რისკის სიდიდის შესახებ. ასევე, მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რამდენად აუცულებელია საზოგადოებისათვის ამ რისკის შემცირება.

ბუნებრივი საგანგებო სიტუაციებისადმი საზოგადოების დამოკიდებულების სერიოზულობას განსაზღვრავს რისკის ის ტოპოლოგია, რომელთანაც საზოგადოებას შეხება აქვს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

რისკი სხვადასხვანაირად აღიქმება სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და ცალკეული ადამიანების მიერ. ისინი, ვისაც უფრო ინტენსიური შეხება აქვთ საინფორმაციო წყაროებთან, უფრო კარგად არიან ინფორმირებულნი რისკის თაობაზე. მაგრამ, ამავე დროს, ამავე მიზეზით, მათ შეუძლიათ გადაჭარბებულად შეაფასონ ზოგიერთი კატასტროფის ბუნებრივი გამოვლინება.

რისკის აღქმა დამოკიდებულია საფრთხის მაკონტროლებელ დონეზე და იმაზე, როგორ შეიძლება ავიცილოთ ეს საფრთხე. ასევე, დამოკიდებულია საფრთხით ადამიანში გამოწვეული შიშის დონეზე.

რისკის მართვა საგანგებო სიტუაციისაგან მოსალოდნელი პოტენციური ზიანისა და დანაკარგების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, რისკის განსაზღვრისა და აქედან გამომდინარე, მის შემამცირებელ ღონისძიებათა დასახვის პროცესისადმი სისტემური მიდგომა და პრაქტიკული გამოყენებაა, რაც თავის მხრივ გულისხმობს რისკის სცენარების შემუშავებას, რისკის შემამცირებელი ზომების დასახვასა და მართვის ყველა დონეზე ამ ზომების სისტემატურ სრულყოფას.

რისკის მართვის საუკეთესო შედეგია მისი პრევენცია. თუმცა, სხვადასხვა ტიპის რისკებისათვის საუკეთესო შედეგი მოაქვს მიტიგაციას, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის დამოკიდებულია საზოგადოების განვითარებისა და გათვითცნობიერების დონეზე, რადგან დაცვას ხშირად სჭირდება კოლექტიური მოქმედებები, ზოგჯერ კი - გლობალური მასშტაბისაც. ამდენად, აუცილებელია ეკონომიური განვითარების პროცესი მოიცავდეს შესაძლო საგანგებო სიტუაციების შედეგების მიტიგაციის სტრატეგიას.

თავის მხრივ, რისკის განსაზღვრა არის რისკის იდენტიფიცირების, ანალიზისა და შეფასების ერთიანი პროცესი. ის გულისხმობს, რისკის (სახის და სიდიდის) დადგენის მიზნით ანალიზის შედეგების რისკების კრიტერიუმებთან შედარებას. კონკრეტულად, რისკის იდენტიფიცირება რისკის აღმოჩენის, ამოცნობისა და აღწერის პროცესია. ის განიხილავს ყველა სახის ბუნებრივი და ტექნოგენური საგანგებო სიტუაციების განვითარების შესაძლებლობას. რისკის ანალიზის საფუძველზე კი დგინდება მისი სახეობა და პრიორიტეტი საფრთხის სიხშირისა და სიძლიერეიდან გამომდინარე.

საგანგებო სიტუაციის რისკისა და საფრთხეებისადმი კომპლექსური მიდგომით მათი იდენტიფიცირება და ანალიზი არის რისკის განსაზღვრის

საწყისი ეტაპი. რისკის განსაზღვრის მომდევნო კომპონენტია რისკის შეფასება ანუ მისი განმსაზღვრელი ძირითადი ელემენტების ე.წ. რიცხვითი მატრიცების განსაზღვრა და ფორმირება. რისკების შეფასების მიზნით უნდა განისაზღვროს ის სოციალური, ეკონომიკური (საწარმოო) სექტორები და შესაძლო საგანგებო სიტუაციათა ზონები და უბნები, რომელთათვისაც არსებობს მნიშვნელოვანი პოტენციური რისკები, ამავე დროს შესაძლებელია მათი თავიდან აცილება ან შემცირება. ამასთან, რისკის შეფასება არის რისკის ანალიზის შედეგების რისკის კრიტერიუმებთან შედარების პროცესი, რათა დადგინდეს რისკის ხარისხი ანუ რისკი ან/და მისივე სიდიდე რამდენად მისაღებია მისი მნიშვნელოვანი გამოდინარე. ამ შემთხვევაში, რისკის კრიტერიუმები არის პარამეტრები, რომელთა ჭრილშიც განიხილება შესაფასებელი რისკის სიდიდე. რისკის კრიტერიუმები შეიძლება მოიცავდეს მათთან დაკავშირებულ დანახარჯებს და მოგებებს, სამართლებრივ მოთხოვნებს, სოციალურ-ეკონომიკურ და გარემოსთან დაკავშირებულ ფაქტორებს, მონაწილე მხარეების ინტერესსა და ა.შ.

საგანგებო სიტუაციის რისკის მატრია (R) განისაზღვრება, როგორც საფრთხისა (H) და მისი ზეგავლენის მატრიათა (W) ნამრავლი:

$$R = H \times W.$$

რისკის ხარისხის მაჩვენებლის საბოლოო რიცხვითი მნიშვნელობა გამოისახება გრადაციის ხუთქულიანი სისტემით:

1 ქულა - უმნიშვნელო - შესაძლო საგანგებო სიტუაცია ან/და ინციდენტი არ მოახდენს საგრძნობ გავლენას გარემოზე, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ ცხოვრებაზე;

2 ქულა - საშუალო - შესაძლო საგანგებო სიტუაცია იქონიებს შეზღუდულ გავლენას გარემოზე, თუმცა შესაძლებელი იქნება მის შედეგებთან გამკლავება მოკლე დროში. ის არ გამოიწვევს უსაფრთხოების მნიშვნელოვან გაუარესებას;

3 ქულა - საშუალოდ მძიმე - შესაძლო საგანგებო სიტუაცია შესამჩნევად იმოქმედებს გარემოზე, შესამჩნევ ზიანს მიაყენებს მოსახლეობას და ორგანიზაციებს რომელიმე მნიშვნელოვან სფეროში ან სფეროებში (პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ ან სამხედრო), ასევე გამოიწვევს უსაფრთხოების მნიშვნელოვან გაუარესებას. მაგრამ შესაძლებელი იქნება მის შედეგებთან გამკლავება რესურსების მაქსიმალური მობილიზების გარეშე და არ შეაფერხებს საზოგადოებისა და მართვის ორგანოების ნორმალურ ფუნქციონირებას;

4 ქულა - მძიმე - შესაძლო საგანგებო სიტუაცია სერიოზულ ზიანს მიაყენებს გარემოს, დააზარალებს მოსახლეობასა და ორგანიზაციებს ერთ მნიშვნელოვან სფეროში, ან/და მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს ყველა ან თითქმის ყველა სფეროს (პოლიტიკურს, ეკონომიკურს, სოციალურს, სამხედროს), საფრთხეს შეუქმნის მათ ელემენტარულ უსაფრთხოებას, ზოგადად ფუნქციონირება-არსებობას და ყველა სახის ფასეულობებს. შესაბამისად,

შედეგების აღმოფხვრას დასჭირდება ეროვნული რესურსების სრულად ამოქმედება;

5 ქულა - კატასტროფული - შესაძლო საგანგებო სიტუაცია გამანადგურებლად იმოქმედებს გარემოზე, არსებით საფრთხეს შეუქმნის მოსახლეობის სიცოცხლეს, ქმედითუნარიანობასა და არსებობას, ასევე, ორგანიზაციების ფუნქციონირება-არსებობას. მისი შედეგების აღმოფხვრისათვის საკმარისი არ იქნება ეროვნული რესურსები და გარდაუვალი აღმოჩნდება ფართომასშტაბიანი საერთაშორისო დახმარება.

რისკის განმსაზღვრელ ორგანზომილებიან სკალას აქვს ხუთი გრადაცია. რისკის მატრიცა შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სკალაზე, საფრთხისა და მისი ზეგავლენის ხარისხის გრადაციის ერთი და იმავე ბიჯით ანუ სიმეტრიული ფორმით. გასათვალისწინებელი სიძლიერის საფრთხის ალბათობისა და ზეგავლენის ხარისხის ქულები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ 1.1 ცხრილში.

ცხრილი 1.1

გასათვალისწინებელი სიძლიერის საფრთხის ალბათობის ხარისხი	ქულები	ზეგავლენის ხარისხი
მომეტებულად ხშირი	5	ძალიან ძლიერი
ხშირი	4	ძლიერი
ზომიერად ხშირი	3	ზომიერი
იშვიათი	2	სუსტი
ძალიან იშვიათი	1	ძალიან სუსტი (უმნიშვნელო)

2. საგანგებო სიტუაციათა საფრთხეები

რისკის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი პარამეტრია საგანგებო სიტუაციის საფრთხე. ის შეიძლება იყოს საშიში ბუნებრივი, ანთროპოგენური, მათ შორის საწარმოო ან სატრანსპორტო ტექნოლოგიური, ინფრასტრუქტურის გაუმართაობით ან ადამიანის კონკრეტული საქმიანობით და სხვა სახიფათო ქმედებებით განპირობებული პროცესი, მოვლენა ან ინციდენტი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, დაზიანება ან ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენა, საკუთრების (ქონების) დაზიანება ან მთლიანი განადგურება, საარსებო წყაროებისა და საყოფაცხოვრებო პირობების მოშლა, სოციალური და ეკონომიკური პირობების რღვევა, გარემოს დაზიანება და სხვ.

საგანგებო სიტუაციების განმსაზღვრელ საფრთხეებს განასხვავებენ დროის გარკვეულ პერიოდში გამოვლენის ალბათობისა და ინტენსივობის ანუ

სიძლიერის, განვითარების სიჩქარის, ხანგრძლივობის, პერიოდულობისა და გავრცელების არეალის მიხედვით. ამდენად, საფრთხის შეფასება არის კონკრეტული საგანგებო სიტუაციის გამოწვევი საფრთხის (ანგარიშგასაწევი სიდიდის) ინტენსივობის, სიძლიერისა (ეფექტის) და მისი მოხდენის/განვითარების ალბათობის განსაზღვრის პროცესი. რაც შეეხება საფრთხის წინაშე დგომას, ეს არის ადამიანების, მოსახლეობის, საკუთრების (ქონების), შენობა-ნაგებობების, ტექნოლოგიური, საკომუნიკაციო, კომუნალური, სატრანსპორტო, ენერგო და სხვა სახის სისტემების ანუ საფრთხის წინაშე მდგომი ყველა იმ ელემენტის მდგომარეობა, რომლებმაც საგანგებო სიტუაციის დამაზიანებელი ზემოქმედების შედეგად შესაძლოა განიცადონ ზიანი ან ზარალი.

შესაბამისად, საფრთხეების ანალიზის შემდეგ ხდება საფრთხის წინაშე მდგომი ტერიტორიის, ობიექტებისა და მოსახლეობის განსაზღვრა. ამ შემთხვევაში იდენტიფიკაციისა და დათვლის ეფექტური ხერხია გეოინფორმაციული სისტემის (GIS) გამოყენების საფუძველზე რუკების შედგენა და ტერიტორიული მატრიცის შექმნა.

რისკის შეფასების დაწყებამდე, ტერიტორიული მატრიცის შექმნის მიზნით, უნდა მოხდეს შესაძლო საგანგებო სიტუაციების ზონის მიზნობრივად ფიქსირებული საზღვრების მქონე ტერიტორიებად დაყოფა (ზონირება). ასევე, უნდა შეირჩეს დროის ფიქსირებული მომენტი და რისკის ზოგადი ფარდობითი საზომი - ქულები.

საფრთხის შეფასება გულისხმობს:

საფრთხის ალბათობის განსაზღვრასა და მის საფუძველზე ალბათობის მატრიცის შექმნას;

საფრთხის ზეგავლენის არეალის გეოგრაფიულ ანალიზს (საგანგებო სიტუაციის ზონის ტერიტორიის მდებარეობა, ფართობი, საზღვრები) და მის საფუძველზე განსახილველი ტერიტორიის, კოორდინატთა ბადის საშუალებით საანგარიშო უზნებლად დაყოფა და ტერიტორიული მატრიცის შექმნა;

საფრთხის ზეგავლენის პერიოდის ხანგრძლივობასთან დაკავშირებული პარამეტრების: საფრთხისგან გამომდინარე დამაზიანებელი ფაქტორების წარმოქმნის სიჩქარისა და მისი ზემოქმედების ხანგრძლივობის დადგენა და ანალიზი;

საფრთხისგან გამომდინარე დამაზიანებელი ფაქტორების სიდიდის (სიძლიერის, ძალის და ენერჯის, ინტენსივობის სიდიდის, ასევე იმპულსის ფორმის, სიდიდისა და ზემოქმედების დროის და ა.შ.) დადგენა და ანალიზი;

საფრთხის ზეგავლენის დროსთან დაკავშირებული პარამეტრებისა და საფრთხისგან გამომდინარე დამაზიანებელი ფაქტორების სიდიდის მიხედვით საფრთხის სიძლიერის (ძალის) მატრიცის შექმნა.

საფრთხეების შეფასების დროს უნდა დადგინდეს იდენტიფიცირებული საფრთხის განვითარების ალბათობა. მისი კლასიფიცირებისთვის გამოიყენება

ხუთსაფეხურიანი სკალა. თითოეულ საფეხურს შეესაბამება შესაბამისი სტატისტიკური ალბათობა თავისი რიცხვითი სიდიდით.

საფრთხის მოხდენის ალბათობების მნიშვნელობები წარმოდგენილია 1.2 ცხრილში.

ცხრილი 1.2

საფრთხის ალბათობათა მნიშვნელობები

საფრთხის მოხდენის ალბათობის რიცხვითი სიდიდე, Z	საფრთხის ალბათობათა ხარისხი	N-ჯერ ერთი წლის განმავლობაში, N	ერთხელ X წელიწადში, X
1	2	3	4
5	დიდი ალბათობა	≤ 0.1	10
4	შესაძლებელი	≤ 0.01	100
3	სავარაუდო	≤ 0.001	1000
2	ნაკლებად სავარაუდო	≤ 0.0001	10000
1	უმნიშვნელოდ სავარაუდო	≤ 0.00001	100000

საფრთხის მატრიცა (H) განისაზღვრება საფრთხის სიძლიერის მატრიცის (F) საფრთხის მოხდენის ალბათობის მატრიცაზე (Z) გამრავლებით:

$$H = F \times Z.$$

საფრთხის შეფასების მიზნით საფრთხის სიძლიერის მატრიცისა (F) და საფრთხის ალბათობის მატრიცის (Z) ფიზიკური სიდიდეების დადგენა ხდება შესაბამისი მეცნიერულად არგუმენტირებული მეთოდებისა და ალბათობის თეორიის საფუძველზე შემუშავებული მეთოდებითა და ალგორითმებით.

3. საგანგებო სიტუაციის ზეგავლენის შეფასება

რისკის განმსაზღვრელი ერთ-ერთი, ამასთან ძირითადი პარამეტრია საგანგებო სიტუაციის ზეგავლენა. ზეგავლენის რაოდენობრივი შეფასების მიზნით ხდება საგანგებო სიტუაციის ზეგავლენის მატრიცის (W) ფორმირება, ის სავარაუდო საფრთხეების ყველა კატეგორიის ზეგავლენათა (V) ჯამური მატრიცისა და მედეგობის მატრიცის (P) ფარდობაა:

$$W = \frac{V}{P} = \frac{0,4V_{ანტრ} + 0,2V_{კონ} + 0,2V_{პოლიტ} + 0,2V_{კოლოფ}}{P}$$

საგანგებო სიტუაციის შესაძლო შედეგები განისაზღვრება საფრთხის ზეგავლენის კატეგორიების ჯამური მნიშვნელობით. საფრთხის ზეგავლენის კატეგორიებია:

- ზეგავლენა ადამიანებზე ($V_{ანტრ}$). ის განისაზღვრება უშუალოდ საფრთხის წინაშე მდგომ ადამიანებზე საფრთხის დამაზიანებელი ზემოქმედების შედეგების შემდეგი ფაქტორების რაოდენობით: სიკვდილიანობის რიცხვით, მძიმედ დაშავებული ან დაავადებული ადამიანების რაოდენობით და დროებით ადგილმონაცვლე პირთა რაოდენობით;

- ზეგავლენა გარემოზე ($V_{გოლოჯ}$) განისაზღვრება გარემოსთვის მიყენებული ზიანითა და უარყოფითი შედეგების აღმოფხვრისათვის გაწეული ხარჯებით;

- ზეგავლენა ეკონომიკაზე ($V_{გოქ}$) განისაზღვრება მოსახლეობის დაცვაზე, მკურნალობასა ან ჯანმრთელობის დაცვაზე, სადაზღვევო ანაზღაურებაზე, საგანგებო სიტუაციებზე პირველად ან გრძელვადიან რეაგირებაზე, შენობების, ინფრასტრუქტურის, საინჟინრო-ტექნიკური კომპლექსის, საკუთრების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებებზე გაწეული, ასევე ეკონომიკური აქტივობების შეწყვეტასთან დაკავშირებული და ეკონომიკაზე საგანგებო სიტუაციების არაპირდაპირი გავლენით გამოწვეული სხვა სოციალური ხარჯების ერთობლიობით;

- სოციალური-პოლიტიკური ($V_{პოლიტ}$) ზეგავლენა განისაზღვრება ნაწილობრივ რაოდენობრივი საზომი სკალით, ნაწილობრივ კი მოიცავს ისეთ კატეგორიებს, როგორცაა: საზოგადოების უკიდურესი უკმაყოფილება და მღელვარება, ქვეყნის ტერიტორიული ხელყოფა, ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობისთვის ზიანის მიყენება, დემოკრატიული სისტემის რღვევა, საზოგადოების სოციალურ-ფსიქოლოგიური, მართლწესრიგის დაცვისა და მოსახლეობის უსაფრთხოების მდგომარეობის ხარისხის ცვლილება, პოლიტიკური მდგომარეობა სახელმწიფოში, კულტურული აქტივების დაზიანება და ყველა ის სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც იზომება არა უშუალოდ რაოდენობრივი სკალით, არამედ მისი გამოვლენის სიძლიერის შესაბამისი ქულებით. აქედან გამომდინარე, სოციალური-პოლიტიკური ზეგავლენა პირობითად იყოფა: მატერიალურ ანუ სტრუქტურულ და არამატერიალურ ანუ არასტრუქტურულ ზეგავლენად. პირველში შედის ზეგავლენა სასიცოცხლო მნიშვნელობის სისტემებზე, რომელიც განისაზღვრება: წყალმომარაგების, ენერგომომარაგების, გაზომომარაგებისა და ტელეკომუნიკაციების შეფერხება-მოშლით გამოწვეული ხარჯებით, ხოლო, მეორეში - ზეგავლენა საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებაზე,

პოლიტიკური და ფსიქოლოგიური შედეგები, ასევე, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ზიანი.

თითოეული კატეგორიის საგანგებო სიტუაციის ზეგავლენა დგინდება მოწყვლადობის მატრიცების საშუალებით, ამ უკანასკნელთა შესაბამის საფრთხის მატრიცებზე დამოკიდებულების გათვალისწინებით შემდეგი ფორმულების მიხედვით:

$$V_{ატრ} = \left[\sum_{k=1}^4 M_k (S_{გთბ}(H), S_{სოგ}(H)) \right]; V_{კოლოფ} = \left[\sum_{k=1}^4 U_k (S_{გთბ}(H), S_{სოგ}(H)) \right];$$

$$V_{კონ} = \left[\sum_{k=1}^4 W_k (S_{გთბ}(H), S_{სოგ}(H)) \right]; V_{პოლიტ} = \left[\sum_{k=1}^4 I_k (S_{გთბ}(H), S_{სოგ}(H)) \right];$$

ზეგავლენის სიდიდის განსაზღვრა ხდება მისი გამოვლენის სიძლიერის ან/და ხარისხის ამსახველი ქულების მიხედვით. კერძოდ:

ადამიანებზე გავლენისა - დაზარალებული მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად;

ეკონომიკასა და გარემოზე გავლენისა - ხარჯებისა და ზარალის თანხობრივი რაოდენობის შესაბამისად;

სოციალურ-პოლიტიკურისა - საზოგადოებრივ წესრიგის და უსაფრთხოების, ფსიქოლოგიური შედეგების, პოლიტიკური შედეგების და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების მიმართ ზიანის შესაბამისად;

გარემოზე ზემოქმედებისა - დაცულ ტერიტორიებზე მდგომარეობის გაუარესების, წყლის რესურსების დაზინძურებისა და მდგომარეობის გაუარესების, გრუნტის წყლების დაზინძურებისა და სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების დაზიანების შესაბამისად.

ზეგავლენის სიდიდის ამსახველი ქულები იწერება სიტყვიერად შემდეგი სახით: ერთი ქულა - შეზღუდული/უმნიშვნელო ზეგავლენა; ორი ქულა - მცირე/არსებითი; სამი ქულა - ზომიერი/სერიოზული; ოთხი ქულა - მნიშვნელოვანი/მაღიან სერიოზული და ხუთი ქულა - კატასტროფული. ქულები დგინდება ზეგავლენის განმსაზღვრელ შესაბამის კრიტერიუმთან შედარებით დადგენილ სიდიდეთა ჯამური მნიშვნელობის საფუძველზე.

რისკების იდენტიფიკაციისა და ანალიზის პროცესში მრავლობითი საფრთხეების, საგანგებო სიტუაციის შესაძლო შედეგებისა და რისკის სცენარების განსაზღვრის მიზნით გათვალისწინებულ უნდა იქნეს ზეგავლენის ყველა სახე.

ზეგავლენის შეფასებებისთვის საჭიროა განისაზღვროს სივრცითი და დროის ჩარჩოები. გადაფარვების თავიდან აცილების მიზნით ზეგავლენის თითოეული კატეგორიისათვის უნდა შეიქმნას ცალკეული მატრიცები.

ზეგავლენის ანალიზი უნდა ეფუძნებოდეს ემპირიულ ფაქტებს, წარსულში მომხდარი საგანგებო სიტუაციებიდან გამომდინარე გამოცდილებას და ზეგავლენის რაოდენობრივ შეფასებას. ამ შემთხვევაში შესაძლებელია

გარკვეული ტიპის დასაბუთებული და მკაფიოდ ჩამოყალიბებული დაშვებების გამოყენება.

ეკონომიკური ზეგავლენის შეფასებისას გამოყენებულ უნდა იქნეს მოწყვლადი ელემენტების აქტივების რეესტრები და მონაცემთა ბაზები, რომლებიც უნდა შედგეს ყველა ელემენტისთვის ცალ-ცალკე, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს ტერიტორიისა და ქალაქების ჯგუფებად და ორგანიზაციის კატეგორიებად დაყოფის გათვალისწინებით.

4. მოწყვლადობა

საგანგებო სიტუაციის ზეგავლენა უშუალოდ განისაზღვრება მის მიმართ საზოგადოებისა და ტერიტორიის მოწყვლადობით. მოწყვლადობა წარმოადგენს მოსახლეობის, საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის, საკუთრების (ქონების, შენობა-ნაგებობების, საინჟინრო-ტექნიკური კომპლექსის, მათ შორის მართვისა და ფუნქციონირების პროგრამული და ელექტრონული უზრუნველყოფის სისტემების) მახასიათებლებს და გარემოებებს, რომლებიც განაპირობებენ დაუცველობას და შესაბამისად სენსიტიურს ხდიან მათ საფრთხის დამაზიანებელი ზემოქმედების მიმართ.

რისკების ალბათობრივ და რაოდენობრივ შეფასებაში ტერმინი მოწყვლადობა გამოხატავს საფრთხის წინაშე დგომის იმ ნაწილს, რომელიც სავარაუდოდ დაიკარგება/დაზიანდება კონკრეტული საფრთხის განვითარების შედეგად.

მოწყვლადობის შეფასება ხორციელდება საფრთხის წინაშე მდგომი მოსახლეობის (საზოგადოების) და ტერიტორიის (ობიექტის) კონკრეტული საფრთხის მიმართ გამძლეობის ან გამკლავების და დაცულობის ხასრისხის დადგენის საფუძველზე.

მოწყვლადობა არის ორი სახისა - ფიზიკური და სოციალური.

ფიზიკური მოწყვლადობა განისაზღვრება შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურის გამძლეობისა და მასთან დაკავშირებული უზრუნველყოფის სისტემების მდგარდი ფუნქციონირების პოტენციალით. ის დამოკიდებულია საფრთხის წინაშე მდგომი ობიექტების მახასიათებლებსა და საფრთხით გამოწვეული დამაზიანებელი ფაქტორების სიმძლიერეზე.

კრიტერიუმებს, რომელთა საფუძველზეც ფასდება ობიექტის ფიზიკური მოწყვლადობა, მიეკუთვნება: ობიექტის ფუნქციური დანიშნულება, შენობათა განლაგების სიმჭიდროვე, სართულების რაოდენობა, კონსტრუქციული გადაწყვეტა, გამოყენებული საშენი მასალებისა და კონსტრუქციების სახეობა, საგანგებო სიტუაციების დროს შენობათა გამოყენების აუცილებლობის პირობა და სხვ.

სოციალური მოწყვლადობა განისაზღვრება საფრთხის წინაშე მყოფი მოსახლეობის ეკომომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობით და იმით, როგორია მათი ამ საფრთხეებთან დაკავშირებით მზადყოფნისა და გათვითცნობიერების ხარისხი.

ფიზიკური მოწყვლადობის შეფასება ხორციელდება შემდეგი ფორმულის საფუძველზე:

$$S = 0,25 S_1 + 0,15 S_2 + 0,15 S_3 + 0,45 S_4$$

ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით. ეს კრიტერიუმებია:

გამძლეობის კრიტერიუმი S_1 . ის განისაზღვრება საგანგებო სიტუაციის საფრთხის მოსალოდნელი შედეგების ანალიზის, ექსპერიმენტული კვლევებისა და მოწყვლადობის კლასის მინიჭების საფუძველზე. გამძლეობის კრიტერიუმის წილობრივი კოეფიციენტის მნიშვნელობა შეადგენს ფიზიკური მოწყვლადობის 0,25-ს. გამძლეობის კრიტერიუმის დასადგენად შენობათა ტიპის კლასიფიკაცია მოწყვლადობის კლასის მიხედვით ხდება ევროპულ სტანდარტებთან პარმონიზებული სკალის მიხედვით, რომლის საფუძველზეც შენობები იყოფა მოწყვლადობის 6 კლასად (იხ დანართი 2). აღნიშნული კლასებისა და ქვეკლასების მიხედვით კრიტერიუმის მნიშვნელობები წარმოდგენილია 1.3 ცხრილში:

ცხრილი 1.3

მოწყვლადობის კლასი	A	B	C	D	E	F
S_1	0,3	0,5	0,7	0,9	1	1,75

ტექნიკურ რეგლამენტების მოთხოვნებთან შესაბამისობის კრიტერიუმი S_2 . ის განისაზღვრება იმ გარემოებით, რამდენადაა შესრულებული სათანადო ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრული სივრცითი გეგმარებისა და კონსტრუირების მოთხოვნები. ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებთან შესაბამისობის კრიტერიუმის წილობრივი კოეფიციენტის მნიშვნელობა ფიზიკურ მოწყვლადობაში შეადგენს 0,15-ს. აღნიშნული კრიტერიუმის რიცხვითი მნიშვნელობა განისაზღვრება სიანჟინრო-ტექნიკური კომპლექსის პასპორტებსა და თავდაპირველ საპროექტო დავალებებში მოცემული პარამეტრების შესაბამისად.

არსებულ ტექნიკურ მდგომარეობასთან შესაბამისობის კრიტერიუმი S_3 განისაზღვრება სიანჟინრო-ტექნიკური კომპლექსის ტექნიკური მდგომარეობისა და შიდიი სამშენებლო კონსტრუქციების გარეგანი ნიშნების გამოკვლევის საფუძველზე. არსებულ ტექნიკურ მდგომარეობასთან შესაბამისობის კრიტერიუმის წილობრივი კოეფიციენტის მნიშვნელობა ფიზიკური მოწყვლადობის 0,15-ს შეადგენს. მისი რიცხვითი მნიშვნელობა განისაზღვრება სიანჟინრო-ტექნიკური კომპლექსის ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგენილი პარამეტრების შესაბამისად 1.4 ცხრილის მიხედვით.

ტექნიკური მდგომარეობის კატეგორია		S ₃
1	ნორმალური მდგომარეობა	1
2	სრულად დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა	0,95
3	არასრულად დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა	0,85
4	არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა	0,75
5	ავარიული მდგომარეობა	0,65

კონსტრუქტორულ გაანგარიშებაზე დაფუძნებული ანალიზის მახასიათებლებთან შესაბამისობის კრიტერიუმში S₄. ექსპლუატაციაში მყოფი შენობა-ნაგებობების კონსტრუქტორულ გაანგარიშებაზე დაფუძნებული ანალიზის მახასიათებლებთან შესაბამისობის კრიტერიუმში განისაზღვრება შენობა-ნაგებობათა ფაქტორივი მზიდუნარიანობის მახასიათებლების ფარდობით მზიდუნარიანობის მახასიათებლების იმ მნიშვნელობასთან, რომელიც დადგენილია ასეთი ტიპის შენობა-ნაგებობის საკმარისი ამტანუნარიანობისა და ნორმალური ექსპლუატაციის უზრუნველყოფის პირობებით. ამ კრიტერიუმის წილობრივი კოეფიციენტის მნიშვნელობა შეადგენს ფიზიკური მოწყვლადობის 0,45-ს. ამ ტიპის კრიტერიუმის რიცხვითი მნიშვნელობა არ უნდა აღემატებოდეს (S₄ ≤ 1,2) 1,2-ს. მის განსასაზღვრავად ტარდება შემდეგი სახის ოპერაციები:

- სამშენებლო მოედნის გეოლოგიური, სეისმური, მეტეოროლოგიური, კლიმატური, ეკოლოგიური და სხვა სახის გამოკვლევა და შეფასება;
- შენობა-ნაგებობებზე შესაძლო საგანგებო სიტუაციების დამაზიანებელი ფაქტორებით გამოწვეული დატვირთვის დადგენა და შესაბამისი საანგარიშო სქემის შერჩევა;
- შენობა-ნაგებობის საანგარიშო კონსტრუქციული სქემის რიცხვითი მოდელირება;
- შენობა-ნაგებობის გაანგარიშება და მიღებული შედეგების ანალიზი.

S₄ კოეფიციენტის რიცხვითი მნიშვნელობა განისაზღვრება სიანჟინრო-ტექნიკური კომპლექსის ზუსტი ინსტრუმენტული შეფასებით დადგენილი პარამეტრების შესაბამისად.

სოციალური მოწყვლადობა დამოკიდებულია საფრთხის წინაშე მდგომი საზოგადოების მიზნობრივი ჯგუფების დაცულობაზე საფრთხისგან გამოწვეული დამაზიანებელი ფაქტორების მიმართ. ის ითვალისწინებს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის სიმჭიდროვეს, მიზნობრივი ჯგუფების მოწყვლადობის განმსაზღვრელ სტრუქტურულ და რაოდენობრივ შემადგენლობას და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, მოსალოდნელი რისკის შესახებ საზოგადოების გაცნობიერებულობის დონეს, მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების უნარს, დამოუკიდებლად გაუმკლავდეს საგანგებო სიტუაციით გამოწვეულ პრობლემებს, ასევე, იმ ინსტიტუციური

სტრუქტურის ფუნქციონირების ეფექტურობა, რომელსაც ევალება ადამიანების დახმარება საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება.

სოციალური მოწყვლადობის შეფასება ხდება საფრთხით გამოწვეული დამაზიანებელი ფაქტორების მიმართ საზოგადოების დაცულობის განმსაზღვრელი პარამეტრების საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობის დადგენით.

საფრთხით გამოწვეული დამაზიანებელი ფაქტორების მიმართ საზოგადოების დაცულობის განმსაზღვრელი პარამეტრებია:

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რაოდენობა (მ.შ.მ.პ.)

მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან მიმართებით, პროცენტებში;

მოსახლეობის სიმჭიდროვე (რაოდენ./კვ.კმ-ზე);

6 წლამდე ბავშვების რაოდენობა მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან მიმართებით, პროცენტებში;

70 წლისაზე მეტი ასაკის პირთა რაოდენობა მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან მიმართებით, პროცენტებში;

მთლიანი შიდა პროდუქტის (მ.შ.პ.) ფარდობითი მნიშვნელობა (ადმინისტრაციული ერთეულისა ქვეყნის მასშტაბით არსებულ სიდიდესათან მიმართებით), პროცენტებში;

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სწავლებებში ჩართულობისა და სასწავლო აქტივობების განხორციელების ინტენსივობა, გამოსახული ქულებში;

სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ინსტიტუციური სტრუქტურის მზადყოფნის ხარისხი, რომელიც თავის მხრივ განისაზღვრება მორეაგირე ძალების თეორიული მომზადების ხარისხით, ქულებში და მორეაგირე ძალების ტექნიკური აღჭურვილობის საკმარისობის ხარისხით, ასევე ქულებში.

საფრთხისგან გამოწვეული დამაზიანებელი ფაქტორების მიმართ საზოგადოების დაცულობის განმსაზღვრელი პარამეტრები დგინდება მისი ხარისხის დონის ხუთსაფეხურიანი გრადაციის სისტემით.

1.5 ცხრილში წარმოდგენილია აღნიშნული გრადაციის განმსაზღვრელი ზღვრული მნიშვნელობები.

5. ზეგავლენის იდენტიფიცირება

ზეგავლენის ცალკეული პარამეტრის იდენტიფიცირება ხდება ლათინური ასოებით, რომლებიც შეესაბამებიან ზეგავლენის კატეგორიებს და ციფრებით, რომლებიც თავის მხრივ შეესაბამებიან ზეგავლენის ცალკეულ პარამეტრს 1.6 ცხრილის მიხედვით.

ზეგავლენის პარამეტრების ზღვრული მნიშვნელობები განისაზღვრება საგანგებო სიტუაციის კლასიფიკაციის მახასიათებლების მიხედვით, რომელთა მნიშვნელობები დგინდება 1.7 ცხრილში წარმოდგენილი ფორმის მიხედვით.

სოციალური მიწვევადობის ხარისხი	შ.შ.პ.პ. (რაოდენობა), %	სიმჭიდროვე (რაოდ./კვ.კმ-ზე)	ბავშვები 6 წლამდე ასაკისა (რაოდენობა), %	მოხუცები 70 წლის ზევით (რაოდენობა), %	მ.შ.პ. ფარდობითი მნიშვნელობა (ადმინისტრაციული ერთ.-ის/ქვეყნის მიმართ), %	მოსახლეობის მზ. ჯგუფების მიხედვით, სწავლებებში ჩართულობის ა და განხორციელებების ინტენსივობა (ქულები)	სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ინსტიტუციური სტრუქტურის მზადყოფნის ხარისხი (ქულები)	ზღვრული მნიშვნელობის დასადგენი კრიტერიუმები მორეაგირე ძალების ტექნიკური აღჭურვილობის საკმარისობის ხარისხის მიხედვით	ზღვრული მნიშვნელობის დასადგენი კრიტერიუმები მორეაგირე ძალების თეორიული მომზადების ხარისხის მიხედვით
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1 ძლიერ მაღალი	10-ზე მეტი	80-ზე მეტი	15-ზე მეტი	5-ზე მეტი	0-2,5	სწავლებები არ არის დაგეგმილი	სერტიფიცირებული პერსონალი არ გააჩნიათ	აღჭურვილი არასაკმარისი მინიმალური რაოდენობის ტექნიკით	

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
2	მაღალი	5 - 10	60 - 80	10 - 15	2.5 - 5	2.5 - 5	სწავლებლები დადგემბილა მაგრამ არ ტარდება ნორმატივების შესაბამისად	სერტიფიცირებული პერსონალი 50%-ზე ნაკლებია	აქვს საკმარისი მინიმალური რაოდენობის ნაწილობრივ ამორტიზირებული ტექნიკა
4	დაბალი	1 - 3	20 - 40	5 - 8	1.5 - 2	10 - 20	მიმდინარე სწავლებლები ტარდება ნორმატივების შესაბამისად, სასწავლო გრაფიკის დარღვევით	სერტიფიცირებული პერსონალი 70%-ზე მეტია	აქვს საკმარისი მინიმალური რაოდენობის ტექნიკური ნორმების შესაბამისი ტექნიკა
5	ძლიერ დაბალი	1-ზე ნაკლები	20-ზე ნაკლები	5-ზე ნაკლები	1-ზე ნაკლები	20 - 60	სწავლებლები დადგემბილა და ტარდება სტანდარტების შესაბამისად, გემის მიხედვით	პერსონალი სერტიფიცირებულია სრულად	აქვს ოპტიმალური რაოდენობის ტექნიკური ნორმების შესაბამისი ტექნიკა

ზუგაველენის კატეგორიები, იდენტიფიკატორები, პარამეტრები და მათი საზომი ერთეულები

ზუგაველენის კატეგორია	ზუგაველენის იდენტიფიკატორი	ზუგაველენის პარამეტრი	ზუგაველენის პარამეტრის აღწერა	საზომი ერთეული
1	2	3	4	5
	M1	ადამიანების მსხვერპლი	ადამიანები, რომლებიც დაიღუპნენ მოცემულ ტერიტორიაზე ინციდენტის შედეგად	ადამიანების რაოდენობა
	M2	დამავებული ადამიანები	ადამიანები, რომლებიც დამავდნენ მოცემულ ტერიტორიაზე ინციდენტის შედეგად ან დასწრებულდნენ ინციდენტისას ან მის შემდეგ და საჭიროებენ მკურნალობას (ბირთვითა და ხანგრძლივად)	ადამიანების რაოდენობა
	M3	ადამიანები, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას 14 დღეზე მეტ ხანს	მოსახლეობა, რომელიც საჭიროებს დახმარებას მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობების უზრუნველყოფისა და გადაარჩენის მიზნით 14 დღეზე მეტ ხანს	ადამიანების რაოდენობა
M4	ადამიანები, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას 14 დღემდე	ადამიანები, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობების უზრუნველყოფისა და გადაარჩენის მიზნით 14 დღემდე	ადამიანების რაოდენობა	

1	2	3	4	5
ზეგაგლეუნა გარემოზე	U1	მდგომარეობის გაუარესება დაცულ ტერიტორიებზე	ინციდენტის შედეგად დაზიანებული დაცული ტერიტორიების (დაცული ტერიტორიები, ეროვნული პარკები და ა.შ.) ფართობი	ჰექტარი
	U2	წყლის რესურსების დაბინძურება და მდგომარეობის გაუარესება	შიდა წყლების (მდინარეები, ტბები) ან ზღვების და მათი ბიოსფეროს გავრცელების ტერიტორიის ფართობი, სადაც აღინიშნება დაზიანება საგანგებო სიტუაციის ან ინციდენტის შედეგად	ჰექტარი
	U3	გრუნტის წყლების დაბინძურება	მიწისქვეშა წყლების ფართობი, რომლის ფარგლებშიც გავრცელდა დაზიანება საგანგებო სიტუაციის ან ინციდენტის შედეგად	ჰექტარი
	U4	სასოფლო-სამეურნეო დანამშენების ტერიტორიების დაზიანება	სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობი, რომლის ფარგლებშიც გავრცელდა დაზიანება საგანგებო სიტუაციის ან ინციდენტის შედეგად	ჰექტარი
ზეგაგლეუნა ეკონომიკაზე	W1	ფიზიკური ზიანი	პირდაპირი მატერიალური ზარალის ჯამი (შენობა- ნაგებობების, საინჟინრო-ტექნიკური კომპლექსის ნერვის, ხანძრით განადგურების, მწყობრიდან გამოსვლისა და ა.შ. გამო)	ლარი
	W2	შედგომრივი ზიანი	არაპირდაპირი ზარალის ან ზიანის ჯამი (მომარაგების შეზღუდვის გამო და ა.შ.)	ლარი
	W3	ეკონომიკური საქმიანობის შეფერხება/მოშლა	საგანგებო სიტუაციის შედეგად ეკონომიკური საქმიანობის შეფერხებით ან შეწყვეტით გამოწვეული ზარალი	ლარი

I	2	3	4	5
W4	ეკონომიკის ობიექტის მოგების (შემოსავლიანობის) გაჩერება ან შეფერხება	დაზარალებული საშემოსავლო გადასახადების შემცირების ან შეფერხების გამო	დაზარალებული საშემოსავლო გადასახადების შემცირების ან შეფერხების გამო	ლარი
V1	წყალმომარაგების შეფერხება/მოშლა	წყალმომარაგების შეფერხება/მოშლა	მომარაგების შეწყვეტის ხანგრძლივობით და სივრცითი არეალში დაზარალებული მოსახლეობის რაოდენობით განსაზღვრული რიცხვი.	ადამ.რა-ბა X დღე
V2	ენერგომომარაგების შეფერხება/მოშლა	ენერგომომარაგების შეფერხება/მოშლა	მომარაგების შეწყვეტის ხანგრძლივობითა და სივრცით არეალში დაზარალებული მოსახლეობის რაოდენობით განსაზღვრული რიცხვი.	ადამ.რა-ბა X დღე
V3	გაზმომარაგების შეფერხება/მოშლა	გაზმომარაგების შეფერხება/მოშლა	მომარაგების შეწყვეტის ხანგრძლივობითა და სივრცით არეალში დაზარალებული მოსახლეობის რაოდენობით განსაზღვრული რიცხვი.	ადამ.რა-ბა X დღე
V4	ტელეკომუნიკაციების შეფერხება/მოშლა	ტელეკომუნიკაციების შეფერხება/მოშლა	მომარაგების შეწყვეტის ხანგრძლივობით და სივრცითი არეალში დაზარალებული მოსახლეობის რაოდენობით განსაზღვრული რიცხვი.	ადამ.რა-ბა X დღე
II 1 სოციალურ-პოლიტიკური ზეგავლენა (არამატერიალური ზეგავლენა)	ზეგავლენა საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებაზე	ზეგავლენა საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებაზე	საგანგებო სიტუაციის ან ინციდენტის საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე გავლენის დონე (საზოგადოებრივი პროტესტი და ა.შ.)	ქულები (1-დან 5-მდე)

1	2	3	4	5
I 2		პოლიტიკური შედეგები	საგანგებო სიტუაციის ან ინციდენტის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ სექტორზე ზეგავლენის დონე (პოლიტიკური მოთხოვნებით მასობრივი გამოსვლები)	ქულები (1-დან 5-მდე)
I 3		ფსიქოლოგიური შედეგები	სახელმწიფო უწყებების მიმართ ნდობის დონის შემცირების ხარისხი (ადგილობრივი ადმინისტრაციები და ა.შ.)	ქულები (1-დან 5-მდე)
I 4		დაზიანება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისადმი	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისთვის, როგორც ისტორიულ-მემკვიდრეობითი მნიშვნელობის ობიექტებისა და სულიერი ფასეულობისადმი ზიანის ხარისხი საგანგებო სიტუაციის ან ინციდენტის შედეგად	ქულები (1-დან 5-მდე)

საგანგებო სიტუაციის კლასიფიკაციის ზღვრული მახასიათებლები

ზეგვლენის პარამეტრის ზღვრული სიდიდე		ზეგვლენა ადამიანებზე, (M)			
ციფრებში	სიტყვიერად	მსხერპლი, (M1)	დაშავებულები, (M2)	ადამიანები, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას 14 დღეზე მეტ ხანს, (M3)	ადამიანები, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას 14 დღემდე, (M4)
1	2	3	4	5	6
5	კატასტროფული	> _____	> _____	> _____	> _____
4	მნიშვნელოვანი	_____	_____	_____	> _____
3	ზომიერი	_____	_____	_____	> _____
2	მცირე	_____	_____	_____	> _____
1	უმნიშვნელო	≤ _____	≤ _____	≤ _____	≤ _____

ზეგავლენის პარამეტრის ზღვრული სიდიდე		ზეგავლენა გარემოზე, (U)			
ციფრებში	სიტყვიერად	დაცულ ტერიტორიებზე მდგომარეობის გაუარესება, (U1)	წყლის რესურსების დაზიანებულება და მდგომარეობის გაუარესება, (U2)	გრუნტის წყლების დაზიანებულება, (U3)	სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების დაზიანების ხარისხი, (U4)
1	2	3	4	5	6
5	კატატროფული	ხანგრძლივად > _____ კმ _____ კმ ან დროებით > _____ კმ	მდინარე > _____ კმ ტბა > _____ კმ ან ზღვა > _____ კმ	> _____ კმ	ხანგრძლივად > _____ კმ ან დროებით > _____ კმ
4	მნიშვნელოვანი	ხანგრძლივად > _____ კმ ან დროებით > _____ კმ	მდინარე > _____ კმ ტბა > _____ კმ ან ზღვა > _____ კმ	_____ - _____ კმ	ხანგრძლივად > _____ კმ ან დროებით > _____ კმ
3	ზომიერი	ხანგრძლივად > _____ კმ ან დროებით > _____ კმ	მდინარე > _____ კმ ტბა > _____ კმ ან ზღვა > _____ კმ	_____ - _____ კმ	ხანგრძლივად > _____ კმ ან დროებით > _____ კმ
2	მცირე	ხანგრძლივად > _____ კმ ან დროებით > _____ კმ	მდინარე > _____ კმ ტბა > _____ კმ ან ზღვა > _____ კმ	_____ - _____ კმ	ხანგრძლივად > _____ კმ ან დროებით > _____ კმ
1	უმნიშვნელო	ხანგრძლივად ≤ _____ კმ ან დროებით ≤ _____ კმ	მდინარე ≤ _____ კმ ტბა ≤ _____ კმ ან ზღვა ≤ _____ კმ	≤ _____ კმ	ხანგრძლივად ≤ _____ კმ ან დროებით ≤ _____ კმ

ზეგავლენის პარამეტრის ზღვრული სიდიდე		ზეგავლენა ეკონომიკაზე , (W)			
ციფრებში	სიტყვიერად	ფიზიკური ზიანი, (W1)	სუდეგობრივი ზიანი, (W2)	ეკონომიკური საქმიანობის შეფერხება/მოშლა, (W3)	ეკონომიკის ობიექტის მოგების (შემოსავლის) გაზრდა ან შეფერხება, (W4)
1	2	3	4	5	6
5	კატასტროფული	> _____	> _____	> _____	> _____
4	მნიშვნელოვანი	_____	_____	_____	_____
3	ზომიერი	_____	_____	_____	_____
2	მცირე	_____	_____	_____	_____
1	უმნიშვნელო	≤ _____	≤ _____	≤ _____	≤ _____

ზეგავლენის პარამეტრის ზღვრული სიდიდე		ზეგავლენა სასიცოცხლო მნიშვნელობის მომარაგების სისტემაზე, (V)			
ციფრებში	სიტყვიერად	წყალმომარაგების შეფერხება/მოშლა, (V1)	ენერგომომარაგების შეფერხება/მოშლა, (V2)	გაზომომარაგების შეფერხება/მოშლა, (V3)	ტელეკომუნიკაციების შეფერხება /მოშლა, (V4)
1	2	3	4	5	6
5	კატასტროფული	> _____	> _____ > _____	> _____ > _____	> _____ > _____
4	მნიშვნელოვანი	> _____ > _____	> _____ > _____	> _____ > _____	> _____ > _____
3	ზომიერი	> _____ > _____	> _____ > _____	> _____ > _____	> _____ > _____
2	მცირე	> _____ > _____	> _____ > _____	> _____ > _____	> _____ > _____
1	უმნიშვნელო	≤ _____ ≤ _____	≤ _____ ≤ _____	≤ _____ ≤ _____	≤ _____ ≤ _____

ზეგავლენის პარამეტრის ზღვრული სიდიდე		არამატერიალური ზეგავლენა, (I)			
ციფრებში	სიტყვიერად	ზეგავლენა საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებაზე, (I 1)	პოლიტიკური შედეგები, (I 2)	ფსიქოლოგიური შედეგები, (I 3)	კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ზიანი, (I 4)
1	2	3	4	5	6
5	კატასტროფული				
4	მნიშვნელოვანი				
3	ზომიერი				
2	მცირე				
1	უმნიშვნელო				

შენიშვნა: 1. 1.7 ცხრილის მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 სვეტებში მოცემული უნდა იყოს ქვეყნის მთავრობის მიერ დადგენილი ზეგავლენის პარამეტრის ზღვრული მნიშვნელობები.

2. ზეგავლენის პარამეტრის მნიშვნელობა არასოდეს აიღება ერთზე ნაკლები, რადგანაც ზიანის სრულად გამოირცხვა დაუშვებელია იმ შემთხვევაშიც კი, თუ ზეგავლენის მოსალოდნელი სადიდე ძლიერ უმნიშვნელოა.

6. მედეგობის შეფასება

საგანგებო სიტუაციაზე მედეგობის შეფასება გულისხმობს ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების, საზოგადოებაში საგანგებო სიტუაციათა შედეგებით გამოწვეული პრობლემებისადმი გამკლავების შესაძლებლობათა, მათ შორის: სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტების უსაფრთხო და სტაბილური ფუნქციონირების შესაძლებლობათა, ადამიანების მიერ დაგროვილი ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კოლექტიური მოქმედებების მახასიათებლების შეფასებას.

ადამიანთა უნარ-ჩვევებისა და კოლექტიურ მოქმედებათა მახასიათებელი განისაზღვრება საზოგადოებაში ჩამოყალიბებული სოციალური ურთიერთობებით, ორგანიზაციებისა და უწყებების მხრიდან ხელშეწყობი პირობების უზრუნველყოფის მიზნით ცალკეული პირების ლიდერობითა და ხელმძღვანელობის იმ უნარით, რომლებიც განპირობებულია არსებული სისტემებისა და ინსტიტუაციების გაუმჯობესებისაკენ, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისა და ცალკეულ პირთა შესაძლებლობების გაძლიერებისაკენ მიმართული უწყვეტი ძალისხმევით.

ზემოაღნიშნული მოქმედებების საფუძველზე ტერიტორიული მატრიცის შესაბამისად იქმნება მედეგობის მატრიცა 1.8 ცხრილში წარმოდგენილი ზღვრული პარამეტრების საფუძველზე.

		ცხრილი 1.8			
		1	2	3	4
მედეგობის დონის შესაბამისი ხარისხი (ქულები)		ზღვრული მნიშვნელობის დასადგენი კრიტერიუმები ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების შეფასების მიხედვით	ზღვრული მნიშვნელობის დასადგენი კრიტერიუმები პრობლემებისადმი გამკლავების საზოგადოებაში არსებული უნარ-ჩვევების მიხედვით	ზღვრული მნიშვნელობის დასადგენი კრიტერიუმები უზრუნველყოფის ხარისხის მიხედვით	
1	ძლიერ მაღალი	ინფრასტრუქტურის მატერიალური რეზერვების შევსების ხარისხი დამაკმაყოფილებელია; ადგილობრივი რეზერვები, (უწყებრივი) რეზერვების შევსების ხარისხი დამაკმაყოფილებელია	მენეჯერებს აქვთ სრულყოფილი უნარ-ჩვევები და სათანადო აკადემიური განათლება	ყველა ობიექტზე, რომელსაც მინიჭებული აქვს კატეგორია, ორგანიზებულია სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფი ღონისძიებები	
2	მაღალი	მატერიალური რეზერვების შევსების ხარისხი დამაკმაყოფილებელია. მაგრამ მათზე წვდომის უზრუნველყოფის გეოგრაფიული და ტექნიკური პირობებია არადადამაკმაყოფილებელი; ადგილობრივი (უწყებრივი) რეზერვები დამაკმაყოფილებელია	მენეჯერებს აქვთ დამაკმაყოფილებელი დონე უნარ-ჩვევებისა და სათანადო აკადემიური განათლება	მხოლოდ ზოგიერთ კატეგორიულ ობიექტზე ორგანიზებულია სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფი ღონისძიებები	

1	2	3	4
3 საშუალო	მატერიალური რეზერვების შეცვლის ხარისხი დამაკმაყოფილებელია. მათზე წვდომის უზრუნველყოფის გეოგრაფიული და ტექნიკური პირობები დამაკმაყოფილებელია; ადგილობრივი (უწყებრივი) რეზერვები არასაკმარისია	მენეჯერებს აქვთ უნარ-ჩვევების დამაკმაყოფილებელი დონე და აკადემიური განათლება	ყველა ობიექტზე რომელსაც მინიჭებული აქვს კაბეტორია, ნაწილობრივ ორგანიზებულია სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფი ღონისძიებები
4 დაბალი	მატერიალური რეზერვების შეცვლის ხარისხი არადაამაკმაყოფილებელია; ადგილობრივი (უწყებრივი) რეზერვები არასაკმარისია	მენეჯერებს აქვთ უნარ-ჩვევების დამაკმაყოფილებელი დონე და არადაამაკმაყოფილებელი აკადემიური განათლება	მხოლოდ ზოგიერთ ობიექტზე, რომელსაც მინიჭებული აქვს კაბეტორია, ნაწილობრივ ორგანიზებულია სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფი ღონისძიებები
5 ძლიერ დაბალი	მატერიალური რეზერვების შეცვლის ხარისხი არადაამაკმაყოფილებელია; ადგილობრივი (უწყებრივი) რეზერვები არარსებობს	მენეჯერებს აქვთ არადაამაკმაყოფილებელი უნარ-ჩვევები და არადაამაკმაყოფილებელი აკადემიური განათლება	არც ერთ ობიექტზე, რომელსაც მინიჭებული აქვს კაბეტორია, არ არის ორგანიზებული სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფი ღონისძიებები

7. რისკის სცენარები

რისკის სცენარი არის ერთი ან რამდენიმე საგანგებო სიტუაციის რისკის მოხდენით შექმნილ საგანგებო ვითარებათა წარმოდგენა ინფორმაციული მაგალითის სახით ან ილუსტრაციით, რომელიც გამორჩეულად მნიშვნელოვანი ზეგავლენის (შედეგების) მქონე კონკრეტული რისკის უფრო დეტალურად განსაზღვრის საშუალებას იძლევა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რისკის სცენარი არის საგანგებო სიტუაციის ყველაზე სავარაუდო განვითარების რეალური აღწერის ინფორმაციული ან ილუსტრაციული მაგალითი. სცენარის შედგენა ძირითადად ეფუძნება წარსულში მიღებულ გამოცდილებას, მაგრამ ასევე, ჯერ არდამდგარ მოვლენებსა და შედეგებს. ის უნდა ეფუძნებოდეს რისკის განმსაზღვრელი ძირითადი გამოწვევი მიზეზებისა და ამ მიზეზთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ წინადადებებს, ვარაუდებსა და დაშვებებს. როგორც რეალობის გამარტივებული ილუსტრაცია, სცენარის შინაარსი გულისხმობს სუბიექტურ დაშვებებსა და ვარაუდებს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაცია, რომელსაც მივყავართ სცენარის განსაზღვრამდე, იყოს ღია და იძლეოდეს მისი გადახედვისა და განახლების შესაძლებლობას.

რისკის ანალიზის საწყის ეტაპზე შერჩეული საფრთხის საფუძველზე ხდება სცენარის შემუშავება. ის ნათლად და დეტალურად უნდა ასახავდეს მოვლენას, რათა შეიქმნას საფრთხის ალბათობისა და ზეგავლენის შეფასების ზუსტი და თანმიმდევრული საფუძველი. აქედან გამომდინარე, აუცილებელია აღიწეროს მოსალოდნელი ინციდენტის სახე, სივრცითი განზომილება, ინტენსივობა და ხანგრძლივობა. სცენარი შეძლებისდაგვარად უნდა ეფუძნებოდეს მეცნიერულად დასაბუთებულ ალბათურ და სტატისტიკურ დასკვნებს. შესაბამისად, საწყის ეტაპზე ცოდნის დეფიციტის კომპენსირება შესაძლებელია საფუძვლიანი დაშვებებით, ვარაუდებითა და ცალკეული ექსპერტული შეფასებებით.

სცენარის აღწერის ძირითადი პარამეტრები და მისი განმსაზღვრელი საკვანძო კითხვები წარმოდგენილია 1.9 ცხრილში.

სცენარის მახასიათებელი პარამეტრები და მისი განმსაზღვრელი საკვანძო კითხვები

პარამეტრი	პარამეტრის განმსაზღვრელი საკვანძო კითხვა
1	2
საფრთხის განმსაზღვრელი მოვლენის დასახელება	რა სახის საფრთხეა განხილული?
მოვლენის განვითარების ზონა/არეალი/ტერიტორია	სად ხდება ვითარდება/მოვლენა?
მოვლენის სივრცითი განზომილება	რომელი ზონა მოიცავს/დააზარალა მოვლენამ (საგანგებო სიტუაციის ზონის ფართობი/მოცულობა)?
მოვლენის დამაზიანებელი ზემოქმედება	რამდენად ძლიერია მოვლენა მისი დამაზიანებელი ზემოქმედების პარამეტრების (ინტენსივობის და სიძლიერის) სიდიდე სათანადო ფიზიკურ განზომილებებში?
მოვლენის მოხდენის დრო	როდის ხდება მოვლენა? (წლის ან დღის პერიოდი/მონაკვეთი)
მოვლენის მიმდინარეობის ხანგრძლივობა	რამდენი ხანი გრძელდება მოვლენა და როგორია მისი ზეგავლენის ცვლილებების ხასიათი დროში?
მოვლენის განვითარების ისტორია	როგორ წარმოიშვა/დაიწყო მოვლენა, როგორია მისი ესკალაციის სიჩქარე და ინტენსივობა?

I	2
<p>მოვლენის თაობაზე შეტყობინების დრო</p> <p>მოვლენის დამაზიანებელი ზემოქმედების შედეგად ზარალის შეფასება</p> <p>მოვლენის მსგავსი სხვა ინციდენტები</p> <p>შემდგომი ინფორმაცია: მოვლენისადმი მზადყოფნა, მოწყვლადობა, მედეგობა და მოცემული მოვლენასთან მიმართებაში საზოგადოების გათვინჯობიერება სამოქალაქო უსაფრთხოების კუთხით</p>	<p>რამდენად მოსალოდნელია მოვლენა? ადრეული გაფრთხილების სისტემის არსებობა და მისი საიმედოობის ხარისხი?</p> <p>შეუძლია თუ არა მოსახლეობას, მიემზადოს მოვლენისთვის?</p> <p>შეუძლიათ თუ არა სახელმწიფო უწყებებსა და ორგანიზაციებს მოემზადონ მოვლენისთვის?</p> <p>გარდაცვლილთა და დაშავებულთა რაოდენობა, მატერიალური და ფინანსური ზარალის ოდენობა, გარემოსადმი მიყენებული ზიანი. რომელი ობიექტები და ორგანიზაციები დაზარალდა მოვლენის შედეგად?</p> <p>ყოფილა თუ არა მსგავსი მოვლენები წარსულში?</p> <p>რამდენად კარგად არიან მომზადებული პასუხისმგებელი უწყებები და რეაგირების ძალები?</p> <p>როგორია საფრთხის წინაშე დგომის, მოვლენისადმი მზადყოფნის, მოწყვლადობისა და მედეგობის ხარისხი?</p> <p>როგორია საფრთხის წინაშე მდგომი მოსახლეობის/კლემენტების ზარალის აღქმისა და მისდამი მედეგობის შესახებ დასკვნები/შედეგები?</p> <p>რა არის კიდევ მნიშვნელოვანი სცენარიისთვის, მაგრამ ჯერ არ გარკვეულა და უცნობია?</p>

არსებული ან ადვილად ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე უნდა გაკეთდეს რისკის წინასწარი იდენტიფიცირება, რაც გულისხმობს შემდეგი სახის ოპერაციებს:

შესაბამის მასშტაბში ტერიტორიის რუკის მომზადებას და რუკაზე ადგილის ტოპოგრაფიისა და მიწათსარგებლობის თავისებურებების შესწავლა-აღნიშვნას;

წარსულში მომხდარი საგანგებო სიტუაციების აღწერას, რომლებმაც არსებითი ნეგატიური გავლენა იქონიეს ადამიანის ჯანმრთელობაზე, გარემოზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსა და ეკონომიკურ საქმიანობაზე. წარსულში მომხდარი საგანგებო სიტუაციის ზონის გავრცელების საზღვრებისა და დამაზიანებელი ზემოქმედების შეფასებას;

წარსულში მომხდარი საგანგებო სიტუაციების შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლო საგანგებო ვითარების პროგნოზირებას;

ადამიანის ჯანმრთელობაზე, გარემოზე, კულტურულ მემკვიდრეობასა და ეკონომიკურ საქმიანობაზე მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციების პოტენციური უარყოფითი შედეგების შეფასებას შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: ადგილის ტოპოგრაფია, ზოგადი ჰიდროლოგიური და გეომორფოლოგიური მახასიათებლები, რელიეფი, საგანგებო სიტუაციებისაგან დაცვის მიზნით შექმნილი ინფრასტრუქტურის ეფექტურობა, დაცული ტერიტორიებისა და ეკონომიკური საქმიანობის რაიონების მდებარეობა, ასევე ხანგრძლივ დროზე გათვლილი სხვადასხვა სახის ზემოქმედება, მათ შორის, კლიმატის ცვლილების გავლენა საგანგებო სიტუაციების წარმოშობაზე.

საფრთხის რუკები უნდა მოიცავდეს იმ გეოგრაფიულ რაიონებს, რომლებმაც შესაძლოა, განიცადონ საგანგებო სიტუაციის დამაზიანებელი ზემოქმედება შემდეგი სცენარების განვითარების შემთხვევაში:

- მაღალი ალბათობის მქონე საგანგებო სიტუაციის ექსტრემალური სცენარები, თუ ასეთები დამახასიათებელია;

- საშუალო ალბათობის საგანგებო სიტუაციის (გამეორების სავარაუდო პერიოდი 100 წელზე მეტია) ექსტრემალური სცენარები;

- ნაკლებად სავარაუდო რისკების განვითარების ექსტრემალური სცენარები.

სცენარში გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია და მახასიათებლები:

- საგანგებო სიტუაციის ზონის გეოინფორმაციული მონაცემები;

- საგანგებო სიტუაციის დამაზიანებელი ზემოქმედების განმსაზღვრელი ფაქტორების სიდიდეები (მაგ. წყალდიდობის შემთხვევაში - დატბორვის სიღრმე ან დონე, ნაკადის სიჩქარე, გაშლის არეალი და სხვ.);

- მოსახლეობის რაოდენობა, რომელსაც პოტენციურად შეეხება საფრთხე;

- შესაძლო საგანგებო სიტუაციების ზონაში ეკონომიკური საქმიანობის ხასიათი;

- მომეტებული საფრთხის შემცველი იმ ობიექტების შესახებ ინფორმაცია, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ მეორეული დამაზიანებელი ფაქტორები;
- სტრატეგიული და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების, სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიას დაქვემდებარებული ობიექტების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია გარემოს დაბინძურების წყაროების შესახებ.

რისკის ანალიზის შედეგად მოცემულ ტერიტორიაზე საფრთხეებისა და მოწყვლადობის დონის განსაზღვრისა და რუკაზე მათი დატანის მომდევნო ეტაპია რისკის რუკების მომზადება. რისკის რუკა კონკრეტულ ტერიტორიაზე საფრთხეების, მოწყვლადობისა და რისკების შესახებ ანალიზური ინფორმაციის გრაფიკულად გამოსახვის ინსტრუმენტია. ის, ამ მხრივ, ხელს უწყობს რისკების შეფასების პროცესს, მისი დახმარებით შესაძლებელია, განისაზღვროს რისკების შემცირების სტრატეგიის პრიორიტეტები. რისკის რუკების შედგენა აუცილებელია მიწათსარგებლობის დაგეგმვის ფართო კონტექსტში. მიწათსარგებლობის პოლიტიკა უზრუნველყოფს საშიშ საწარმოებსა და საცხოვრებელ რაიონებს შორის საჭირო დისტანციის დაცვას, მოსახლეობის უსაფრთხოებასა და მდგრად განვითარებას.

რისკის რუკის შესადგენად გამოიყენება:

ძირითადი საფრთხეების პოტენციური სივრცობრივი განაწილების რუკა (განსხვავებული სახის საფრთხეები და მათი სიძლიერის მაჩვენებლები წარმოდგენილი უნდა იქნეს ცალკე რუკების სახით);

საფრთხის წინაშე მდგომი ელემენტის - მოსახლეობის, შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურის, დაცული ტერიტორიებისა და ა.შ. გეოგრაფიული განაწილების რუკა, რომელზეც ასახული უნდა იყოს ყველა პოტენციურად მოწყვლადი და დასაცავი ობიექტის მოწყვლადობის განმაპირობებელი ფაქტორების სივრცითი განაწილება;

საფრთხის ზეგავლენათა განმსაზღვრელი და საფრთხით გამოწვეული დამაზიანებელი ფაქტორების მიმართ საზოგადოების დაცულობის განმსაზღვრელი პარამეტრების განაწილების რუკები.

8. რისკის შემცირება

რისკის მართვის პროცესში, რისკის შეფასების შემდეგ ძირითადი კომპონენტია რისკის შემცირების ღონისძიებათა დაგეგმვა და მათი მიმდინარეობის მონიტორინგი. რისკის შემცირების ძირითადი მიმართულებებია:

- საფრთხის შემცირება;
- საფრთხის წინაშე მდგომი ელემენტების რაოდენობის შემცირება;

- საფრთხის წინაშე მდგომი ელემენტების მოწყვლადობის შემცირება;

- შედეგობის ამაღლება;

- რისკის ტრანსფერის ორგანიზება, რაც გულისხმობს საგანგებო სიტუაციის დამაზიანებელი ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანების ფინანსურ დახმარებას საზოგადოების იმ ნაწილის მხრიდან, რომელიც არ ექვემდებარება აღნიშნულ საგანგებო სიტუაციაზე დაზღვევას ანდა არ არის დაკავშირებული მისი შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსებასთან;

- დარჩენილი და დასაშვები რისკის მინიმიზების ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება.

რისკის შემცირების მიზნით იგეგმება პრევენციული ღონისძიებები, რომელთა განხორციელებისათვის გამოიყენება სხვადასხვა პოლიტიკური ინსტრუმენტები. რისკის შემცირების პრევენციული ღონისძიებები შეიძლება იყოს სტრუქტურული და არასტრუქტურული.

სტრუქტურული ღონისძიებები გულისხმობს როგორც საფრთხეების შემაკავებელ საინჟინრო ღონისძიებებს, ასევე მათგან დამცავი ნაგებობებისა და დამცავი ინფრასტრუქტურის მშენებლობას. ამავე დროს, სტრუქტურული ღონისძიებები მიმართულია, როგორც საფრთხის კონტროლისა და შემცირებისკენ, ასევე საფრთხის წინაშე მდგომი ელემენტების მოწყვლადობის შემცირებისკენ. სტრუქტურული ღონისძიებები მოიცავს ისეთი შენობა-ნაგებობებისა და საინჟინრო-ტექნიკური კომპლექსის მშენებლობას, რომელთა დანიშნულებაა საფრთხისგან გამომდინარე დამაზიანებელი ფაქტორების შესაძლო ზემოქმედების თავიდან აცილება ან შემცირება, ასევე, შენობა-ნაგებობებისა და სისტემების საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით საინჟინრო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება.

არასტრუქტურული ღონისძიება არის ნებისმიერი არამატერიალური სახის აქტივობა, რომელიც რისკებისა და ზეგავლენათა შემცირების მიზნით იყენებს ცოდნას, პრაქტიკულ გამოცდილებასა და შეთანხმებებს, რომელთა საფუძველზეც იქმნება სტრატეგიები, კანონები, ტექნიკური რეგლამენტები და ინსტრუქციები, ხორციელდება საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება, ტრენინგები და სწავლება. არასტრუქტურული ღონისძიებების მიზნია საგანგებო სიტუაციით გამოწვეული შესაძლო ზიანისა და/ან საგანგებო სიტუაციის დამაზიანებელი ფაქტორების ზემოქმედების მიმართ ადამიანებისა და თემების მგრძობილობის შეცვლა. ისინი მიმართულია საფრთხის წინაშე მდგომი ელემენტების (ტერიტორიების) მოწყვლადობის ანდა საფრთხის განმსაზღვრელი პირობების შეცვლისაკენ.

რისკის შემცირების ღონისძიებების განხორციელების პოლიტიკური ინსტრუმენტებია ის სტრატეგიული ხერხები და მეთოდები, რომლებიც უშუალოდ კი არ ახდენენ ინტერვენციას ფიზიკურ გარემოში, არამედ ცვლილებები შეაქვს რისკზე გავლენის მქონე დაინტერესებულ მხარეთა

საქმიანობასა და ქცევაში. თუმცა, პოლიტიკური ინსტრუმენტები გამოიყენება ასევე რისკის შემცირების სტრუქტურული ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით. პოლიტიკური ინსტრუმენტები შეიძლება იყოს მასტიმულირებელი მარეგულირებელი და საკომუნიკაციო.

მასტიმულირებელი ინსტრუმენტების მეშვეობით ამა თუ იმ წესით ხორციელდება საწარმოებისა და მოსახლეობის წახალისება ან, პირიქით, შეზღუდვა გარკვეულ ტერიტორიაზე მიწათსარგებლობის ანდა ბიზნესის წარმოების თვალსაზრისით.

მარეგულირებელი ინსტრუმენტების საფუძველზე გაიცემა ნებართვა ან იკრძალება გარკვეულ საქმიანობები (მიწათსარგებლობის ნორმები). ამ ინსტრუმენტებით სახელმწიფო ხელისუფლება უშუალოდ მონაწილეობს შესაძლო რისკის შემცირების მიზნით სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში.

საკომუნიკაციო ინსტრუმენტები ხელს უწყობს პოტენციური რისკების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებას.

საგულისხმოა, რომ რისკის შემცირების დაგეგმვის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რისკის რუკის გამოყენებას, რომელიც არა მარტო ხელს უწყობს რისკების შეფასებას, არამედ მის საფუძველზე იგეგმება რისკების შემცირების კონკრეტული ღონისძიებები.

9. რისკების მართვის გეგმები

საფრთხეებისა და რისკების რუკების საფუძველზე სუბიექტებმა უნდა შეადგინონ რისკების მართვის გეგმები, რომლებიც უთანხმდება საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში სპეციალურად უფლებამოსილ უწყებას და მის შესაბამის ტერიტორიულ დანაყოფებს.

რისკების მართვის გეგმები უნდა ითვალისწინებდეს ისეთ საკითხებს, როგორცაა დანახარჯებისა და მოგების ურთიერთდამოკიდებულება, საგანგებო სიტუაციის ზონის ტერიტორიის ფართობი, მისი გავრცელების საზღვრები და ის ტერიტორიები და მათთან დაკავშირებული გეოგრაფიულ ფაქტორები, რომლებსაც შეუძლიათ შეაკავონ დამაზიანებელი ზემოქმედება.

რისკის მართვის გეგმები უნდა მოიცავდეს რისკის მართვის ყველა ასპექტს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პრევენციას, დაცვისა და მზადყოფნის ღონისძიებებს, მათ შორის პროგნოზირებასა და წინასწარი შეტყობინების სისტემების განვითარებას. რისკის მართვის გეგმებმა ხელი უნდა შეუწყოს მიწათსარგებლობის, ურბანული და ქალაქდაგეგმარების ისეთი პრაქტიკის დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ტერიტორიის გამოყენებისა და განვითარების ეკონომიკური და სოციალური წინაპირობების ჰარმონიზაციას სამოქალაქო უსაფრთხოების მოთხოვნებთან.

რისკის მართვის გეგმის შემადგენელი ელემენტებია:

1. ადინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის რუკა, რომელზეც წარმოდგენილი იქნება მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის საფუძველზე განსაზღვრული საფრთხეები და რისკები, ასევე მათი შეფასების საფუძველზე მომზადებული შესაბამისი დასკვნები (მთლიანობაში საგანგებო სიტუაციის რისკის რუკების სახით);

2. რისკის შემამცირებელ ღონისძიებათა განხორციელების გეგმა-გრაფიკი, რომელშიც შევა კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალი შემდეგი ძირითადი მიმართულებების მიხედვით:

- საგანგებო სიტუაციების რისკის შემცირების გათვითცნობიერების საკოორდინაციო სისტემის შექმნა და განვითარება, აქედან გამომდინარე, მართვის ყველა დონეზე საგანგებო სიტუაციების რისკის მართვის საბჭოების ფუნქციონირება. მართვის ყველა დონეზე უწყებების, საქვეუწყებო დაწესებულებების, მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და ორგანიზაციების ხელშეწყობა მათ მიერ რისკის შემცირებისა და მზადყოფნის უზრუნველყოფაში თავისი როლის გააზრებასა და სათანადო ღონისძიებების ორგანიზებაში;

- საგანგებო სიტუაციების რისკის შემცირების პროგრამის მომზადება და ამ მიზნით ფინანსური უზრუნველყოფის მექანიზმების შექმნა;

- საფრთხეებისა და მოწყვლადობის შესახებ ინფორმირებულობის უზრუნველყოფა, რისკის შეფასება და მის საფუძველზე რისკის მართვის გეგმების შემუშავება და პრევენციული ღონისძიებების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნული საქმიანობის შესახებ ყველა ინფორმაციის, ასევე რისკის მართვის გეგმების საჯაროობისა და მათი საზოგადოებასთან კონსულტაციების საფუძველზე მომზადების ანდა მიღების უზრუნველყოფა;

- საგანგებო სიტუაციებისადმი მედეგობის უზრუნველყოფის მიზნით ინფრასტრუქტურის განვითარების ინვესტირება და მისი მდგრადობის უზრუნველყოფა;

- სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიას დაქვემდებარებული ობიექტების, მათ შორის საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ჯანდაცვის ობიექტების უსაფრთხოების შეფასება და მათი სტაბილურად ანდა უსაფრთხოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

- რისკების შემცირების უზრუნველყოფის შესახებ სამშენებლო ნორმების, მიწათსარგებლობის წესებისა და პრინციპების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მიღება და დანერგვა. სოციალურად დაუცველი (განსაკუთრებით მოწყვლადი) მოსახლეობის ბინადრობის ადგილების განსაზღვრა და მათი საცხოვრებელი პირობების შეძლებისდაგვარად გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა;

- საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ადგილობრივ თემებში საგანგებო სიტუაციების რისკის შემცირების სასწავლო პროგრამების შემუშავება და მათი დანერგვის უზრუნველყოფა;

- ბუნებრივი საფრთხეების გამო ეკოსისტემებისა და ბუნებრივი საბუნებრო ზონების მოსალოდნელი მიგრაციული პროცესებისაგან დამცავი ღონისძიებების დაგეგმვა, დასახლებული ტერიტორიების ადაპტირება კლიმატის ცვლილებებთან რისკების შემცირების პროგრამების შექმნის გზით;

- საგანგებო სიტუაციების შესახებ ადრეული გაფრთხილებისა და მისი წინმსწრები მოვლენების მონიტორინგის სისტემების ამოქმედება. მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციების თაობაზე მოსახლეობის მზადყოფნისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ქცევისა და მოქმედების წესების შესახებ მათი ინფორმირება და სწავლება, სიმულაციური ვარჯიშების ორგანიზება;

- საგანგებო სიტუაციების პრევენციული სტრუქტურული და არასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელება.

ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმი მოიცავს ევროკავშირის საგანგებო სიტუაციათა რისკების პრევენციის სტრატეგიულ ჩარჩო-მოქმედებებს, რომელთა მიზანია საგანგებო სიტუაციების შედეგების პრევენცია და შემცირებით სტაბილურობისა და უსაფრთხოების მაღალი დონის მიღწევა.

ამ მიმართულებით საგანგებო სიტუაციების რისკის შეფასება და რუკაზე დატანა, რისკების ელექტრონული ატლასის (ERRA) სრულყოფა და მიწათსარგებლობისა და მშენებლობის დაროექტების პროცესში მათი ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამიტომ, აუცილებელია სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში (მათ შორის მშენებლობის დარგში და კონკრეტულ სამშენებლო პროექტებში) რისკების მართვის გათვალისწინება და მათი შემცირების მიზნით შესაძლებლობების შეფასება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საგანგებო სიტუაციების მართვისადმი ინტეგრირებული მიდგომა, პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების მოქმედებათა გათვალისწინებით.

10. პოტენციური საფრთხეებისა და საგანგებო სიტუაციების რისკების ანალიზის მეთოდური რეკომენდაციები სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებულ ობიექტებზე

სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებულ ობიექტებზე საგანგებო სიტუაციის განვითარების რისკი საფრთხის განვითარების ისეთი შესაძლებლობის ზომითაა, რომელიც განისაზღვრება დროის გარკვეულ პერიოდში ობიექტის შესაძლო არასტაბილური ფუნქციონირებით და,

აქედან გამომდინარე, მასშტაბური სამრეწველო აგარის განვითარებით, რომელიც ხასიათდება ადამიანთა მსხვერპლით, მატერიალური და ფინანსური დანაკარგებით.

სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებულ ობიექტზე რისკის შემცირების ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება რისკის მართვის უწყვეტი პროცესის ძირითადი შემადგენელი ნაწილია და ეფუძნება რისკის შეფასებას, ხოლო რისკის მართვა არის იმ ნორმატიულ-ორგანიზაციული და საინჟინრო-ტექნიკური ზომების კომპლექსის მუდმივად განხორციელება, რომელიც მიმართულია, როგორც რისკის განსაზღვრაზე, მისი შემცირებისა და უსაფრთხოების, ასევე, ობიექტის სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე.

რისკის მართვა ეფუძნება ობიექტის მდგრადი განვითარების ყოველმხრივი უზრუნველყოფის, ადამიანური და ბუნებრივი რესურსების სასრულობის გათვალისწინებაზე ორიენტირებულ პრინციპებს.

რისკის მართვის ძირითადი კომპონენტებია:

ა) მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციების საფრთხის აღბათური შეფასება;

ბ) შესაძლო საგანგებო სიტუაციების წინმსწრები მოვლენებისა (საფრთხეების) და მათგან გამოწვეული დამაზიანებელი ფაქტორების განვითარების მონიტორინგი;

გ) ობიექტის მუშაობის სტაბილურობის პოტენციალის გამოკვლევა;

დ) შესაძლო საგანგებო ვითარების შეფასება და ანალიზი;

ე) რისკის განვითარების შესაძლო სცენარების შემუშავება;

ვ) პრევენციის, მიტიგაციისა და რეაგირების ღონისძიებების ორგანიზება.

რისკის მართვის ორგანიზება, შესაძლო საგანგებო სიტუაციებში სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტის სტაბილური მუშაობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, გულისხმობს სხვადასხვა ასპექტების შესწავლა-ანალიზს. ესენია:

ა) საგანგებო სიტუაციებში განვითარებული დამაზიანებელი ფაქტორების ხასიათი და სიდიდე;

ბ) ობიექტის საინჟინრო-ტექნიკური კომპლექსის ფიზიკური მახასიათებლები (სიმაღლე, სართულთა რაოდენობა, განაშენიანების სიმჭიდროვე, ტექნოლოგიური პროცესების თავისებურებები და ა. შ.);

გ) მენეჯმენტის მდგრადობა;

დ) ლოჯისტიკის მდგრადობა;

ე) ობიექტზე სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებების ჩატარების დროულობისა და საკმარისობის ხარისხი.

რისკი საგანგებო სიტუაციის დამაზიანებელი ფაქტორების შესაძლო ზემოქმედების შესაძლებლობისა და ამ ზემოქმედებაზე ობიექტის რეაქციის

ფუნქციაა, რომელიც ვლინდება და ვითარდება ნეგატიური მოვლენის (ობიექტის მწყობრიდან გამოსვლა, ავარია, საგანგებო სიტუაცია) სახით.

სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებულ ობიექტების შემთხვევაში, რისკი განისაზღვრება საფრთხის ალბათობის ნამრავლი ამ საფრთხის განვითარების შემთხვევაში მწყობრიდან გამოსვლის შესაძლებლობაზე. თავის მხრივ, მწყობრიდან გამოსვლის შესაძლებლობა განისაზღვრება ობიექტის დაზიანების ალბათობისა და აღნიშნულ საფრთხესთან მიმართებაში ობიექტის მოწყვლადობის ნამრავლით.

რისკის განმსაზღვრელი ავარიის სახეები და განვითარების მიზეზები. ტექნოგენური საგანგებო სიტუაციებიდან ობიექტებისათვის ძირითადად დამახასიათებელია ტექნოლოგიური ავარიები, რომლებიც ხასიათდებიან ენერჯის ან ქიმიურად, ბიოლოგიურად და რადიაციულად აქტიური კომპონენტების გარემოში არაკონტროლირებადი დამაზიანებელი გამოყოფით.

ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებსა და ადამიანის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობას შორის მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, ავარიების რაოდენობისა და მასშტაბების ზრდის ტენდენციის მიზეზთა სამი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა:

ა) ობიექტური - ტექნოლოგიური დატვირთვებისა და პარამეტრების (წნევა, ტემპერატურა, სიმძლავრე, ძაბვა, ნივთიერებათა კონცენტრაცია, სიჩქარეები და ა.შ) დაუმეგბელი სიდიდით ცვლილება ანდა ადამიანის ზღვარგადასული საწარმოო-სამეურნეო საქმიანობა (მაგ. წარმოებათა კონცენტრაცია);

ბ) სუბიექტური - დაუდევარი და არაკომპეტენტური დამოკიდებულება სამრეწველო უსაფრთხოების საკითხებისადმი. დაპროექტების, მონტაჟისა და ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები და დეფექტები და დაშვებული შეცდომები.

გ) სპეციფიკური - ძირითადი საწარმოო ფონდების ცვეთა, ზოგი ტექნოლოგიისა და დაცვის სისტემების ჩამორჩენა საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში.

ავარიის მიზეზი შეიძლება იყოს:

ა) კვლევითი სამუშაოების მიმდინარეობის დროს დაშვებული და მცდარი საპროექტო გადაწყვეტილებებით, ასევე, ექსპლუატაციის თავისებურებათა არასაკმარისი გათვალისწინებით გამოწვეული შეცდომები. კონსტრუქციული ელემენტების გაანგარიშების მეთოდთა და არსებულ ტექნიკურ ნორმათა არასრულყოფილება;

ბ) კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური უზუსტობები, ნორმებიდან გადახრები და მზიდ კონსტრუქციებში დატვირთვათა არასაკმარისად გათვალისწინება;

გ) მშენებლობის პროცესში დაშვებული შეცდომები;

დ) ხარისხის კონტროლის დროს დაშვებული შეცდომები.

ე) ბუნებრივი ხასიათის საგანგებო სიტუაციები (მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი, ძლიერი ქარი და ა.შ).

შენობა-ნაგებობების კონსტრუქციათა დეფექტები და დაზიანებები, რომლებმაც შესაძლებელია გამოიწვიოს მათი ავარიული დაზიანება და ნგრევა, არის შემდეგი:

ა) კონსტრუქციული ელემენტების განიკვეთის ზომებისა და სიგრძის, ასევე, მთლიანობაში გენერალური ზომების საპროექტო გეომეტრიული ზომებიდან გადახრა.

ბ) მზიდი კონსტრუქციების შეუღლების კვანძებში ელემენტების ცენტრირების დარღვევა, რაც დაკავშირებულია კვანძებში დამატებითი დატვირთვების გაჩენასთან.

გ) კონსტრუქციული ელემენტების გამრუდება, რასაც შეიძლება მოჰყვეს მისი მდგრადობის დაკარგვა;

დ) შედუღების ნაკერებში გაჩენილი დეფექტები. მაგალითად, ცივი და ცხელი ბზარები, შეუღლებელი ზონები, ჩანაჭრები (ე.წ. გადაწვა), წილის ჩანართები, შედუღების კათეტის ზომების გადახრა საანგარიშო მნიშვნელობიდან და სხვ.

ე) კონსტრუქციის გადახრა საპროექტო მდგომარეობიდან;

ვ) ცალკეული ელემენტის მუშაობიდან გამოთიშვა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საანგარიშო სქემის შეცვლა;

ზ) მზიდი ელემენტების სხვადასხვა ხარისხის რღვევა. კერძოდ: გაგლეჯა, შეერთების ადგილებში მორყევა და სხვ. ასევე, ბეტონის განშრეგება და მასში დაუშვებელი გრძივი და განივი ბზარების წარმოშობა;

თ) მეტალის დადლილობითა და დამველებით მიღებული ბზარები, ასევე ძაბვათა კონცენტრატორების გაჩენის გამო მსხვრევის გამომწვევი ბზარების განვითარება;

ი) საყრდენების ჯდენის ან მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების გამო კონსტრუქციათა დეფორმაცია და საანგარიშო სქემის ცვლილება.

პოტენციური საფრთხეები და მათი ანალიზი. ობიექტებზე მოსალოდნელი საფრთხეები შეიძლება დაიყოს სამ ძირითად ტიპად. ესენია:

ა) სტიქიური მოვლენებიდან (ბუნებრივი ხასიათის საგანგებო სიტუაციებიდან) გამომდინარე საფრთხეები;

ბ) ადამიანური ფაქტორით განპირობებული შეცდომებიდან და ტექნოლოგიური ავარიებიდან გამომდინარე საფრთხეები, რომლებიც დაკავშირებულია პერსონალის მიერ დაშვებულ შეცდომებთან, ტექნიკურ გაუმართაობებთან და საწარმოო პროცესის შეფერხებებთან (საინჟინრო-ტექნიკური კომპლექსის, მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების ცვეთა (მორალური და ფიზიკური), საპროექტო უზუსტობები და გადახრები, არასწორი ექსპლუატაცია);

გ) ტერორისტული აქტებიდან და სხვადასხვა დანაშაულებრივ ქმედებებიდან გამომდინარე საფრთხეები: ტერორიზმი, საზოგადოებრივი უსამართლო და სხვა დანაშაულებრივი (კრიმინალური) ქმედებები.

საფრთხეების შეფასების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ობიექტის ელექტრონულ ქსელში შესაძლო ე.წ. კიბერშეტევები გათვალისწინებას. ამ შემთხვევაში, საქმე ეხება საინფორმაციო ტექნოლოგიების უსაფრთხოების საკითხებს.

გათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ობიექტის კონკრეტულ წერტილში (უბანზე) დამაზიანებელი ფაქტორები შეიძლება გავრცელდეს მოსაზღვრე საწარმოო უბნებიდან და მეზობელი საწარმოო ტერიტორიებიდან ე.წ. "დომინოს პრინციპის" შესაბამისად. მაგალითად, ხანძრის შემთხვევაში შეიძლება ცეცხლი გავრცელდეს მეზობელ ნაგებობებზე ან ცალკეულ მოწყობილობებზე და მზიდ სამშენებლო კონსტრუქციებზე; აფეთქებებიც შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს გამოფრქვეული ნატეხების ან მზიდ სამშენებლო კონსტრუქციების ნგრევის შედეგად თავისუფლად ვარდნილი და გამოტყორცნილი ელემენტების (სხეულების) ზემოქმედება, როგორც ადამიანებზე, ასევე მოწყობილობებსა და ნაგებობის მზიდ ელემენტებზე. ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვანია ტოქსიკური, თერმული (მაღალი ტემპერატურის) და აფეთქების შედეგად წარმოქმნილი ჭარბი წნევის ზემოქმედება. ენერგეტიკულ და კომუნალურ ქსელებში ავარიამ შეიძლება ასევე გამოიწვიოს სხვადასხვა საწარმოო უბნებზე ლოკალური დატბორვა, დაზიანება ფეთქებადი და ტოქსიკური აირებით, ელექტრომაგნიტური ველების ზემოქმედება და სხვ. ზოგიერთი ტიპის ავარიამ გარკვეული დროის ინტერვალით შეიძლება გამოიწვიოს ერთმანეთიდან გამომდინარე ავარიები. მაგალითად, მომდევნო აფეთქება დროში დაყოვნებით ან მრავლობითი აფეთქებები ერთდროულად სხვადასხვა წერტილში. ყოველივე ეს გარკვეულ პირობებში შეიძლება დაკავშირებული იყოს ექსპონენციალური ეფექტის განვითარებასთან.

პოტენციური საფრთხეების შეფასება და ანალიზი გულისხმობს:

ა) უსაფრთხოების სფეროში ზოგადი ვითარების შეფასებას. ამ შემთხვევაში კვლევის საკითხებია:

- მომსახურე პერსონალის რიცხოვნობა და შემადგენლობა, მათი ფსიქოემოციური ტესტების ანალიზი;

- უსაფრთხოების სამსახურის ხარისხი და მზადყოფნის მდგომარეობა;

- საწარმოს საზოგადოებრივი სტატუსი, წარმოებული პროდუქციის ნომენკლატურა, საგანგებო სიტუაციებში მისი სტრატეგიული და მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა;

- მომარაგების სტაბილურობის ანალიზი;

- ლოკალური მენეჯმენტის სტაბილურობისა და საიმედოობის ანალიზი;

-საგანგებო სიტუაციებში ობიექტის ფუნქციონირების რეჟიმი, მწარმოებლურობა, გასაღების არხები და საზღვარგარეთელი პარტნიორები;

- დღემდე მომხდარი ავარიები, დანაშაულებრივი ქმედებები და სხვ.

ბ) ობიექტის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე საფრთხეების შეფასებას. ამ შემთხვევაში კვლევის საკითხებია:

- ფეთქებადი და ადვილად აალებადი ნივთიერებების არსებობის შემთხვევაში, ტერიტორიის ხედვა შიდა წერტილებიდან, ძირითადი საწარმოო უბნის დაშორება გარე პერიმეტრიდან და დამხმარე სასაწყობო ნაგებობებიდან;

- ენერგომომარაგების ადვილად დაზიანებადი შიდა და გარე წერტილები;

- შიდა და გარე კომუნიკაციები, გზები და ტექნოლოგიური სქემები, ობიექტის სხვა ობიექტებიდან დაშორება;

- გეოლოგიური, სეისმური, ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური საფრთხის ზონებთან მიმართებით მდებარეობის შეფასება და სხვ.

სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტების მოწყვლადობის შეფასება და რისკის შემცირების ღონისძიებები. სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტის მოწყვლადობის ანალიზი და შეფასება გულისხმობს:

ა) საინჟინრო-ტექნიკური კომპლექსის მედეგობის შესაფასებლად დიაგნოსტიკური კომპლექსის შექმნასა და განვითარებას;

ბ) საინჟინრო-ტექნიკური კომპლექსის მედეგობის შეფასებას და მიღებული შედეგების ანალიზს;

გ) საწარმოო პროცესების მართვისა და მომარაგების სტაბილურობის ანალიზს;

დ) საწარმოო პროცესების, ასევე, საწარმოო საშუალებებისა და ძალების დამაზიანებელი ფაქტორებისაგან დაცვის არსებული მდგომარეობის ანალიზს.

რისკის შემცირებისა და უსაფრთხოების ამალგების ძირითადი ღონისძიებებია:

ა) კვლევითი და საშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხარისხის ამალგება და მათზე მონიტორინგის გაძლიერება;

ბ) ხარისხის კონტროლისა და დიაგნოსტიკის სისტემის დანერგვა და განვითარება;

გ) ადრეული შეტყობინებისა და მონიტორინგის სისტემის შექმნა;

დ) უსაფრთხოების სფეროში ინვესტირება და რისკების შემცირების ხაზით გრძელვადიანი საფინანსო გეგმების შემუშავება;

ე) რისკების მართვის ხაზით უფლებამოსილი თანამშრომლის დანიშვნა, რომელიც შეიმუშავებს რისკების მენეჯმენტის კონცეფციას და უზრუნველყოფს მის ადაპტირებას ჩარჩო პირობების ცვლილებებთან, ასევე თანამშრომლებს უსაფრთხოების სფეროში საწარმოს პასუხისმგებელ

მუშაკებთან და საგანგებო სიტუაციების მართვის სპეციალურად
უფლებამოსილ ორგანოსთან;

ვ) შესაძლო საგანგებო სიტუაციების განვითარების სცენარებზე
დაყრდნობით საგანგებო მართვის გეგმების შემუშავება;

ზ) ბიზნესპროცესების უწყვეტობის უზრუნველყოფა და ისე
საორგანიზაციო-ტექნიკურ და საკადრო ღონისძიებათა კომპლექსი
განხორციელება, რომელიც საშუალებას იძლევა, საწარმომ შესაძლებლობი
ფარგლებში ფუნქციონირება განაგრძოს საგანგებო სიტუაციის განვითარები
შემდეგაც;

თ) გამოვლენილი მოწყვლადობის შემცირების ანდა აღმოფხვრის მიზნით
საჭირო საინჟინრო-ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებები
ორგანიზება;

ი) საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოებთან
ურთიერთთანამშრომლობის ორგანიზება;

კ) ხარისხის მართვის სისტემის ფარგლებში ობიექტის სტაბილური
ფუნქციონირების ხელშეწყობ ღონისძიებათა დაგეგმვის, მათ მიმდინარეობაზე
მონიტორინგისა და მიღწეული შედეგების ანალიზის უწყვეტობის
უზრუნველყოფა;

ლ) საგანგებო სიტუაციების მართვის, უსაფრთხოებისა და ობიექტის
მდგრადი ფუნქციონირების საკითხებზე პასუხისმგებელი პირებისა და
პერსონალის პერიოდული ტრენინგის ორგანიზება;

მ) უსაფრთხოების პასპორტების ანდა უსაფრთხოების დეკლარაციის
წარმოება;

ნ) მომსახურე პერსონალის ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით
უზრუნველყოფა;

ო) მომსახურე პერსონალის კოლექტიური დაცვის (დამცავი
ნაგებობებით/სათავსოებით) საშუალებებით უზრუნველყოფა.

თავი II. საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემა

1. საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის მართვის ორგანოები

საქართველოში, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საგანგებო სიტუაციების რისკის მართვის წარმოებისა და მის საფუძველზე რისკის შემცირების ღონისძიებების ადმინისტრაციულ-დარგობრივი მართვის ყველა დონეზე განხორციელების ვალდებულება განსაზღვრა 2014 წლის 29 მაისს მიღებულმა საქართველოს კანონმა „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“. კანონის მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო უსაფრთხოება არის დაცვითი და უსაფრთხოების ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მოიცავს: საგანგებო სიტუაციის პრევენციას და საგანგებო სიტუაციის შედეგების მიტიგაციას, მათზე მზადყოფნას და რეაგირებას, საგანგებო სიტუაციების დროს მოსახლეობის დაცვას, სახანძრო უსაფრთხოების ორგანიზებას, ხანძრის ჩაქრობას და საავარიო-სამშველო სამუშაოების ჩატარებას, ასევე სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტების უსაფრთხო და სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფას.

საქართველოს სამოქალაქო უსაფრთხოება ეფუძნება შემდეგ ზოგად პრინციპებს:

- საქართველოს მთელს ტერიტორიაზე სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მოსახლეობისა და ორგანიზაციების მონაწილეობით, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და დარგობრივი დაქვემდებარების შესაბამისად;

- სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსახლეობის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების დაცვის კონსტიტუციური უფლებების დაცვას;

- სამოქალაქო უსაფრთხოების ამოცანების გადაწყვეტა ხდება კომპლექსური მიდგომით;

- პრიორიტეტულია მოსახლეობის სიცოცხლის გადარჩენისა და მისი ჯანმრთელობის შენარჩუნებისაკენ მიმართული ამოცანები;

- საგანგებო სიტუაციების რისკის შემცირების ღონისძიებები იგეგმება ეკონომიკურად დასაბუთებულობის მაქსიმალური შესაძლებლობის უზრუნველყოფით;

- საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის დროს დაცული უნდა იყოს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების მართვის ცენტრალიზება, ერთმმართველობა, დისციპლინური წესდების დაცვის აუცილებლობა, ხელმძღვანელი თანამდებობის პირების

მითითებებისა და განკარგულებების ხელკვეითების მიერ უცილობელ შესრულება;

- საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების მუდმივად მზადყოფნის უზრუნველყოფა საავარიო-სამაშველო სამუშაოებში, ხანძრის ჩაქრობაში, საგანგებო სიტუაციის ზონებში აღდგენით და ადამიანთა ძებნა-გადარჩენის სამუშაოებში მონაწილეობისა და დაზარალებულთათვის პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის;

- დანაყოფების პირადი შემადგენლობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის დაშვებულია რეაგირების ძალების დანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დროს გონივრული რისკის გაწევა;

- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში იმ ინფორმაციის საჯაროობა, გამჭვირვალობა, თავისუფალი ხელმისაწვდომობა და გაერცვლება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული არ არის;

- მოსახლეობის ნებაყოფლობით ჩართვა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებებში;

- საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დროს დაშვებულებისადმი ჰუმანური მოპყრობა, მათი ღირსებისა და რელიგიური მრწამსის პატივისცემა.

საგანგებო სიტუაციის მართვა არის სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფოს მიერ კოორდინირებული მართვის უწყვეტი პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ციკლური განვითარებით შემდეგი ძირითადი ფაზების შესრულებისა: - საგანგებო სიტუაციის პრევენცია (ან, ხშირ შემთხვევაში - პრევენცია), საგანგებო სიტუაციისათვის მზადყოფნა, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირება და აღდგენითი საბუნებოების ორგანიზება.


საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესი სტრატეგიულ წარმოდგენილია 1-ელ ნახაზზე.

საგანგებო სიტუაციის მართვის უზრუნველყოფის მიზნით, ქვეყანაში შექმნილია და ფუნქციონირებს საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემა, რომლის ბუნების სტრუქტურა მოცემულია მე-2 ნახაზზე.

საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემა (შემდეგ ერთიანი სისტემა) არის საქართველოს ადმინისტრაციული ხელისუფლების მმართველობის სფეროში შენაგალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ავტონომიური რესპუბლიკების, სამხარეო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომუშავე ორგანიზაციების ერთობლიობა, რომელთა მიზანია საგანგებო სიტუაციის პრევენცია და მისთვის მზადყოფნა, საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში მასზე რეაგირება და აღდგენითი საბუნებოების ჩატარება, მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ეკონომიკის ობიექტებისა და გარემოს დაცვა და მატერიალური ზიანის შეზღვევა, საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო

სიტუაციისაგან მოსახლეობის დაცვა, სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტების უსაფრთხო და სტაბილური მუშაობის უზრუნველყოფა.

ერთიანი სისტემა, რომელიც ძირითადად ახორციელებს საგანგებო სიტუაციების რისკის მართვას, მატერიალური რესურსების შექმნასა და, ამავე დროს, რეაგირების ძალების საქმიანობის ორგანიზებას პოლიტიკურ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზე, საგანგებო სიტუაციების საფრთხის არსებობიდან ან/და მათი წარმოქმნის ფაქტიდან გამომდინარე, შეიძლება ფუნქციონირებდეს: ა) ყოველდღიურ რეჟიმში, როცა საგანგებო სიტუაციის საფრთხე არ არსებობს; ბ) გამლიერებული მზადყოფნის რეჟიმში, როცა არსებობს



ნახ.1

საგანგებო სიტუაციის წარმოქმნისა და განვითარების საფრთხე და გ) საგანგებო რეჟიმში, როდესაც შეიქმნა საგანგებო სიტუაცია ანდა გამოცხადდა საგანგებო ან საომარი მდგომარეობა.

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის დონეების მიხედვით აღნიშნული რეჟიმების გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი საგანგებო სიტუაციის მართვის ოპერატიული ცენტრი.

ყოველდღიური საქმიანობის რეჟიმში ფუნქციონირებისას ერთიანი სისტემის ამოცანებია:

- საგანგებო სიტუაციების გამომწვევი მოვლენების მონიტორინგი, მისი შედეგების ანალიზი და საგანგებო სიტუაციის პროგნოზირება;

- საგანგებო სიტუაციებისგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში შესაბამისი ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და გაცვლა, აგრეთვე მიზნობრივი, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამებისა და ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;

- ერთიანი სისტემის სუბიექტების საგანგებო მართვის გეგმებისა და საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმების მომზადება და სრულყოფა;

- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ზედამხედველობის განხორციელება;

- საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზება;

- საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით აუცილებელი მატერიალური რესურსების რეზერვების შექმნის, განთავსებისა და შენახვის ორგანიზება;

- უფლებამოსილების ფარგლებში დაზღვევის აუცილებელი სახეობების განხორციელება;

- საგანგებო სიტუაციების შესახებ სტატისტიკური ანგარიშების შედგენა, ავარიებისა და კატასტროფების მიზეზების კვლევა და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრისათვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება;

- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების უზრუნველყოფა, მისი ინფორმირება, ტრენინგებისა და სწავლებების ორგანიზება;

- მოსახლეობის, მატერიალური და კულტურული ფასეულობების უსაფრთხო ტერიტორიაზე ევაკუაციის მიზნით მათი მომზადებისა და საგანგებო სიტუაციებში მოსახლეობის სასიცოცხლო უზრუნველყოფის ღონისძიებების დაგეგმვის ორგანიზება;

- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ნორმატიული ბაზის, მათ შორის ტექნიკური რეგლამენტებისა და ინსტრუქციების დახვეწა.

გადლირებული მზადყოფნის რეჟიმში ფუნქციონირებისას, ერთიანი სისტემის ამოცანებია:

- საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის საფრთხისას კონტროლის გაძლიერება, საგანგებო სიტუაციებისა და მათი შედეგების განვითარების პროგნოზირება;

- აუცილებლობის შემთხვევაში, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის ორგანოების სტაციონარულ პუნქტებში ერთიანი სისტემის სუბიექტების პასუხისმგებელ პირთა სადღეღამისო მორიგეობის შემოღება;

- პროგნოზირებადი საგანგებო სიტუაციების შესახებ მონაცემების უწყვეტი შეგროვება, დამუშავება და ერთიანი სისტემის სუბიექტების მართვის ორგანოებისათვის მიწოდება, აგრეთვე, მოსახლეობის ინფორმირება საგანგებო სიტუაციაში დაცვის ხერხებისა და უსაფრთხო ქმედებების შესახებ;

- საგანგებო სიტუაციების წარმოქმნისა და განვითარების თავიდან აცილების მიზნით, საგანგებო სიტუაციის შედეგების შემცირებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიას მიკუთვნებული ობიექტების სტაბილური და უსაფრთხო ფუნქციონირების მიზნით შესაბამისი ოპერატიული ზომების მიღება;

- საგანგებო მართვის, სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის გეგმებისა და სხვა დოკუმენტების დაზუსტება;

- აუცილებლობის შემთხვევაში, ერთიანი სისტემის რეაგირების ძალებისა (შემდგომში - რეაგირების ძალები) და საშუალებების მზადყოფნაში მოყვანა, ოპერატიული ჯგუფების ფორმირება და სავარაუდო სამოქმედო ტერიტორიებზე მათი გადაყვანის ორგანიზება;

- აუცილებლობის შემთხვევაში, საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით შექმნილი მატერიალური რესურსების მარაგის შევსება;

- აუცილებლობის შემთხვევაში, მოსახლეობის, მატერიალური და კულტურული ფასეულობების უსაფრთხო ტერიტორიებზე ევაკუაციის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

საგანგებო რეჟიმში ფუნქციონირებისას ერთიანი სისტემის ამოცანებია:

- აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების, მუნიციპალიტეტების ორგანოებისა და შესაბამისი ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირების, აგრეთვე, მოსახლეობის შეტყობინება საგანგებო სიტუაციების შესახებ;

- საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის ღონისძიებების გატარება;

- საგანგებო სიტუაციებისას რეაგირების ძალების საქმიანობის ორგანიზება, აუცილებლობისას - საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოსახლეობის ჩართვა საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოებში;

- საგანგებო სიტუაციის ზონაში არსებული საგანგებო ვითარებისა და რეაგირების ღონისძიებების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი შეგროვება, ანალიზი და გაცვლა;

- საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების, საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ორგანოებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების, აგრეთვე ორგანიზაციების ურთიერთქმედების კოორდინაცია;

- საგანგებო სიტუაციისას მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ღონისძიებების გატარება და აღდგენითი სამუშაოების ორგანიზება;


- მოსახლეობის, მატერიალური და კულტურული ფასეულობების უსაფრთხო ტერიტორიაზე ევაკუაცია, მოსახლეობის დროებითი განთავსების ან/და საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების, აგრეთვე მატერიალური და კულტურული ფასეულობების დაბრუნების ორგანიზება;

- საგანგებო სიტუაციების შესახებ სტატისტიკური ანგარიშების წარმოება, ავარიებისა და კატასტროფების მიზეზების აღმოფხვრის ღონისძიებების შემუშავება;

- საგანგებო სიტუაციების სოციალურ-ეკონომიკური შედეგების შეფასება და აღმოფხვრის ორგანიზება;

- საგანგებო ვითარების უწყვეტი კონტროლი, საგანგებო სიტუაციების განვითარების შედეგად წარმოქმნილი დამაზიანებელი ფაქტორებისა და მათგან გამომწვეული შედეგების პროგნოზირება.

ზემოჩამოთვლილი ფუნქციების კოორდინაციისა და ეფექტურად განხორციელების მიზნით ერთიანი სისტემის მართვის ყველა დონეზე იქმნება სპეციალურად უფლებამოსილი ორგანო, მისი შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფები, საგანგებო სიტუაციების რისკის შემცირების საკითხებზე სათათბირო ორგანოები, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის ორგანოები, რეაგირების ძალები, ფინანსური და მატერიალური რესურსები რეზერვები, საკომუნიკაციო, ადრეული გაფრთხილებისა და სხვა ინფორმაციის გაცვლის სისტემები.



ნახ. 2

საქართველოში საგანგებო სიტუაციების მართვის თაობაზე 2014 წლის 29 მაისს მიღებული საქართველოს კანონის „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ მიხედვით, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო, რომლის განსაკუთრებული უფლებამოსილებაცაა ერთიანი სისტემის სუბიექტების საქმიანობის კოორდინირება. ის უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციის პრევენციის, ერთიანი სისტემის მზადყოფნის, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისა და საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ორგანიზებას, ორგანიზებას უწევს სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის შემუშავებას, მის განხორციელებაზე ზედამხედველობას, მონაწილეობს საგანგებო და რისკის მართვის გეგმების მომზადებაში, ახორციელებს ზედამხედველობას მათ შესრულებაზე, ასევე, პოტენციური საფრთხეებისა და საგანგებო სიტუაციების რისკის ანალიზის მეთოდური რეკომენდაციების შემუშავებასა და ყველა კატეგორიის მოსახლეობის სამოქალაქო უსაფრთხოების ხაზით მომზადების მიზნით სასწავლო პროგრამების შემუშავების ორგანიზებას.

შესაბამის დონეზე ერთიანი სისტემის სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს ტერიტორიული დანაყოფებია:

ეროვნულ დონეზე – სპეციალურად უფლებამოსილი ორგანო იმ სტრუქტურული დანაყოფის ბაზაზე, რომლის კომპეტენციაა საგანგებო სიტუაციებისას მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის ორგანიზება;

ავტონომიურ დონეზე – სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიული დანაყოფი;

სამხარეო დონეზე – სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს ტერიტორიული დანაყოფი, რომელიც იქმნება იმ ქალაქში, სადაც განთავსებულია სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია;

ადგილობრივ დონეზე – სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს ტერიტორიული დანაყოფი, რომელიც იქმნება შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

საგანგებო სიტუაციების რისკის შემცირების საკითხებზე ერთიანი სისტემის სათათბირო ორგანოებია:

- ეროვნულ დონეზე - პოლიტიკური (სტრატეგიული) გადაწყვეტილებისათვის რეკომენდაციების შემუშავებელი - სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო, ხოლო საგანგებო სიტუაციების რისკის შემცირების სტრატეგიის ფარგლებში, სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოსთან იქმნება და მუშაობს ეროვნული საზოგადოებრივი სათათბირო ორგანო - საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭო, რომელიც განიხილავს საგანგებო სიტუაციების რისკის შემცირების საკითხებს და შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს;

- ავტონომიურ დონეზე - ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საგანგებო სიტუაციების რისკის მართვის საბჭო (შემდგომში - რისკის მართვის საბჭო).

- მუნიციპალიტეტებში - მუნიციპალიტეტის ორგანოს საგანგებო სიტუაციების რისკის მართვის საბჭო (შემდგომში - რისკის მართვის საბჭო).

რისკის მართვის საბჭოს შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, მისი კომპეტენციის განსაზღვრა, ხელმძღვანელისა და შემადგენლობის დამტკიცება ხორციელდება შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის მიერ.

რისკის მართვის საბჭოს ამოცანებია:

- წინადადებების შემუშავება საგანგებო სიტუაციის პრევენციის, მასზე მზადყოფნის, შედეგების ლიკვიდაციის, აღდგენითი სამუშაოებისა და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მიზნით;

- სამსახურების შეთანხმებული საქმიანობის უზრუნველყოფა საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მათზე მზადყოფნის, შედეგების ლიკვიდაციის, აღდგენითი სამუშაოებისა და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში ამოცანების გადაჭრის დროს;

- საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მათზე მზადყოფნის, შედეგების ლიკვიდაციის, აღდგენითი სამუშაოების და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში ღონისძიებების ორგანიზებისა და ჩატარებისთვის რეაგირების ძალებისა და საშუალებების მოზიდვის საკითხების განხილვა;

- საგანგებო სიტუაციების რისკის შეფასების ორგანიზება, შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და მუნიციპალიტეტების ორგანოთა მზადყოფნის უზრუნველყოფისა და მიზნობრივი პროგრამების მომზადებისა და რეალიზების შესახებ წინადადებათა მომზადება;

- საგანგებო სიტუაციებისათვის მატერიალურ-ტექნიკური რეზერვების შექმნის, რაციონალურად განთავსებისა და გამოყენების შესახებ წინადადებათა მომზადება;

- საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში სწავლებების დაგეგმვა და ჩატარების ხელშეწყობა.

საბჭო ორგანიზებას უკეთებს საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული პრობლემების კომპლექსურ შესწავლას, შესაძლო ზარალის შემცირების მიზნით ორგანიზაციულ, სამეურნეო-ეკონომიკური და ტექნიკური ღონისძიებების გასატარებლად წინადადებების შემუშავებას, განიხილავს სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭოს მიერ მომზადებულ დოკუმენტებსა და რეკომენდაციებს. ასევე შეიმუშავებს და ამავე საბჭოს განსახილველად წარუდგენს შესაძლო საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს.

საბჭო უფლებამოსილია, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოებისაგან საბჭოში განსახილველ საკითხებზე მუშაობისათვის გამოითხოვოს საჭირო მასალები. ის ასევე შეიმუშავებს წინადადებებს ჰუმანიტარული დახმარების მოთხოვნის თაობაზე.

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის ორგანოება:

ეროვნულ დონეზე;

საქართველოს პრემიერ-მინისტრი;

საგანგებო სიტუაციების მართვის უწყებათშორისი ოპერატიული ცენტრი;

აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების საგანგებო შტაბები. მათი, როგორც ერთიანი სისტემის სუბიექტების მართვის ორგანოების უფლებამოსილებაა მართვის დონისა და დარგობრივი დაქვემდებარების მიხედვით სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ერთიანი სისტემის შესაბამისი სუბიექტების საქმიანობის ორგანიზება. საგანგებო შტაბს ხელმძღვანელობს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულების ხელმძღვანელი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულების ხელმძღვანელი, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, იმავდროულად არის სამოქალაქო უსაფრთხოების დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი.

ავტონომიური რესპუბლიკის დონეზე - საგანგებო სიტუაციების მართვის ავტონომიური რესპუბლიკის ოპერატიული ცენტრი;

სამხარეო დონეზე - საგანგებო სიტუაციების მართვის სამხარეო ოპერატიული ცენტრი;

ადგილობრივი დონეზე - საგანგებო სიტუაციების მართვის ადგილობრივი ოპერატიული ცენტრი;

საობიექტო დონეზე - ობიექტის საგანგებო შტაბი. მისი ხელმძღვანელი, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, იმავდროულად არის სამოქალაქო უსაფრთხოების დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი.

უწყებათშორისი ოპერატიული ცენტრი იქმნება სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს მიერ, ერთიანი სისტემის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების უფლებამოსილი პირებისაგან. ის ოპერატიულ დონეზე ორგანიზებასა და კოორდინაციას უწევს მოსალოდნელ ან ფაქტობრივ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას. მის საქმიანობას ხელმძღვანელობს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

საგანგებო სიტუაციების მართვის უწყებათშორისი ოპერატიული ცენტრის ამოცანებია:

ა) მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შექმნილი ვითარების ანალიზი;

ბ) გასატარებელი ღონისძიებების შესახებ სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოსთვის წინადადებების მომზადება;

გ) საგანგებო სიტუაციების ზონაში მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის უზრუნველყოფა, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების კოორდინირება;

დ) მართვის პუნქტების მზადყოფნის, შეტყობინებისა და კავშირგაბმულობის უზრუნველყოფის, მატერიალური რეზერვებისა და ჰუმანიტარული დახმარების აღრიცხვისა და მიღება-განაწილების კოორდინირება.

ოპერატიული ცენტრები იქმნება გარკვეული ვადით, მოსალოდნელი ან ფაქტობრივი საგანგებო სიტუაციიდან გამომდინარე, ვითარების ხასიათისა და მასშტაბის გათვალისწინებით. ოპერატიული ცენტრის შექმნამდე მოსალოდნელ ან ფაქტობრივ საგანგებო სიტუაციაზე პირველად რეაგირებას ახდენს სპეციალურად უფლებამოსილი ორგანო ან ერთიანი სისტემის შესაბამისი რეაგირების ძალები.

საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მიზნით ოპერატიული ცენტრები უფლებამოსილი არიან საგანგებო სიტუაციის ზონაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე, ვითარების გათვალისწინებით, შექმნან სავსე ოპერაციების ცენტრი, რომელიც ადგილზე ახორციელებს საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას და ტაქტიკურ დონეზე რეაგირების ძალების მართვას. სავსე ოპერაციების ცენტრის შექმნასა და ფუნქციონირებას უზრუნველყოფს სპეციალურად უფლებამოსილი ორგანო. ამავე დროს, ავტონომიური რესპუბლიკის, სამხარეო და ადგილობრივი ოპერატიული ცენტრების ხელმძღვანელთა მოადგილეები არიან სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელები ან მათ მიერ უფლებამოსილი პირები. სავსე ოპერაციების ცენტრს ხელმძღვანელობს შესაბამისი ოპერატიული ცენტრის მიერ დანიშნული უფლებამოსილი პირი, ხოლო შესაბამისი ოპერატიული ცენტრის შექმნამდე – სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს მიერ დანიშნული პირი.

საგანგებო სიტუაციის ზონაში საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას უშუალოდ ხელმძღვანელობს საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვის დონის შესაბამისი ოპერატიული ცენტრის ხელმძღვანელის მიერ დანიშნული პირი ან ერთიანი სისტემის რეაგირების ძალების უფლებამოსილი თანამდებობის პირი, რომელიც პირველი მივიდა ინციდენტის ადგილზე. თუ შექმნილია სავსე ოპერაციების ცენტრი, რეაგირების ძალები, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა, საგანგებო სიტუაციის ზონაში მისვლისთანავე გადადიან სავსე ოპერაციების ცენტრის ხელმძღვანელის დაქვემდებარებაში.

ავტონომიური რესპუბლიკის დონეზე საგანგებო სიტუაციების მართვის ოპერატიულ ცენტრს ხელმძღვანელობს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელი, სამხარეო დონეზე სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი, ადგილობრივ დონეზე – მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი ან მათ მიერ უფლებამოსილი პირები.

საგანგებო სიტუაციების მართვის ოპერატიული ცენტრები
შემადგენლობაში შედიან:

ა) ავტონომიური რესპუბლიკის დონეზე – ავტონომიური რესპუბლიკის
შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების
მუნიციპალიტეტების ორგანოების, ორგანიზაციების რეაგირების ძალები
უფლებამოსილი პირები და სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს
შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფის უფროსი.

ბ) სამხარეო დონეზე – სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის
აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებების
ტერიტორიული ორგანოების, მუნიციპალიტეტების ორგანოების
ორგანიზაციების რეაგირების ძალების უფლებამოსილი პირები და
სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს შესაბამისი ტერიტორიული
დანაყოფის უფროსი.

გ) ადგილობრივ დონეზე – მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები, აღმასრულებელი
ხელისუფლების (მუნიციპალური) ტერიტორიული ორგანოების,
ორგანიზაციების რეაგირების ძალების უფლებამოსილი პირები და
სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს შესაბამისი ტერიტორიული
დანაყოფის უფროსი.

სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს შესაბამისი ტერიტორიული
ორგანოების ხელმძღვანელები ან მათ მიერ უფლებამოსილი პირები, რომლებიც
ამავე დროს არიან ოპერატიული ცენტრის უფროსის მოადგილეები, უშუალოდ
ხელმძღვანელობენ რეაგირების ძალებს, ორგანიზებას უწყევენ ოპერატიული
ცენტრის ამოქმედებას, მუდმივ მზადყოფნასა და მართვის უწყვეტობას, ასევე,
ოპერატიულ ცენტრზე დაკისრებული ამოცანებისა და გაცემული
განკარგულებების შესრულებას.

უწყებათშორისი ოპერატიული ცენტრი და საგანგებო სიტუაციების
მართვის ოპერატიული ცენტრები შედგება ოთხი სექტორისაგან:

ა) ოპერაციების სექტორი - უზრუნველყოფს რეაგირების ძალების
მოზილიზება/მოზიდვასა და მათი შესაძლებლობების, საგანგებო სიტუაციის
ხასიათის, ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობების გათვალისწინებით
საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ოპერაციებსა და აღდგენით სამუშაოებში
ჩართვას.

ბ) ინფორმაციის ანალიზისა და დაგეგმვის სექტორი - უზრუნველყოფს
შემოსული ინფორმაციის ანალიზს, განსაზღვრავს საგანგებო სიტუაციის
მასშტაბსა და ხასიათს, არსებული რესურსების გათვალისწინებით გეგმავს
საგანგებო სიტუაციით გამოწვეული შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებს;

გ) ლოჯისტიკის სექტორი - სამაშველო ოპერაციებში მონაწილეებსა და
დაზარალებულ მოსახლეობას უზრუნველყოფს დროებითი საცხოვრებელი
პირველადი მოხმარების საგნებით, საკვებითა და მედიკამენტებით;

დ) საფინანსო სექტორი - უზრუნველყოფს ფინანსური რესურსების მოზიდვასა და დაზარალებული მოსახლეობის დახმარებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

უწყებათშორისი ოპერატიული ცენტრი და საგანგებო სიტუაციების მართვის შესაბამისი ოპერატიული ცენტრები სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამდენად, მათი გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა მის სამოქმედო ტერიტორიაზე მყოფი მოსახლეობისათვის, აგრეთვე, იქ განთავსებული ყველა საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულებებისათვის, მიუხედავად მათი სამართლებრივი სტატუსისა და ფორმისა.

ოპერატიული ცენტრი გადაწყვეტილების მიღების მიზნით მართავს სხდომებს. სხდომას იწვევს შესაბამისი ოპერატიული ცენტრის ხელმძღვანელი. ოპერატიული ცენტრი გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით, ხოლო ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია ოპერატიული ცენტრის ხელმძღვანელის ხმა. შესაბამისი ოპერატიული ცენტრის გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი.

გადაუდებელ შემთხვევებში, როდესაც ვერ ხერხდება ოპერატიული ცენტრის წევრთა დროული შეკრება და სხდომის ჩატარება, გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია სატელეფონო კავშირით ან სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით. გადაუდებელი შემთხვევის გამომწვევი მიზეზის აღმოფხვრისას, მაგრამ აღმოფხვრიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, შესაბამისი ოპერატიული ცენტრი ვალდებულია წერილობით, ოქმის სახით გააფორმოს ზეპირად მიღებული გადაწყვეტილება.

საგანგებო სიტუაციების მართვის ოპერატიული ცენტრების ამოცანებია:

ა) ინფორმაციის შეგროვებისა და გაცვლის ორგანიზება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში, შექმნილი ვითარების ანალიზი მიღებული ინფორმაციის საფუძველზე;

ბ) მართვის პუნქტების მზადყოფნის, შეტყობინებისა და კავშირგაბმულობის უზრუნველყოფის, მატერიალური რეზერვებისა და ჰუმანიტარული დახმარების მიღება-განაწილების ორგანიზება;

გ) მოსახლეობის შეტყობინებისა და დაცვის ორგანიზება;

დ) საგანგებო სიტუაციების ზონის საზღვრების დადგენა, შექმნილი საგანგებო ვითარების მონიტორინგი და პროგნოზირება;

ე) ურთიერთმოქმედება სხვა ოპერატიულ ცენტრებთან, სამხედრო ნაწილებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის საკითხებში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით გადაწყვეტილების მიღება სხვა მეზობელი მუნიციპალიტეტებისათვის დახმარების აღმოჩენის თაობაზე საკუთარი ძალებითა და საშუალებებით;

ვ) საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციისა და აღდგენითი სამუშაოების ხელმძღვანელობა და ამ სამუშაოებში შრომისუნარიანი ადგილობრივი მოსახლეობის ჩაბმის ორგანიზება;

ზ) ევაკუირებულთა საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის შემდეგ მათი მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების ორგანიზება;

თ) საჭიროების შემთხვევაში, საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოების მასშტაბებიდან გამომდინარე, სამაშველო ძალებისა და ტექნიკის დამატებით მოზიდვის მიზნით განაცხადის მომზადება და წარდგენა ზემდგომ ინსტანციებში;

ი) დასახმარებლად მოსული სამაშველო ძალებისა და საშუალებების რაციონალური განაწილება და მათი საქმიანობის კოორდინირება.

საგანგებო სიტუაციების მართვის ოთხივე ფაზაში (პრევენცია, მზადყოფნა, რეაგირება და აღდგენა) საგანგებო დახმარების ფუნქციების ამოქმედებისა და მათი მართვის მიზნით სამინისტროებსა/უწყებებსა და ორგანიზაციებში ხელმძღვანელის ბრძანებით იქმნება საგანგებო შტაბები. შტაბს შესაბამისად ხელმძღვანელობს სამინისტროს/უწყების ან ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე. შტაბის დაკომპლექტება ხორციელდება საგანგებო გეგმებში განსაზღვრული ამოცანების, საგანგებო დახმარების ფუნქციებისა და სამინისტროების/უწყებების ან ორგანიზაციების სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობების გათვალისწინებით.

საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილედ ინიშნება საგანგებო სიტუაციების მართვის დანაყოფის უფროსი ან საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად სპეციალურად უფლებამოსილი პირი, რომელიც საგანგებო მართვის გეგმების შესაბამისად კოორდინაციას უწევს ძალებსა და საშუალებებს, მუდმივად უკავშირდება სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს ოპერატიულ მორიგეს და არსებული სიტუაციის შესახებ აშხადებს წერილობით მოხსენებებს.

საგანგებო შტაბის ძირითადი ამოცანებია:

ა) შეტყობინების სქემის მიხედვით საგანგებო შტაბის შეკრება და სხდომების ორგანიზება;

ბ) საევაკუაციო ღონისძიებების ორგანიზება;

გ) საგანგებო სიტუაციათა შედეგების სალიკვიდაციო და აღდგენითი სამუშაოებში რეაგირების ძალების ჩართვის ორგანიზება;

დ) საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში ინფორმაციის შეგროვება და მისი გაცვლის ორგანიზება;

ე) ცენტრალური აპარატის თანამშრომელთა, მატერიალურ ფასეულობათა, დოკუმენტების, უნიკალური მოწყობილობების, აპარატურისა და სხვათა ევაკუაციისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება;

ვ) საინფორმაციო ბაზის შექმნა და მისი მუდმივად განახლება შემდეგი საკითხების მიხედვით:

- ცენტრალური აპარატის თანამშრომელთა რაოდენობა;
- ევაკუაციისათვის საჭირო ავტოტრანსპორტის რაოდენობა;
- მატერიალური ფასეულობა, დოკუმენტები, ტექნიკა-მოწყობილობები, აპარატურა;

- ქალაქგარეთ მდებარე მართვის პუნქტების, თავშესაფრების, საფრების ადგილმდებარეობა და არსებული მდგომარეობა;

- პირველი საჭიროების საგნებისა და კვების პროდუქტების საჭირო რაოდენობა;

-ინდივიდუალური დაცვის საშუალებების არსებულ რაოდენობა, მათ ვარგისიანობა;

ზ)ადმინისტრაციულ შენობაში (ცალ-ცალკე ყოველი სართულისათვის) და შენობის გარეთ თანამშრომელთა ევაკუაციის გეგმის შემუშავება;

თ) სამოქალაქო უსაფრთხოების სწავლებებისა და ვარჯიშების ორგანიზება;

ი)მოსალოდნელი საგანგებო ვითარებების პროგნოზირება, მოსახლეობის უსაფრთხოებისა და დაცვის უზრუნველყოფა, შესაძლო დანაკარგებისა და ზარალის შემცირება, ასევე საგანგებო სიტუაციებში სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიას მიკუთვნებული ობიექტების ფუნქციონირების მდგრადობის ამაღლება, მიზნობრივი და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების მომზადებისა და განხორციელების ორგანიზება;

კ) საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და მასზე მზადყოფნის ღონისძიებების შემუშავება და ორგანიზება;

ლ)კომპეტენციის ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში შიდაუწყებრივი ნორმატიული აქტების შემუშავება;

მ) ფინანსური და მატერიალური რესურსების რეზერვების შექმნის ორგანიზება;

ნ) სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მუდმივი კონტროლი და განსაზღვრული პერიოდულობით უწყებათშორისი ოპერატიული ცენტრისთვის განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

საველე ოპერაციების ცენტრი არის უშუალოდ საგანგებო სიტუაციის ზონაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე შესაბამისი ოპერატიული ცენტრის მიერ შექმნილი ტაქტიკურ დონეზე მოქმედი რეაგირების მართვის ცენტრი. საველე ოპერაციების ცენტრის შემადგენლობაში შედის:

ა) კავშირის უზრუნველყოფის ჯგუფი, რომელიც საველე კომუნიკაციის საშუალებებით უზრუნველყოფს შესაბამის უწყებებსა და საგანგებო სიტუაციის ზონაში მუშაშედეგ სამაშველო-ოპერატიულ ჯგუფებს;

ბ) სამაშველო (სამედიცინო) ოპერაციების ჯგუფი ახორციელებს საძიებო-სამაშველო ოპერაციების, ტრიაჟის, მედიკამენტებით უზრუნველყოფის

ღონისძიებებსა (საველე ჰოსპიტალის მოწყობის ჩათვლით) და ევაკუაციის ორგანიზებას;

გ) ინფორმაციის დამუშავებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფი - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციის შესახებ პირველად ინფორმაციის გადამუშავებას და შესაბამისი უწყებებისა და მოსახლეობისათვის მიწოდებას;

დ) ლოჯისტიკის ჯგუფი განსაზღვრავს აუცილებელ რესურსებს (წყალი სურსათი, საწვავი, ტექნიკური და სხვა სახის აუცილებელი საშუალებები) უზრუნველყოფს ამ რესურსების განაწილებასა და აღრიცხვას.

საველე ოპერაციების ცენტრი იქმნება საგანგებო სიტუაციის ზონაში ამის მიმდებარე ტერიტორიაზე, საგანგებო სიტუაციის დაზვერვის ჯგუფის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზისა და შესაბამისი ოპერატიული ცენტრის გადაწყვეტილების საფუძველზე.

საველე ოპერაციების ცენტრი, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების დაგეგმვის მიზნით, სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს შესაბამისი თანამშრომლებისაგან ქმნის საგანგებო სიტუაციის დაზვერვის ჯგუფს.

საველე ოპერაციების ცენტრის განთავსების ადგილს განსაზღვრავს შესაბამისი ოპერატიული ცენტრის ხელმძღვანელი, ისე, რომ აკმაყოფილებდეს უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და განსათავსებელი კარგებისა და მოწყობილობების სტანდარტულ მოთხოვნებს.

საველე ოპერაციების ცენტრს ხელმძღვანელობს/ხელმძღვანელობენ შესაბამისი ოპერატიული ცენტრის მიერ დანიშნული უფლებამოსილი პირი/პირები, ხოლო შესაბამისი ოპერატიული ცენტრის შექმნამდე - სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს ნიერ დანიშნული პირი/პირები.

საველე ოპერაციების ცენტრის შემადგენლობა, როგორც წესი, კომპლექტდება სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს მოსამსახურეებისაგან, მათი ფუნქციების გათვალისწინებით, ასევე, მუნიციპალიტეტების ორგანოთა სათანადო კომპეტენციისა და უფლებამოსილების მქონე ხელმძღვანელი პირებისა და იმ უწყებათა უფლებამოსილი პირებისაგან, რომლებიც ჩართულნი არიან საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესში სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის საგანგებო დახმარების ფუნქციათა ამოქმედების შესაბამისად.

საველე ოპერაციების ცენტრის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს სპეციალურად უფლებამოსილი ორგანო.

საველე ოპერაციების ცენტრის ფუნქციებია:
ა) საგანგებო სიტუაციების ზონაში საველე ოპერაციების ცენტრის მოწყობა, მის შემადგენლობაში გათვალისწინებული ჯგუფების დაკომპლექტება და მათი 24 - საათიან რეჟიმში მუშაობის უზრუნველყოფა;

ბ) საგანგებო სიტუაციების მართვის უწყებრივი ან/და მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმის შესაბამისად, საგანგებო სიტუაციებით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციაში მონაწილე უწყებათა და

ორგანიზაციების რეაგირების ძალების მობილიზებისა და ზემოაღნიშნული გეგმების ამოქმედების ორგანიზება;

გ) სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს სახანძრო-სამაშველო და სამაშველო დანაყოფების, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების საგანგებო სიტუაციის ზონაში შეყვანის, ერთობლივი მოქმედების ყოველმხრივი უზრუნველყოფა;

დ) საგანგებო სიტუაციის ზონაში არსებული მდგომარეობის შესახებ მონაცემების შეგროვება, ანალიზი და დამუშავებული ინფორმაციის წარდგენა იმ ოპერატიული ცენტრისათვის, რომლის გადაწყვეტილებითაც შეიქმნა შესაბამისი სავლე ოპერაციების ცენტრი;

ე) საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების ორგანიზება;

ვ) საგანგებო სიტუაციების ზონასა და მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის საგანგებო სიტუაციების შემდგომი შესაძლო ესკალაციის შესახებ დროულად შეტყობინება და ინფორმირება;

ზ) დადგენილი წესით დამატებით მოზიდული სამაშველო რაზმებისა და ჯგუფების საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და აღდგენით სამუშაოებში ჩართვა და მათი მოქმედებების კოორდინაცია;

თ) დაზარალებული მოსახლეობის დაცვისა და სიცოცხლის უზრუნველყოფის (სამედიცინო დახმარების საშუალებებით, დროებითი საცხოვრებლით, სურსათით, წყლით, პირველადი მოთხოვნილების საგნებით უარუნველყოფა) მიზნით მოთხოვნის განსაზღვრა, მოთხოვნის განხორციელება და მიღებული დახმარების განაწილების ორგანიზება დადგენილი წესით;

ი) სამაშველო ძალებისათვის კვებისა და დასვენების პირობების ორგანიზება, მათი მატერიალურ-ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა;

კ) სამაშველო ძალების კ/შემადგენლობის საგანგებო სიტუაციებში მოქმედების უსაფრთხოების წესების დაცვის გაკონტროლება, ფორმირებათა საქმიანობის შემოწმების წესისა და დროის განსაზღვრა;

ლ) დაცვის საშუალებების, სპეციალური აღჭურვილობისა და სხვა ქონების მიღების ადგილის, ვადების, წესისა და მოძრაობის მარშრუტების განსაზღვრა;

მ) სავლე ოპერაციების ცენტრსა და უწყებათშორის ოპერატიულ ცენტრს შორის კავშირის უზრუნველყოფა, ასევე დროებითი კავშირის უზრუნველყოფა (მათ შორის ელექტრონული, რადიო, სახაზო) ადგილობრივ და ცენტრალურ მართვის ორგანოებს შორის;

ნ) მითითებულ ვადებში საგანგებო სიტუაციების მართვის უწყებათშორის ოპერატიული ცენტრის ინფორმაციისა და დაგეგმვის სექტორისათვის საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოების მიმდინარეობის, მატერიალური, სატრანსპორტო და ტექნიკური უზრუნველყოფის საჭიროებათა შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

ო) საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოები განხორციელებისათვის წინასწარ შემუშავებული ფორმალიზებულ დოკუმენტების შედგენა-გაფორმების ორგანიზება.

საველე ოპერაციების ცენტრის ხელმძღვანელი:

ა) ხელმძღვანელობს საველე ოპერაციების ცენტრში შემაჯავლი ჯგუფების მუშაობას;

ბ) კოორდინირებას უწევს ერთიან სისტემაში შემაჯავლი უწყებათა დროგანიზაციების ძალთა მუშაობას;

გ) ორგანიზებას უწევს საველე ოპერაციების ცენტრში გაერთიანებულ ჯგუფების ურთიერთთანამშრომლობას;

დ) საგანგებო სიტუაციების ზონაში მოქმედი რეაგირების ძალების დანაყოფების ხელმძღვანელებისა და საველე ოპერაციების ცენტრში შემაჯავლი ჯგუფებისაგან მიღებული ინფორმაციის შეკრების, დამუშავების და ანალიზის საფუძველზე, საგანგებო სიტუაციების მართვის უწყებათშორის ოპერატიული ცენტრში წარადგენს საგანგებო ვითარების შესახებ ოპერატიული ინფორმაციას;

ე) უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოებში ჩართული ძალების სტაბილურ, თანმიმდევრულ, უწყვეტ და ოპერატიულ მართვას.

ვ) საგანგებო სიტუაციების მართვის უწყებათშორის ოპერატიული ცენტრთან კონსულტაციების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებებს:

- საევაკუაციო ღონისძიებების განხორციელებაზე;

- საგანგებო სიტუაციის ზონაში სადაზვერვო, სამაშველო და საავარიო-აღდგენითი სამუშაოების განხორციელებაზე;

- საგანგებო სიტუაციის ზონაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის შეზღუდვა - აკრძალვაზე;

- საგანგებო სიტუაციის ზონაში არსებული ორგანიზაციების, სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირების კუთვნილი მატერიალური რესურსების საგანგებო სიტუაციის შედეგების ლიკვიდაციისათვის გამოყენებაზე, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

- ნებაყოფლობითობის პრინციპის დაცვით გადაუდებელ სამუშაოებში ადგილობრივი მოსახლეობის (მათ შორის მოხალისე ფორმირებების), ცალკეული მოქალაქეებისა და ორგანიზაცია/დაწესებულებების ჩართვაზე.

საველე ოპერაციების ცენტრის სამაშველო ოპერაციების ჯგუფის ფუნქციებია:

ა) საგანგებო სიტუაციის ზონის საზღვრის დადგენა და მისი დაყოფა სამუშაო უბნებად. სამუშაო უბნებზე რეაგირების ძალების განაწილება;

ბ) საგანგებო სიტუაციაზე დაზვერვის ორგანიზება, საგანგებო სიტუაციის შესახებ მონაცემების შეკრება და საველე ოპერაციების ცენტრში წარდგენა;

გ) საავარიო-სამაშველო და საავარიო-აღდგენითი სამუშაოების ორგანიზება;

დ) მობილიზებული ძალების მართვა და კოორდინირება;

ე) შესრულებული სამუშაოებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ საველე ოპერაციების ცენტრში ინფორმაციის ოპერატიულად მიწოდება.

საველე ოპერაციების ცენტრის ინფორმაციის დამუშავებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფის ფუნქციებია:

ა) საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოების ჩატარებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მოპოვება და დოკუმენტაციის შედგენა-გაფორმება;

ბ) ჯგუფში შემოსული ინფორმაციის ოპერატიულად მიღება, დამუშავება და საველე ოპერაციების ცენტრის ხელმძღვანელისათვის წარდგენა;

გ) საველე ოპერაციების ცენტრის ხელმძღვანელის თანხმობით ოპერატიულ ცენტრში შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა;

დ) საგანგებო სიტუაციების ზონაში მდგომარეობის შესახებ მონაცემების სისტემატური მიღება და განზოგადოება;

ე) შესაბამის ოპერატიულ ცენტრთან შეთანხმებით მასმედიის წარმომადგენლებისათვის საგანგებო სიტუაციის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდება;

ვ) მონაცემთა ელექტრონული ბაზების შექმნის ორგანიზება.

საველე ოპერაციების ცენტრის კავშირის უზრუნველყოფის ჯგუფის ფუნქციებია:

ა) საგანგებო სიტუაციების ზონაში კავშირგაბმულობის საშუალებების დროული მონტაჟი და ამოქმედება;

ბ) საველე ოპერაციების ცენტრის ხელმძღვანელსა და სამოქმედო უბნებზე საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო ჯგუფებს შორის კავშირის უზრუნველყოფა;

გ) საველე ოპერაციების ცენტრის პროგრამული უზრუნველყოფის ორგანიზება.

საველე ოპერაციების ცენტრის ლოჯისტიკის ჯგუფის ფუნქციებია:

ა) საველე ოპერაციების ცენტრის ჯგუფების, რეაგირების ძალების სურსათითა და სასმელი წყლით, საავარიო-სამაშველო, ტექნიკური და საყოფაცხოვრებო აღჭურვილობით, საწვავ-საპოხი მასალებით უზრუნველყოფა, აღრიცხვა, მოთხოვნა-განაწილება;

ბ) მწყობრიდან გამოსული სამაშველო ტექნიკისა და აღჭურვილობის შეკეთების ორგანიზება;

გ) სავაკუაციო და დაზარალებული მოსახლეობის პირველადი მოხმარების საგნებით, საკვებითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა;

დ) რეაგირების სარეზერვო ძალებისა და საშუალებების, ევაკუირებული ადამიანების, კვებისა და პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტების, კარების ქალაქების განთავსების ადგილების განსაზღვრა და მათ მოწყობაში მონაწილეობის მიღება.

საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის გრაფიკული სქემით მართვის დონეებისა და ხასიათის მიხედვით, წარმოდგენილია მე-3 ნახაზზე.

რეაგირების ძალები და საშუალებები არის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების, ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების, მუნიციპალიტეტების ორგანოების ორგანიზაციების ძალები და საშუალებები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების (საზოგადოებრივი გაერთიანებების) სპეციალურად მომზადებული მოხალისეები და რესურსები, რომლებიც განკუთვნილია (მოზიდულია) საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციისა და აღდგენითი სამუშაოებისათვის.

რეაგირების ძალები და საშუალებები ეროვნული, ავტონომიური რესპუბლიკის, სამხარეო და ადგილობრივ დონეებზე საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაციის ღონისძიებებში ერთგებიან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ერთიანი სისტემის თითოეული დონის ძალებისა და საშუალებების შემადგენლობაში შედის მუდმივი მზადყოფნის ძალები და საშუალებები, რომელიც განკუთვნილია საგანგებო სიტუაციებზე სწრაფი რეაგირებისთვის, მათი შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებისა და აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად.

მუდმივი მზადყოფნის ძალებში შედის საავარიო-სამაშველო სამსახურები, სხვა დანაყოფები და ფორმირებები, რომლებიც აღჭურვილია სპეციალური ტექნიკით, მოწყობილობებით, ხელსაწყოებითა და მასალებით, საგანგებო სიტუაციის ზონაში საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების არა ნაკლებ 3 დღე-ღამის განმავლობაში ჩატარების უზრუნველყოფისათვის.

მუდმივი მზადყოფნის ძალების შემადგენლობას და სტრუქტურას, საგანგებო სიტუაციების მიტიგაციისა და ლიკვიდაციის მიზნით დასახული ამოცანებიდან გამომდინარე, განსაზღვრავენ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოები, მუნიციპალიტეტების ორგანოები და ორგანიზაციები.


სამაშველო დანაყოფების ჩართვა ქვეყნის ტერიტორიის გარეთ მომხდარ საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციაში ხორციელდება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე.

საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნენ საქართველოს სამხედრო ძალების დანაყოფები, მათ შორის შეიარაღებული ძალები.

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების პროცესში საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადოებრივ გაერთიანებათა ძალები

თავიანთი რესურსებით მონაწილეობენ ნებაყოფლობით. იმ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა სადამფუძნებლო დოკუმენტაციითაც გათვალისწინებულია ასეთ ოპერაციებში ჩაბმა, შესაბამისი ოპერატიული ცენტრის მიერ განესაზღვრებათ კომპეტენცია პროფილის მიხედვით, მათ შორის, მონაწილეობის ფორმირებებში მათი მონაწილეობის თაობაზე.

ერთიანი სისტემის მართვა ხორციელდება კავშირგაბმულობისა და შეტყობინების სისტემების ორგანიზაციულ-ტექნიკური ძალებით, რომლებიც მოიცავენ კავშირისა და შეტყობინების საშუალებებს, სამაუწყებლო ქსელებს, საერთო მოხმარებისა და საუწყებო კავშირის ქსელების არხებს და უზრუნველყოფენ მართვის ორგანოებისათვის, ერთიანი სისტემის სუბიექტებისათვის, რეაგირების ძალებისა და მოსახლეობისთვის ინფორმაციისა და სამაუწყებლო სიგნალების მიწოდებას. საგანგებო სიტუაციების დროს ნებისმიერი კავშირის ქსელებისა და კავშირის საშუალებათა პრიორიტეტული ან შეზღუდული გამოყენება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.



ნახ. 3

ერთიან სისტემაში საინფორმაციო უზრუნველყოფა ხორციელდება ავტომატიზებული საინფორმაციო-მართვის სისტემების მეშვეობით, რომელიც, თავის მხრივ, ტექნიკური სისტემების, კავშირისა და შეტყობინებების საშუალებების, მონაცემთა გაცვლის, შეკრების, შენახვის, დამუშავების, ანალიზისა და ინფორმაციის გადამცემი რესურსების ერთობლიობაა.

ერთიანი სისტემის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების შესახებ ინფორმირებისა და მისი ლიკვიდაციის ღონისძიებების გატარება ხორციელდება სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის, აღმასრულებელი ხელისუფლების უწყებრივი, ავტონომიური რესპუბლიკებისა და შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორების სამხარეო ადმინისტრაციების, მუნიციპალიტეტების ორგანოებისა და ორგანიზაციების საგანგებო მართვის გეგმების მიხედვით. ერთიანი სისტემის ფარგლებში სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებების დაგეგმვის ორგანიზაციულ-მეთოდურ ხელმძღვანელობასა და მასზე ზედამხედველობას ახორციელებს სპეციალურად უფლებამოსილი ორგანო.

2. საგანგებო სიტუაციების მართვის დონეები და საგანგებო დახმარების ფუნქციები

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის სქემა მოცემულია მე-4 ნახაზზე. გამოყოფენ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ხუთ დონეს:

– პირველი დონე ანუ საგანგებო სიტუაციის მართვის საობიექტო დონე მოიცავს მართვის ოპერატიულ და ტაქტიკური დონეებს. ამ შემთხვევაში, საგანგებო სიტუაციის ზონა არ სცდება ობიექტის ტერიტორიის ფარგლებს და რეაგირების პროცესს მართავს ობიექტის საგანგებო შტაბი, რომლის საქმიანობას ხელმძღვანელობს ამ ობიექტის ხელმძღვანელი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას უზრუნველყოფს ობიექტის რეაგირების ძალები და საავარიო-სამაშველო საშუალებები იმ მატერიალური რესურსების გამოყენებით, რომლებსაც ფლობს აღნიშნული ობიექტი. მართვის პირველ დონეზე, ინციდენტის ადგილიდან მიღებული შეტყობინების საფუძველზე, ობიექტის ხელმძღვანელი ან სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებში მისგან უფლებამოსილი პირი, ორგანიზებას უკეთებს პირველი რიგის სამაშველო ღონისძიებებს. წებისმიერ შემთხვევაში, იგი საგანგებო ვითარებისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას აწვდის სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს შესაბამის ტერიტორიულ დანაყოფს ან რეკავს საგანგებო ნომერზე - 112. თუ ობიექტის (ორგანიზაციის) რეაგირების ძალები საკმარისი არ არის და არსებობს ინციდენტის შემდგომი ესკალაციის საფრთხე, დახმარებას ითხოვს ადგილობრივი თვითმმართველობიდან.

- მეორე დონე ანუ საგანგებო სიტუაციის მართვის ადგილობრივი დონე მოიცავს მართვის ოპერატიულ დონეს. ამ შემთხვევაში საგანგებო სიტუაციის ზონა არ სცდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფარგლებს და რეაგირების პროცესს მართავს საგანგებო სიტუაციების მართვის ადგილობრივი ოპერატიული ცენტრი. ცენტრი არის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელის (გამგებლის/მერის) მიერ შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების ტერიტორიული ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ორგანიზაციების რეაგირების ძალებისა და სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს ტერიტორიული დანაყოფის უფლებამოსილი პირებისაგან შექმნილი ორგანო, რომელიც ადგილობრივ დონეზე ორგანიზებასა და კოორდინაციას უწევს მოსალოდნელ ან ფაქტობრივ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას. მას ხელმძღვანელობს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი (გამგებელი/მერი) ან მის მიერ უფლებამოსილი პირი (მართვის ოპერატიული დონე). მეორე დონეზე საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას უზრუნველყოფენ ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების ტერიტორიული ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მისი ტერიტორიის ფარგლებში მოქმედი ორგანიზაციების, აგრეთვე სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს რეაგირების ძალები იმ მატერიალური რესურსების გამოყენებით, რომლებსაც ისინი ფლობენ. მართვის მეორე დონეზე, საგანგებო სიტუაციის ზონიდან მიღებული შეტყობინების საფუძველზე მუნიციპალიტეტის გამგებელი/ქალაქის მერი სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს შესაბამის ტერიტორიულ დანაყოფთან ერთობლივად, ორგანიზებას უკეთებს პირველი რიგის სამაშველო ღონისძიებებს, ნებისმიერ შემთხვევაში საგანგებო ვითარების და გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას აწვდის სამხარეო ადმინისტრაციას ან ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას და სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს შესაბამის ტერიტორიულ დანაყოფს. თუ ადგილობრივი რეაგირების ძალები საკმარისი არ არის და არსებობს საგანგებო სიტუაციის შემდგომი გართულების საფრთხე, დახმარებას ითხოვს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობიდან/გუბერნატორის ადმინისტრაციიდან.

- მესამე დონე ანუ საგანგებო სიტუაციის მართვის ავტონომიური რესპუბლიკის ან სამხარეო დონე, მოიცავს მართვის ოპერატიულ დონეს. ამ შემთხვევაში საგანგებო სიტუაციის ზონა არ სცდება ავტონომიური რესპუბლიკის ან მხარის ტერიტორიის ფარგლებს და რეაგირების პროცესს მართავს საგანგებო სიტუაციების მართვის ავტონომიური რესპუბლიკის ან სამხარეო ოპერატიული ცენტრი. ცენტრი ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელის ან სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის მიერ, შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი

ხელისუფლების დაწესებულებების ან აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების ტერიტორიული ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ორგანიზაციების რეაგირების ძალებისა და სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს ტერიტორიული დანაყოფის უფლებამოსილი პირებისაგან შექმნილი ორგანოა, რომელიც ავტონომიურ ან სამხარეო დონეზე ორგანიზებასა და კოორდინაციას უწევს მოსალოდნელ ან ფაქტობრივ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას. მესამე დონეზე საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას უზრუნველყოფენ ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების ან მხარის შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების ტერიტორიული ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მისი ტერიტორიის ფარგლებში მოქმედი ორგანიზაციების, აგრეთვე სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს რეაგირების ძალები იმ მატერიალური რესურსების გამოყენებით, რომლებსაც ისინი ფლობენ. მართვის მესამე დონეზე, საგანგებო სიტუაციების მართვის ავტონომიური რესპუბლიკის ან სამხარეო ოპერატიული ცენტრი საგანგებო ვითარებისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას ნებისმიერ შემთხვევაში აწვდის საგანგებო სიტუაციების მართვის უწყებათშორის ოპერატიულ ცენტრს. თუ ავტონომიური რესპუბლიკის ან მხარის რეაგირების ძალები საკმარისი არ არის და არსებობს საგანგებო სიტუაციის შემდგომი გართულების საფრთხე, ითხოვს დახმარებას საქართველოს მთავრობიდან.

– მეოთხე დონე, შეესაბამება საგანგებო სიტუაციაზე ეროვნულ რეაგირებას. ამ შემთხვევაში საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას უზრუნველყოფენ ერთიანი სისტემის ორ ან მეტ მხარეში განლაგებული რეაგირების ძალები და საავარიო-სამაშველო საშუალებები იმ მატერიალური რესურსების გამოყენებით, რომლებსაც განკარგავენ საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის სუბიექტები. საგანგებო სიტუაციის მართვის კოორდინირებას ოპერატიულ დონეზე ახდენს სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოში მოქმედი საგანგებო სიტუაციების მართვის უწყებათშორისი ოპერატიული ცენტრი, რომელიც შექმნილია ერთიანი სისტემაში ჩართული აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების უფლებამოსილი პირებისაგან. ცენტრს ხელმძღვანელობს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი, პოლიტიკურ დონეზე მართვას ახორციელებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული რესურსები და ძალები არ არის საკმარისი საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციოდ, საგანგებო სიტუაციების მართვის უწყებათშორისი ოპერატიული ცენტრი ამზადებს წინადადებებს საერთაშორისო დახმარებების შესახებ მოთხოვნაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე სპეციალური ფორმით ეწვობება

ნატოს კატასტროფებზე რეაგირების ევროატლანტიკურ საკოორდინაციო ცენტრს, ევროკავშირისა და გაეროს შესაბამის სტრუქტურებს, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს.

– მეხუთე დონე შეესაბამება საგანგებო სიტუაციებზე საერთაშორისო რეაგირებას. ამ შემთხვევაში საგანგებო სიტუაციების მართვის უწყებათშორისი ოპერატიულ ცენტრთან ურთიერთთანამშრომლობით საგანგებო სიტუაციის მართვის კოორდინირებას ახდენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო სიტუაციების მართვის საქართველოში ამოქმედებული სტრუქტურები და ქვეყანაში კატასტროფების დროს მასპინძელი ქვეყნის მხარდამჭერი პროცედურების მიხედვით ხორციელდება საერთაშორისო რეაგირების ძალებისა და დახმარების მიღება.

საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში რეაგირების ძალების პირადი შემადგენლობა მოქმედებს „საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ“ 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციის დამატებითი ოქმით (ოქმი I, 1977 წლის 8 ივნისი) დადგენილი სამოქალაქო თავდაცვის პერსონალის საერთაშორისო სტატუსით.

საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტია სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმა, რომელიც სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში აწესრიგებს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას.

გეგმა საზღვრავს:


ა) საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, მათ მოცულობას, განხორციელების წესსა და მის შესრულებაზე პასუხისმგებელ ძირითად და დამხმარე სუბიექტებს არსებული ძალებისა და საშუალებების, სოციალურ-ეკონომიკური, ბუნებრივი და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით;

ბ) საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მისთვის მზადყოფნის, საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში მასზე რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების წარმართვის წესს.

ეროვნული გეგმის მიზანია, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, მისი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ავტონომიური რესპუბლიკების, შესაბამის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციების, მუნიციპალიტეტების ორგანოებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომუშავე ორგანიზაციების მუშაობის წარმართვა სამოქალაქო უსაფრთხოების ამოცანების გადასაწყვეტად ეროვნულ დონეზე.

ეროვნული გეგმის ძირითადი ამოცანაა საგანგებო სიტუაციების პრევენცია და მისთვის მზადყოფნა, საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში მასზე რეაგირება და აღდგენითი სამუშაოების ჩატარება,

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვა



ნახ. 3

მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, გარემოსა და ეკონომიკის ობიექტების დაცვა, მატერიალური ზიანის შემცირება, საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციისაგან მოსახლეობის დაცვა, სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტების უსაფრთხო და სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ეროვნული გეგმა ეფუძნება ერთიანი სისტემის სუბიექტების საგანგებო მართვისა და საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმებს.

სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოსთან შეთანხმებით, უწყების (სამინისტროს) საგანგებო მართვის დარგობრივ და რისკის მართვის გეგმებს ამტკიცებს შესაბამისი უწყების (სამინისტროს) ხელმძღვანელი.

სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს ტერიტორიულ ერთეულთან შეთანხმებით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, მუნიციპალიტეტების ორგანოების საგანგებო მართვისა და რისკის მართვის გეგმებს შესაბამისად ამტკიცებენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა მეთაურები, სახელმწიფო რწმუნებულები – გუბერნატორები და მუნიციპალიტეტების ორგანოთა ხელმძღვანელები.

სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან შეთანხმებით, ორგანიზაციის საგანგებო მართვის გეგმას ამტკიცებს შესაბამისი ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

საგანგებო სიტუაციების რისკის მართვის უზრუნველსაყოფად ეროვნული გეგმა არეგულირებს საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის საქმიანობას, ციკლურად მიმდინარე საგანგებო სიტუაციის მართვის ოთხი ძირითადი კომპონენტის - მზადყოფნის, პრევენციის, რეაგირებისა და აღდგენის ფარგლებში.

საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მიტიგაციის, რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების უზრუნველყოფა ხორციელდება საგანგებო დახმარების 17 ფუნქციის ამოქმედებით.

საგანგებო დახმარების თითოეული ფუნქციის განხორციელების კოორდინირებას ახორციელებს შესაბამისი სამინისტრო, მისი სტრუქტურული ერთეული ან სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მხარდამჭერი უწყებებისა და ორგანიზაციების, ასევე მუნიციპალიტეტებისა და შესაბამის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციების მონაწილეობით.

საგანგებო დახმარების ფუნქციების ჩამონათვალი და მიზნები მოცემულია 2.1 ცხრილის სახით:

საგანგებო დახმარების ფუნქციების	საგანგებო დახმარების ფუნქციების ამოცანები
1	2
<p>ფუნქცია 1 - საგანგებო სიტუაციების მართვის უზრუნველყოფა</p>	<p>საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის მზადყოფნის, საგანგებო სიტუაციების პრევენციის, ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების მიტოვების, ლოკალიზაციის და აღდგენითი ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება; მონიტორინგის და პროგნოზის საფუძველზე საგანგებო სიტუაციების რისკის მართვის ორგანიზება; საგანგებო სიტუაციების დროს საგანგებო ვითარების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვა.</p>
<p>ფუნქცია 2 - კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ღონისძიებების უზრუნველყოფა</p>	<p>კავშირგაბმულობისა და შეტყობინების უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინირება; ელექტრონული კომუნიკაციების, საფოსტო კავშირისა და მაუწყებლობის საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა; ინფორმაციული ტექნოლოგიების რესურსების დაცვა, აღდგენა და მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.</p>
<p>ფუნქცია 3 - მოსახლეობის ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა, ლტოლვილთა მოულოდნელი ნაკადების მართვა</p>	<p>მოსახლეობის ევაკუაციის უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება, დაგეგმვა და მათი განხორციელების კოორდინირება; ლტოლვილთა მოულოდნელი ნაკადების საგანგებო მართვა, ტრანსპორტირების უზრუნველყოფა; საევაკუაციო მარშრუტებზე უსაფრთხოების დაცვა; კავშირგაბმულობის უზრუნველყოფა, მოსახლეობის შეტყობინება და ინფორმირება; ევაკუირებულთა სმედიცინა უზრუნველყოფა; ენერგოუზრუნველყოფა; ცხოველების ევაკუაციის ორგანიზება.</p>
<p>ფუნქცია 4 - რეაგირების ღონისძიებების კოორდინირება</p>	<p>რეაგირების სამუშაოების განხორციელების კოორდინირება; სიძებნი, სამაგვლო, ხანძრის კროზის, საფარიო-სამაშველო სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა; საერთაშორისო სამაშველო ძალების გამოყენების ორგანიზება.</p>
<p>ფუნქცია 5 - სატრანსპორტო უზრუნველყოფა</p>	<p>სატრანსპორტო უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავება და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სატრანსპორტო უზრუნველყოფის განხორციელების კოორდინირება; საგანგებო სიტუაციების დროს გამოსყენებელი საავტომობილო, სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო სატრანსპორტო ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა; ტრანსპორტის მიმრაობის რეგულირება და დაცვის უზრუნველყოფა.</p>

1	2
<p>ფუნქცია 6 - სამედიცინო უზრუნველყოფა</p>	<p>სამედიცინო უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავება და რეგირების სამედიცინო უზრუნველყოფის განხორციელების კოორდინირება; საგანგებო სიტუაციების დროს სამედიცინო ძალებისა და სამუალეზების მზადყოფნის უზრუნველყოფა; სანაირულ-პოგენური და ეპიდსაჩინააღმდეგო ღონისძიებების უზრუნველყოფა; გარდაცვლილთა აღრიცხვა; საგანგებო სიტუაციების ზონაში მოსახლეობის სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების ორგანიზება; განსაკუთრებით საშიში პათოგენებისაგან მოსახლეობის დაცვა; სამედიცინო ტრანსპორტით უზრუნველყოფა.</p>
<p>ფუნქცია 7 - მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის, დიპლომატიური პროტოკოლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული მხარდაჭერის უზრუნველყოფა</p>	<p>საგანგებო სიტუაციებში საერთაშორისო თანამშრომლობისა და ჰუმანიტარული მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელების კოორდინირება; ჰუმანიტარული ღონისძიებების მხარდაჭერა; საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით პრევენციული და მზადყოფნის ღონისძიებების კოორდინირება და მასში მონაწილეობა.</p>
<p>ფუნქცია 8 - ტყის ხანძრის შემთხვევაში ხანძარსაჩინადო ღონისძიებების უზრუნველყოფა</p>	<p>ტყის ხანძრის შემთხვევაში ხანძარსაჩინადო პრევენციული ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინირება; ტყის ხანძრებზე რეაგირების ორგანიზება; სახანძრო ტექნიკის გადაადგილების უზრუნველყოფა; ტრანსპორტით უზრუნველყოფა.</p>
<p>ფუნქცია 9 - ენერგომომარაგების უზრუნველყოფა</p>	<p>ენერგეტიკასთან დაკავშირებული საგანგებო სიტუაციის პრევენცია; ენერგომომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავება და საგანგებო სიტუაციების დროს ენერგომომარაგების უზრუნველყოფის კოორდინირება; საგანგებო სიტუაციების დროს ენერგომომარაგების აღდგენითი ღონისძიებებისათვის საქართველოს და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა; ენერგომომარაგების ობიექტების დაცვა.</p>
<p>ფუნქცია 10 - მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფა</p>	<p>მცენარეთა და ცხოველთა უსაფრთხოების პრევენციული ღონისძიებების შემუშავება და საგანგებო სიტუაციებზე სათანადო რეაგირების მექანიზმით მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფის კოორდინირება; მცენარეთა და ცხოველთა უსაფრთხოებისათვის საქართველოს და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა; სასოფლო-სამეურნეო ობიექტების დაცვის უზრუნველყოფა.</p>

1	ფუნქცია 11 – ქიმიური და რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა	ქიმიური და რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრევენციული ღონისძიებების შემუშავება და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ქიმიური და რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის განხორციელების კოორდინაცია; ქიმიური და რადიაციული უსაფრთხოების ღონისძიებებში გამოსაყენებელი ძალებისა და სამუალეების მზადყოფნის უზრუნველყოფა; ტრანსპორტირება და კავშირგაბმულობით უზრუნველყოფა; საშიში ნივთიერებისაგან დაცვის უზრუნველყოფა.
2	ფუნქცია 12 – მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა	მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელების კოორდინირება; ტრანსპორტირება და კავშირგაბმულობით უზრუნველყოფა; მატერიალურ-ტექნიკური სამუალეების დაცვის უზრუნველყოფა.
3	ფუნქცია 13 - კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა	კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტების დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინირება; კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების უსაფრთხო ზონაში ევაკუაციის უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინირება; საევაკუაციო ღონისძიებების უსაფრთხოების უზრუნველყოფა; საგანმურისა და ფინანსური ფასეულობების დაცვის უზრუნველყოფა.
4	ფუნქცია 14 - საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვის უზრუნველყოფა	საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალური ფასეულობის დაცვის უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინირება; საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალური ფასეულობის დაცვის მიზნით ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა.
5	ფუნქცია 15 - ინფრასტრუქტურის დაცვა და საგზაო უზრუნველყოფა	ინფრასტრუქტურის დაცვისა და საგზაო უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავება და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დროს უსაფრთხოების დაცვის კოორდინირება; საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი საინჟინრო ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა; სატრანსპორტო უზრუნველყოფა; საგზაო ინფრასტრუქტურის ავღენა; ინფრასტრუქტურის აღდგენა, ინფრასტრუქტურული ობიექტებისა და სისტემების ურთიერთქმედების უზრუნველყოფა.

1	2
ფუნქცია 16 - სურსათითა და წყლით უზრუნველყოფა	სურსათითა და წყლით უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავება და ამ ღონისძიებების განხორციელების კოორდინირება; საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაცემელი სურსათითა და წყლით მომარაგებაში მონაწილე პირებისა და სამუშაოების მზადყოფნის უზრუნველყოფა; სურსათისა და წყლის დაცვის უზრუნველყოფა.
ფუნქცია №17 – საგანგებო სიტუაციების ზონაში აღდგენითი სამუშაოების უზრუნველყოფა	საგანგებო სიტუაციების ზონაში აღდგენითი სამუშაოების განხორციელების კოორდინირება; აღდგენითი სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ძალებისა და სამუშაოების მზადყოფნის უზრუნველყოფა; საჭიროების შემთხვევაში საერთაშორისო სამშველო ძალების ჩაბმის ორგანიზება.

3. პრევენცია

საგანგებო სიტუაციის პრევენცია არის მოსახლეობის, ქონებისა და გარემოს დასაცავად განხორციელებული სამართლებრივი, ორგანიზაციული, ეკონომიკური, საინჟინრო-ტექნიკური, სანიტარიულ-ჰიგიენური, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური და სხვა ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მოიცავს:

ა) საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის პროგნოზირების, მონიტორინგისა და თავიდან აცილების ღონისძიებებს;

ბ) სახიფათო ბუნებრივი მოვლენებისა და პროცესების დამაზიანებელი პოტენციალის სისტემატური შემცირებისთვის მიღებულ ზომებს და შესაბამის საინჟინრო-ტექნიკურ ღონისძიებებს;

გ) მასშტაბური სამრეწველო ავარიების პროფილაქტიკის, ტექნოლოგიური (საწარმო) პროცესების უსაფრთხოებისა და მოწყობილობების ექსპლუატაციის საიმედოობის ამაღლებისთვის მიღებულ ზომებს;

დ) საგანგებო სიტუაციების რისკის რუკების მომზადებას, საქართველოს ტერიტორიისა და დასახლებული პუნქტების ჯგუფებად, ხოლო ორგანიზაციების კატეგორიებად დაყოფას;

ე) პოტენციურად საშიში ობიექტის უსაფრთხოების პასპორტის, მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შედგენას;

ვ) სხვა პრევენციულ ღონისძიებებს.

პრევენციულ ღონისძიებებს ახორციელებენ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ავტონომიურ რესპუბლიკათა მთავრობები, შესაბამის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციები, მუნიციპალიტეტის ორგანოები და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომუშავე ორგანიზაციები.

საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება რისკის მართვისა და საგანგებო მართვის დარგობრივი გეგმების საფუძველზე, საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარის მიხედვით. სცენარში საპროგნოზო მონაცემებზე დაყრდნობით, შენობების, საინჟინრო-ტექნიკური კომპლექსის სახეობის, რაოდენობისა და მედეგობის (სეისმომდეგობის) გათვალისწინებით, განსაზღვრული უნდა იყოს საგანგებო სიტუაციის ზონა, საგანგებო სიტუაციის სახეობიდან გამომდინარე დამაზიანებელ ფაქტორთა სახეები, მათი სავარაუდო მასშტაბები და საგანგებო სიტუაციის შესაძლო შედეგების (როგორც პირდაპირი, ისე მეორეული – ხანძარი, მოწამლა, მეწყერი და სხვ.) რაოდენობრივი მონაცემები, მათ შორის დაღუპულთა და დაშავებულთა სავარაუდო რიცხვი.

საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარის მომზადების დროს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს საფრთხის წინაშე მყოფი

მოსახლეობის რაოდენობა, მათი სიმჭიდროვე, დაცულობა, რისკების მართვისა და უსაფრთხოების სფეროში მათი ცნობიერებისა და მზადყოფნის დონე, საგანგებო სიტუაციების ზონაში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ძალები და საშუალებები.

პრევენციული ღონისძიებები პირობითად იყოფა სტრუქტურულ და არასტრუქტურულ ღონისძიებებად.

სტრუქტურული პრევენციული ღონისძიებები გულისხმობს:

- მოსახლეობისა და ქონების დაცვის მიზნით ინციდენტების, სახიფათო ბუნებრივი მოვლენებისა და პროცესების თავიდან აცილებას დაგროვებადი დამაზიანებელი პოტენციალის სისტემატური შემცირებითა და საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელებით;

- საგანგებო სიტუაციების რისკის რუკების მიხედვით შენობა-ნაგებობების დაპროექტებასა და მშენებლობას, არასაკმარისი მედეგობის შენობა-ნაგებობების შეცვლას უფრო მაღალი მედეგობის ნაგებობებით ან მათ გაძლიერებას საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელებით. ასევე, ტექნოლოგიური პროცესებისა და მოწყობილობების საგანგებო სიტუაციებით გამოწვეული დამაზიანებელი ფაქტორების ზემოქმედებისაგან დაცვის საინჟინრო-კონსტრუქციული ღონისძიებების განხორციელებას;

- მასშტაბური სამრეწველო ავარიების თავიდან აცილებას საწარმოო პროცესების ტექნოლოგიური უსაფრთხოებისა და მოწყობილობების საექსპლუატაციო საიმედოობის ამაღლებით;

- ანტიდოტების გამოყენებას, ვაქცინაციას, სანიტარიულ-ჰიგიენური და სხვა ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას.

არასტრუქტურულ პრევენციული ღონისძიებები მოიცავს:

- საგანგებო სიტუაციების საფრთხეების მონიტორინგსა და პროგნოზირებას;

- საგანგებო სიტუაციების რისკის რუკების მომზადებასა და მათი გათვალისწინებით ქვეყნის ტერიტორიაზე სამრეწველო ობიექტებისა და დასახლებების რაციონალურად განთავსებას მიწათსარგებლობის ნორმატიული რეგულაციების შესაბამისად;

- საგანგებო სიტუაციებში სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიას დაქვემდებარებული ობიექტების უსაფრთხო და სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფას;

- პოტენციურად საშიშ ობიექტებზე უსაფრთხოების დეკლარირების, სახანძრო უსაფრთხოების სფეროში შესაბამისობის დადგენის, ქალაქების, მუნიციპალიტეტებისა და პოტენციურად საშიში ობიექტების უსაფრთხოების პასპორტების მომზადების ორგანიზებას;

- გარემოსდაცვით სფეროში ზედამხედველობასა და ლიცენზირებას;

- სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიას დაქვემდებარებული ობიექტების ზედამხედველობას;

- პოტენციურად საშიში ობიექტების ექსპლუატაციით გამოწვეული ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებლობის დაზღვევას;

- სანიტარიულ-ჰიგიენურ და სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ ზედამხედველობას;

- სურსათის, ცხოველის საკვებისა და წყლის უვნებლობის კონტროლს;

- საგანგებო სიტუაციის მართვის ერთიანი სისტემის ფუნქციონირების გაძლიერებული მზადყოფნისა და საგანგებო რეჟიმებში შესაძლო საგანგებო სიტუაციის ზონიდან მოსახლეობის ევაკუაციას;

- საგანგებო სიტუაციის რისკის დროულად გამოვლენას, შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების და რისკის მართვის გეგმების შემუშავებასა და განხორციელებას. მათ შორის, სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო, საგამოცდო და საპროექტო სამუშაოების ორგანიზებას;

- საგანგებო სიტუაციისა და საომარი მოქმედებების დროს სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტების სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად მიზნობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების განხორციელებას, ორგანიზაციული და საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების დაგეგმვას.

2014 წლის 14 იანვარს მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის №51 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - „სამოქალაქო უსაფრთხოების საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების“ დამტკიცების შესახებ. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ, საგანგებო სიტუაციების დამაზიანებელი ფაქტორების ზემოქმედების პირობებში, სამოქალაქო უსაფრთხოების საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებები მიმართულია მოსახლეობის დაცვის, მოსალოდნელი დანაკარგებისა და ნგრევების შემცირებისაკენ, ასევე, ომიანობის დროს ეკონომიკის ობიექტების და მრეწველობის დარგების მდგრადობის ამაღლებისაკენ, აგრეთვე დაზიანების კერებში სამაშველო და გადაუდებელი საავარიო-აღდგენითი სამუშაოებისათვის აუცილებელი ხელშემწყობი პირობების შექმნისაკენ. სწორედ ამ მიზნით, აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს განაშენიანებათა ტერიტორიების შესაძლო ნგრევისა და დატბორვის მიხედვით ზონირებას. შესაძლო ნგრევის ზონა ის ტერიტორიაა, რომელიც მოიცავს სამოქალაქო უსაფრთხოების მიხედვით კატეგორირებულ ქალაქებსა და ეკონომიკის ობიექტებს, რომელთა ფარგლებშიც საგანგებო სიტუაციების ან ომიანობის დროს შესაძლებელია განვითარდეს ჰაერის დარტყმითი ტალღა მოქმედების ფრონტში 10 კპა, (0,1 კგმ/სმ²) და მეტი ჭარბი წნევით ან ასეთივე შედეგის მქონე სხვა დამანგრეველი ფაქტორი. შესაძლო ძლიერი ნგრევის ზონაა ის ტერიტორია, რომელიც მოიცავს კატეგორირებულ ქალაქს ან კატეგორირებულ ეკონომიკის ობიექტს, რომლის ფარგლებშიც საგანგებო სიტუაციების ან ომიანობის დროს შესაძლებელია განვითარდეს ჰაერის დარტყმითი ტალღა მოქმედების ფრონტში 30 კპა (0,3 კგმ/სმ²) და მეტი ჭარბი წნევით ან ასეთივე შედეგის მქონე სხვა დამანგრეველი ფაქტორი.

კატასტროფული დატბორვის ზონა კი არის ტერიტორია, სადაც დატბორვამ შეიძლება გამოიწვიოს შენობა-ნაგებობების ნგრევა, ხალხის დაღუპვა, სამრეწველო საწარმოთა მთავარი დანადგარების მწყობრიდან გამოსვლა და სხვა მატერიალური ფასეულობების განადგურება. შესაძლო კატასტროფული დატბორვის ზონის ფორმირება ხდება მოსახლეობისა და ეკონომიკის ობიექტებისათვის საფრთხის ხარისხისა და გამრღვევი (წამლევი) ტალღის ზემოქმედების პირობების მიხედვით. განსაკუთრებით საშიში დატბორვის ზონის ტერიტორია ჰიდროკვანძის ნაგებობის სადაწნეო ზედაპირიდან შემოიფარგლება კალაპოტის იმ განიკვეთით, რომელსაც გარღვევის ტალღის ფრონტი გაივლის წარმოქმნის მომენტიდან 1 საათის განმავლობაში. ის შესაძლო კატასტროფული დატბორვის ზონის საწყისი ნაწილია. შესაბამისად, ჰიდროკვანძის ნაგებობის მოულოდნელი ნგრევის შემთხვევაში სამოქალაქო უსაფრთხოების წინასწარი ღონისძიებების ჩატარების დროა 1 საათი, რომელიც მოსახლეობისათვის სიგნალის მიწოდების დროის ხანგრძლივობისა (30 წუთის) და განსაკუთრებით სახიფათო დატბორვის ზონიდან მათი დამოუკიდებლად უმოკლესი მარშრუტით გამოსვლისათვის საჭირო დროთა ხანგრძლივობის (30 წუთის) ჯამია. სახიფათო დატბორვის ზონის ტერიტორია შემოიფარგლება კაშხლიდან (წამლევი ტალღის მოძრაობის) კალაპოტის იმ განიკვეთით, რომელსაც გარღვევის ტალღა გაივლის წარმოქმნის მომენტიდან 4 საათის განმავლობაში. ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით, მაგისტრალური ქუჩის ორივე მხარეს განლაგებულ შენობებს შორის დაცული უნდა იყოს ყვითელი ზოლი მათი ჩახერგვის თავიდან აცილებისა და სამაშველო ოპერაციების შეუფერხებლად ჩატარების მიზნით. ასევე, დაუშვებელია შენობა-ნაგებობების განლაგება ღვარცოფ-, ზვავ- და მეწყერსაშიშ ტერიტორიებზე და სეისმური ზონების აქტიური რღვევის მიმდინარე რაიონებში.

2016 წლის 28 იანვარს საქართველოს მთავრობამ №41 დადგენილებით დაამტკიცა ტექნიკური რეგლამენტი - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“, რომელიც დეტალურად აყალიბებს ყველა ტიპის შენობის უსაფრთხოების ნორმებს.

წესების დადგენის მიზანია მინიმალური პირობების შექმნა საზოგადოების ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და საერთო კეთილდღეობის მისაღწევად, რასაც უზრუნველყოფს საევაკუაციო გასასვლელი, სანიტარიული პირობები, სათანადო განათება და განიავება, შენობაში ხანძრისა და სხვა საფრთხეებისგან სიცოცხლისა და საკუთრების დაცვა, ასევე, მეხანძრე-მაშველებისა და მაშველების უსაფრთხოება საგანგებო ვითარებებისას.

წესების მიხედვით ნაგებობები ან მათი ნაწილები დაკავებულობის მიხედვით კლასიფიცირდება ქვემოთ ჩამოთვლილ შემდეგ ათ ჯგუფებად: თავშეყრის, საქმიანი, საგანმანათლებლო, სამრეწველო, დიდი საფრთხის შემცველი, დაწესებულებითი, სავაჭრო, საცხოვრებელი, სასაწყობო და დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულებისა.

დიდი საფრთხის შემცველი შენობა-ნაგებობების დაგეგმვებისას მშენებლობის ნებართვის გამცემ/ზედამხედველ ორგანოს უნდა წარედგინოს აუცილებელი ინფორმაცია, რომელიც მოიცავს ანგარიშს შესანახი, დახურულ და ღია სისტემაში გამოსაყენებელი საფრთხის შემცველი ნივთიერებების მოსალოდნელი მაქსიმალური რაოდენობის შესახებ სადაც თავის მხრივ, ცალ-ცალკე იქნება განხილული საფრთხის შემცველ ნივთიერებათა კლასიფიცირების კატეგორიები დადგენილი წესით, ასევე, ამგვარი საფრთხეებისაგან თავდაცვის მეთოდები, გასაკონტროლებელი ფართობები, უსაფრთხო მანძილი ძირითად საწარმოო და ტექნოლოგიურ წერტილებსა და ხაზებამდე, ასევე, ადმინისტრაციულ შენობამდე, ავარიული აფეთქების შემთხვევაში დამაზიანებელი (რადიაციული, კოროზიული, დეტონაციური, თერმული და სხვა სპეციალური სახის) ზემოქმედებისდაგან დაცვის მოწყობილობები და სისტემები, მათ შორის ადვილად ვარდნადი კონსტრუქციები, ხანძარსაწინააღმდეგე დაცვის სისტემები. დიდი საფრთხის შემცველი ჯგუფის დაკავებულობები მითითებული უნდა იყოს ანგარიშსა და სამშენებლო დოკუმენტებში. კერძოდ, ასეთი სახის შენობა-ნაგებობებში მართვის ჯგუფისათვის ანდა ცვლამი მომუშავე პერსონალის საერთო რაოდენობისთვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს თავშესაფარი, რომელსაც ექნება დაცული და ადვილად მისასვლელი, დაგეგმარებული იქნება ჰერმეტიკობა ზემოქმედებებისა და გამოყენების (საექსპლუატაციო) სპეციალური მოთხოვნების გათვალისწინებით. ასევე, საწარმოო ფართობის გარეთ უნდა იყოს საგანგებო ვითარების საკონტროლო სადგური, სადაც მუდმივად იმუშავენს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი. აღნიშნულმა სადგურმა სიგნალები უნდა მიიღოს საავარიო მოწყობილობიდან, ასევე განგაშისა და აღმომჩენი შემდეგი სახის სისტემებიდან: ავტოსაშვები სისტემის განგაშისა და საკონტროლო სისტემებიდან; სახანძრო განგაშის ხელით მართული სისტემებიდან; საავარიო განგაშის სისტემებიდან; აირადმომჩენი მუდმივმოქმედი სისტემებიდან; კვამლადმომჩენი სისტემებიდან; ავარიისას გამოყენებული ელექტრომომარაგების სისტემებიდან; თვითაალებადი (პიროფორული) სითხეებისა და წყალრეაქტიული სითხეების ავტოაღმომჩენი და განგაშის სისტემებიდან; გამწოვის ნაკადის განგაშის მექანიზმებიდან, რომლებიც, აუცილებელია თვითაალებადი (პიროფორული) სითხეებისა და წყალრეაქტიული სითხეების კარადების გამწოვი სისტემებისათვის და სხვ.

მნიშვნელოვანია ის, რომ წესების თანახმად, საგამანათლებლო ჯგუფის შენობაში თითოეული პირი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სულ მცირე 0,56 მ² ფართობის უსაფრთხო ადგილით შენობასა და მიწის ნაკვეთის საზღვარს შორის. მანძილი ამგვარ უსაფრთხო ადგილებსა და იმ შენობას შორის, რომელსაც ისინი ემსახურებიან, უნდა იყოს შენობის სიმაღლის ნახევარი, მაგრამ არანაკლებ 15 მ.

ასევე, საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების მონაწილეობით და გერმანული ტექნიკური დახმარების სააგენტოს GIZ-ის მხარდაჭერით მომზადებულია საქართველოს სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის კოდექსი,

რომლის მიზანია საქართველოს ტერიტორიასა და მის ცალკეულ ნაწილებზე ბუნებრივი და ადამიანის მიერ სახეცვლილი გარემოს ფუნქციურ-სივრცითი წესრიგისა და უსაფრთხოების სამართლებრივი წინაპირობების უზრუნველყოფა. სამშენებლო კოდექსი მოიცავს საქართველოში სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობითი დაგეგმვის სისტემას, სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების იერარქიასა და შედგენილობას, მათი შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურას, აგრეთვე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების, შენობა-ნაგებობისა და სამშენებლო მასალის ხარისხის მიმართ ძირითად მოთხოვნებს, მშენებლობის ნებართვის გაცემის, მშენებლობაზე ზედამხედველობისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესს.

კოდექსის თანახმად, შენობა-ნაგებობა ისე უნდა იქნეს დაპროექტებული და აშენდეს, რომ ხანძრის დროს:

ა) შენობა-ნაგებობამ შეინარჩუნოს სიმტკიცე და მდგრადობა;

ბ) უზრუნველყოფილ იქნეს შენობა-ნაგებობის სხვა ადგილებში ცეცხლის ან/და კვამლის გაუვრცელებლობა;

გ) უზრუნველყოფილ იქნეს მომიჯნავე შენობა-ნაგებობაზე ცეცხლის გაუვრცელებლობა;

დ) შესაძლებელი იყოს ადამიანების უსაფრთხო ევაკუაცია და სახანძრო-სამაშველო დანაყოფების მიერ ხანძრის ჩაქრობა, ადამიანებისა და ქონების გადარჩენა.

და, რაც მთავარია, შენობა-ნაგებობა ისე უნდა დაპროექტდეს და აშენდეს, რომ მისი ექსპლუატაციის პერიოდში საფრთხე არ შეექმნას ადამიანის ფიზიკურ არსებობას ან მის ჯანმრთელობას, განსაკუთრებით ელექტროგაყვანილობის დაზიანების, საშენი მასალებისა და ნაკეთობათა ჩამოცვენის, დაჯახების, აფეთქების, წაქცევისა და სხვ. მიზეზით. შენობა-ნაგებობის დაპროექტებისა და მშენებლობის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს სამოქალაქო უსაფრთხოების საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება მოსახლეობის დაცვის, მოსალოდნელი დანაკარგებისა და ნგრევების შემცირებისაკენ, სამაშველო და გადაუდებელი საავარიო-აღდგენითი სამუშაოებისათვის აუცილებელი ხელშემწყობი პირობების შექმნისაკენ.

პროექტის მიხედვით, ქალაქმშენებლობითი დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს სივრცითი დაგეგმვის სფეროში მნიშვნელოვანი საჯარო და კერძო ინტერესების შეჯერება, მათ შორის:

ა) ჯანმრთელობისათვის უვნებელი საცხოვრებელი გარემოსა და უსაფრთხო სამუშაო (შრომის) პირობების შექმნა და შენარჩუნება;

ბ) დასახლებათა სოციალურად სტაბილური სტრუქტურის შექმნა და შენარჩუნება;

გ) სამხედრო თავდაცვისუნარიანობისა და სამოქალაქო უსაფრთხოების კომპლექსური განვითარება;

დ) დასახლებათა დაცვა ბუნებრივი და ტექნოგენური საგანგებო სიტუაციებისაგან, მათ შორის ხანძრისაგან.

პრევენციული ღონისძიებების განხორციელების წესი. საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებები განისაზღვრება და ხორციელდება საგანგებო სიტუაციების საფრთხეებისა და მათგან გამომწვეული შესაძლო საგანგებო ვითარებების ხასიათის (საინჟინრო, ბიოლოგიური, ქიმიური, რადიაციული და სახანძრო) შესაბამისად, უსაფრთხოების სფეროში მარეგულირებელი შემდეგი სახის ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებისა და წესების საფუძველზე. კერძოდ, ესაა:

- სამოქალაქო უსაფრთხოების საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი;

- შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები;

- მშენებლობის სეისმომედეგობის სამშენებლო ნორმები და წესები;

- სახანძრო უსაფრთხოების წესები და პირობები;

- მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ექსპლუატაციის წესები;

- ტექნიკური საფრთხის კონტროლისა და პროდუქტის უსაფრთხოების მოთხოვნები;

- შენობა-ნაგებობის უსაფრთხო ექსპლუატაციის პირობები;

- შრომის უსაფრთხოების დაცვის წესები;

-სანიტარული, ვეტერინარული-სანიტარული და ფიტოსანიტარული უსაფრთხოების, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

- პროფილაქტიკურ-საკარანტინო, ფიტოსანიტარული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესი;

- ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესები;

-ვეტერინარული დანიშნულების ბიოლოგიური და ყველა სახის ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატების (საშუალებების) წარმოების, შენახვის, გადაზიდვის, ექსპორტის, რეექსპორტისა და იმპორტის აღრიცხვისა და გაცემის წესები;

-მაიონებელი გამოსხივების წყაროების მოპყრობისადმი რადიაციული უსაფრთხოების ნორმები და ძირითადი მოთხოვნები;

- კარიერების უსაფრთხოების ნორმები;

- საინჟინრო პრევენციული ღონისძიებების დაპროექტების მოთხოვნები;

- სხვა ტექნიკური რეგლამენტები უსაფრთხოების სფეროში.

საინჟინრო პრევენციული ღონისძიებების დაპროექტების მიზანია საშიში ბუნებრივი და ტექნოგენური პროცესების თავიდან აცილება, სტაბილური საინჟინრო-გეოლოგიური ფორმირების მასივისა და უსაფრთხო

გეოლოგიური გარემოს უზრუნველყოფა ტერიტორიებისა და შენობა-ნაგებობების საინჟინრო დაცვითა და სათანადო საინჟინრო დაცვის სქემებით. საინჟინრო-გეოლოგიური ფორმირების მასივი არის დედამიწის ქერქის გეოლოგიური ზედა ფენების ის ნაწილი, რომელიც ურთიერთქმედებს ნაგებობასთან მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში (მისი ძირითადი კომპონენტია მთის ქანი), ხოლო საინჟინრო დაცვის სქემები - საინჟინრო დაცვის ოპტიმალური კომპლექსის, მისი განხორციელების თანმიმდევრობისა და საორიენტაციო გამსხვილებული ღირებულების განსაზღვრისა და დასაბუთების მიზნით შემუშავებული საპროექტო მასალები.

საინჟინრო დაცვის სქემები შეიძლება იყოს გენერალური, დეტალური და სპეციალური.

საინჟინრო პრევენციული ღონისძიებების დაპროექტება ხორციელდება:

- ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური, საინჟინრო - გეოდეზიური, საინჟინრო-სეისმური, საინჟინრო-ჰიდრომეტეოროლოგიური, ასევე, მოსალოდნელი ტექნოგენური საფრთხეებისა და ამ საფრთხეების მიმართ მისი მოწყვლადობის კვლევის შედეგების საფუძველზე;

- საინჟინრო დაცვის (გენერალური, დეტალური, სპეციალური) სქემებში მიღებულ გადაწყვეტილებათა ვარიანტული დაგეგმარების საფუძველზე;

- ტერიტორიის, არსებული და დასაპროექტებელი შენობა-ნაგებობების გამოყენების თავისებურებათა მახასიათებელი მონაცემების, ასევე ამ მახასიათებლების ცვლილებათა პროგნოზირების, ბუნებათსარგებლობის არსებული რეჟიმისა (ნაკრძალები, სასოფლო სამეურნეო მიწები და ა.შ.) და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების გათვალისწინებით;

- თავიდან აცილებული დანაკარგების შეფასების გათვალისწინებით, პრევენციული ზომების (მათი ერთნაირი ფუნქციური თვისებების შემთხვევაში) საპროექტო გადაწყვეტილებათა შესაძლო ვარიანტების ტექნიკურ-ეკონომიკური შედარების საფუძველზე;

- პრევენციული ზომების ქალაქ- და ობიექტფორმირებითი მნიშვნელობის, ადგილობრივი პირობების, ასევე ანალოგიურ ბუნებრივ პირობებში ნაგებობათა დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის სფეროში არსებული გამოცდილების გათვალისწინების საფუძველზე.

საინჟინრო პრევენციული ღონისძიებების დაპროექტების მიზნით, კვლევების შედეგები უნდა შეიცავდეს საანგარიშო პერიოდში საინჟინრო-გეოლოგიური, სეისმური, ჰიდროლოგიური და ეკოლოგიური პირობების ცვლილების პროგნოზს ბუნებრივი ფაქტორებისა და არსებულ და დასაპროექტებელ განაშენიანებათა გათვალისწინებით. გეოლოგიურად სახიფათო პროცესების განსაკუთრებით რთული შეხამების შემთხვევაში, საინჟინრო დაცვის პრევენციული ზომების დაპროექტების მიზნით საჭიროა დამუშავდეს სპეციალური ტექნიკური პირობები. მოკვლეული და შესწავლილი მასალებიდან გამომდინარე, საინჟინრო პრევენციული ღონისძიებების

დაპროექტების დროს, თუ რთული საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების გამო შეუძლებელი ხდება აუცილებელი გაანგარიშებების ჩატარება ნაგებობათა ანდა ღონისძიებათა შესარჩევად, პროექტის შემდგომი კორექტირების საფუძველზე, საჭიროა მასში ექსპერიმენტული ნაგებობების, ამ ნაგებობებთან დაკავშირებული საინჟინრო დაცვის ზომების ანდა სათანადო საცდელ-საწარმოო ღონისძიებების გათვალისწინება.

პრევენციული ღონისძიებების დაპროექტებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

- დასაცავ ტერიტორიაზე, შენობა-ნაგებობებზე არსებული, ზემოქმედებათა და მათთან დაკავშირებული შესაძლო საშიში პროცესების უარყოფითი ზეგავლენის დასაშვებ დონემდე გამორიცხვა, თავიდან აცილება ან შემცირება;

- ადგილობრივი საშენი მასალებისა და ბუნებრივი რესურსების სრულად გამოყენება;

- დაცვის აქტიური მეთოდების უპირატესად გამოყენების შესაძლებლობა;

- სამუშაოთა წარმოება ისეთი მეთოდებით, რომლიც არ გამოიწვევს ახალი ანდა უკვე განვითარებული გეოლოგიური პროცესების ინტენსიფიცირებას;

- ნაკრძალების, ლანდშაფტების, ისტორიული ძეგლების შენარჩუნება;

- საინჟინრო დაცვის ნაგებობების ადეკვატური არქიტექტურული გაფორმება;

- გარემოს დაცვის ღონისძიებებთან შესაბამისობა;

- განსაკუთრებულ შემთხვევაში - დასაცავი ტერიტორიისა და ობიექტების მდგომარეობაზე, ასევე, საინჟინრო დაცვის ნაგებობების მუშაობაზე მათი მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს მონიტორინგი;

ასევე, აუცილებლობიდან გამომდინარე, პრევენციული ღონისძიებების დაპროექტებისას განხილულ და გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

- სხვადასხვა საექსპლუატაციო ფუნქციის მქონე ნაგებობათა შეთავსების შესაძლებლობა;

- სამუშაოთა შესრულებისას ტექნოლოგიური თანმიმდევრობის მკაცრად დაცვის შემთხვევაში, ნაგებობების ეტაპობრივი აგებისა და ექსპლუატაციაში გაშვების შესაძლებლობა;

- ისეთი სპეციალური კონსტრუქციული გადაწყვეტებისა და ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფენ დაპროექტებული ნაგებობების შეკეთებას, ასევე ექსპლუატაციის პროცესში მათი ფუნქციური დანიშნულების შეცვლას;

- საინჟინრო დაცვის უკვე არსებული ნაგებობის გამოყენებისა და, აუცილებლობის შემთხვევაში, მათი რეკონსტრუქციის შესაძლებლობა.

პრევენციული ღონისძიებების პროექტი აუცილებლად უნდა გულისხმობდეს ისეთ საორგანიზაციო-ტექნიკურ ღონისძიებებს, რომლებიც თავიდან აგვაცილებს მსხვერპლს, გამოირიცხავს ავარიული სიტუაციის შექმნას ან, მისი განვითარების შემთხვევაში, განაპირიბებს დამაზიანებელი ზემოქმედების შესუსტებასა და შესაძლო დანაკარგების შემცირებას.

იმ ტერიტორიის საზღვრები, რომელიც ექვემდებარება შესაძლო საშიში გეოლოგიური პროცესის ზემოქმედებას, რომლის ფარგლებშიც აუცილებელია დამცავი ნაგებობების აშენება და პრევენციული საინჟინრო ღონისძიებების განხორციელება, დგინდება რეკონოსცირებითი კვლევების საფუძველზე და ზუსტდება შემდგომი საინჟინრო კვლევა-ძიებით. ამ ნაგებობის მშენებლობამ და პრევენციული საინჟინრო ღონისძიებების განხორციელებამ არ უნდა გამოიწვიოს მიმდებარე ტერიტორიებზე საშიში გეოლოგიური პროცესების გააქტიურება.

მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარებასა და საინჟინრო დაცვის ნაგებობების მუშაობაზე დაკვირვების მიზნით, პროექტში გათვალისწინებულ უნდა იქნეს საკონტროლო-გამზომი აპარატურის, სათვალთვალო ჭაბურღილების, საგუმბაგოების, გეოდეზიური რეპერების, მარკერების დაყენება.

პროექტი უნდა ითვალისწინებდეს ასევე მონიტორინგს (აუცილებელი დაკვირვებების ხასიათსა და რეჟიმს) და შესაბამის საკომპენსაციო-აღდგენით ღონისძიებებს. მონიტორინგი მოიცავს შემდეგი სახის ორგანიზაციულ ღონისძიებებს: საინჟინრო-გეოლოგიურ პროცესებზე, ობიექტის მშენებლობის და ექსპლუატაციის პერიოდში ტერიტორიისა და შენობა-ნაგებობების საინჟინრო დაცვისა და ანტიისემური ღონისძიებების ეფექტურობაზე, ნაგებობისა და ტერიტორიის მდგომარეობაზე კომპლექსურ დაკვირვებებს; დაკვირვების შედეგების ანალიზის, გაანგარიშებებისა და მოდელირების საფუძველზე, საინჟინრო დაცვის გაძლიერებისა და ნაგებობების კონსტრუქციული სრულყოფის საკითხებზე რეკომენდაციების შემუშავებას; ისეთი დამატებითი ღონისძიებების დაპროექტებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ნაგებობათა საიმედოობასა და საინჟინრო დაცვის ეფექტურობას, რათა გამოირიცხოს უარყოფითი სოციალურ-ეკოლოგიური შედეგები. მონიტორინგი ასევე გულისხმობს აქტიური გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, მეტეოროლოგიური და სეისმური ზედამხედველობის კვალდაკვალ მიმდინარე სხვადასხვა ტიპის უზრუნველყოფის სამუშაოებს.

პროექტებში ნაგებობების საიმედოობა და ტექნიკური ეფექტურობა, ასევე საინჟინრო დაცვის ღონისძიებები, დასაბუთებული უნდა იყოს გაანგარიშებით, ხოლო, დასაბუთების შემთხვევაში - საშიში გეოლოგიური პროცესების მოდელირებით (ნატურაში, ფიზიკური, მათემატიკური და ა.შ.), ამ პროცესებზე თვით ამ დასაპროექტებელი ნაგებობებისა და ღონისძიებების ზემოქმედების გათვალისწინებით.

საინჟინრო დაცვის პროექტის კონკრეტული ვარიანტის ეკონომიკური ეფექტი განისაზღვრება ტერიტორიასა ან ნაგებობაზე საშიში გეოლოგიური პროცესის შესაძლო ზემოქმედებით ზარალის ოდენობასა და დაცვით ღონისძიებებზე გაწეული ხარჯებს შორის სხვაობით. თავის მხრივ, თავიდან აცილებული ზარალის სიდიდე სხვაობაა, საინჟინრო დაცვის განუხორციელებლობის შემთხვევაში სავარაუდო ზარალსა და იმ ზარალს შორის, რომელიც მიიღება აღნიშნული დაცვის განხორციელების შემთხვევაში.

ზარალი უნდა შეფასდეს კომპლექსურად, როგორც მატერიალური წარმოების, ასევე არასაწრმოო სფეროში. შეფასების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს წყლის, ნიადაგის, ფლორისა და ფაუნის დაზიანებით გამოწვეული ზარალიც.

მეწყერსაწინააღმდეგო და ჩამოქცევის საწინააღმდეგო ნაგებობები და ღონისძიებები. მეწყერისა და ჩამოქცევის საწინააღმდეგო საინჟინრო დაცვის დაპროექტებისას განიხილება ამ პროცესების თავიდან აცილებისა და მათი სტაბილიზაციისკენ მიმართული შემდეგი ღონისძიებები და მეწყერდამცავი ნაგებობების გამოყენების მიზანშეწონილობა:

- ფერდობების რელიეფის შეცვლა მისი მდგრადობის ამაღლების მიზნით;

- ზედაპირული წყლების ჩამონადენის რეგულირება ტერიტორიის ვერტიკალური დაგეგმარებით, ზედაპირული წყლების გადაწყვანების მოწყობა, გრუნტში წყლის ინფილტრაციისა და ეროზიული პროცესების თავიდან აცილება;

- მიწისქვეშა წყლების დონის ხელოვნურად დაწევა;
- სატყეო-აგრომელიორაციული ღონისძიებების ჩატარება;
- გრუნტის დამაგრება;
- მეწყერდამჭერი ნაგებობების გამოყენება;

- სახვდასხვა სპეციფიკური ზომების მიღება, მაგალითად, თბური პროცესების რეგულირება თბოდამცავი მოწყობილობებისა და გადახურვების გამოყენებით, გაყინვა- გაღობის პროცესის დამაზიანებელი გავლენისაგან დაცვა, დასაცავი ზონების მონიშვნა და ა.შ.

მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები იყოფა პასიურად და აქტიურად. პასიური ღონისძიებებია:

- მეწყერსაშიში ფერდობების ფუძეში გრუნტის მოჭრის, ორმოების, ქვაბულების მოწყობისა და, ზოგადად, ყოველგვარი გრუნტის ამოღების აკრძალვა;

- მეწყერსაშიში ზონებში ყოველგვარი მშენებლობების აკრძალვა, განსაკუთრებით კი - არხების, წყალსაცავებისა და ჭარბი წყლის მოხმარების ობიექტებისა. რათა თავიდან იქნეს აცილებული გრუნტში წყლის გაყონვა;

- მეწყერსაშიში ზონებში გამავალ სარკინიგზო მაგისტრალებზე მატარებლების სიჩქარის შეზღუდვა;

- დამეწერილი უბნების სიახლოვეს აფეთქებებისა და სამთო სამუშაოების აკრძალვა;
 - წყალგაუმტარი კონსტრუქციების (ბაქნების) მოწყობის აკრძალვა მიწისქვეშა წყლების ამოყონვის ადგილებში;
 - მეწყერსაშიშ ზონებში მიწების უკონტროლო რწყვისა და დახვნის აკრძალვა. საშოვრების მხოლოდ სათიბად გამოყენება, საქონლის მოვების ნაწილობრივ შეზღუდვა ან საერთოდ აკრძალვა;
 - მეწყერსაშიშ ფერდობებზე წვიმისა და თოვლის ნადნობი წყლის სანიაღვრეებიდან და წყლის სადრენაჟო სისტემებიდან გადაგდება;
 - დამეწერილ ტერიტორიებზე ტყის გაშენება;
 - სათონი კულტურების დათესვის აკრძალვა.
- აქტიური ღონისძიებებია:
- მეწყერსაშიშ პროცესების შესაჩერებლად საყრდენი კონსტრუქციების მოწყობა. ამ შემთხვევაში რეკომენდებულია საყრდენი კედლების მოწყობა ნაკლებად მეწყერსაშიშ მონაკვეთებსა და ფერდობებზე;
 - კონტრბანკეტის მოწყობა მეწყერსაშიშ ზოლის ფუძეში. კონტრბანკეტი თავისი წონის გამო არ იძლევა მეწყერის განვითარების საშუალებას;
 - ხიმიწვის მწკრივების მოწყობა მეწყერსაშიშ ფერდობების ფენების გასამაგრებლად. ხიმიწვების (ბეტონის, რკინაბეტონისა და რკინის) განლაგება ჭადრაკულად არა ნაკლებ 2 მეტრ სიღრმეზე.
- მეწყერსაწინააღმდეგო ნაგებობების აგებას წინ უნდა უსწრებდეს შემდეგი პროცედურები:
- მეწყერსაშიშ ტერიტორიებზე ნაგებობების განთავსების სქემის შერჩევა;
 - გრუნტის ზედაპირული დაძაბულობის მდგომარეობის შესწავლა. მიწისქვეშა წყლების დონის ცვლილების ანალიზი, ქანების სიმტკიცის მახასიათებლების გაუარესების ხარისხის დადგენა;
 - მეწყერსაშიშ ფერდობების მგრადობის კოეფიციენტის ცვალებადობის შეფასება;
 - მეწყერსაწინააღმდეგო კონსტრუქციების სახეობის შერჩევა.
- იმ შემთხვევაში, როდესაც მეწყერი გამოწვეულია თიხისებრი ნიადაგის დაძაბული მდგომარეობის (წნევის) ცვალებადობით, ტარდება ფერდობების განაფენიანება, კერძოდ, ფერდობების ზედა ნაწილში მიწის ფენების მოჭრამოსხნა და მათი დაყრა ფერდობის ძირში, იმ ადგილას, სადაც მოსალოდნელია გრუნტის გამოცლის საშიშროება.
- თუ მეწყერს იწვევს მიწისქვეშა წყლები, მეწყერის ზედა ნაწილში მიწისქვეშა წყლების არიდებისათვის უნდა გაკეთდეს შვეული და თარაზული დრენაჟები (სადრენაჟო გალერეების) და თარაზული ჭაბურღილები. როდესაც მეწყერი განპირობებულია ზედაპირულ წყლებით, აუცილებელია ნაპირების

დაცვა აბრაზიისაგან ტალღამსხლეტი კედლების და წყალქვეშა ტალღაჩამნშობის მოწყობით, ასევე რიყის ქვის შემოტანა-დაყრით.

ატმოსფერული ნალექით მეწყრის გააქტიურების დროს ზედაპირული წყლების ნიაღვრების რეგულირება ხორციელდება მიკროპლანირებით. ეს გულისხმობს სანიაღვრე სისტემის, სანიაღვრეების, ქევის, ღარების და ა.შ მოწყობას.

გრუნტის ზედაპირული ფენების გამოფიტვით პროვოცირებული მეწყრის შემთხვევაში ფერდობების გრუნტის ზედა ფენის დასაცავად მასზე ითესება ბალახი, გაშენდება ხეები და ბუჩქნარი ან ნიადაგი იცვლება. ასევე, ხდება მოძრავი მიწის ფენებისათვის მექანიკური წინააღმდეგობის გაწევა ნიადაგის ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლების შეცვლით, რაც მიიღწევა: საყრდენი კედლების, ხიმინჯის რიგების, შპუნტების და კონტრბანკეტების მოწყობით, თიხისებური ნიადაგის გამოშრობით, გამოწვით და ნიადაგის ე.წ. ელექტრო-ქიმიური გამაგრებით.

საფეხუროვანი დახრილობების დაპროექტებისას, ბერმები და ტერასები საჭიროა განთავსდეს გრუნტის პლასტების კონტაქტის ადგილას, ასევე გრუნტის წყლების გამოყოფის უბნებზე. ბერმის (ტერასის) სიგანე, საფეხურის სიმაღლე, ასევე მდებარეობა და ბანკეტის ფორმა უნდა განისაზღვროს ფერდის გაანგარიშებით საერთო და ადგილობრივ მდგრადობაზე, გეგმარებითი გადაწყვეტების, სამუშაოთა წარმოების პირობებითა და საექსპლუატაციო მოთხოვნების საფუძველზე. ტერასებზე აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს წყალარინების, ხოლო მიწისქვეშა წყლების გამოყოფის ადგილებში - დრენაჟის მოწყობა.

არამდგრადი გრუნტების მოცილება საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მათი მდგრადობის უზრუნველყოფა აღმოჩნდება არაეფექტური ან ეკონომიკურად მიუღებელი. ასევე, საჭიროა დასაცავ ფერდობებზე ორგანიზება გაუკეთდეს ზედაპირული წყლების დაუბრკოლებელ ჩამოდინებას, უნდა გამოირიცხოს წყლის შეყოვნება დატბორვად უბნებსა და ფერდობზე, წყლის მოხვედრა ფერდობწინა ტერიტორიიდან. მეწყერსახიფათო ზონაში დაუშვებელია გამწმენდი ნაგებობების წყალსაგდები კოლექტორების განთავსება.

ფერდობის რელიეფის შეცვლის შეუძლებლობის ან მიზანშეუწონლობის შემთხვევაში, მეწყრული პროცესების სტაბილიზაციის მიზნით გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი მეწყერდამჭერი ანდა მეწყერშემაჩერებელი ნაგებობების მოწყობა:

- საყრდენი კედლებისა ბუნებრივ ან ხიმინჯოვან ფუძეზე, ასევე ე.წ. დაკიდული კლოვანი კარნიზების გასამაგრებლად;

- ხიმინჯოვანი კონსტრუქციებისა და ბომებისა - ფერდობების არამდგრადი უბნების დასამაგრებლად და შესუსტებულ ზედაპირებზე გრუნტის მასივების დაძვრის თავიდან ასაცილებლად;

- საანკერო ჩამაგრებებისა - დამოუკიდებელი შემაკავებელი ნაგებობის სახით (საყრდენი ფილებით, კოჭებით და ა.შ) და საყრდენ კედლებთან, ხიმიწვებთან, ზომებთან კომბინირებით. ასევე, ცალკეული კლდოვანი ბლოკების არაკლდოვანი ფერდობების მტკიცე მასივებთან დამამაგრებელი დამოუკიდებელი შემაკავებელი ნაგებობისა;

- კონტრფორსებისა - გრუნტის მდგრად ფენებში შეჭრილი ცალკეული საყრდენებისა, რომლებიც გამოიყენებიან ცალკეული კლდოვანი მასივების შესაკავებლად;

- მასიური სარტყლებისა - არამდგრადი ფერდობების დამჭერი მასიური ნაგებობებისა. ასევე ითვალისწინებენ კლდეებზე გაჩენილი ამონატეხების ამოვსებასა და მოსაპირკეთებელი კედლების მოწყობას - გრუნტის გამოფიტვისა და გაფხვიერებისაგან დასაცავად;

- მეწყერშემამჩერებელი ნაგებობის მუშაობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, როდესაც ეს განპირობებულია ადგილის საინჟინრო-გეოლოგიური პირობებით, ნაგებობის მდგრად გრუნტში ჩაანკერებას.

ხიმიწვებთან კონსტრუქციებად, როგორც წესი, საჭიროა ჩასასობი, დასატენი რკინაბეტონის ხიმიწვების გამოყენება, რაც დასაშვებია იმ შემთხვევაში, როდესაც ხიმიწვის ჩასობის სამუშაოები არ იწვევს ფერდობის მდგრადობის პირობების გაუარესებას.

თუ მიწისქვეშა წყლების არსებობის შემთხვევაში მეწყერშემამჩერებელი ნაგებობის გამოყენება იწვევს ამ წყლების გრუნტში ჩაბრუნებას, უნდა გაკეთდეს პიდროიზოლაცია და ისეთი წყალშემკრები დრენაჟის მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს წყლის გადაგდებას მეწყერშემამჩერებელ ნაგებობაზე მობჯენილი გრუნტის მასივის მიღმა.

მეწყერშემამჩერებელი ნაგებობები და მოწყობილობები (კედლები, ბადეები, ბოძკინტები, ტრანშეები, ბორდიურის კედლის საფხურები და გამონათალები) საჭიროა მოეწყოს ობიექტების ჩამონაქცევების, ჩამონაყარის, ჩამონაშვავის, ცალკეული კლდოვანი ნამსხვრევების ვარდნისაგან დასაცავად, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ობიექტების დაცვა არამდგრადი მასივების მოცილებით შეუძლებელია ან ეკონომიკურად მიზანშეწონილი არ არის. შესაბამისად, მეწყერშემამჩერებელი ნაგებობები უნდა დაპროექტდეს მოცულობითი ჩამონაქცევის ზემოქმედების გათვალისწინებით, სათანადო გაანგარიშებების საფუძველზე.

მეწყერდამჭერი კედლები და ბადეები უნდა განლაგდეს 25° - 35° - ქანობის მქონე ფერდობის ფუძეში ჩამონაქცევების, ჩამონაყარის, ჩამონაშვავის, ცალკეული კლდოვანი ნატეხების ვარდნისაგან, ასევე მოცულობითი ჩამონაქცევისაგან დაცვის მიზნით. დამჭერი კედლის კონსტრუქციების სიმტკიცე და მდგრადობა მოწმდება ჩამონაქცევი მასებისაგან გამოწვეულ სტატიკურ დატვირთვაზე, ასევე კლდოვანი გრუნტის ნატეხების დარტყმით (დინამიკურ) ზემოქმედებაზე.

დამჭერი კედლების, ტრანშეებისა და ბოძკინტების განლაგება დასაშვებია დასაცავი ობიექტის ზევით 30 მეტრამდე სიმაღლესა და 25°-ზე ნაკლები ქანობის ფერდობზე, მაშინ, როდესაც ეს ობიექტი ასეთივე ქანობის ფერდობზე მდებარეობს.

ფერდობზე მდებარე დამჭერი ტრანშეის ქვედა გვერდითი პირი უნდა გამაგრდეს გრუნტში ბოძკინტების მოწყობით, რომელიც გამაგრდება ქვის ან ბეტონის ბლოკის საყრდენი წყობით.

შემომფარგლავი დამცავი კედელი უნდა განთავსდეს 30 მ. სიმაღლეზე 40° - 45° ქანობის მქონე ფერდობის ფუძეში მცირე მოცულობის (0.01 კუბურ მეტრანდე) კლდოვანი გრუნტის ნატეხების დასაჭერად ან კლდოვანი გრუნტის ნაყარის შესაკავებლად.

ბარაჟის ტიპის კედლების მოწყობაა საჭირო ციგაბო ხეობებში მასში ვარდნილი კლდოვანი ნამსხვრევების შესაკავებლად. მის ქვედა ნაწილში კედელში გათვალისწინებული უნდა იყოს ხეში ჩამომავალი წყლის გამშვები დიობი (ხვრელი).

ობიექტები, რომლებიც განლაგებულია ფერდობის ფუძესთან ახლოს, სადაც მოსალოდნელია კლდოვანი ნატეხების ცვენა, აუცილებელია მათ გარემოში დამცავი ბადეებს მოწყობა.

კლდოვანი ქანების ნატეხების ვარდნის სიჩქარის შემცირების მიზანით ბოძკინტები უნდა მოეწყოს 50-60 მეტრამდე სიმაღლეზე 30°-ზე ნაკლები ქანობის ფერდობზე სხვა დამჭერ ნაგებობებთან და მოწყობილობებთან კომპლექსში.

ფერდობის სხვადასხვა სიმაღლეზე რამდენიმე დამჭერი ნაგებობის ან მოწყობილობის განთავსებისას, ბოძკინტების გარდა, პროექტში საჭიროა მათი გადახურვის (გეგმაში) გათვალისწინება არანაკლებ 5 მეტრ სიგრძეზე.

დამჭერი ნაგებობებისა და მოწყობილობების პროექტი უნდა ითვალისწინებდეს სატრანსპორტო საშუალებების თავისუფალი გადაადგილების, ასევე ექსპლუატაციის დროს, დამჭერ უბნებზე ქანების გამოფიტვის შედეგად დაგროვილი მასალის, ჩამონაყარისა და ნარჩენებისაგან გასუფთავების შესაძლებლობას.

დამჭერი ნაგებობებისა და მოწყობილობების გაბარიტული ზომები უნდა შეირჩეს ისე, რომ არ მოხდეს მათზე ფერდობიდან ჩამოცვნილი ქანის ნამსხვრევების ასხლეტა, გადავარდნა და გადაფრენა.

დამჭერი კონსტრუქციის ჩამჭერი ქდეების ზომა და ფორმა განისაზღვრება სიმტკიცესა და მდგრადობაზე გაანგარიშების საფუძველზე, ვარდნილი კლდის ქანის ნამსხვრევების მასის, სიჩქარისა და ზომის გათვალისწინებით.

რკინიგზის, საავტომობილო და ფეხით მოსიარულეთა გზების ჩამოქცევასაში უბნებზე საჭიროა მოეწყოს ჩამოქცევის საწინააღმდეგო გალერეები. შესაძლო ჩამოქცევის ზონაში გალერეები ისე უნდა დაპროექტდეს, რომ გამოირიცხოს კლდოვანი ნამსხვრევების უშუალოდ გალერიის სახურავზე

მოხვედრა. ამორტიზების მიზნით გალერიის თავზე ასევე უნდა გაკეთდეს ფხვიერი მიწის ნაყარი, რომელიც ამცირებს ნატეხების დინამიკურ ზემოქმედებას, უზრუნველყოფს გალერიის სახურავიდან მათ უსაფრთხო გადაგორებას და კონსტრუქციის დაზიანებისაგან დაცვას. ამავე დროს, გალერიის სახურავზე ნაყარის ქვეშ აუცილებელია მოეწყოს ჰიდროიზოლაცია, ასევე გალერიის სახურავიდან ზედაპირული წყლის გადამყვანი სადინარი. მიწისქვეშა წყლების ასარიდებლად, გალერიაში ზედა მხრიდან კეთდება გრძივი წყალშემკრები დრენაჟები.

ტყის აგრომელიორაცია, გრუნტის დამცავი სააფარის მოწყობა და გამაგრება. აუცილებელია სატყეო აგრომელიორაციული ღონისძიებების განხორციელება მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებებთან კომპლექსში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ფერდობების მდგრადობა მის ფუძეში გრუნტის გამაგრებით. სატყეო აგრომელიორაციული ღონისძიებები გულისხმობს გრუნტის გამოშრობის, გამოფიტვის, ეროზიის, მის ზედაპირზე წყლების ინფილტრაციის შემცირების, ჩამონაშალებისა და გამონანგრევების წარმოშობის თავიდან აცილებას.

სატყეო აგრომელიორაციული ღონისძიებების ფარგლებში ხორციელდება მრავალწლიანი ბალახების თესვა, ხეებისა და მრავალწლიანი ბალახების თესვასთან ან დაკორდიანებასთან ერთად ბუჩქების დარგვა. მცენარეების შერჩევა, მათი განლაგება გეგმაში, ჩარგვის ტიპები და სქემები უნდა მიესადაგებოდეს ნიადაგის სახეს, კლიმატურ პირობებს, რელიეფისა და ფერდობის ექსპლუატაციის თავისებურებებს, ასევე ფერდობის დაგეგმარებისა და, ზოგადად, გარემოს დაცვის მოთხოვნებს.

მრავალწლიანი ბალახის დათესვა, დაცვის სხვა დამხმარე საშუალებების გამოყენების გარეშე, დასაშვებია 35° დახრილობის ფერდობებზე, ხოლო უფრო მეტი (45°-მდე) დახრილობისას - მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გრუნტს შემკვრელი მასალებით გავაჯერბთ.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მეწყერული ფერდობების გამოყენება, თუ მათი მორწყვა დაკავშირებულია საშიშ შედეგებთან, საჭიროა შეიზღუდოს.

ფერდობების სუსტი და დაზარალებული გრუნტის გამაგრებისთვის და მისი სიმტკიცისა და ფილტრაციის საწინააღმდეგო თვისებებების ასამაღლებლად დასაშვებია ცემენტოზაცია, სილიკატიზაცია, ნიადაგის ელექტროქიმიური და თერმული გამაგრება.

გამოფიტვისა და ჩამონაშალის თავიდან ასაცილებლად შესაძლებელია ტორკრეტ-ბეტონის, შხეფ-ბეტონისა და აეროცემენტის (აქაფებული ქვიშა-ცემენტის ხსნარის) გამოყენება, ანკერებით წინასწარ დამაგრებული და შეკიდული ბადეების საშუალებით დამცავი ფენის მოსაწყობად. ხოლო, ჰორიზონტალური და დამრეცი ფერდობების ზედაპირიდან ზედაპირული

წყლის გრუნტში ინფილტრაციის შესამცირებლად, საჭიროა ასფალტბეტონისა და ბიტუმიწინერალური დამცავი ფენების გამოყენება.

ღვარცოფის საწინააღმდეგო ნაგებობები და ღონისძიებები. ღვარცოფებისაგან დაცვის ზომები მოიცავს ღვარცოფის საშიშროების შემცირების ან თავიდან აცილების ხერხებსა და ყველა იმ საინჟინრო-ტექნიკურ საშუალებას, რომელიც უზრუნველყოფს ღვარცოფული პროცესების რეგულირებას. ამ შემთხვევაში, რეგულირების უშუალო ობიექტია ღვარცოფული ნაკადი და ღვარცოფული აუზი ანუ ღვარცოფწარმოქმნელი ფაქტორები და, რაც მთავარია, ადამიანის საქმიანობა ღვარცოფსაშიშ რაიონებში. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ღვარცოფული ნაკადების წარმოქმნის პროგნოზირების მიზნით, აუცილებელია მონიტორინგისა და შეტყობინების სამსახურების ფუნქციონირების ორგანიზება.

ღვარცოფსაწინააღმდეგო ღონისძიებები იყოფა ოთხ ჯგუფად:

პირველ ჯგუფს განეკუთვნება საორგანიზაციო-სამეურნეო ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებენ ადამიანთა მსხვერპლის პრევენციას, შესაძლო ზარალის შემცირებასა და ღვარცოფული პროცესების შერბილებას, ღვარცოფსაშიშ რაიონებში სამეურნეო საქმიანობის რეგულირებას. ეს ღონისძიებები (კანონები, ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებები) მიმართულია მთის ფერდობებზე ტყის საფარის მაქსიმალურად შენარჩუნებისაკენ, მთის სამოვრებზე დატვირთვის შეზღუდვისა და რეკრეაციისკენ. კონკრეტულად, საორგანიზაციო-სამეურნეო ღონისძიებებში შედის:

- ადეკვატური დამცავი ზომების არარსებობის შემთხვევაში, ღვარცოფის კალაპოტის აუზში სამრეწველო საწარმოების, საცხოვრებელი სახლების, საავტომობილო, სარკინიგზო და ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტების მშენებლობის აკრძალვა;

- ცივბო ფერდობებზე მიწის დამუშავებისა და დახვნის მთლიანად აკრძალვა;

- მოსალოდნელი საფრთხის შეტყობინების სისტემის შექმნა.

მეორე ჯგუფში გაერთიანებულია აგროტექნიკური ღონისძიებები. ესენია:

- ფერდობებზე ნიადაგის განივი დამუშავება;

- სპეციალური წესების დაცვით თესვა და ნათესების მოვლა;

- ფერდობების ტერასირება;

- ნიადაგდამცავი საბუფერო ზოლების შექმნა.

მესამე ჯგუფს მიეკუთვნება სატყეო-სამელიორაციო ღონისძიებები. ეს ღონისძიებები გულისხმობს ღვარცოფული აუზების მელიორაციას, რაც ითვალისწინებს ღვარცოფული პროცესის განმსაზღვრელი ფაქტორის - ზედაპირული ჩამონადენის რეგულირებას. ასევე, ჰიდრო- და ფიტოსამელიორაციო ღონისძიებებს, რაც მოიცავს ღვარცოფულ აუზებში ტყის მასივების გაშენებასა და ფერდობების დატერასებას, ტბების პროფილაქტიკურ

დაცლას და სხვ. სატყეო-სამელიორაციო ღონისძიებები: ტყედამცავი ზოლების გაშენება და ფერდობებზე ხეების შენარჩუნება გაჩეხვის აკრძალვით; ტყის მავნებლებთან და დამავადებლებთან ბრძოლა და ხეების გაშენება ფერდობებზე და ხეობებში; ფერდობების განივი დახვნა და ტერასირება.

და ბოლოს, მეოთხე ჯგუფი მოიცავს ტექნიკურ ღონისძიებების ეს არის ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობების მშენებლობა, ამ შემთხვევაში, რეგულირების ობიექტია თვით ღვარცოფული ნაკადი, ხოლო ნაგებობების მშენებლობის მიზანია ამ ნაკადის მოძრაობის გზის (მიმართულების) ლოკალიზება ან შეცვლა, მისი გაჩერება დამბების, არხების, კაშხლების საშუალებით და სხვ. ტექნიკური ღონისძიებები ასევე გულისხმობს ღვარცოფსაწინააღმდეგო ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობას, რომელთა დანიშნულებაა ღვარცოფული ნაკადის სახიფათო ზემოქმედების ზონის შემცირების მიზნით მისი შეზღუდვა ან შეჩერება. მუშაობის პრინციპის მიხედვით, განარჩევენ ღვარცოფმარეგულირებელ, ღვარცოფგამყოფ, ღვარცოფშემაკავებელ, ღვარცოფგარდამქნელ ანუ მასტაბილიზებელ და კალაპოტის წარცხვისაგან დამცავ მარტივ ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს.

ღვარცოფმარეგულირებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობები. ესენია: დამბები, ღვარცოფსაშვები, ღვარცოფგამტარი არხები და სხვ. ღვარცოფმარეგულირებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობები ემსახურება ნაკადის გატარებას, ნაკადის მიმართულების შეცვლას, ლოკალიზაციას და გაშვებას დასაცავი ობიექტის ზემოდან ან ქვემოდან. ისინი თავის მხრივ, იყოფიან ოთხი ტიპის ნაგებობებად: 1 - ღვარცოფგამტარი, რომელიც უზრუნველყოფს ღვარცოფის ნაკადის გატარებას დასაცავი ობიექტის ზემოდან ან გვერდიდან; 2 - ღვარცოფმიმართველი (საყრდენი კედლები, სარტყლები, დამბები), რომელიც უზრუნველყოფს დასაცავი ობიექტისაგან ღვარცოფული ნაკადის აცილებას; 3 - ღვარცოფგადამგდები (ხერგილები), რომელიც ეწყობა მთიდან მონადენი წყლის ნაკადის დახრილ კალაპოტში გაშვებისა და ფსკერისა და ნაპირდამცავი ნაგებობების გაძლიერების მიზნით და 4 - ღვარცოფამსხლეტი, რომელიც, როგორც წესი, კეთდება დამცავი დამბებების წინ, ღვარცოფული ნაკადის გადაადგილების მიმართულებასთან არანაკლებ ოცდახუთი გრადუსით ორიენტირებული.

ღვარცოფგამტარი ნაგებობის დაპროექტებისას აუცილებელია გრძივი ღერძი შეუთავსდეს ღვარცოფული ნაკადის დინამიკური მდგენელის ღერძს. ნაგებობის მრუდწირული ფორმის აუცილებლობის შემთხვევაში, ამ ღერძებს შორის კუთხე არ უნდა აღემატებოდეს 8°-ს. ხოლო ღვარცოფგამტარი ნაგებობის საწყისი (წყლის შესასვლელი) უბანი გეგმაზე ისე უნდა იყოს ორიენტირებული, რომ კუთხე გრძივად შეუღლებადი სანაპირო კედლებსა და ძირითადი კალაპოტის გრძივ ღერძებს შორის არ იყოს 11°-ზე მეტი. წყლის შესვლის უბანში ღვარცოფგამტარი ნაგებობის კედლის ამაღლება ღვარცოფული ნაკადის დონესთან მიმართებაში, რეკომენდებულია იყოს არა უმეტეს 0,5H_{max}-ისა. რაც

შეხება ღვარცოფგამტარი ნაგებობის კედლების (გადახურვის) ამალეებას ღვარცოფული ნაკადის დონესთან მიმართებაში, მისი სიდიდე მიიღება $0,2H_{max}$ -ის ტოლი, სადაც H_{max} - ღვარცოფული ნაკადის მაქსიმალური სიღრმეა. H_{max} არ უნდა იყოს 1მ -ზე ნაკლები.

ღვარცოფგამყოფ ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს განეკუთვნება ხერგილები, გისოსური კონსტრუქციები, ფოლადის ბაგირის ღვარცოფშრელები და ღვარცოფშემაჩერებლები. ასეთი ნაგებობები ეწყობა დიდი ღვარცოფების შესაჩერებლად ანდა მხოლოდ მისი მცირე ნაკადის გასატარებლად.

ღვარცოფშემკავებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობები არის ღვარცოფშემკავებელი კაშხლები და ღვარცოფსაცავები, რომლებიც გათვალისწინებულია მთლიან ღვარცოფული მასის ან მისი ნაკადის შემცველი მყარი შედგენილობის უდიდესი ნაწილის შესაჩერებლად. ასეთი ტიპის ნაგებობები იყოფა ორ ჯგუფად: ყრუდ და ნახვრეტანად. ღვარცოფშემკავებელი ყრუ ნაგებობები კეთდება როგორც ღვარცოფის, ასევე ნებისმიერი სხვა სახის, მთაში წარმოქნილი ნიაღვარის შესაჩერებლად. ღვარცოფშემკავებელი ნახვრეტებიანი ნაგებობებს აგებენ ღვარცოფის მყარი ფრაქციის შესაჩერებლად და ნაწრეტი წყლების, წვრილი ფრაქციის გასატარებლად.

ღვარცოფგარდამქნელი ანუ მასტაბილიზებელი ნაგებობები. ძირითადად მათ მიეკუთვნება საშუალო სიმაღლის საყრდენი დამბების სისტემა, რომელიც ეწყობა ღვარცოფული კალაპოტის გასწვრივ და მის გრძივ პროფილს გარდაქმნის მცირე ქანობების მქონე საფეხუროვან პროფილად, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ღვარცოფის ფორმირების შეფერხებას. მასტაბილიზებელი ნაგებობები გამოიყენება ღვარცოფული ნაკადის წყლის ნაკადად ტრანსფორმირებისათვის. ამავე მიზნით, მდინარის ძირითად კალაპოტში, სადაც ჩაედინება ღვარცოფული ნიაღვარი, როგორც წესი, იგება წყალსაცავი. მთლიანობაში ღვარცოფგარდაქმნელი ანუ მასტაბილიზებელი ნაგებობები უზრუნველყოფენ მდინარის (ძირითად) კალაპოტთან ჩასული ღვარცოფული მასის წყლით მაქსიმალურ გაჯერებას, რაც განაპირობებს ღვარცოფის გადასვლას ჩვეულებრივ დატბორვაში.

კალაპოტის მასტაბილიზებელი ნაგებობები აუცილებელია მოეწყოს საგუბრების სისტემის სახით, რომელიც მოიცავს მოცემულ აუზში ღვარცოფული კალაპოტების ყველა უბანს. მისი გაანგარიშება ხდება წვიმიანი შეტბორვის გატარებაზე 2%-იანი გადამეტების ალბათობის გათვალისწინებით. საგუბარის არაკლდოვან ფუძეზე მოწყობის შემთხვევაში, ნაგებობის გამორეცხვის თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა მოეწყოს ქვედა ბიუფში $0,25H$ სიმაღლის კონტრსაგუბარი, რომელიც ძირითადი საგუბარიდან დაშორებული იქნება $2H$ -ის ტოლი მანძილით (სადაც H არის ძირითადი საგუბრის სიმაღლე კალაპოტის ძირიდან, მ). საგუბარი და კონტრსაგუბარი

ერთმანეთს უერთდება გრძივი კედლებით, ხოლო ნაგებობის გვერდების გამორეცხვის თავიდან აცილების მიზნით, შეტბორვის საგუბრის ქოჩორზე გადატარება აუცილებელია სპეციალური სიღრმითი წყალგადასაშვების საშუალებით, რომლის სიგანე განპირობებულია მდინარის ჭალის ნაწილის სიგანით, ხოლო სიღრმე - საანგარიშო წვიმისეული შეტბორვის გატარების მოთხოვნიდან გამომდინარე. წყლის გამოსაშვები ხერხი საგუბრის ტანში უნდა განთავსდეს სიღრმითი წყალგამშვების ჰორიზონტალური გეგმილის საზღვრებში.

საგუბარები იანგარიშება სიმტკიცეზე და მდგრადობაზე, საყრდენი კედლების ანალოგიურად, წყლის ფილტრაციული და ჰიდროსტატისტიკური დაწნევისა და დანალექი ნატანის ზემოქმედების გათვალისწინებით.

კაშხლები გამოიყენება იმ პირობებში, როცა წვიმისეული ან გლიციალური ღვარცოფის წარმოშობის კერა მდებარეობს ღვარცოფწარმოქმნელი შეტბორვის ფორმირების კერაზე დაბლა და ამ უბნებს შორის არსებული რელიეფი მარეგულირებელი მოცულობის შექმნის საშუალებას იძლევა. კაშხალს უნდა ჰქონდეს წყლის გამშვები, რომელიც უზრუნველყოფს მარეგულირებელი მოცულობის ავტომატურად დაცლას ისეთი წყლის ხარჯით, რომელიც არ აჭარბებს ღვარცოფწარმოქმნის მნიშვნელობას, ასევე კატასტროფულ წყლგადაგდებას. მარეგულირებელი საჭირო მოცულობა განისაზღვრება შეტბორვის მოცულობის მიხედვით 1%-იანი გადამეტების ალბათობით, როცა გადაგდება ქვედა ბიეფში მიმდინარეობს ამ შეტბორვის აკუმულაციის პერიოდის განმავლობაში.

კალაპოტის წარეცხვისაგან დამცავი მარტივი ნაგებობები. კალაპოტის წარეცხვისაგან დამცავი მარტივი ტიპის ნაგებობები ეწყობა ღვარცოფული და არაღვარცოფული მთის წყალსადინარების კალაპოტში ნაპირსამაგრი კედლების, ფსკერული საგუბარებისა და სხვა ზომების გატარების სახით.

ზედა ბიეფში ღვარცოფული ნაკადის შეჩერებისა და ღვარცოფული მასის შეროვების მიზნით დასაშვებია წყალსაგდები - ბეტონის, რკინაბეტონის (მათ შორის გამჟოლი ტიპის) და ქვის წყობის, ასევე, მიწაყრილის კაშხლების აგებამოწყობა, ხოლო ღვარცოფული ნაკადის ღვარცოფგამტარი ნაგებობისაკენ მიმართვის მიზნით - მიმართველი და გადამღობი დამბებისა და ე.წ. მიმართველი შვერილების მოწყობა.

ღვარცოფული ნაკადების ფორმირების მონაკვეთებზე ხიდებისა და ესტაკადების საყრდენი მზიდი კონსტრუქციების დაპროექტება უნდა განხორციელდეს კონსტრუქციულ გაანგარიშებათა საფუძველზე, იმ სტატიკურ და დინამიკურ დატვირთვებზე, რომლებიც წარმოიქმნებიან ღვარცოფული ნაკადის შესაძლო მაქსიმალური სიძლიერით ზემოქმედების შედეგად, ხოლო მაგისტრალური გზაგამტარების, ენერგოგამტარებისა და საკომუნიკაციო ხაზების გაყვანა საჭიროა სპეციალური საინჟინრო დაცვის ღონისძიებებისა და კონსტრუქციების გათვალისწინებით.

ღვარცოფის წარმოქმნის მიზეზი, ხშირ შემთხვევაში, შეიძლება აღმოჩნდეს ტბების გარღვევა შესაბამისად, ამიტომ აცილების მიზნით, უნდა აიგოს ე.წ წყალგადამგდები, რომელთა ტიპები (ტრანშეების, სიფონის ან გვირაბის ტიპის და სხვ.) განისაზღვრება მშენებლობის პირობებითა და ტბის ზღუდარების ხასიათის მიხედვით. წყალგადამგდების გაანგარიშება უნდა მოხდეს წყლის ხარჯის 2%-იანი გადამეტების ალბათობის გათვალისწინებით.

ღვარცოფის თავიდან აცილების მიზნით ასევე ეწყობა ტერასები ანუ ე.წ. ტერასა-არხები წვიმისეული შეტბორვებისას წყლის მაქსიმალური ხარჯის შესამცირებლად, კლდიდან ჩამონადენის დაჭერით და მისი შემდგომი გადაყვანით გრუნტში ან წელი ჩადინებით გადამგდებ არხებს ან კალაპოტში. ასეთი ნაგებობის გამტარუნარიანობა უნდა უზრუნველყოფდეს შეტბორვის გატარებას 2%-იანი გადამეტების ალბათობის გათვალისწინებით.

ზვავსაწინააღმდეგო ნაგებობები და ღონისძიებები. თოვლის ზვავისაგან ტერიტორიისა და შენობა-ნაგებობების (ობიექტების) საინჟინრო დაცვის მიზნით გამოიყენება შემდეგი სახის ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებები და ნაგებობები:

- ზვავის ჩამოწოლის პროგნოზირების, ზვავის ჩამოწოლის საფრთხის წარმოშობის დროს სამუშაოთა შეწყვეტის, ზვავსაშიშ ზონებში ხალხის არდაშვებისა და საშიში ზონებიდან ადამიანების ევაკუაციის უზრუნველყოფის მიზნით დაკვირვებების, პროგნოზირებისა და შეტყობინების სამსახურების საქმიანობის ორგანიზება;

- ფერდობზე თოვლის მასის მდგრადობის პროგნოზირების საფუძველზე, ზვავის რეგულირებული დაშვებისა და მისი არამდგრადი თოვლისგან ქვეშეხების გამოყენებით აფეთქებებით, კარნიზების ჩაჭრით და ა.შ. განტვირთვის ზვავის ჩამოწოლის ხელოვნური რეგულირება;

- თოვლის შეგროვების რეგულირებისა და ზვავის წარმოქმნის ადგილებში თოვლის საფარის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით თოვლდამჭერ ნაგებობათა სისტემების მოწყობა (ღობები, კედლები, ხიდები, დაფები, გისოსები), ფერდობების დატერასება, აგროსატყეო მელიორაციის განხორციელება;

- ზვავის წარმოქმნის ზონაში თოვლის დაგროვების თავიდან აცილების მიზნით, გამოფიტული კლდის ფერდობსა და პლატოზე თოვლშემკავებელი ღობეებისა და დაფების სისტემების მოწყობა;

- ზვავის ფორმირების ზონაში თოვლის რეგულირების, გადანაწილებისა და დამაგრების მიზნით თოვლგამგრქვევი პანელების (მშხეფები) და კოლტაფელების მოწყობა;

- ზვავის მიმართულების შეცვლისა და ზვავის მიერ ობიექტის გარსშემოვლის უზრუნველყოფის მიზნით მიმმართველი ნაგებობების: კედლების, ხელოვნური კალაპოტების, ზვავმჭრელებისა და ე.წ. სოლების მოწყობა;

- ზვავის შეჩერების მიზნით დამმუხრუქებელი ან გამაჩერებელი ნაგებობების: ბოქინტების, შვერილების, ტრანშეების, დამბების, უბეების მოწყობა;

- ობიექტზე ან მის ქვეშ ზვავის გამშვების მიზნით გამშვები ნაგებობების: გალერეების, კიდული გადახურვებისა და ესკატადების მოწყობა.

ზვავსაწინააღმდეგო ნაგებობებისა და ღონისძიებების შერჩევასა და გათვალისწინებულ უნდა იქნეს: ზვავისა და თოვლის საფარის რეჟიმი და მისი ფორმირების ზონაში სხვა განმსაზღვრელი მახასიათებლები, ასევე ზვავშემკვრების მორფოლოგია, დასაცავი ნაგებობების დანიშნულებიდან გამომდინარე საიმედოობის ხარისხი, მათი კონსტრუქციული და საექსპლუატაციო თავისებურებები.

ზვავსაწინააღმდეგო ნაგებობების გაანგარიშება ხდება შემდეგი ძირითადი მახასიათებლების: თოვლის საფარის სიმაღლის 1-5%-იანი გადამეტების ალბათობის (დასაცავი ობიექტის დანიშნულებიდან გამომდინარე, დასაცავი ნაგებობის საპასუხისმგებლო მნიშვნელობის შესაბამისად); მცოცავი თოვლის სტატიკური და დინამიკური დაწნევის; ნაგებობის მოწყობის წერტილში ზვავის მოძრაობის სიჩქარის; ნაგებობაზე ზვავის დაწნევის და ზვავის ფრონტის სიმაღლის გათვალისწინებით.

მცოცავი თოვლის სტატიკური და დინამიკური დაწნვა თოვლდამკერ ნაგებობაზე განისაზღვრება ექსპერიმენტალურად ან გამოითვლება თოვლის საფარის სიმაღლის, მისი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების, ცოცვადობის, ფერდობის ზედაპირისა და სიმრუდის ხასიათის, თოვლის საფარის მასივის (პლასტის) ნაგებობის ორ გვერდითა რიგს შორის ჩამოსრიალების შესაძლებლობის გათვალისწინებით.

ზვავდამცავ ნაგებობაზე ზვავის დაწნევა განისაზღვრება უშუალო დაკვირვების ან გაანგარიშებების საფუძველზე ნაგებობის მოწყობის წერტილში ზვავის მოძრაობის სიჩქარის, ზვავის თოვლის სიმკვრივის, ზვავსა და ნაგებობას შორის წარმოშობილი კუთხის, ნაგებობის ფორმისა და ზომების გათვალისწინებით. სექციური ტიპის ცალკეული ნაგებობების გვერდით მონაკვეთებზე, რომელთა სიგრძე ნაკვეთურის სიმაღლის 1/3 -ია, თოვლის დაწნევა 3-ჯერ გადიდებული სიდიდის ტოლი აიღება. დამამუხრუქებელ ნაგებობათა ორ გვერდითა რიგს შორის ზვავის ნაკადის სიჩქარის ცვლილების სიდიდე აიღება შესაბამისი გაანგარიშების საფუძველზე.

თოვლის შემაკავებელი ნაგებობები უნდა განთავსდეს ზვავის ფორმირების ზონაში უწყვეტ ან სექციურ რიგებად ზვავშემკვრები სისტემის გვერდით საზღვრებამდე. ნაგებობათა ზედა რიგი უნდა მოეწყოს ზვავის მოწყვეტის ხაზის ყველაზე მაღალი მდებარეობიდან ან თოვლგამფრქვევი ღობეების ან კოლქტაფელების განლაგების ხაზიდან არაუმეტეს 15 მ-ით ქვევით ფერდობზე. თოვლდამკერი ნაგებობების რიგები უნდა განთავსდეს თოვლის საფარის სრიალის მიმართულების პერპენდიკულარულად.

ფერდობის წყვეტილი (სექციური) განაშენიანებისას ზედა რიგის სექციათა ყოველ წყვეტას შორის უნდა განთავსდეს ქვედა რიგის სექცია (ე.წ.ჰადრაკული წესით).

თოვლშემკავებელი ღობის, კედლისა და ა.შ. სიმაღლე და მათ რიგებს შორის დაშორება განისაზღვრება თოვლის საფარის სიმაღლის, თოვლის საფარის ნამქერით მიღებული დამატებითი სიმაღლის, თოვლის საფარის ცოცვისა და მისი დამქერთან შეგროვების ხარისხის შესაბამისად, ასევე თოვლშემკავებელი ნაგებობების რიგებს შორის თოვლის მასივის (პლასტის) ცოცვის, ფერდობის დახრილობისა და მისი ზედაპირის ხასიათის გათვალისწინებით.

თოვლშემკავებელი ნაგებობის საყრდენი ზედაპირი უნდა განთავსდეს ფერდობის ზედაპირის მართობულად ან უნდა გადაინაროს ფერდობის შვეულის მიმართ 15° -ით ფერდობის გასწვრივ ქვევით. ბაღეებით გაკეთებული საყრდენი ზედაპირის გადახრა შესაძლებელია 30° -მდე. ნაგებობა ისე უნდა დაპროექტდეს, რომ გათვალისწინებულ იქნეს ნაგებობის ზედაპირსა და ჰორიზონტის მართობულ (ცალკეულ შემთხვევებში - ფერდობის მართობული) ზედაპირებს შორის თოვლის პრიზმის წონა.

ზვავის თავიდან აცილების მიზნით ხორციელდება ფერდობების დატერასება. ამ შემთხვევაში ზვავის ფორმირების ფერდობის დახრილობა არ უნდა აღემატებოდეს 30° -ს. უფრო მეტი ქანობის ფერდობებზე ეწყობა ტერასები, მხოლოდ თოვლშემკავებელ ნაგებობათა რიგებს შორის ხეების დარგვის მიზნით. ტერასის თაროების სიგანე აიღება თოვლის ნაკადის სიმაღლის საანგარიშო მნიშვნელობის არანაკლებ $1,5 \div 1,8$ (უდიდესი სიდიდე შეესაბამება ფხვიერი თოვლის შემთხვევას), ტერასების სიმაღლე არაუმეტეს ტერასის სიგანისაა.

ფერდობებზე ზვავის თავიდან ასაცილებელი ნაგებობების მშენებლობასთან ერთად უნდა განხორციელდეს აგროსატყეო-სამელიორაციო ღონისძიებები, რაც გულისხმობს ზვავის ფორმირების ზონებში მოცემულ ტერიტორიაზე ბუნებრივად გავრცელებული ტყის მცენარეთაგან, სწრაფად მზარდი ხეების დარგვას.

არამდგრადგრუნტიან ფერდობებზე შეკიდული თოვლდამქერი ნაგებობების მოწყობა დასაშვებია, შემდეგი პირობით - ძირითად კლდოვან ქანზე ანკერები მაგრდება ზვავის მოწყვეტის ხაზის ზემოთ.

თოვლგამფრქვევი პანელები (საშხეფები) დგება ჰორიზონტის მიმართ 70° - 90° კუთხით უწყვეტი რიგით ან წყვეტილად ზვავის ფორმირების ზონის ზედა ნაწილებში (შვერილებში). პანელებს შორის ღრეჩო შესაძლებელია იყოს პანელის სიმაღლის $0,2$ - $0,3$ -ნაწილი ანუ 3 - 4 მ. პანელის ქვედა კიდის დაშორება ზვავის ფორმირების ზონის ზედა ნაწილების (შვერილების) ზედაპირიდან არ უნდა აღემატებოდეს პანელის სიმაღლის $0,25 \div 0,3$ ნაწილს. რიგებში წყვეტა-შეიძლება უკავშირდებოდეს ზვავის ფორმირების ზონის ზედა ნაწილების (შვერილების) მორფოლოგიის თავისებურებებს.

ქარპირა მხარეს ან პლატოზე, თოვლდამჭერი ღობეების ბოლო რიგსა და თოვგამფრქვევ პანელებს შორის, ზვავის ფორმირების ზონის ზედა ნაწილებში (შვერილებში), მანძილი უნდა იყოს არანაკლები თოვლდამჭერი ღობის სიმაღლეზე 12-13 -ჯერ მეტი.

როცა გაბატონებული ქარის მიმართულება ნაგებობის ფრონტის მიმართ 50°-დან 90°-ის ზღვრებშია, გამოიყენება ყველა ტიპის თოვლგამფრქვევი ნაგებობა, ხოლო გაბატონებული ქარის 30°-50° კუთხით ზემოქმედების დროს ან გაბატონებული ქარების საერთოდ არ არსებობის შემთხვევაში რეკომენდებულია პირამიდული და ჯვარედინი კოლკტაფელების მოწყობა.

კოლკტაფელები უნდა განთავსდეს ზვავის ფორმირების ზონაში 2 // მანძილზე თოვლგამფრქვევი ღობის ქვემოთ, სადაც // კოლკტაფელის სიმაღლეა და მიღება 4-4,5მ.-ის ტოლი. კოლკტაფელების პანელებსა და ფერდობის ზედაპირს შორის დაშორება უნდა იყოს 1-1,5 მეტრი. თოვლგამფრქვევი პანელების არარსებობის დროს კოლკტაფელის ზედა ხაზი უნდა განთავსდეს ზვავის მოწყვეტის ხაზის ყველაზე მაღალ დონეზე. კოლკტაფელის ფორმა და ზომები განისაზღვრება მათი განთავსების ზონაში ქარიანობისა და თოვლიანობის პირობების მიხედვით.

როდესაც ფერდობის დახრილობა ნაკლებია 23°-ზე, ზვავშემაჩერებელი ნაგებობა უნდა დაპროექტდეს ზვავის დალექვის ზონში მისი გამოტანის კონუსებში სიჩქარის შემცირების ან მთლიანად ჩაქრობის მიზნით. ცალკეულ შემთხვევებში, თუ დასაცავი ობიექტი აღმოჩნდა ზვავის ფორმირების ზონაში და ზვავს არ გააჩნია დიდი სიჩქარის ასაკრებად გასარბენი, მაშინ დასაშვებია ზვავშემაჩერებელი ნაგებობის განთავსება 23°-ზე მეტი დახრილობის ფერდობზეც.

ზვავშემაჩერებელი ნაგებობების სიმაღლე უნდა დაინიშნოს არანაკლებ თოვლის საფარის საშუალო და ზვავის ფრონტის ფორმირების ადგილზე სისქეთა ჯამისა.

ზვავშემაჩერებელ ნაგებობებს შორის მანძილი, რიგში, ინიშნება ნაგებობის სიმაღლეზე 3÷4 ჯერ, ხოლო რიგებს შორის - 4÷5 ჯერ მეტი. ქვედა რიგში, ნაგებობები უნდა განლაგდეს ზედა რიგების შუა წერტილების გასწვრივ. რიგების რიცხვი განისაზღვრება ზვავის მოძრაობის სიჩქარის შემცირების პირობიდან გამომდინარე, ზვავშემაჩერებელი ნაგებობის ზომების გათვალისწინებით, გაანგარიშების საფუძველზე. ამავე დროს, რიგების რიცხვი არ უნდა იყოს სამზე ნაკლები.

ზვავშერელები, მიმართველი დამბები და კედლები ეწყობა 23°-ით დახრილ ფერდობებზე ზვავის დალექვის ზონის უბნებში. ამ შემთხვევაში, ნაგებობათა სიმაღლე არ უნდა იყოს ზვავის ფრონტის სიმაღლეზე ნაკლები. ნაგებობასთან ზვავის დაჯახების დაწყების ადგილში, ნაგებობის გრძივ ღერძსა და ზვავის გადაადგილების მიმართულებას შორის კუთხე არ უნდა აღემატებოდეს 10°-ს.

ზვავის დალექვის ზონაში ზვავშემაკავებელი ნაგებობების (დამბები და კედლები) მოწყობა დაუშვებელია, როდესაც ფერდობის დახრა 23°-ზე და ნაგებობის განთავსების ადგილას ზვავის სიჩქარე 25მ/წმ-ზე ნაკლებია.

მთის ფერდობზე, ნაგებობასთან ზვავის მიახლოების მხრიდან უნდა ამოითხაროს ორმოები ზვავის ნატანის აკუმულირებისათვის. მათი მოცულობა არ უნდა იყოს ზვავის საანგარიშო მოცულობაზე ნაკლები.

ზვავსაწინალო გალერეა გამოიყენება ზვავის ნაკადის გადასატარებლად საავტომობილო გზებისა და რკინიგზის ხაზის ზემოდან ზვავის ტრანზიტის იმ უბნებზე, სადაც ზვავი ლოკალიზებულია რელიეფის პირობებით (მკვეთრად გამოკვეთილი რელიეფის დარებით) ან შესაძლებელია მათი ლოკალიზება ზვავმიმმართველი ნაგებობების ან ხელოვნური დარების მოწყობით. აუცილებლობის შემთხვევაში, ზვავმიმმართველი ნაგებობა შესაძლებელია გამოდიოდეს გალერიის სახურავზეც.

ზვავის გასატარებლად გრძივი ობიექტების ქვეშ კეთდება სპეციალური ვიადუკები და ხიდები. მათი გამშვები ხერხელების ზომა ისეთი უნდა იყოს, რომ ზვავი შეუფერხებლად გაატაროს, კონსტრუქციულმა ელემენტებმა კი გაუძლონ თოვლჭაეროვანი ნაკადის წწევას. ვიადუკები და ხიდების აგება მიზანშეწონილია მხოლოდ რელიეფით განპირობებული ზვავის ლოკალიზების ადგილებში.

ზვავსაწინალო ნაგებობების დაპროექტებისას ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ზედპირული წყლების გადაგდება და სადრენაჟო სისტემის მოწყობა.

ზღვის, მდინარეების, ტბებისა და წყალსაცავების დამცავი ნაგებობები და ღონისძიებები. ნაპირდამცავი ნაგებობების მშენებლობა და ნაპირდაცვის ღონისძიებები ხორციელდება ზღვის, მდინარეების, ტბების და წყალსაცავების საბაზისო ნაპირის დაცვის, არსებული სანაპირო ზოლის (პლაჟების) შენარჩუნებისა და გაფართოების, ხელოვნური სანაპირო ზოლის (პლაჟების) შექმნისა და ზღვის მოქცევის დროს წყლის დონის მომატებით გამოწვეული დაბლობი ტერიტორიების დატბორვისაგან დაცვის მიზნით.

ნაპირსამაგრი ნაგებობები და ღონისძიებები მუშაობის პრინციპის მიხედვით არის ტალღადამცავი, ტალღაჩამხშობი, სანაპირო ზოლის დამკერი და სპეციალური სახის. ტალღადამცავი ნაგებობები ნაპირის მიმართ მდებარეობის მიხედვით შეიძლება იყოს ნაპირგასწვრივი და ნაპირმართობული.

ნაპირგასწვრივი ნაგებობებია:

- სანაპირო საყრდენი კედლები ტალღამხსლეტი პროფილის მონოლითური და ასაწყობი ბეტონისა ან/და რკინაბეტონისაგან, ასევე ქვის, ხიმინჯოვანი ანაწყობი - ზღვის, მდინარეების, ტბების და წყალსაცავების სანაპიროებზე შენობა-ნაგებობების, საავტომობილო გზების, რკინიგზისა და მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვის მიზნით;

- მეღვინეობის ან ხიმიწობის კედელი (რკინაბეტონისა და ლითონის)
- მდინარეებისა და წყალსაცავის შემთხვევაში;

- საფეხუროვანი ჩამაგრება ტერასების ფუძის გამაგრებით - ზღვისა და წყალსაცავის შემთხვევაში, რომლებიც ხასიათდებიან 15°-ზე მეტი ქანობის მქონე დამრეცი ნაპირით.

- მასიური ტალღამტეხები - ზღვასა და წყალსაცავზე წყლის სტაბილური დონის უზრუნველსაყოფად.

ნაპირმართობული ნაგებობებია:

- ნაპირის დამრეცი ზედაპირების ბეტონის, ასფალტბეტონისა და ასფალტის მონოლითური საფარი - ზღვაზე, მდინარეზე, წყალსაცავზე, მიწის საყრდენი ნაგებობების (საყრდენი მიწაყრილების) ფერდობებზე, მათი საკმარისი სტატიკური მდგრადობის უზრუნველსაყოფად;

- ნაპირის დამრეცი ზედაპირების დაფარვა ასაწყობი ფილებით - 2,5 მ.-ის სიმაღლის ტალღების შემთხვევაში;

- ნაპირის დაფარვა დრეკადი ფილებითა და ბადისებრი ბლოკებით, რომელიც შეესაბამება ქვებით, ასევე, სინთეზური მასალით ან მეორეული ნედლეულით.

ტალღაჩამშობი ნაგებობებიც ნაპირის მიმართ განლაგების მიხედვით შეიძლება იყოს ნაპირგასწვრივი და ნაპირმართობული.

ზღვისა და წყალსაცავის შემთხვევაში, ნაპირგასწვრივია - გამჭოლი ნაგებობები აღქურვილი დაწნევის ფოროვანი კიდეებითა და ტალღის ჩამშობი კამერებით.

ნაპირმართობულს მიეკუთვნება:

- ქვების ნაყარი - წყალსაცავების, მდინარეების, მიწის საყრდენი ნაგებობები (საყრდენი მიწაყრილების) ფერდობების შემთხვევაში, როცა არ არსებობს რეკრეაციული ღონისძიებების გამოყენების აუცილებლობა;

- ფასონური ბლოკების ჩაყრა ან მათი წყობის აგება - ზღვისა და წყალსაცავის შემთხვევაში, როცა არ არსებობს რეკრეაციული ღონისძიებების გამოყენების აუცილებლობა;

- ხელოვნური თავისუფალი სანაპიროები (პლაჟები) - ზღვისა და წყალსაცავისათვის, რომლებიც ხასიათდებიან 15°-ზე ნაკლები ქანობის მქონე დამრეცი ნაპირით, ნაკლებად გამოხატული ნაპირგასწვრივი ნატანის გადაადგილებით შექმნილი პირობებითა და წყლის დონის სტაბილურობით.

ნაპირის მიმართ განლაგების მიხედვით სანაპირო ზოლის დამკვეთი ნაგებობებიც შეიძლება იყოს ნაპირგასწვრივი და ნაპირმართობული.

ნაპირგასწვრივია:

- ქვისაგან, ბეტონისა და ბეტონის ბლოკისაგან გაკეთებული წყალქვეშა ბანკეტები - ზღვისა და წყალსაცავის ნაკლებტალღიანი სანაპირო ზოლის გამაგრების მიზნით;

- ლოკალურ უბნებზე ჩატვირთული ინერტული მასალა (ქვის ბანკეტები, ქვიშის ნაყარი და სხვ.) - შედარებით მცირე ქანობის მქონე ნაპირის წყალსაცავების გასანაგრებლად. ნაპირმართობულია (ფერდული): ტალღამჭრელები, მოლი, შვერილები (გრავიტაციული, ხომინჯოვანი, ფასონური, ბლოკებისაგან და სხვ.) - ზღვაზე, წყალსაცავებში, მდინარეებში ბუნებრივი და ხელოვნური სანაპიროების შესაქმნელად და შედარებით მცირე დახრის ფერდობების დასამაგრებლად ნაპირის გასწვრივ ნატანის განვითარების პირობებში.

სპეციალური ნაპირსამაგრი ნაგებობები და ღონისძიებები მუშაობის პრინციპის მიხედვით შეიძლება იყოს მარეგულირებელი, ნაკადმიმმართველი და ფერდობის გამამგრებელი.

მარეგულირებელ ნაპირსამაგრ ღონისძიებებს განეკუთვნება:

- მდინარის დინების მართვა (წყლის გადაადების რეგულირება, ჩამონადენი წყლების ერთ კალაპოტში მოქცევა და სხვ.) ზღვაზე ნატანის მოცულობის გასადიდებლად ნაპირის გასწვრივ ნაკადის მცირე გამტარუნარიანობის მონაკვეთების შემოვლით;

- ნატანის მარაგების ბაზირების შეცვლა (ნატანის ნაპირის გასწვრივ გადასროლა, წყალქვეშა კარიერების გამოყენება და სხვ.) - ზღვებსა და წყალსაცავებზე ნატანის ბალანსის რეგულირებისათვის;

- ასევე, ისეთი ნაგებობების გამოყენება, რომლებიც რელიეფის ბუნებრივი ფორმების იმიტაციას ახდენენ - წყალსაცავების შემთხვევაში, ნაპირისათვის დამახასიათებელი პროცესების დასარეგულირებლად.

ნაკადმიმმართველი ნაპირსამაგრ ნაგებობებია:

- ქვაყრებისაგან მოწყობილი ჭავლმიმმართველი დამბები - მდინარეებზე ნაპირების დასაცავად და ნაპირის წარეცხვის თავიდან აცილების მიზნით დინების ღერძის მიმართულების შესაცვლელად;

- მიწის ნაკადმიმმართველი დამბები და მასიური გამჭოლკვეთიანი ნაკადმიმმართველი შვერილები და ნახევრად ჩამხერგავები - მცირე სიჩქარიანი მდინარეებზე ნაკადის მიმართულების შესაცვლელად.

ფერდობის გამამაგრებელ ნაპირსამაგრ ღონისძიებებს მიეკუთვნება ფერდობის გრუნტის ხელოვნურად ჩამაგრება წყალსაცავებში, მდინარეებში, მიწაყრილის ნაგებობების ფერდობებზე. ფერდობის გამამაგრებელ ასეთ ზომებს მიმართავენ მაშინ, როცა ტალღის სიმაღლე 0,5 მ-ს არ აღემატება.

ნაპირსამაგრი ნაგებობებისა და ღონისძიებების სახეობების ან მათი კომპლექსის შერჩევა უნდა მოხდეს ნაპირის დასაცავი მონაკვეთის დანიშნულებისა და გამოყენების რეჟიმის, ამავე დროს, აუცილებელ შემთხვევებში ნაოსნობის, ხე-ტყის დაცურების, წყლის გამოყენებისა და სხვა პირობების გათვალისწინებით.

ნაგებობების კონსტრუქციის შერჩევასა, მათი დანიშნულების გარდა, გასათვალისწინებელია ადგილობრივი საშენი მასალების არსებობა და სამუშაოთა წარმოების შესაძლო ხერხები.

ზღვის ნაპირსამაგრი ნაგებობებისა და ღონისძიებების კომპლექსში გათვალისწინებულ უნდა იქნეს მდინარეთა წყალშემკრები უბნებიდან ჩამონადენების რეგულირება, სანაპირო ზოლის ადგვავატური ცვლილების ან მისი მდინარის ნატანით უზრუნველყოფის მიზნით.

შეტბორვისა და დატბორვისაგან დაცვის მიზნით წყალდიდობის შემთხვევაში საინჟინრო პრევენციული ღონისძიებებია:

- ტერიტორიების ზედაპირის ხელოვნური ამაღლება და მოზვივნვა;
- მიწაყრილების (დამბების) მოწყობა;
- მდინარის კალაპოტში შენაკადებიდან წყლის რეგულირება, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ჩადინებისა და გადაადების რეგულირება. ასევე, ზედაპირული წყლების რეგულირება წყალსაცავებში;
- დრენაჟის სისტემებისა და ცალკეული დრენაჟების მოწყობა;
- კალაპოტისა და მცირე მდინარეთა ჩანადენების რეგულირება;
- კალაპოტების გასწორებაზოვნება და ჩაღრმავება, მათი გაწმენდა, კოლექტორში ჩართვა;

- მომატებული „ჭარბი“ წყლების ე.წ. „გადაგდება“;
- ნაპირსამაგრი კონსტრუქციების მშენებლობა;
- აგროსატეო მელორაცია.

დაპროექტებისას საგანგებო სიტუაციის ზონაში საჭიროა განვასხვავოთ შემდეგი სახის ტერიტორიები:

- დატბორილი - გამომშობის საპროექტო ნორმაზე მაღალი მიწისქვეშა წყლების დონით განსაზღვრული ტერიტორიები;
 - პოტენციურად დასატბორი - ლითოლოგიური აღნაგობისა და რელიეფის, ინფილტრაციული წყლების, ატმოსფერული ნალექებისა და წყალგამტარი კომუნიკაციებიდან გამოწვეული წყლების დაგროვების ხელშემწყობი ფილტრაციის მცირე ფენებზე დაწინააღმდეგებულ წყალდაწოლის მაღალი კლებადობით გამოჩეული ტერიტორიები;
 - დაუტბორავი (მრავალწლიანი პერსპექტივით) - საკმაოდ მძლავრი სისქის მფილტრავ დაწინააღმდეგებულ მიწისქვეშა წყლებისაგან განტვირთვის საკმარისი შესაძლებლობის ტერიტორიები;
 - მდინარეების ადიდების გამო (დროებით დატბორვადი) და წყალსაცავების გადავებისას (მუდმივად დატბორვადი) დატბორილი ტერიტორიები;
 - ტერიტორიები, რომლებიც არ ექვემდებარება დატბორვას.
- დატბორილი ტერიტორიის დასაცავად განხილულ უნდა იქნეს დრენაჟის მოწყობის მიზანშეწონილობა, მათ შორის ტერიტორიის ამაღლებასთან შეთანწყობით (იგულისხმება ხელოვნური რელიეფის შექმნა).

პოტენციურად დასატბორი ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს პროფილაქტიკურ ღონისძიებათა სისტემა შემდეგი საინჟინრო დაცვის ზომების სახით:

- ტერიტორიის საინჟინრო მომზადება - რელიეფის ორგანიზება, მუდმივი და დროებითი წყალსაწრეტებისა და წყალამრიდი გზების მოწყობა;

- საინჟინრო დაცვის ლოკალური საშუალებების გამოყენება, კერძოდ, პლასტური, რადიალური, წრიული და შენობა-ნაგებობების საძირკვილიდან შესაძლო ბარაჟული ეფექტების თავიდან აცილებელი დრენაჟების მოწყობა, წვიმისა და სახურავიდან ჩამონადენი წყლის ჩადინების ორგანიზება;

- წყალგამტარი კომუნიკაციებიდან დანაკარგებისა და რეზერვუარებიდან გაჟონვის თავიდან აცილება. მაგალითად, დრენაჟისა და სხვა სპეციალური ღონისძიებების განხორციელება.

დროებითი და მუდმივი დატბორვისაგან ტერიტორიის დასაცავად გამოყენებულ უნდა იქნეს ტერიტორიის ხელოვნური ამაღლება ან მიწაყრილის დამბები.

დატბორვის გამო ტერიტორიის ამაღლებისას დატბორვის საპროექტო ნიშნული უნდა აკმაყოფილებდეს გამოშრობის საჭირო ნორმას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს მოწისქვეშა წყლების დონის აწევის პროგნოზსა და ღია წყალსაცავებისა და წყალჩამონადენების რეგულირების სადრენაჟო სისტემების ეფექტურად მუშაობისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფას.

ამაღლებული ტერიტორიისა და მიწაყრილის ფუძის დრენაჟირება ისე უნდა დაგეგმარდეს, რომ შესაძლებელი იყოს:

- გრუნტის ზედა ფენებში გამოჟონვების არსებობა და ინფილტრაციის შედეგად მიწისქვეშა წყლების წარმოქმნა;

- მდინარის ადიდებითა და გვერდითი ჩამონადენი წყლებით გამოწვეული დატბორვისაგან ტერიტორიის დაცვა;

- მიმდებარე ტერიტორიებიდან მიწისქვეშა წყლების განტვირთვა.

დამბების პროექტი უნდა ითვალისწინებდეს:

- არქიტექტურულ-დაგეგმარებითი დავალებების შესაბამისად, წყალსარგებლობის ტექნიკური რეგლამენტებით გათვალისწინებულ, დამცავი დამბისა და დასაცავი ტერიტორიის კეთილმოწყობის ღონისძიებათა კომპლექსს;

- კალაპოტის შევიწროებით გამოწვეული მისი სახიფათო წარეცხვის, მეწყრული საფრთხის შემცველი ნაპირისა და გაუმაგრებელ ნაპირებთან ნაგებობათა შეუღლების უზნების წარმოქმნის თავიდან აცილებას.

მიწისძვრის შედეგების პრევენციული ღონისძიებები. ანტისეისმური პრევენციული ღონისძიებები ხორციელდება არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციით ან ძველი და დაზიანებული შენობა-ნაგებობის აღდგენა-გამლიერებით. ის ეფუძნება სეისმური დარაიონების რუკების საფუძველზე სპეციალურად დამუშავებულ პროექტებს, რომელშიც გათვალისწინებულია

შენობა-ნაგებობების სეისმომდეგობის აუცილებელ დონემდე. ამადლეზა ანდა მათი სეისმომდეგობის ხარისხის გარკვეული დონით გაზრდა.

ანტისეისმური პრევენციული ღონისძიებებია:

- მიკროსეისმური დარაიონების რუკების მიხედვით არასაკმარისი სეისმომდეგობის შენობა-ნაგებობების შეცვლა უფრო მაღალი მედეგობის ნაგებობებით;

- ტექნოლოგიური მოწყობილობების, ასევე მძიმე (მასიური) ავეჯისა და ხიფათის შემცველი სხვა ტექნიკური აქსესუარების სეისმური ზემოქმედებისაგან დაცვის საინჟინრო-კონსტრუქციული ღონისძიებების განხორციელება;

- სეისმოტექტონიკური რღვევის უბნებზე გზაგამტარების, ენერგოგამტარების და საკომუნიკაციო ხაზების გაყვანილობათა რეკონსტრუქცია-გამლიერება სეისმოჩამხშობი კონსტრუქციების, მოწყობილობებისა და სხვა ანტისეისმური ღონისძიებების გათვალისწინებით;

- შენობა-ნაგებობების სეისმოიზოლაციის უზრუნველყოფა შემდეგი სახის ელემენტების მოწყობით:

ა) ელემენტები, რომლებიც ზრდიან ნაგებობის საკუთარი რხევების პერიოდებსა და მოქნილობას (მოქნილი ღეროები, რეზინ - ლითონის საყრდენები და სხვ.);

ბ) ელემენტები, რომლებიც ზრდიან სეისმური რხევების ენერჯის შთანქმის (დისიპაციის) უნარს (მშრალი ხახუნის დემფერები, სრიალა საყრდენები, ჰისტერეზისული, ბლანტი დემფერები);

გ) სარეზერვო გამოსართავი ელემენტები;

დ) ჰორიზონტალური გადაადგილების შემზღუდავი საბრკენები.

არსებული შენობა-ნაგებობის სეისმომდეგობის გაზრდა შესაძლებელია შემდეგი კონსტრუქციული ღონისძიებების შესრულებით:

- არსებული შენობა-ნაგებობის მოცულობით-გეგმარებით გადაწყვეტაში ცვლილებების შეტანით, რაც გამოიხატება შენობის რთული კონსტრუქციული სქემის მარტივი ფორმის ნაკვეთურებად დაყოფაში ანტისეისმური ნაკერების მოწყობით; შენობა-ნაგებობის ზედა სართულების მოხსნით ან შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სქემის შეცვლით დამატებითი მზიდი ელემენტების ან სისტემების შექმნით, რომლებიც გათვალისწინებული იქნება სეისმური დატვირთვის გარკვეული ნაწილის მისაღებად;

- ჩარჩოს კონსტრუქციების, მზიდი კედლებისა და მათი კვანძების გამლიერებით, რაც უზრუნველყოფს გაზრდილ სეისმურ ზემოქმედება;

- შენობა-ნაგებობის სართულშუა გადახურვების სიხისტის გაზრდით;

- რკინაბეტონის ანაკრებ ელემენტებს შორის კავშირების გამლიერებით;

- რკინაბეტონის ანტისეისმური სარტყლების მოწყობით;

- შენობა-ნაგებობის არამზიდი ელემენტების მასის შემცირებით მსუბუქი მასალების გამოყენების მეშვეობით;

- ბეტონის არმირებული პერანგების (გარსაცმების) მოწყობით;

- კონსტრუქციების ტორკრეტბეტონით გაძლიერებით;
- დამატებითი ლითონისა და რკინაბეტონის ჩარჩოების, შპრენგელებისა და წინასწარადამზადებული ელემენტების ჩართვით მზიდი კონსტრუქციების მუშაობაში;

- მზიდი კონსტრუქციების გაძლიერება კომპოზიტური მასალებით (სპეციალური ეპოქსიდური წებოთი ნახშირბადობჰკოვანი ზემტკიცე ლამინატების ან ბადეების დაწებებით).

ქვათაცვენის პრევენციის ღონისძიებები. ქვათაცვენის პრევენციის ღონისძიებები ძირითადად ორ სახისაა:

- პირველი ეფუმნება ქვების მოძრავი მასის დაჟერისა და აქედან გამომდინარე, რისკის ზონაში არსებულ ობიექტებზე, უზნებსა და კონსტრუქციებზე მათი ვარდნის თავიდან აცილების უზრუნველყოფას. ეს მეთოდი გულისხმობს ფერდობზე სპეციალური ანკერებით ჩამაგრებული ე.წ. ლითონის ბადისაგან დამზადებული ჯიბის მოწყობას. ჯიბეები კეთდება ყველაზე სახიფათო უზნებზე, მათში ხდება ქვათა ნაშალის აკუმულირება, მათი ლითონის ბადესა და ფერდობის ზედაპირს შორის ფუძისკენ შემდგომი გადაადგილების უზრუნველყოფით. ამ მიზნით, გამოიყენება ასევე სხვადასხვა კონფიგურაციის ქვადამჟერი ბარიერები, რომლებიც მზადდება ფოლადის ბაგირებისა და ლითონის ბადეებისაგან. დარტყმით დატვირთვებს იღებს უშუალოდ ლითონის ბადეები და შემდეგ ფოლადის ბადეების მეშვეობით გადაეცემა საყრდენ კონსტრუქციებს. ბარიერები გამოიყენება ტერიტორიის დასაცავად განსკუთრებით დიდი ქანობის მქონე ფერდობებიდან ქვათაცვენის შემთხვევაში.

- ქვათაცვენის პრევენციის მეორე მეთოდი გულისხმობს კლდის ფერდობის ზედაპირიდან ყოველგვარი სახის ქანების ამოვარდნის არდაშვებას. ეს მიიღწევა მაღალი სიმტკიცის სახვადასხვა კონფიგურაციის ლითონის ბადეების ფერდობის ზედაპირზე მაქსიმალურად მჟიდროდ მიკვრივითა და სათანადო ჩამაგრებით.

4. მზადყოფნა

საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის მზადყოფნა საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის საფრთხის არსებობის ან/და წარმოქმნის შემთხვევაში, ერთიანი სისტემის სუბიექტებისა და მოსახლეობის სწრაფი და სათანადო რეაგირების განხორციელების შესაძლებლობაა, რაც მიიღწევა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ერთიანი სისტემის სუბიექტებისა და მოსახლეობის მომზადების უწყვეტი პროცესის უზრუნველყოფითა და კომპლექსური კონტროლით.

მზადყოფნის ღონისძიებებს ახორციელებენ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობები, შესაბამის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციები, მუნიციპალიტეტების ორგანოები და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომუშავე ორგანიზაციები.

მზადყოფნის ღონისძიებებია:

- საგანგებო სიტუაციების შესახებ მოსახლეობისთვის შეტყობინების (ადრეული შეტყობინების) ორგანიზება;

- სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების, შესაბამის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციები და მუნიციპალიტეტების ორგანოების და ორგანიზაციების საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოების ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების სწავლება;

- სამოქალაქო უსაფრთხოების ვარჯიშები: სამაგიდო ანუ სამეთაურო-საშტაბო ვარჯიში, კომპლექსური ვარჯიში და ტაქტიკურ-სპეციალური ვარჯიში;

- მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების სწავლებები და მოსახლეობის ინფორმირება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში;

- პროფესიონალი მეხანძრე-მაშველებისა და მაშველების გადამზადება და აღჭურვა;

- სამოქალაქო უსაფრთხოების რეზერვისტების მომზადება;

- საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით მატერიალური რესურსების მარაგის შექმნა.

უფლებამოსილების ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში რეაგირების ძალებისა და მოსახლეობის მომზადებას უზრუნველყოფენ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობები, შესაბამის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოები, ასევე სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომუშავე ორგანიზაციები დადგენილი წესით შემუშავებული და სპეციალურად უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული პროგრამებით.

საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების, საგანგებო სიტუაციებში ქცევისა და სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლებას უზრუნველყოფენ აღნიშნული დაწესებულებები დადგენილი წესით შემუშავებული და სპეციალურად უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული პროგრამების მიხედვით.

სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოსახლეობის ინფორმირება ხდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, გამოცემებით, სპეციალური ლიტერატურით, სარეკლამო პროდუქციით, თემატური გამოფენების, ჩვენებებისა და კონფერენციების მოწყობითა და მოსახლეობის ინფორმირების სხვა ფორმებით.

სამოქალაქო უსაფრთხოების ვარჯიშების თემები უნდა ითვალისწინებდეს როგორც მშვიდობიან დროს, ისევე საგანგებო ან საომარი მდგომარეობის პერიოდში მოსალოდნელ საგანგებო სიტუაციებს. შესაბამისად, თემატიკა უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- პერსონალისა და მოსახლეობის თავშესაფრებში განთავსება;
- პერსონალისა და მოსახლეობის ევაკუაციის ორგანიზება;
- სახანძრო, საინჟინრო, ქიმიური, რადიაციული, სამედიცინო,

ფსიქოლოგიური და ბიოლოგიური დაცვისათვის გამიზნული ღონისძიებების ორგანიზება;

- სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტის უსაფრთხო და სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

- საგანგებო სიტუაციებში პერსონალისა და მოსახლეობის მოქმედებისა და უსაფრთხო ქცევის წესების დაცვა.

სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში რეაგირების ძალების მზადყოფნის შეფასების, საგანგებო სიტუაციის ან საომარი მოქმედებების დროს საგანგებო მართვის გეგმით განსაზღვრული მოქმედებებისა და პროცედურების ცოდნის შემოწმებისა და მართვის უნარ-ჩვევების დახვეწის მიზნით, ეროვნული გეგმის შესაბამისად ტარდება სამოქალაქო უსაფრთხოების ვარჯიში. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცებული სასწავლო პროგრამებისა და ინსტრუქციის შესაბამისად. ვარჯიშის სახეებია:

სამაგიდო ანუ სამეთაურო-საშტაბო ვარჯიში, ტაქტიკურ-სპეციალური ვარჯიში და კომპლექსური ვარჯიში.

სამეთაურო-საშტაბო (სამაგიდო) ვარჯიში ტარდება:

- ავტონომიური რესპუბლიკების ადმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში, ქ. თბილისის მერიისა და შესაბამის მუნიციპალიტეტებში და სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციებში ყოველ წელს 2-3 დღე-ღამის განმავლობაში;

მუნიციპალიტეტების (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა) ორგანოებში - ყოველ წელს 1-2 დღე-ღამის განმავლობაში.

კომპლექსური ვარჯიში ტარდება: ავტონომიური რესპუბლიკების, ქ. თბილისის მერიის და შესაბამის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციების, თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოებში სამ წელში ერთხელ 2-3 დღე-ღამის განმავლობაში.

ტაქტიკურ-სპეციალური ვარჯიში ტარდება რეაგირების დანაყოფებთან და არასაშტატო ფორმირებებთან ყოველწლიურად 6-8 საათის განმავლობაში.

სამეთაურო-სამშტაბო სწავლებები და კომპლექსური ვარჯიშები ტარდება სპეციალურად უფლებამოსილ ორგანოსთან ერთობლივად.

ორგანიზაციების პასუხისმგებელი პირების, პერსონალისა და სტუდენტების (მოსწავლეების) გადამზადება ითვალისწინებს მათთვის საგანგებო სიტუაციების დროს ქვევის წესების გამომუშავებას, მათი შრომითი და საწარმოო-ტექნოლოგიური უსაფრთხოების ამაღლებას. ასევე, ომის პერიოდში, მოსახლეობისა და მატერიალური რესურსების დაცვისათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, ორგანიზაციების რეაგირების ძალებისა (სამაშველო ფორმირებების) და სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ურთიერთქმედების გაუმჯობესებას. ორგანიზაციების პასუხისმგებელი პირების, პერსონალისა და სტუდენტების (მოსწავლეების) სწავლება ხდება უშუალოდ ადგილზე, სულ მცირე ექვს თვეში ერთხელ სპეციალურად უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული სასწავლო პროგრამების მიხედვით.

სამოქალაქო უსაფრთხოების რეზერვისტების მომზადება ხორციელდება სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის გეგმისა (წესის) და სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოსთან შეთანხმებული სასწავლო პროგრამის შესაბამისად.

სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ერთიანი სისტემის სუბიექტებისა და მოსახლეობის მომზადების პროცესის კომპლექსური კონტროლი ხორციელდება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო ზედამხედველობით.

სახელმწიფო ზედამხედველობას საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის სუბიექტების მიმართ, სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებულ ობიექტებზე, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების შესრულების შემოწმებისა და მისი შედეგების მიხედვით ზომების მიღების მიზნით, ახორციელებენ სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოსა და მისი ტერიტორიული დანაყოფები.

სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტების ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით, რომელშიც მოცემულია განსაკუთრებული ეკონომიკური ობიექტების, მოსახლეობისათვის სიცოცხლისა და ცხოვრების პირობების შესანარჩუნებლად აუცილებელი, სასიცოცხლო მნიშვნელობის, აგრეთვე პოტენციურად საშიში ობიექტების ნუსხა.

სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მზადყოფნის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია დაგეგმვა. ის უნდა ეყრდნობოდეს ავარიების, კატასტროფებისა და სტიქიური უბედურებების შედეგად შექმნილი შესაძლო ვითარებისა და

ობიექტზე საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის რეალური საშიშროების დონის მეცნიერულ პროგნოზს, მატერიალური და ადამიანური რესურსების ყოველმხრივ ანალიზსა და შეფასებას.

საგანგებო მართვის გეგმის შემუშავების პროცესი უნდა გულისხმობდეს რისკების განსაზღვრისა და მათ საფუძველზე საგანგებო მართვის ზომების დასახვის მუდმივ განახლებას. ეს უნდა ხდებოდეს ახალი პრაქტიკული გამოცდილების და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დროს მიღებული გამოცდილების, ვარჯიშებისა და წვრთნების დროს მიღებული შედეგების გათვალისწინებით.

საგანგებო მართვის გეგმა დგება მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციის შედეგების საპროგნოზო რუკის საფუძველზე, რომელიც ეყრდნობა საგანგებო სიტუაციის რისკის რეალურ შეფასებას.

საგანგებო ვითარებაში გეგმების რეალიზაციის დროს მაღალი ეფექტურობის მიღწევა შესაძლებელია, განსაკუთრებით პირველი სამი-ხუთი დღის განმავლობაში, როდესაც დიდია ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენისა და საგანგებო სიტუაციის მეორეული დამაზიანებელი ფაქტორების პრევენციის ალბათობა. ამიტომ, საგანგებო მართვის გეგმის შედგენა ხდება ექსტრემალური პირობების გათვალისწინებით (მაგალითად, ნგრევის დიდი მასშტაბები, წლისა და დღე-ღამის ყველაზე უფრო არახელსაყრელი პერიოდი და ა.შ.), რაც მთავარია, საგანგებო მართვის გეგმა უნდა ითვალისწინებდეს სამსახურების მოქმედებათა ურთიერთშეთანხმებულობას, ასევე, სამსახურებისა და სპეციალისტებისთვის, მათ შორის დასახმარებლად მოწვეული სპეციალისტებისთვის, გეგმაზე ხელმისაწვდომობისა და მისი ადვილად რეალიზების შესაძლებლობას.

საგანგებო მართვის გეგმები ექვემდებარება ყოველწლიურ, ხოლო, ახალი საფრთხის გამოვლენის, ასევე მართვის პროცესში საშტატო მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებების შემთხვევაში დაუყოვნებლივ განახლებას.

საგანგებო მართვის გეგმაში შედის სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის შესაბამისი საგანგებო დახმარების ფუნქციები და მასზე პასუხისმგებელი სამსახურები/პირები, მათი საქმიანობის მიზნები, ამოცანები საგანგებო სიტუაციების მართვის (პრევენციის, მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენის) ფაზების მიხედვით.

საგანგებო მართვის გეგმის შემუშავება ხდება ოთხ ეტაპად:

პირველი ეტაპი - სავარაუდო საგანგებო ვითარების შეფასება და საგანგებო სიტუაციის შედეგების პროგნოზირება გულისხმობს:

- რისკის რუკის საფუძველზე, მოცემულ ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ნგრევისა და დაზიანების სავარაუდო რაიონების განსაზღვრას ეკოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური, გეოლოგიური, ჰიდრომეტეოროლოგიური, სეისმური და სხვა ადგილობრივი პირობების

გათვალისწინებით. ასევე შენობა-ნაგებობების დაზიანების ხარისხისა და ხერგილების სავარაუდო მოცულობების/რაოდენობის პროგნოზირებას;

- აქტიური ნგრევების, საინჟინრო გეოლოგიისა და ჰიდროლოგიური რუკების საფუძველზე კაბელების, მილსადენებისა და სხვა კომუნიკაციების ყველაზე სუსტი ადგილების გამოვლენას;

- მეორეული შედეგების პროგნოზირებას, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანის სიცოცხლეს (ქიმიური ნივთიერებებისა და გაზის გაჟონვა, რადიაციული გამოსხივება გარემოში, ხანძარი, ბაქტერიოლოგიური დასნებოვნება და სხვ.);

- სასიცოცხლო უზრუნველყოფის სისტემების შესაძლო დაზიანების განსაზღვრას (წყალსადენის, ელექტრომომარაგების ხაზების, მაგისტრალური გზების, აეროპორტებისა და სხვათა მწყობრიდან გამოსვლა);

- დაზარალებულთა (დაღუპულების, დაშავებულების, თავშესაფრის გარეშე დარჩენილებისა და სხვ.) რაოდენობის მიახლოებით შეფასებას.

მეორე ეტაპი მოიცავს: რეაგირების ძალების შესაძლებლობების შეფასებას და მათი მოქმედების უზრუნველყოფისთვის აუცილებელი რესურსების მდგომარეობის შეფასებას; პრევენციული და მზადყოფნის ღონისძიებების შემუშავებას; რეაგირების ძალებისა და მათი ქვედანაყოფების ძირითადი ამოცანების, ასევე, შენობებისა და კომუნიკაციების ნგრევის ან დაზიანების შემთხვევაში, ამ ძალების დისლოკაციის ახალი ადგილების განსაზღვრას; მათი სადღეღამისო მორიგეობის უზრუნველყოფის, აგრეთვე, მათი საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოებთან, სხვა ქვედანაყოფებსა და სამსახურებთან კავშირის შენარჩუნების შესაძლებლობის შეფასებას; აუცილებელი სამაშველო ტექნიკა-აღჭურვილობის, მასალების, მედიკამენტებისა და სხვა საშუალებების განსაზღვრას; საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციისათვის საჭირო რესურსების (სპეციალისტების, ტექნიკის, მასალებისა და სხვ.) განსაზღვრას.

მესამე ეტაპზე ხდება პირველი სამი-ხუთი დღის განმავლობაში განსახორციელებელი ანუ რეაგირების პირველი რიგის ამოცანების დასახვა, კერძოდ, ადამიანთა გადარჩენისა და მეორეული შედეგების წარმოშობის ლოკალიზაციის მიზნით; რეაგირების ძალების სახეობის საჭირო რაოდენობის, საგანგებო სიტუაციის ზონაში მათი გადაადგილების მარშრუტებისა (მათ შორის ალტერნატიული) და მოქმედებათა გრაფიკის განსაზღვრა; საგანგებო სიტუაციების იმ შედეგების სწრაფად ლიკვიდაციის ღონისძიებათა განხორციელების დაგეგმვა, რომლებიც აბრკოლებენ ობიექტის სტაბილურ მუშაობას.

მეოთხე ეტაპი მოიცავს სხვადასხვა სამსახურის თანამოქმედების შესაძლებლობის შეფასებას, საინფორმაციო ბაზის შექმნასა და მისი პროგრამული უზრუნველყოფის სისტემის ამოქმედებას; მონაცემთა მოპოვებას ან დაზუსტებას ყველა სამსახურის პოტენციალისა და იმ ძირითადი აქტივობების შესახებ, რომლებიც საჭიროებენ გადაუდებელ ერთობლივ გადაწყვეტას;

საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, სამსახურების ურთიერთმოქმედებათა ყოველმხრივი უზრუნველყოფის შეფასებას; ასევე, საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების მოცულობისა და ჩატარების ვადების განსაზღვრას.

გეგმა შედგება ტექსტური ნაწილისა და დანართებისაგან. ტექსტური ნაწილი მოიცავს: პოტენციური საფრთხეების ჩამონათვალს; საგანგებო სიტუაციების რისკის იდენტიფიცირებისა და ანალიზის საფუძველზე შესამლო საგანგებო სიტუაციის სცენარს. საგანგებო სიტუაციის რისკის სცენარების შესაბამისად პრევენციული, მიტიგაციური, მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენითი ღონისძიებების ჩამონათვალს; სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის გასატარებელ ღონისძიებებსა და რეაგირების ძალების მიერ ჩასატარებელ საავარიო-სამაშველო სამუშაოებს. მასში ასევე, განსაზღვრულია: საგანგებო სიტუაციებით მიყენებული საავარაუდო ზარალისა და დანაკარგების თავიდან აცილების ან შემცირების ღონისძიებების სახეობა, მოცულობა, შესრულების ვადები და წესი; მოსახლეობის (ობიექტის პერსონალის), სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და მცენარეების, მატერიალური ფასეულობების დასაცავად გადაუდებელი ღონისძიებები; საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნის, რეაგირების, მათ შორის საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელი, აგრეთვე, საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების მოცულობა, მათი ჩატარების ვადები და შესრულების წესი, საჭირო ძალები და საშუალებები.

საგანგებო სიტუაციის საფრთხის არარსებობის დროს, ყოველდღიური საკმთანობის რეჟიმში, საგანგებო მართვის გეგმა ითვალისწინებს შემდეგ აქტივობებს:

- საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის საფრთხის შესახებ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვის ორგანოების, ხელმძღვანელი პირების, მოსახლეობის (ობიექტის პერსონალის) შეტყობინების სისტემის ორგანიზებასა და სრულყოფას;

- საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილების ღონისძიებების მოცულობის, განხორციელების ვადების, მოზიდული ძალებისა და საშუალებების, ღონისძიებების განხორციელების წესის განსაზღვრასა და პერიოდულად განახლებას;

- ძალებისა და საშუალებების, არსებული დამცავი ნაგებობებისა და დაცვისთვის განკუთვნილი სხვა სათავსების, მიწისზედა დამცავი შენობა-ნაგებობების მოსახლეობის (ობიექტის პერსონალის) შესაფარებლად მომზადების ღონისძიებათა დაგეგმვას;

- მოსახლეობისათვის განკუთვნილი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მარაგის შექმნის ორგანიზებას;

- მოსახლეობის (ობიექტის პერსონალის) ევაკუაციის დაგეგმვას;

- სამედიცინო და ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვას;

- ხანმარსაწინალო ღონისძიებებისა და წარმოების უავარიო გაჩერებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების დაგეგმვას;

- „დომინოს ეფექტის“ წარმოშობის საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვას.

მასშტაბური საწარმოო ავარიის, კატასტროფისა და სტიქიური უბედურების წარმოქმნის საფრთხის დროს (ამაღლებული მზადყოფნის რეჟიმი) საგანგებო მართვის გეგმა უნდა ითვალისწინებდეს:

- საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის საფრთხის შესახებ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვის ორგანოების, ხელმძღვანელი პირების, მოსახლეობისა და პერსონალის შეტყობინების საშუალებების მზადყოფნაში მოყვანას;

- საგანგებო სიტუაციის მიტიგაციის ღონისძიებების განსაზღვრას, მათი განხორციელების ვადებისა და წესის, საჭირო რეაგირების ძალებისა და საშუალებების შესახებ ინფორმაციის გადამოწმებასა და სრულყოფას;

- ძალებისა და საშუალებების, არსებული დამცავი ნაგებობების და სხვ. დასაცავად გამოსადეგი სათავსების მზადყოფნაში მოყვანას, მიწისზედა დამცავი შენობა-ნაგებობების ჰერმეტიკობასა და მათ მომზადებას პერსონალის შესაფარებლად;

- ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მომზადებასა და მოსახლეობისათვის (პერსონალისათვის) გადაცემას;

- ავტოტრანსპორტისა და ქალაქგარეთ განთავსების ადგილების მზადყოფნაში მოყვანას, მოსახლეობის (ობიექტის პერსონალის) მომზადებას ევაკუაციის ან განცალკევებისათვის (დაშორიშორებისათვის).

- სამედიცინო და ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარებას;

- ხანმარსაწინალო ღონისძიებების ჩატარებას და წარმოების უავარიო გაჩერებისათვის მომზადებას.

მასშტაბური საწარმოო ავარიების, კატასტროფებისა და სტიქიური უბედურებების წარმოქმნის დროს (საგანგებო რეჟიმში) გეგმაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი ღონისძიებები:

- საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვის ორგანოების, ხელმძღვანელი პირების და ობიექტის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შესახებ შეტყობინება, საგანგებო სიტუაციის ზონაში დაზვერვის ორგანიზება და ვითარების პროგნოზირება;

- პირველადი დაზიანების უბნების, დაზიანების ხასიათის, მასშტაბისა და სიძლიერის შეფასება, პირველი რიგის ამოცანების, მათი გადაჭრის ვადებისა და ხერხების, გადაადგილების მარშრუტების განსაზღვრა-დაზუსტება, საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელ სამუშაოებში ჩაბმული ძალებისა და საშუალებების მზადყოფნაში მოყვანა და გაშლა, მათი შემადგენლობისა და მზადყოფნის ვადების გათვალისწინებით სამუშაოების ორგანიზება;

- მოსახლეობის (პერსონალის) დაცვა (შეფარება დამცავ ნაგებობებში, უზრუნველყოფა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, დოზიმეტრიული და ქიმიური ხელსაწყოებით, სამკურნალო-ეპიდსაწინააღმდეგო და სავვაკუაციო ღონისძიებების გატარება);

- სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, მეცხოველეობისა და მემცენარეობის პროდუქციის დაცვის, კერძოდ, ცხოველებისა და საკვების შეფარების, სასაწყობო სათავსების პერმეტულობის, ასევე სხვა ღონისძიებების განსაზღვრა. ამ ღონისძიებების განხორციელების ვადებისა და წესების, მოზიდული ძალებისა და საშუალებების შეფასება;

- ობიექტის იმ ძალების მოქმედების უზრუნველყოფა, რომლებიც ჩაბმულნი არიან: საავარიო-სამაშველო, ობიექტის ფუნქციონირების შენარჩუნების ან მისი თავიდან ამოქმედების, პერსონალის, პროდუქციის, მატერიალური ფასეულობების, სასოფლო-სამეურნეო ცხოველების დაცვისა და სხვა გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელებაში. ასევე რეაგირების ძალების უზრუნველყოფის ღონისძიებების ჩატარება, კერძოდ, კვების ორგანიზება, სპეცტანსაცმლით, ფეხსაცმლითა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა; პერსონალის სანიტარიული დამუშავების, ტანსაცმლის გაუსნებოვნებისა და ტრანსპორტის სპეციალური დამუშავების ჩატარება;

- ობიექტის სტაბილური ფუნქციონირების შენარჩუნებისა და აღდგენითი სამუშაოების უზრუნველყოფა;

- დასახმარებლად მოსულ სამაშველო ძალებთან თანამოქმედებათა შესაძლებლობების შეფასება;

- საგანგებო სიტუაციების დროს ჩასატარებელი ღონისძიებებისა და მოქმედებების მართვა, მართვის პუნქტის ამოქმედება, საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოებთან ინფორმაციის გაცვლის ორგანიზება, პერსონალისთვის, მათი მოქმედებების თანმიმდევრობისა და საგანგებო სიტუაციის ზონაში მოქმედების წესების განსაზღვრა, კავშირის ორგანიზება საობიექტო და დასახმარებლად მოსულ ძალებთან;

- სასიცოცხლო რესურსებით მომარაგების სფეროში შესაძლო დანაკარგების რაოდენობრივი, მათ შორის ალტერნატიული ან სარეზერვო დაუზიანებელი ქსელებით ქალაქისა (მუნიციპალიტეტის) და სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტების სასიცოცხლო უზრუნველყოფის შესაძლებლობის შეფასება, ქსელების მოსალოდნელი დაზიანების და წგრევის შეფასების საფუძველზე მათი აღდგენისათვის საჭირო ვადების და რესურსების განსაზღვრა;

- სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოების, შესაბამისი მუნიციპალიტეტებისა და მოსახლეობისათვის შეტყობინების მეთოდის, სქემისა და საშუალებების განსაზღვრა.

გეგმის ძირითადი დანართებია:

- მართვის, შეტყობინებისა და კავშირის ორგანიზების გეგმა საგანგებო სიტუაციის საფრთხის არსებობისა და განვითარების დროს (შეტყობინების სქემა);

- საგანგებო სიტუაციების საფრთხისა და შედეგების საპროგნოზო რუკები, ასევე, ენერგომომარაგების ქსელისა და ექსტრემალური ლოჯისტიკის უზრუნველყოფის რუკები;

- შეტყობინების ლოკალური სისტემის ორგანიზების გეგმა საგანგებო სიტუაციის საფრთხის არსებობისა და განვითარების დროს;

- ხელშეწყობის ბრძანება საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოს (ოპერატიული ცენტრის ან საგანგებო შტაბის) შექმნისა და მისი წევრების ფუნქცია-მოვალეობების დამტკიცების შესახებ;

- საგანგებო სიტუაციის საფრთხის არსებობისა და განვითარების დროს გასატარებელი ძირითადი ღონისძიებების დეტალური გეგმები პრევენციის, მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების უზრუნველყოფის მიზნით;

- საგანგებო სიტუაციის საფრთხის არსებობისა და განვითარების დროს ღონისძიებების შესრულებაში ჩაბმული რეაგირების ძალებისა და საშუალებების მონაცემთა ბაზა, მათი პოტენციალი (ტექნიკური აღჭურვილობა და მოწყობილობა; სატრანსპორტო, კავშირისა და ელექტროენერგიით ავრტანომიური უზრუნველყოფის საშუალებები; დისლოკაციის შეცვლის უზრუნველყოფისთვის საჭირო რესურსები).

საგანგებო მართვის გეგმის ობიექტის გარე აქტივობების ნაწილი (შემდეგ ტექსტში საგანგებო მართვის გარე გეგმა) უნდა შემუშავდეს სამოქალაქო უსაფრთხოების პირველი კატეგორიის „ა“ და „ბ“ ჯგუფებს მიკუთვნებული იმ ობიექტების მიერ, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ობიექტის გარეთ საფრთხის გავრცელებასა ან/და სხვა ობიექტებზე ე.წ. დომინოს ეფექტის შემცველი საფრთხის შესაძლო წარმოშობასთან.

საგანგებო მართვის გარე გეგმაში უნდა იყოს, როგორც ძირითადი ტექსტური ნაწილი, ასევე სათანადო დანართები:

- იმ მასშტაბური სამრეწველო ავარიის განვითარების სცენარი, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას ობიექტზე და იმ შედეგების აღწერა, რომლებიც შესაძლოა აღინიშნოს ობიექტის გარეთ;

- ადამიანებისა და ცხოველების სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, გარემოსა და საწარმოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ არსებულ ქონებაზე მასშტაბური სამრეწველო ავარიის შესაძლო ზეგავლენა და ამ ზეგავლენის აღმოფხვრის მექანიზმები და ზომები;

- მასშტაბური სამრეწველო ავარიის შესაძლო შედეგების შემცირების, უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ამ მიზნით საგანგებო მართვის გარე გეგმის დანერგვა-განხორციელებისათვის აუცილებელი რესურსების კოორდინაციის ზომები;

- მასშტაბური სამრეწველო ავარიის შედეგების აღმოფხვრისათვის საჭირო იმ ტექნიკური საშუალებების წესხა და აღწერა, რომლებიც განთავსებულია ობიექტის გარეთ;

- ობიექტის გარეთ მოსახლეობის ადრეული შეტყობინების ზომები;

- მასშტაბური სამრეწველო ავარიით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციისა და აღდგენითი სამუშაოების ხელშესაწყობად ობიექტის გარეთ გასატარებელი ზომები, აგრეთვე, ავარიის განვითარების და შესაძლო „დომინოს ეფექტის“ პრევენციული ღონისძიებები;

- ობიექტის მიმდებარედ მცხოვრები ან/და მომუშავე ადამიანების ინფორმირების ღონისძიებები, კერძოდ, მათთვის ინფორმაციის მიწოდება პროგნოზირებადი ან/და სავარაუდო საგანგებო სიტუაციის, მისი გავრცელების საზღვრების, შესაძლო საგანგებო სიტუაციასთან დაკავშირებული ობიექტის მუშაობის სფეროს, ავარიის რისკის ხასიათისა და ხარისხის, ადამიანსა და გარემოზე ზემოქმედების შესაძლებლობის მონაცემებისა და შესაძლო საგანგებო სიტუაციის შედეგების, საგანგებო სიტუაციებში ქვევის წესების, ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ მოსახლეობის დასაცავად განსახორციელებული ღონისძიებებისა და მისაღები ზომების თაობაზე;

- მეზობელი ქვეყნების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურებისათვის შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზეგავლენის მქონე ფართომასშტაბიანი ინციდენტის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინფორმაციის მიწოდების მიზნით გასატარებელი ზომები.

გეგმაში, დანართების სახით, რეკომენდებულია ჩართული იყოს გრაფიკული დოკუმენტები: შესაძლო საგანგებო სიტუაციების საფრთხეების რუკები; საგანგებო სიტუაციების შედეგებისა და შესაძლო დაზიანების კერების საპროგნოზო რუკა; ასევე, ენერჯო მომარაგების ქსელისა და ექსტრემალური ლოჯისტიკის უზრუნველყოფის რუკები.

საგანგებო სიტუაციების საფრთხეების რუკების მოსამზადებლად გამოიყენება საფრთხის განმსაზღვრელი ფაქტორების მონაცემთა ბანკი, სადაც თავმოყრილია ინფორმაცია საგანგებო სიტუაციის კონკრეტული მიზეზის, მისი განმეორებადობის, ადგილის გეოლოგიური, ტოპოგრაფიული, სეისმური, ჰიდროლოგიური, მეტეოროლოგიური, კლიმატური, ეკოლოგიური პირობების, მოსახლეობის რაოდენობისა და სიმჭიდროვის შესახებ. ზემოთ ჩამოთვლილი მრავალშრიანი ინფორმაციების ფორმირება ხორციელდება გეოინფორმაციული სისტემების ტექნოლოგიების გამოყენებით.

ენერგომომარაგების ქსელისა და ექსტრემალური ლოჯისტიკის უზრუნველყოფის რუკები ემსახურება საგანგებო სიტუაციების შედეგად სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიას დაქვემდებარებული ობიექტების ენერგომომარაგებას, წყლითა და სტაბილური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ნედლეულით უზრუნველყოფას. რუკებზე გრაფიკულად აისახება, რომელი ზონიდან შეუწყდება ობიექტს მდგარადი ფუნქციონირებისათვის

აუცილებელი რესურსების მიწოდება საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში, ასევე რა ოდენობისა და რა სახის რესურსები რომელი ოპტიმალური მარშრუტებით უნდა იქნეს მოწოდებული. აღნიშნული ამოცანის გადასაჭრელად აუცილებელია ობიექტის ირგვლივ 10 კმ-იან ზოლის ენერგომომარაგების ქსელისა და ექსტრემალური ლოჯისტიკის უზრუნველყოფის რუკების შედგენა. როგორც წესი, აღნიშნული რუკა მიიღება დაზიანების კერისა და ინფრასტრუქტურის ქსელის რუკების ერთმანეთზე ზედდებით. სასიცოცხლო უზრუნველყოფის ქსელებს განეკუთვნება: სარკინიგზო და საავტომობილო გზები; სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო მიმოსვლის ობიექტები: აეროპორტები, რკინიგზის სადგურები, ავტოსადგურები და საზღვაო ნავსადგურები; ელექტროენერგიით, წყლითა და გაზით მომარაგების ქსელები; კანალიზაციის ქსელები; კომუნიკაციის სატელეფონო (საჰაერო და საკაბელო), სატელევიზიო (საკაბელო ხაზები) ქსელები. რუკაზე ზემოაღნიშნული ქსელის საჰაერო და მიწისქვეშა ხაზები დატანილი უნდა იყოს განსხვავებულად და აუცილებლად მიეთითოს ყველა ხაზის სიმძლავრე (გამტარუნარიანობა).

საგანგებო სიტუაციების შედეგების საპროგნოზო რუკა იქმნება საგანგებო სიტუაციების რისკების რუკების საფუძველზე. მასზე აუცილებლად ნაჩვენებია უნდა იყოს:

- შენობა-ნაგებობების ყველაზე დიდი ნგრევის სავარაუდო ადგილები;
 - მიწისქვეშა კომუნიკაციების დაზიანებების ან მწყობრიდან გამოსვლის სავარაუდო უბნები;
 - ხანძარსაშიში და ფეთქებადსაშიში უბნები;
 - ქიმიური და რადიოაქტიური ნივთიერებებით შესაძლო დაბინძურების უბნები;
 - გზების შესაძლო ჩახერგვის ადგილები, სადაც შეფერხდება მოძრაობა;
 - სანიადვრე, საკანალიზაციო წყლების მიწის ზედაპირზე ამოსვლისა და მოსალოდნელი დატბორვის ადგილები, რომლებიც საშიშია ინფექციური დაავადებების გავრცელების თვალსაზრისით;
 - ადამიანთა სიცოცხლისათვის საშიში უბნები (საქვაბების, მაღლივი მიწების, ანძების, კოშკების ვარდნის უბნები, მაღალი ძაბვის სატრანსფორმატორო სადგურები და ა.შ.);
 - კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტები, მათ შორის სტრატეგიული და განსაკუთრებული მნიშვნელობის შენობა-ნაგებობები (ხიდები, გვირაბები, ავტომაგისტრალები, რკინიგზა, პორტები, მეტროპოლიტენი, ელექტროსადგურები, დიდი წყალსაცავები და ა.შ.);
- საგანგებო მართვის გეგმის სტრუქტურული ფორმა მოცემულია მე-4 დანართის სახით.

5. რეაგირება

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება და მათი შედეგების ლიკვიდაცია (შემდგომ - საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება) მოიცავს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების მიერ ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის, მისი ჯანმრთელობის შენარჩუნების, მატერიალური ზიანისა და გარემოს დაზიანების შემცირების, აგრეთვე საგანგებო სიტუაციის ზონის ლოკალიზების მიზნით ამ ზონაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ხანძრის ჩაქრობას, ვითარების შესწავლა-შეფასებას, საავარიო-სამაშველო სამუშაოებისა და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩატარებას. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძირითადი კომპონენტია სამაშველო სამუშაოების შესრულება.

სამაშველო სამუშაოები წარმოადგენს მოქმედებებს, რომლებიც ხორციელდება ინციდენტის ან საგანგებო სიტუაციის დროს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების გადასარჩენად. მისი სახეები განისაზღვრება სამაშველო საქმიანობიდან გამომდინარე და იგი თავის მხრივ მოიცავს როგორც ძირითად ქმედებებს, ასევე ძირითადი ქმედებების უზრუნველყოფ ღონისძიებებს.

სამაშველო სამუშაოთა ძირითადი ქმედებებია:

ა) წყალში, წყალზე, მთაში, მიწისქვეშ, შენობათა ნანგრევებში, ასევე, საყოფაცხოვრებო, სატრანსპორტო, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული ინციდენტების დროს ადამიანთა ძებნა და გადარჩენა, დაზიანებულთათვის, როგორც პირველი სამედიცინო და ექიმამდელი დახმარების აღმოჩენა, ასევე საჭიროების შემთხვევაში, პირველი საექიმო დახმარება და მათ სამედიცინო დაწესებულებებში ევაკუაცია;

ბ) თხევადი საწვავის, აირის, ელექტროენერჯისა და წყლის მიწოდების წყაროების ავარიული გამორთვის, კომუნალურ და კომუნიკაციების ქსელებსა და ხაზებზე ავარიებისა და დაზიანებების აღმოფხვრა, მოსახლეობის სასიცოცხლო უზრუნველყოფისათვის მინიმალურად საჭირო პირობების შექმნა, მათთვის ჰუმანიტარული დახმარების განაწილება;

გ) ტერიტორიის სანიტარიული გაწმენდისა და დეკონტამინაციის პირველ რიგის სამუშაოების განხორციელება.

სამაშველო სამუშაოთა ძირითადი ქმედებების უზრუნველყოფის ღონისძიებებია შემდეგი სახის გადაუდებელი სამუშაოები:

ა) საგანგებო სიტუაციების ზონაში სამაშველო ძალებისა და საშუალებების შეყვანა. ეს გულისხმობს ხერგილებსა და ჩამონაქცევებში გასასვლელების, გადასასვლელებისა და დროებითი გზების მოწყობას; გადაადგილების მიმართულებით დაზიანებული კონსტრუქციული ელემენტების გამაგრებას ან დემონტაჟს შემდგომი ნგრევების თავიდან აცილების მიზნით, ხერგილებისაგან გაწმენდის სამუშაოების განხორციელებას და სხვ.;

ბ) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა საგანგებო სიტუაციის ზონაში. ის მოიცავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ძალების მიერ, საგანგებო სიტუაციის ზონაში ყველა სახის ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზებასა და რეგულირებას, ნებისმიერი ფორმის საკუთრების, მატერიალური ფასეულობებისა და დაზარალებულთა პირადი ქონების დაცვას;

გ) სასწრაფო სამედიცინო დახმარება საგანგებო სიტუაციების დროს. კერძოდ, სასწრაფო სამკურნალო-დიაგნოსტიკური, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური, სამკურნალო-საევაკუაციო და სამკურნალო ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ტარდება უმოკლეს ვადებში, როდესაც საფრთხე ემუქრება საგანგებო სიტუაციის ზონაში მყოფ დაზიანებულ, ტრავმირებულ და უფერად დაავადებული ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას;

დ) საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის, ასევე საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების უზრუნველყოფის მიზნით ტერიტორიის სანიტარიული დამუშავება და დეკონტამინაცია.

საჭიროების შემთხვევაში სამაშველო სამუშაოები, ასევე გულისხმობს საერთაშორისო სამაშველო ოპერაციებს და ამ ოპერაციების ხელშეწყობა ღონისძიებებს, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ:

ა) ჰუმანიტარული დახმარების განხორციელებას;

ბ) მაშველი რაზმის გაშვებას ქვეყნის გარეთ სამაშველო და ჰუმანიტარულ ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად;

გ) სამაშველო ოპერაციების განხორციელებასა და რაზმის დაბრუნებას საქართველოში;

დ) საქართველოს, როგორც მასპინძელი ქვეყნის მიერ საერთაშორისო დახმარებების ხელშეწყობის უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებას.

სამაშველო სამუშაოები, ზემოაღნიშნულის გარდა, ითვალისწინებს ისეთ დამატებით ღონისძიებებსაც, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს შესაძლო საგანგებო სიტუაციების პრევენციულ, ასევე კონკრეტული საგანგებო სიტუაციის წინმსწრები ინციდენტის შემდგომი ესკალაციის თავიდან აცილების მიზნით შესასრულებელ სპეციფიკურ სამუშაოებს.

სამაშველო სამუშაოების სახეებია:

სამაშველო სამუშაოები ბუნებრივი საგანგებო სიტუაციის დროს ბუნებრივი საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში ადამიანების ძებნისა და გადარჩენის მიზნით გატარებული სამაშველო ღონისძიებები, აგრეთვე დაზიანებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის სახიფათო ზონის გარეთ უსაფრთხოდ გამოყვანა, როგორც პირველი სამედიცინო და ექიმამდელი დახმარების აღმოჩენა, ასევე საჭიროების შემთხვევაში, პირველი საექიმო დახმარება და მათი სამედიცინო დაწესებულებებში ევაკუაცია;

სამაშველო სამუშაოები მასშტაბური სამრეწველო აგარიის დროს ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში ადამიანის ძებნისა და გადარჩენის მიზნით გატარებული სამაშველო ღონისძიებები, აგრეთვე დაზიანებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის სახიფათო ზონიდან უსაფრთხოდ გამოყვანა, როგორც პირველი სამედიცინო და ექიმამდელი დახმარების აღმოჩენა, ასევე საჭიროების შემთხვევაში პირველი საექიმო დახმარება და მათი სამედიცინო დაწესებულებებში ევაკუაცია;

სამაშველო სამუშაოები საყოფაცხოვრებო ინციდენტის დროს საყოფაცხოვრებო ინციდენტის დროს ადამიანთა ძებნისა და გადარჩენის მიზნით გატარებული სამაშველო ღონისძიებები, აგრეთვე დაზიანებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის სახიფათო ზონის გარეთ უსაფრთხოდ გამოყვანა, როგორც პირველი სამედიცინო და ექიმამდელი დახმარების აღმოჩენა, ასევე საჭიროების შემთხვევაში პირველი საექიმო დახმარება და მათი სამედიცინო დაწესებულებებში ევაკუაცია;

სამაშველო სამუშაოები ქიმიური, ბაქტერიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული ინციდენტების დროს - ქიმიური, ბაქტერიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული ინციდენტების დროს ადამიანების ძებნისა და გადარჩენის მიზნით განხორციელებული სამაშველო ღონისძიებები, აგრეთვე დაზიანებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის სახიფათო ზონის გარეთ უსაფრთხოდ გამოყვანა, პირველი სამედიცინო და ექიმამდელი დახმარების აღმოჩენა და საჭიროების შემთხვევაში, მათი სამედიცინო დაწესებულებებში ევაკუაცია;

სამთო-სამაშველო სამუშაოები - მიწისქვეშა გამონამუშევრებსა და ნაგებობებში აგარიის შედეგად დარჩენილი ადამიანების ძებნა, გადარჩენა და მათთვის პირველი სამედიცინო და ექიმამდელი დახმარების აღმოჩენა, ასევე ავარიების ლიკვიდაცია და ტექნიკური სამუშაოების წარმოება მიწისქვეშ გვირაბებსა და შახტებში, გამამდიდრებელ და ბრიკეტების ფაბრიკებში თუკი საჭიროა აირდამცავი აპარატების (რესპირატორების) გამოყენება და მშველთა სპეციალური კვალიფიკაცია.

მთაში სამაშველო სამუშაოები - მთაში (მთის წვერზე, ხევში, კანიონში, კლდის ციცაბო ფერდობებზე), მღვიმეებსა და გამოქვაბულებში ადამიანთა ძებნისა და გადარჩენის სამუშაოები და მათთვის პირველი სამედიცინო და ექიმამდელი დახმარების აღმოჩენა.

წყალზე სამაშველო სამუშაოები - ცურვისთვის განკუთვნილ ადგილებში (პლაჟებზე), ასევე ტბებში, წყალსატევებში, მდინარეებში და ზღვაში განსახორციელებელი საძიებო-სამაშველო სამუშაოები და პირველი სამედიცინო და ექიმამდელი დახმარების აღმოჩენა;

წყალქვეშა სამაშველო სამუშაოები - წყალქვეშ ადამიანთა ძებნისა და გადარჩენის სამუშაოები;

წავთობის ავარიული დაღვრის სალიკვიდაციო სამუშაოები ხმელეთსა და წყალზე - ხმელეთზე ან/და წყალზე წავთობის ავარიული დაღვრის ლოკალიზაციის, დაღვრილი წავთობის შეგროვებისა და სავცეპში განთავსების, ავარიის შედეგად დაზიანებული გარემოს რეაბილიტაციის მიზნით ქიმიური, ბიოლოგიური და მექანიკური დამუშავებით ავარიული დაღვრის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები. ასევე, შესაძლო მეორეული დამაზიანებელი ფაქტორების (ხანძარი, მოსახლეობისა და ტერიტორიის ტოქსიკური მოწამვლა, მეორეული ეკოლოგიური დაზიანება და სხვ.) პრევენციის ღონისძიებები.

სანიტარიულ-ეპიდსაწინააღმდეგო და სამედიცინო-სანიტარიული სამუშაოები:

ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და რადიაციული მონიტორინგი - საშიში ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და რადიაციული დასნეზოვნების ზონის საზღვრებისა და ფართობის განსაზღვრა და ამ ზონაში მყოფი მოსახლეობისა და საძიებო-სამაშველო სამუშაოებში მონაწილე პირადი შემადგენლობის ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და რადიაციული კონტროლი;

სანიტარიული დამუშავება - რადიოაქტიური, საშიში ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებებით დასნეზოვნებული ან დაზიანებული ადამიანების კანისა და ლორწოვანი გარსის მექანიკური გაწმენდა და დაბანა, აგრეთვე, მათი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გაუსნეზოვნება საგანგებო სიტუაციის ზონიდან გასვლისას;

საგანგებო სიტუაციის ზონაში ტერიტორიის სანიტარიული გაწმენდა - საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო ძალების სპეციალური ქვედანაყოფების მიერ საგანგებო სიტუაციების შედეგად წარმოქმნილი საშიში საგნების, ორგანული და არაორგანული პროდუქტების მოძებნა, შეგროვება და სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში დამარხვა, აგრეთვე მათი მდებარეობის ადგილების გაუსნეზოვნება;

დეკონტამინაცია - ტერიტორიის, ობიექტების, წყლის, სურსათის, საკვების ნედლეულისა და საქონლის საკვების რადიოაქტიური და საშიში ქიმიური ნივთიერებებით დაზიანებისა და დასნეზოვნების ზღვრულად დასაშვები ნორმების დონემდე შემცირება დეზაქტივაციის, დეგაზაციისა და დემერკურიზაციის, ხოლო საშიში ბიოლოგიური ნივთიერებებით დაზიანებისა და დასნეზოვნებისას - დეზინფექციისა და დეტოქსიკაციის გზით;

საკარანტინო ღონისძიებები - ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ტარდება დამავადებლით ინფიცირებულ ან სავარაუდო დაინფიცირებაზე ადამიანების, ცხოველების, ტვირთის, საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების, დასახლებული ტერიტორიის სრული ან ნაწილობრივი (ან მათთან კონტაქტების შეზღუდვის) იზოლაციის მიზნით.

საგანგებო სიტუაციის ზონიდან მოსახლეობისა და მატერიალური ფასეულობის ევაკუაცია ღონისძიებათა კომპლექსია, რომლის დროსაც

ხორციელდება, როგორც უშუალოდ მოსახლეობის გაყვანა და მატერიალური ფასეულობების გადატანა საგანგებო სიტუაციის ზონიდან (ზიფათის შემცველი ობიექტებიდან) უსაფრთხო ზონებში, ასევე სავაჭურავი მარშრუტებზე, შემკრებ, გამანაწილებელ და შუალედურ სავაჭურავი პუნქტებსა და უსაფრთხოდ განთავსების ზონებში სამედიცინო, მშრალი ულუფითა და წყლით, პირველადი მოთხოვნილებების საგნებით, კავშირისა და შეტყობინების, სატრანსპორტო, საზოგადოებრივი წესრიგისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების, საგზაო საინჟინრო-ტექნიკური და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის ღონისძიებები.

ტყის ხანძრების ქრობა - ტყეში, ტყის მასივებში, ველ-მინდვრებსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ხანძრის ქრობისა და მისი კერების ლოკალიზების მიზნით ჩატარებული ღონისძიებები.

სამაშველო სამუშაოები სატრანსპორტო ავარიისას - საავტომობილო გზებზე ავარიის (კატასტროფების) შემთხვევაში დაშავებული ადამიანების გადარჩენის მიზნით სამაშველო ღონისძიებები, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებიდან ან/და ინციდენტის ზონის გარეთ დაზიანებულთა უსაფრთხოდ გამოყვანა, პირველი სამედიცინო და ექიმამდელი დახმარების აღმოჩენა, ასევე საჭიროების შემთხვევაში, პირველი საექიმო დახმარება და მათი სამედიცინო დაწესებულებებში ევაკუაცია.

სამაშველო სამუშაოების განხორციელება მიმდინარეობს შემდეგი ეტაპების მიხედვით ანუ მისი ძირითადი შემადგენელი კომპონენტებია:

სადაზვერვო სამუშაოები - საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების მოქმედების სახეობა, რომელიც აგროვებს უტყუარ მონაცემებს საგანგებო სიტუაციის ზონაში შექმნილი ვითარების შესახებ და გადასცემს ინფორმაციას მართვის ორგანოებსა და ძალებს, გადაუდებელი სამუშაოების ეფექტურად ჩატარებისა და მოსახლეობისათვის სასიცოცხლო პირობების უზრუნველყოფის მიზნით.

სადაზვერვო სამუშაოები შეიძლება იყოს: ბიოლოგიური, საინჟინრო, სამედიცინო, სახანძრო, რადიაციული, სანიტარიული, ეპიდემიოლოგიური და ქიმიური.

სამიებო-სამაშველო სამუშაოები - მოიცავს საგანგებო სიტუაციების ზონაში დაშავებულ (დაკარგული) ადამიანთა ძებნის სამუშაოებს, ასევე მათი გადარჩენის მიზნით გატარებულ სამაშველო ღონისძიებებს შენობა-ნაგებობების ნგრევის კერებში, წყალში, წყალზე, მთაში, სამთო გამოწამლავებში (გვირაბებში), მღვიმეებსა და გამოქვაბულებში.

საავარიო-სამაშველო სამუშაოები - მოქმედებები, რომლებიც მიმართულია ადამიანის სიცოცხლისა და ქონების გადარჩენისაკენ, ავარიის, კატასტროფისა და საგანგებო სიტუაციისათვის დამახასიათებელი საშიში ფაქტორების შედეგების მინიმუმამდე შემცირებისაკენ, მათ შორის, საგანგებო სიტუაციის ზონაში თხევადი საწვავის, აირის, ელექტროენერჯისა და წყლის მიწოდების

წყაროების ავარიული გამორთვის, ადამიანთა ძეგნის, დაზიანებულთათვის როგორც პირველი სამედიცინო და ექიმადელი, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, პირველი საექიმო დახმარება და მათი საგანგებო სიტუაციების ზონის გარეთ სამედიცინო დაწესებულებებში ევაკუაციისათვის პირველი რიგის სამუშაოები.

საავარიო-აღდგენითი სამუშაოები - საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოები, რომელიც ძირითადად გულისხმობს საგანგებო სიტუაციის ზონაში ნგრევისა და გაზრდილი საშიშროების ცალკეული კერების ლოკალიზებას, კომუნალური და საწარმოო კომუნიკაციების ქსელებსა და ხაზებზე ავარიებისა და დაზიანებების აღმოსაფხვრელ, მოსახლეობის სასიცოცხლო უზრუნველყოფისათვის მინიმალურად საჭირო პირობების შესაქმნელ, აგრეთვე ტერიტორიის სანიტარიული დამუშავებისა და გაუსუნებოვნების პირველ რიგის სამუშაოებს.

რეაგირების პროცესის აღწერა. ეროვნულ დონეზე საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების შემთხვევაში იკრიბება სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს საგანგებო სიტუაციების მართვის უწყებათშორისი ოპერატიული ცენტრი:

- მსხვილმასშტაბიანი საგანგებო სიტუაციის საფრთხის არსებობის ან მისი განვითარების შემთხვევაში სპეციალურად უფლებამოსილი ორგანო წინასწარ შემუშავებული შეტყობინების სქემის საფუძველზე კრებს საგანგებო სიტუაციების მართვის უწყებათშორის ოპერატიულ ცენტრს და იწყებს სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის საგანგებო მართვის №1 ფუნქციით განსაზღვრული რეაგირების ღონისძიებების განხორციელებას, აცხადებს განგაშს და შექმნილი მდგომარეობის თაობაზე ატყობინებს შესაბამის უწყებებსა და პირებს;

- სპეციალურად უფლებამოსილი ორგანო მიღებული და გაანალიზებული ინფორმაციის საფუძველზე სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს წარუდგენს მოხსენებას შექმნილი საგანგებო ვითარების შესახებ;

- უწყებათშორისი ოპერატიული ცენტრი საგანგებო დახმარების №1 ფუნქციის შესაბამისად მოქმედებს ხელშემწყობ უწყებებთან ერთად. ამ მიზნით ხელშემწყობი უწყებები უზრუნველყოფენ უფლებამოსილი პირების მივლინებას მართვის დონეების შესაბამის ოპერატიულ და სავსელ ოპერაციების ცენტრებში.

საგანგებო სიტუაციის მართვის ადგილობრივ დონეზე:

- საგანგებო სიტუაციის საფრთხის არსებობის ან მისი განვითარების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საგანგებო სიტუაციის მართვის ოპერატიული ცენტრი აცხადებს განგაშს და შექმნილი მდგომარეობის თაობაზე ატყობინებს შესაბამის უწყებებსა და პირებს;

- საგანგებო დახმარების №1 ფუნქციის შესაბამისად გაიცემა ოპერატიული ბრძანებები რეაგირების ძირითადი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად.

სპეციალურად უფლებამოსილი ორგანო გამოყოფს უფლებამოსილ პირებს, მორეაგირე ძალებსა და რესურსებს მუნიციპალიტეტების ოპერატიული ცენტრებისა და საველე ოპერაციების ცენტრის დასახმარებლად.

საგანგებო სიტუაციის ავტონომიური რესპუბლიკის ან სამხარეო დონეზე მართვის უზრუნველსაყოფად, ფუნქციონირებას იწყებენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების და სახელმწიფო რწმუნებულებთან – გუბერნატორებთან არსებული საგანგებო სიტუაციების მართვის შესაბამისი ოპერატიული ცენტრები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავენ პირველად მოთხოვნებს ეროვნული დონიდან დახმარების მისაღებად.

საგანგებო სიტუაციების მართვის უწყებათშორის ოპერატიულ ცენტრსა და საველე ოპერაციების ცენტრში არსებული ინფორმაციის საფუძველზე იგეგმება საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო და სხვა გადაუდებელი ღონისძიებები, ხდება საჭირო საავარიო-სამაშველო ძალებისა და საშუალებების განსაზღვრა.

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის უზრუნველყოფის ღონისძიებებია:

- განგაშის გამოცხადება და შეტყობინება;
- საველე ოპერაციების ცენტრის გაშლა და რეაგირების ჯგუფების დაკომპლექტება;
- საგანგებო სიტუაციის ზონიდან ინფორმაციის მიღება, გადამუშავება, საგანგებო ვითარების შეფასება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა;
- საგანგებო სიტუაციის ზონაში საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება და მათი შედეგების ლიკვიდაცია (საავარიო-სამაშველო, ადამიანთა ძებნის, სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოები);
- ოპერაციების კოორდინირება;
- ლოჯისტიკური უზრუნველყოფა;
- ბრძანებების გაცემა და მათი შესრულების კონტროლი;
- ინფორმაციის მართვა;
- მოთხოვნების დამუშავება ეროვნული დახმარების შესახებ;
- რესურსების მიღება და მართვა;
- მორეაგირე ძალების პერსონალის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა;
- ფინანსების მართვა;
- დაზვერვითი ოპერაციების ჩატარება და შემფასებელი პერსონალის ან ჯგუფის ამოქმედება;

- საგანგებო სიტუაციების დროს არასამთავრობო და საერთაშორისო სამაშველო ჯგუფების გამოყენების ორგანიზება.

რეაგირების საწყის ეტაპზე დაუყოვნებლივ იწყება საავარიო-სამაშველო, ადამიანთა ძებნის, სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების, სამედიცინო დახმარების, საევაკუაციო გზების გაწმენდის ორგანიზება. შესაბამისი საგანგებო სიტუაციების მართვის ოპერატიული ცენტრები საგანგებო სიტუაციის ზონაში მოსახლეობის ევაკუაციის უზრუნველყოფის მიზნით ხსნიან ევაკუირებულთა შემკრებ, სამუალედო და მიმღებ პუნქტებს. ორგანიზება უკეთდება ევაკუირებულთა აღრიცხვის, სამედიცინო დახმარების, სურსათით, ცხოველთა საკვებითა და პირველადი მოხმარების საგნებით, წყლის აუცილებელი მარაგითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფას, აგრეთვე მოსახლეობის სახანძრო, საინჟინრო, ქიმიური, რადიაციული, სამედიცინო, ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური დაცვის ღონისძიებებს.

შვიდობიან და საომარი მოქმედებების დროს შექმნილი საგანგებო სიტუაციების შედეგად ადამიანთა მასობრივი დაღუპვის შემთხვევაში ხდება გარდაცვლილთა დაკრძალვის ორგანიზება.

საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოსთვის მზადდება წინადადება საგანგებო სიტუაციის ზონაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების აუცილებლობის შესახებ.

6. აღდგენა

საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოები მოიცავს პირველი რიგის გადაუდებელი ღონისძიებების კომპლექსს, რომელსაც საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალები ახორციელებენ საგანგებო სიტუაციის ზონაში სასიცოცხლო პროცესებისა და სოციალური ყოფის აღდგენის, გადარჩენილი მოსახლეობის, თავად ამ ძალების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისა და მათი საქმიანობის ყოველმხრივ უზრუნველყოფის მიზნით.

აღდგენითი სამუშაოები ხორციელდება საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის დასრულების ფაზაში ან მისი დასრულებისთანავე. ეს სამუშაოები მოიცავს სასიცოცხლო პროცესებისა და სოციალური ყოფის აღდგენის, ასევე, გადარჩენილი მოსახლეობისა და მორეაგირე ძალების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისა და მათი საქმიანობის ყოველმხრივ უზრუნველყოფის პირველი რიგის გადაუდებელ ღონისძიებებს.

ამ შემთხვევაში, ორგანიზება უკეთდება საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფას, კომუნალური სამსახურების ფუნქციონირების აღდგენასა და სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტების

ფუნქციონირების მდგრადობის უზრუნველყოფას, ასევე, მოსახლეობის ფსიქოლოგიური დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებებს.

7. მოსახლეობის დაცვის ძირითადი ღონისძიებები საგანგებო სიტუაციისას

მშვიდობიანობისა და საომარი მოქმედებების დროს შექმნილი საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობის დაცვის ძირითადი ღონისძიებებია მოსახლეობის თავშესაფრებში მოთავსება ან/და მისი ევაკუაცია, აგრეთვე სახანძრო, საინჟინრო, ქიმიური, რადიაციული, სამედიცინო, ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური დაცვის ღონისძიებების განხორციელება.

მოსახლეობის ევაკუაციის, მათი სახანძრო (ხანძრისაგან) საინჟინრო, ქიმიური, რადიაციული, ბიოლოგიური, სამედიცინო და ფსიქოლოგიური დაცვის ღონისძიებების ორგანიზება ხდება სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის შესაბამისად.

ხანძრისაგან დაცვა არის ორგანიზაციული ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ტარდება ადამიანებისა და ქონების დასაცავად ხანძრის საშიში ფაქტორების ზემოქმედებისაგან ან/და ობიექტზე მათი ზემოქმედების შედეგების შეზღუდვის მიზნით. კერძოდ, ის მოიცავს:

- ხანძარსაწინაღო უზრუნველყოფის დაგეგმვაზე ზედამხედველობასა და კონტროლს;

- მოსახლეობის გათვითცნობიერებისა და მომზადების ორგანიზებას ხანძრის პრევენციაზე;

- ტერიტორიებზე, მათ შორის ტყის მასივებზე ხანძარსაწინაღო მონიტორინგისა და მოსალოდნელი სახანძრო ვითარებების პროგნოზირება;

- სახანძრო უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმირებასა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დახვეწას;

- ტყეთა ტერიტორიების დარაიონებას მათი წვადობის პოტენციალისა და ტყის ხანძრის შესახებ შეტყობინებას მათ ლიკვიდაციაზე პასუხისმგებელ სუბიექტებთან დამოკიდებულების მიხედვით;

- ხანძრის შესახებ შეტყობინებასა და ლიკვიდაციაში მოსახლეობის ჩაბმას და მათი მონაწილეობის ორგანიზებას;

- ხანძრისაგან დაცვის ორგანიზების მეცნიერულ და ინფორმაციულ უზრუნველყოფას;

- ხანძარსაწინაღო ძალებისა და საშუალებების მობილიზებასა და ხელმძღვანელობას;

- ხანძარსაწინაღო უსაფრთხოების ზედამხედველობასა და კონტროლს;

- მოსახლეობისათვის დროულად შეტყობინებას მოსალოდნელი საშიშროების შესახებ;

- ხანმარსაწინალო მართვის სისტემისა და ქვესისტემების ორგანოთა შექმნასა და მათი მუშაობის კოორდინაციას;

- ხანძრის ქრობის ღონისძიებების უზრუნველყოფას;

- ხანძრით გამოწვეული ვითარების შეფასებას, ხანძრის გაჩენის თვალსაზრისით ყველაზე საშიში ობიექტების მდგომარეობის შეფასებას.

საინჟინრო დაცვის ღონისძიებები მოიცავს შენობა-ნაგებობებისა და საინჟინრო ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც მიმართულია შესაძლო საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისკენ, ხოლო მათი განვითარების შემთხვევაში მათგან გამოწვეული დამაზიანებელი ფაქტორებისაგან მოსახლეობის, ტერიტორიისა და სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების დაცვისაკენ.

საინჟინრო დაცვის ღონისძიებებია:

- საგანგებო სიტუაციების რისკის რუკების მიხედვით შენობა-ნაგებობების დაპროექტება და მშენებლობა, არასაკმარისი მედეგობის შენობა-ნაგებობების შეცვლა უფრო მაღალი მედეგობის ნაგებობებით ან მათი გაძლიერება საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელებით, ტექნოლოგიური პროცესებისა და ძვირადღირებული მოწყობილობების საგანგებო სიტუაციებით გამოწვეული დამაზიანებელი ფაქტორების ზემოქმედებისაგან დაცვის საინჟინრო-კონსტრუქციული ღონისძიებების განხორციელება;

- საგანგებო სიტუაციის რისკის დროულად გამოვლენა, შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება, მათ შორის, სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო, საგამოცდო და საპროექტო სამუშაოების ორგანიზება;

- დაზიანების კერებში საინჟინრო ვითარების შეფასება, გზების ყველაზე მეტად დანგრევის სავარაუდო რაიონების განსაზღვრა;

- ინფრასტრუქტურისა და სატრანსპორტო ნაგებობების, მათი ავარიულობის ხარისხისა და შესაძლო დაზიანებული რაიონის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების განსაზღვრა;

- დასახლებული პუნქტების ინფრასტრუქტურის, მიწისზედა და მიწისქვეშა კომუნიკაციების, საინჟინრო-ტექნიკური ნაგებობებისა და თავშესაფრების (დამცავი ნაგებობების) მდგრადობისა და უსაფრთხოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფის ღონისძიებების განსაზღვრა და განხორციელება;

- საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების მიზნით საპროგნოზო მონაცემების: შენობა-ნაგებობების ნგრევის, მიწისზედა და მიწისქვეშა კომუნიკაციების დაზიანების, მეორეული შედეგების გავრცელების შესაძლებლობის განსაზღვრა;

- საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამუშაოების საინჟინრო უზრუნველყოფა;

- დამცავ ნაგებობებში მოსახლეობის შეფარების უზრუნველყოფა;
- საინჟინრო საავარიო-ადდგენითი ღონისძიებების განხორციელება ნგრევის ზონაში.

ქიმიური დაცვის ღონისძიებები მოიცავს: ძლიერმოქმედი ტოქსიკური ნივთიერებებით ტერიტორიის, შენობა-ნაგებობების ქიმიური დაბინძურებისა და ადამიანების დასნებოვნების თავიდან აცილების, მათ შორის დეგაზაციის ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც მიმართულია შესაძლო საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისაკენ, ხოლო მათი განვითარების შემთხვევაში მათგან გამოწვეული დამაზიანებელი ფაქტორებისაგან მოსახლეობის და ტერიტორიების დაცვისაკენ. ქიმიური დაცვა მოიცავს:

- ქიმიური ვითარების შეფასებას პროგნოზირების საფუძველზე – ძლიერმოქმედი ტოქსიკური ნივთიერებებით დაბინძურების ხარისხისა და მასშტაბების განსაზღვრის ორგანიზებას;

- ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისა და ქიმიური დაზვერვისა და კონტროლის ხელსაწყოების მარაგის შექმნის, მათი მუდმივი მზაობისა და ვარგისიანობის უზრუნველყოფას;

- პოტენციურად საშიშ ობიექტებზე ლოკალური ადრეული შეტყობინებისა და ქიმიური ვითარების კონტროლის სისტემების შექმნასა და ფუნქციონირების ორგანიზებას;

- საყოფაცხოვრებო-კონუნალური მომსახურების ობიექტებსა და სატრანსპორტო საწარმოებში დეგაზაციის ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობათა წინასწარი გათვალისწინების ორგანიზებას;

- ქიმიური ვითარების შეფასებას ადგილზე უშუალოდ აღებული მონაცემების საფუძველზე – ძლიერმოქმედი ტოქსიკური ნივთიერებებით დაბინძურების ხარისხისა და მასშტაბების განსაზღვრას, მოსახლეობაზე, ობიექტებსა და სამაშველო ძალებს საქმიანობაზე მათი გავლენის ანალიზს;

- ქიმიური ვითარების გამოვლენისას ქიმიური დაბინძურების კერების ზონების, ფართობისა და მომწამლავი ნივთიერებების ტიპის განსაზღვრას, ამ მონაცემების საფუძველზე დაბინძურებული ჰაერის გავრცელების არეალის ტერიტორიასა და ტექნიკაზე მომწამლავი ნივთიერებების შედეგობის, დამცავი საშუალებების გამოყენების დროის, შესაძლო დასნებოვნების, ნაგებობების, ტექნიკის დაბინძურების შეფასებას;

- ქიმიური ვითარების შეფასების საფუძველზე ადამიანთა, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და მცენარეთა დაცვის ღონისძიებების დასახვას, სამაშველო სამუშაოების შესრულების ღონისძიებების შემუშავებასა და დაბინძურების შედეგების ლიკვიდირებას.

რადიაციული დაცვის ღონისძიებებია: რადიოაქტიური ნივთიერებებით ტერიტორიის, შენობა-ნაგებობების დაბინძურებისა და ადამიანების დასნებოვნების თავიდან აცილების, მათ შორის დეზაქტივაციის ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მიმართულია შესაძლო საგანგებო სიტუაციების თავიდან

აცილებსკენ, ხოლო მათი განვითარების შემთხვევაში, მათგან გამოწვეული დამაზიანებელი ფაქტორებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიების დაცვისაკენ. რადიაციული დაცვა მოიცავს:

- რადიაციული ვითარების შეფასებას ადგილზე უშუალოდ აღებული მონაცემების საფუძველზე – რადიოაქტიური ნივთიერებებით დაბინძურების ხარისხისა და მასშტაბების განსაზღვრას. მოსახლეობაზე, ობიექტებისა და სამაშველო ძალების საქმიანობაზე მათი გავლენის ანალიზს;

- რადიაციული ვითარების გამოვლენის დროს რადიაციული დაბინძურების ზონების ფართობისა და რადიოაქტიური ნივთიერებების ტიპის განსაზღვრას. ამ მონაცემების საფუძველზე დაბინძურებული ჰაერის გავრცელების არეალის, ინდივიდუალური დამცავი საშუალებების გამოყენების დროის, ადამიანთა შესაძლო დასნებოვნების, ნაგებობების, ტექნიკისა და ქონების დაბინძურების შეფასებას;

- რადიოაქტიური ვითარების შეფასებას პროგნოზის საფუძველზე – რადიოაქტიური ნივთიერებებით დაბინძურების ხარისხისა და მასშტაბების განსაზღვრას;

- რადიოაქტიური ვითარების შეფასების საფუძველზე ადამიანთა, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და მცენარეთა დაცვის ღონისძიებების დასახვას, სამაშველო სამუშაოების შესასრულებლად ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას;

- მოსახლეობის ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფის ორგანიზებასა და მასზე ზედამხედველობას;

- მოსახლეობის, ტერიტორიის, შენობა-ნაგებობების, პროდუქტების, წყლისა და ტექნიკის დეზაქტივიზაციის (დეკონტამინაციის) ორგანიზებას.

სამედიცინო დაცვის ღონისძიებებში შედის: ადამიანების დასნებოვნების თავიდან აცილების ანდა მისი სიმძიმის შემცირების, მათ შორის დეზინფექციის, სამედიცინო-პროფილაქტიკური, სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდსაწინააღმდეგო დაცვის, დაზარალებულთათვის დროული დახმარებისა და მათი მკურნალობის ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მიმართულია შესაძლო საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისკენ, ხოლო მათი განვითარების შემთხვევაში, მათგან გამოწვეული დამაზიანებელი ფაქტორებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვისაკენ.

სამედიცინო დაცვა მოიცავს:

- ბიოლოგიური საგანგებო ვითარების შეფასებას;

- ჰიგიენური და ეპიდსაწინააღმდეგო ზედამხედველობის უზრუნველყოფას;

- საგანგებო სიტუაციებისთვის სამედიცინო მარაგის შექმნის უზრუნველყოფას;

- შექმნილი სიტუაციიდან და სეზონურობიდან გამომდინარე, მოსახლეობაში ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების ორგანიზებასა და ჩატარებას, შესაბამისი მედიკამენტების გაცემას;

- მოსახლეობაში პროფილაქტიკური იმუნიზაციისა და მკურნალობის ჩასატარებლად საჭირო ვაქცინებისა და სამედიცინო პრეპარატების მისაღებად განაცხადების მომზადებასა და წარდგენას შესაბამის ორგანოებში კანონმდებლობის შესაბამისად;

- სეზონურობიდან გამომდინარე, ეპიდემიოლოგიურად საშიში დაავადებების გამოვლენასა და მოსახლეობის პროფილაქტიკურ იმუნიზაციას, იმუნიზაციისა და საერთო სიტუაციის შესაბამისად, მოსახლეობაში ინფორმაციულ-განმარტებითი სამუშაოების ჩატარებას;

- სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენასა და დაზარალებულთა სამკურნალო დაწესებულებაში (ან პუნქტში) გაგზავნის ორგანიზებას;

- საჭიროების შემთხვევაში საგანგებო სიტუაციის ზონაში სავალე ჰოსპიტლის მოწყობას;

- ტუბერკულოზიანი, ნარკოლოგიური, ფსიქონევროლოგიური, ინფექციური და ეპიდემიოლოგიურად საშიში დაავადების მქონე, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის პირების განსაკუთრებული დაცვის ქვეშ აყვანას, ასევე მათი დისპანსერული და სხვა სააღრიცხვო ბარათებით უზრუნველყოფას;

- ეპიზოოტიური ზედამხედველობის უზრუნველყოფას – განსაკუთრებულად საშიში ინფექციების თავიდან ასაცილებლად პროფილაქტიკური ღონისძიებების (საგანგებო სიტუაციების ზონის ეპიზოოტიური კვლევის ჩატარებასა და განსაკუთრებით საშიში ინფექციების ლაბორატორიული გამოკვლევების) განხორციელებას;

- ეპიდემიის სავარაუდო კერების გამოვლენასა და მათი სალიკვიდაციო ღონისძიებების კოორდინირებას;

- საგანგებო სიტუაციებისაგან დაზარალებულთა პირველადი სამედიცინო და სასწრაფო დახმარების აღმოსაჩენად სამედიცინო დაწესებულებების გადარჩენილი (შენარჩუნებული) სტრუქტურული ერთეულების გამოყენების შესაძლებლობის შეფასებას;

- სამედიცინო ტექნიკისა და ქონების (აღჭურვილობის, მედიკამენტების, სამედიცინო მასალების) რეზერვების შექმნას, ასევე, ავადმყოფთა და სამედიცინო პერსონალის კოლექტიური და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფას.

ფსიქოლოგიური დაცვის ღონისძიებებია დაზარალებულ ადამიანებისა და მშველებისათვის საგანგებო სიტუაციებით გამოწვეული ფსიქოლოგიური ზემოქმედების თავიდან აცილებისა და ფსიქოტრამების გამოწვევი ფაქტორების მაქსიმალურად შემამცირებელ ღონისძიებათა კომპლექსი.

ფსიქოლოგიური დაცვა მოიცავს:

- ფსიქოლოგიურ დაცვასთან დაკავშირებული პროფილაქტიკურ-ორგანიზაციული საქმიანობის დაგეგმვასა და საგანგებო სიტუაციებში ფსიქოტრამვირებული მოსახლეობის ფსიქორეაბილიტაციის სამსახურების (პუნქტების) ორგანიზებას;

- მწავავე პანიკისაგან გამოწვეული რეაქციების, ნერვულ-ფსიქიკური და ფსიქოგენური მოშლილობების პროფილაქტიკას;
- ზღვრულ ნერვულ-ფსიქიკურ მოშლილობათა ფსიქოთერაპიას;
- ინდივიდუალ ადაპტაციის შესაძლებლობათა ამაღლება-გაძლიერებას.

8. ინფორმირება და შეტყობინება

საგანგებო სიტუაციებში მოსახლეობის დაცვის ერთ-ერთ ეფექტურ ხერხია საგანგებო სიტუაციების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება.

სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოსახლეობის ინფორმირება ხდება მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით, პრესით, სპეციალური ლიტერატურით, სარეკლამო პროდუქციით, თემატური გამოფენების, ჩვენებებისა და კონფერენციების მოწყობითა და მოსახლეობის ინფორმირების სხვა ფორმებით, რომლებიც შეზღუდული არ არის საქართველოს კანონმდებლობით.

სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოსახლეობის ინფორმირებას უზრუნველყოფენ საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის სუბიექტები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს (მხედველობა- და სმენადაქვეითებულ პირებს) შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდება მათთვის გასაგები ფორმით.

მოსახლეობისათვის მიწოდებული ინფორმაცია სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ უნდა მოიცავდეს:

ა) პროგნოზირებადი და წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციის შესახებ მონაცემებსა და მისი გავრცელების საზღვრებს;

ბ) საგანგებო სიტუაციასთან დაკავშირებული ორგანიზაციის საქმიანობის სფეროს შესახებ მონაცემებს, ავარიის დროს – რისკის ხასიათს, ადამიანსა და გარემოზე ავარიის ზემოქმედების შესაძლებლობის შესახებ მონაცემებს;

გ) საგანგებო სიტუაციის შედეგებს;

დ) საგანგებო სიტუაციებში ქვევის წესებს;

ე) მოსახლეობის დასაცავად განხორციელებულ ღონისძიებებსა და მიღებულ ზომებს.

ზოგადად, სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია მოიცავს საგანგებო სიტუაციისა და შესაბამის ტერიტორიაზე არსებული ან შესაძლო საინჟინრო, რადიაციული, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური, სახანძრო და ეკოლოგიური ვითარებების, აგრეთვე საგანგებო სიტუაციისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვისა და მათი უსაფრთხოების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ მონაცემებს. საგანგებო სიტუაციის შესახებ ინფორმაცია საჯაროა, გარდა იმ ინფორმაციისა, რომლის გავრცელებაც შეზღუდულია

საქართველოს კანონმდებლობით. აკრძალულია სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უფლებამოსილი პირის მიერ მოსახლეობისათვის ინფორმაციის დაფარვა, დაგვიანებით მიწოდება ან/და არასწორი ინფორმაციის მიწოდება.

საგანგებო სიტუაციებში მოსახლეობის დაცვის მიზნით ხორციელდება საგანგებო სიტუაციების შესახებ მოსახლეობის შეტყობინება - საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის ორგანოების მიერ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ორგანიზაციებისა და მოსახლეობისათვის საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის საფრთხის ან/და წარმოქმნის შესახებ შეტყობინების სიგნალების გადაცემა და გადაუდებელი ინფორმაციის მიწოდება.

აქედან გამომდინარე, საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის მოვალეობაა მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციების შესახებ მოსახლეობისთვის შეტყობინება და მისი ინფორმირება უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ქმედებების შესახებ. ამ მიზნით, ქვეყანაში ფუნქციონირებს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საგანგებო სიტუაციების შესახებ მოსახლეობისთვის შეტყობინების ანუ ადრეული გაფრთხილების სისტემა - შესაძლებლობების ერთობლიობა, რომელიც საჭიროა დროული და გასაგები (მნიშვნელოვანი) გამაფრთხილებელი ინფორმაციის ჩამოსაყალიბებლად და გასავრცელებლად, რათა საფრთხის წინაშე მყოფ ცალკეულ პირებს, თემებსა და ორგანიზაციებს საშუალება მიეცეთ, ადეკვატურად მოემზადონ და დაუყოვნებლად იმოქმედონ პოტენციური ზიანისა და დანაკარგის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად. სისტემის ძირითადი ამოცანაა, უზრუნველყოს მოსახლეობის ადრეული გაფრთხილება იმ საფრთხის შესახებ, რომელიც იქმნება მოცემულ ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციის დროს ან მისი მოხდენის შედეგად.

ადრეული გაფრთხილება არის საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა, ამავე დროს საგანგებო სიტუაციების რისკების შემცირების ძირითადი ინსტრუმენტი. ის საშუალებას იძლევა, თავიდან ავიცილოთ მსხვერპლი და შევამციროთ საგანგებო სიტუაციით გამოწვეული ეკონომიკური და მატერიალური ზარალი. ადამიანებზე ორიენტირებული ადრეული გაფრთხილების სისტემის მიზანია საფრთხეში მყოფი ადამიანებისა და თემების გაძლიერების უზრუნველყოფა, რათა მათ უმოკლეს დროში შეძლონ ადეკვატური ქმედება ჯანრთელობის, ქონებისა და გარემოს ზიანის შესამცირებლად. სისტემის ეფექტურობისათვის აუცილებელია, მოიცავდეს და აკავშირებდეს ადრეული გაფრთხილების ჯაჭვში ჩაბმულ ყველა მოთამაშეს, როგორც მეცნიერებსა და ტექნიკურ სპეციალისტებს, ასევე ხელისუფლებასა და ადგილობრივ თემებს (სოფლებს). ადრეული გაფრთხილების სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს ზუსტ, დროულ, სანდო და გასაგებ კომუნიკაციას საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოებსა და

საფრთხის წინაშე მყოფი ადამიანებს (თემებს) შორის საგანგებო სიტუაციების მართვის ყველა დონეზე.

ადრეული გაფრთხილების სისტემა არის ძაღების, კავშირგაბმულობისა და შეტყობინების საშუალებების, პოტენციურად საშიში ობიექტის საკომუნიკაციო არხების, ადრეული გაფრთხილებისა და სიგნალიზაციის სისტემების ორგანიზაციულ-ტექნიკური ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის ტერიტორიაზე მოსახლეობის, მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს ტერიტორიული დანაყოფების შეტყობინებას.

ადრეული გაფრთხილების სისტემის ძირითადი აქტივობებია: მონაცემთა სისტემატური შეგროვება და რისკების შეფასება; მონიტორინგისა და გაფრთხილების სამსახურების ორგანიზება; ინფორმაციის გავრცელება და კომუნიკაციის უზრუნველყოფა; რეაგირების შესაძლებლობების, უნარ-ჩვევების გაძლიერება და ცოდნის გაღრმავება.

მონაცემთა სისტემატური შეგროვება და რისკების შეფასება. რისკები გამოდინარეობს გარკვეულ ტერიტორიაზე არსებული საფრთხეებისა და დაუცველობის (მოწყვლადობის) კომბინაციიდან. რისკის შეფასებისათვის საჭიროა მონაცემთა სისტემატური შეგროვება და ანალიზი; აუცილებელია იმ საფრთხეებისა და დაუცველობის დინამიკური ხასიათის გათვალისწინება, რომლებიც ურბანიზაციის, სოფლის მეურნეობის მიწების ცვლილების, გარემოს დეგრადაციისა და კლიმატური ცვლილებების შედეგად წარმოიშობა. რისკების შეფასება და რისკების რუკისადმი მოსახლეობის წევდომი, მათი ინფორმირება, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ხელს უწყობს ხალხის მოტივაციის გაზრდას, ადრეული გაფრთხილების სისტემის საჭიროების აუცილებლობასა (პრიორიტეზაციას) და საგანგებო სიტუაციებისათვის მამზადებისა და რეაგირების პროცესს.

მონიტორინგისა და გაფრთხილების სამსახურების ორგანიზება. გაფრთხილების სამსახურები ადრეული გაფრთხილების სისტემის ბირთვია. უნდა არსებობდეს მეცნიერულ საფუძვლებზე აგებული საფრთხეების მონიტორინგისა და პროგნოზირების სანდო სისტემა და 24 - საათიანი გაფრთხილების სერვისები. მოსახლეობის სწორად და დროულად გაფრთხილების მიზნით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საფრთხეების დამახასიათებელი ძირითადი პარამეტრების უწყვეტ მონიტორინგს. ამავე დროს, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სხვადასხვა სახის საფრთხეების შესახებ არსებული გაფრთხილების სისტემების კოორდინირება, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება ინსტიტუციური, პროცედურული და საკომუნიკაციო ქსელების ერთიანი ფორმით გამოყენება.

ინფორმაციის გავრცელება და კომუნიკაციის უზრუნველყოფა (რისკის ქვეშ მყოფთათვის გასაგები გაფრთხილების გავრცელება/მიწოდება). რისკის ქვეშ მყოფი ადამიანების/მოსახლეობის გაფრთხილება უნდა მოხდეს ოპერატიულად.

ამავე დროს, გამაფრთხილებელი ინფორმაცია იყოს მარტივი და გასაგები, მოიცავდეს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრების დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელ ზომებსა და მოსალოდნელ საგანგებო სიტუაციაზე ეფექტურად რეაგირებისათვის კონკრეტულ მითითებებს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს (მხედველობა- და სმენადაქვეითებულ პირებს) შეტყობინება უნდა მიეწოდოს მათთვის გასაგები ფორმით. საჭიროა ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ (თემის) დონეებზე არსებული საკომუნიკაციო სისტემების წინასწარ განსაზღვრა და მათი ეფექტურად გამოყენება, რათა შესაძლებელი გახდეს მაქსიმალურად ბევრი ადამიანის გაფრთხილება და გამოირიცხოს ცალკეული საკომუნიკაციო ქსელის პარალიზება.

რეაგირების შესაძლებლობების, უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გაღრმავება. მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობას გაცნობიერებული ჰქონდეს საგანგებო სიტუაციების არსებული რისკები, შეაფასოს გამაფრთხილებელი სიგნალები და იცოდეს, რა სახის რეაგირება უნდა მოახდინოს თითოეულ მათგანზე. ამ მიმართულებით, გადამწყვეტ როლს შეასრულებს განათლების სისტემაში სამოქალაქო უსაფრთხოებისა და კატასტროფების რისკის შემცირების საკითხების სწავლება და სათანადო სასწავლო პროგრამების შემუშავება. მნიშვნელოვანია, უწყებებსა და მუნიციპალიტეტებში არსებობდეს მუდმივად განახლებადი საგანგებო და რისკის მართვის გეგმები, რომელსაც აუცილებლად უნდა იცნობდეს მოსახლეობა, ასევე, თითოეულმა პიროვნებამ იცოდეს, როგორ მოიქცეს საგანგებო სიტუაციის დროს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სად არის უსაფრთხო ადგილები და რა მარშრუტითაა შესაძლებელი საფრთხისაგან თავის დაღწევა. ასევე, მათ უნდა გამოიმუშაონ ის უნარ-ჩვევები, რომლითაც შეძლებენ საკუთრების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევების მაქსიმალურად აღკვეთას.

კერძო სექტორს ადრეული გაფრთხილების სისტემაში მნიშვნელოვანი როლი და მოვალეობები აქვს. პირველ რიგში, მათ ევალება საკუთარ ორგანიზაციებში ადრეული გაფრთხილების ერთიან სისტემასთან ადაპტირებული - ლოკალური შეტყობინების სისტემების შექმნა. ასევე, თავიანთი კომპეტენციისა და შესაძლებლობების ფარგლებში, ერთიანი ადრეული გაფრთხილების სისტემის ცალკეული კომპონენტების ფუქნქციონირება და შესაძლო საგანგებო სიტუაციებზე მომსახურე პერსონალის გამკლავების უნარისა და შესაძლებლობათა განვითარების ხელშეწყობა. საგულსიხმოა, რომ საგანგებო სიტუაციების რისკის შემცირების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების, მისი ინფორმირებისა და ადრეული გაფრთხილების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში გადამწყვეტ როლს მედიასაშუალებები ასრულებენ. ამდენად, უდავოა, რომ კერძო სექტორი თავისი ტექნიკური პერსონალით, ქონებითა და ფინანსებით, პროფესიული

მომსახურობის სპეციფიკური შესაძლებლობებით, ადრეული გაფრთხილების სისტემის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვან პოტენციალს ფლობს.

მეცნიერები და აკადემიური საზოგადოება, ადრეული გაფრთხილების სისტემების ჩამოყალიბების პროცესში ასრულებენ გადამწყვეტ როლს, რაც განისაზღვრება ადრეული გაფრთხილების სისტემის განვითარების საქმეში სამეცნიერო და კვლევითი წვლილის შეტანით. მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნებული ცოდნა აუცილებელია თემების/ადამიანების წინაშე მდგომი ბუნებრივი და ტექნოგენური საგანგებო სიტუაციების რისკების ანალიზის, ადრეული გაფრთხილებისა და საფრთხეებზე სისტემატური მონიტორინგის სერვისების ჩამოყალიბების, ასევე, საგანგებო სიტუაციის შესახებ ინფორმაციის გაცვლისა და შეტყობინების ყველასათვის მისაწვდომი ფორმით გავრცელების უზრუნველსაყოფად.

ადრეული გაფრთხილების სისტემის ბირთვია საგანგებო სიტუაციების წინმსწრები მოვლენების მონიტორინგისა და მათ შესახებ გაფრთხილების სერვისები, რომელიც უნდა მოიცავდეს როგორც ტრადიციულ ხერხებსა და საშუალებებს, ასევე, მათი საქმიანობა ეფუძნებოდეს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში თანამედროვე მიღწევების გამოყენებით შექმნილ მეთოდებსა და ტექნოლოგიებს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საფრთხეების შესახებ გაფრთხილების ტრადიციული საშუალებების, როგორცაა სირენა, დოლი, ზარი, ხმის გამამდიერებელი და ა.შ., გამოყენება ხშირ შემთხვევაში საგანგებო სიტუაციების დროს ყველაზე ეფექტურია. ამდენად, აუცილებელია ამ მეთოდებისა და საშუალებების აღიარება და ერთიან სისტემაში ინტეგრირება.

მოსახლეობის ადრეული გაფრთხილების მიზნით კომუნიკაციისათვის მრავალი ტექნოლოგიური საშუალება არსებობს. აუცილებელია ისეთი საშუალებების შერჩევა, რომლებიც ხელმისაწვდომი და ეფექტური იქნება. გაფრთხილების გავრცელების მექანიზმის შექმნის პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორები: ინფორმაციის გადაცემის დრო, დაფარვის არეალი, ადგილის ტოპოგრაფიული მახასიათებლები, გამაფრთხილებელი ხელსაწყოს ხელმისაწვდომობა, ღირებულება, ტექნიკური უზრუნველყოფა, სანდოობა და ა.შ. იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ყველასათვის ხმის მიწვდენა, აუცილებელია ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა ტექნოლოგიის კომბინირებულად გამოყენება.

გამაფრთხილებელი ინფორმაცია, რომელიც მოსახლეობას მიეწოდება, უნდა იყოს ადვილად გასაგები, ამავე დროს, მოსახლეობას ჰქონდეს მისი სწორად აღქმის უნარი. მიღებულ ადრეულ გაფრთხილებაზე სწორად რეაგირების მიზნით, თემის დონეზე უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისაკენ მიმართული ქმედებები უნდა გულისხმობდეს სისტემატური მზადების პროგრამების გამოყენებას, საგანგებო მართვის გეგმების არსებობას, მათ დატესტვასა და თემის ადეკვატურად მომზადებას.

საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესში ინფორმაციის გაცვლის მიზნით, ძირითადად გამოიყენება ქალაქის სატელეფონო ქსელი, ფიქური კავშირგაბმულობის ქსელები და რადიოსადგურები. ამათგან პირველი ორი საგანგებო სიტუაციებში ფუნქციონირების დაბალი საიმედოობით გამოირჩევა, ხოლო რადიოსადგურების გამოყენება შეზღუდულია საქართველოს რთული ლანდშაფტის გამო, ამიტომ, უპირატესობა ეძლევა საგანგებო სიტუაციების ადრეული შეტყობინებისა და ინფორმაციის გაცვლის (გავრცელების) სახელმწიფო კომპიუტერული ქსელზე (ინტრანეტი) დაფუძნებულ თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებს, რომლის მუშაობა დუბლირებულია ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის გამოყენებით.

საფრთხის შემცველი ობიექტის ღონეზე სენსორული დეტექტორები, ხმოვანი სირენები ან გადაწვოდი სისტემები მოსალოდნელი ავარიის შესახებ ამწვობენ ობიექტის ოპერატორს, რომელიც დაზიანების კერიდან შესაბამის მუნიციპალიტეტში გადასცემს პირველად შეტყობინებას განგაშის სიგნალის სახით (სირენების ან ხმამაღლამოლაპარაკე მოწყობილობების საშუალებით), ასევე პარალელურ რეჟიმში განგაშის სიგნალს გადასცემს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფის მორიგე დისპეტჩერს.

მორიგე დისპეტჩერი განგაშის შესახებ ინფორმაციას ზეპირად და ფორმალიზებული დოკუმენტის სახით სამოქმედო ინსტრუქციის მიხედვით გადასცემს სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს ოპერატიული მართვის ცენტრს და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას. ეს უკანასკნელი შეტყობინების სქემის მიხედვით კრებს მუნიციპალიტეტის საგანგებო სიტუაციების მართვის ოპერატიულ ცენტრს და რეაგირების პირველი ღონისძიებების განხორციელების მიზნით მოქმედებს საგანგებო მართვის გეგმის შესაბამისად. ზემოხსენებული ფორმალიზებული დოკუმენტი არის სტანდარტული ფორმა საგანგებო სიტუაციების შესახებ. ის მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას: საგანგებო სიტუაციის სახეობის, მისი მოხდენის დროის, მასშტაბების, ზარალისა და მსხვერპლის შესახებ პირველად მონაცემებს, ასევე, არსებობის შემთხვევაში - სპეციალური სახის ინფორმაციასაც (დამაზიანებელი ფაქტორების სახე, სიდიდე და ა.შ.).

მოსახლეობის შეტყობინება ნიშნავს მოსალოდნელი (ან მომხდარი) საგანგებო სიტუაციის შესახებ მათ გაფრთხილებას, ინფორმაციის გადაცემას, რისთვისაც გამოიყენება კავშირის ყველა საშუალება: რადიო, ტელევიზია, სასიგნალო საშუალებები და სხვ.

გაფრთხილების შეტყობინებისათვის მიღებულია სირენების გამოყენება. მათი ხმა (დაწესებულებათა წყვეტილი საყვირი) ნიშნავს გაფრთხილებას - „ყურადღება, ყურადღება, ყველას !“. ადრეული გაფრთხილების შეტყობინება (სიგნალი) „ყურადღება, ყურადღება ყველას !“. (შემდეგ კონკრეტული ტექსტური ინფორმაცია მომხდარისა და

პირველადი ქმედებების შესახებ“ გადაცემა მთელ მოსახლეობას კავშირის ყველა სახის ტექნიკური საშუალებებისა და ავტომატიზებული სისტემის გამოყენებით.

ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში ჩაირთვება სირენები, ამასთან ერთად, დიქტორი 2-3 წუთის განმავლობაში აცხადებს რადიოთი – „ყურადღება, ყურადღება, ყველას ! . . . “ და გადმოსცემს ინფორმაციას შექმნილი მდგომარეობის შესახებ. სიგნალი მეორდება რამდენჯერმე სირენის ხმასთან მონაცვლეობით და წყვეტილი საყვირით დუბლირდება დაწესებულებებსა და ტრანსპორტში. ამ სიგნალის მიხედვით მოსახლეობა ვალდებულია იმოქმედოს რეაგირების გეგმის შესაბამისად და დაიცვას საგანგებო სიტუაციებში მოქმედების წესები.

რადიოთი და ტელევიზიით (ასევე, სხვა დამატებითი საშუალებებით) გადაიცემა ინფორმაცია დაზიანებულ კერაში მოსახლეობის შემდგომ მოქმედებათა შესახებ. ყველა სახის შეტყობინებას ხმამაღლამოლაპარაკე საშუალებებით გარკვეული ინტერვალით დუბლირებას უკეთებენ საპატრულო პოლიციის მანქანები.

სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საგანგებო სიტუაციების შესახებ ადრეული გაფრთხილების ერთიანი სისტემა მოიცავს შეტყობინების ლოკალურ სისტემებს.

შეტყობინების ლოკალური სისტემის ამოქმედების შესახებ განკარგულებას გასცემს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს (ან მისი ტერიტორიული ორგანოს) უფროსი ან მისგან უფლებამოსილი პირი. რის შემდეგაც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე დასახლებული პუნქტის (თემის, სოფლის) სამოქალაქო უსაფრთხოების ხაზით მორიგე თანაშემრომელი ან პასუხისმგებელი პირი, ინფორმაციის ან გამაფრთხილებელი შეტყობინების მიღებას ადასტურებს, ამოწმებს ინფორმაციის საიმედოობას, დაუყოვნებლივ აცნობებს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს ან მისგან უფლებამოსილ პირს და მისი გადაწყვეტილების საფუძველზე, დადგენილი წესით შეტყობინების საშუალებების გამოყენებით გადასცემს შეტყობინებას ორგანიზაციებსა და მოსახლეობას. მაგალითად, ჰიდროტექნიკური ნაგებობის ავარიის დროს წარმოშობილი წამლეკი ტალღით ოთხი საათის განმავლობაში დაფარვის ზონაში მოსახლეობისა და ორგანიზაციების ევაკუაცია და რეაგირების სხვა ღონისძიებები ტარდება მუნიციპალიტეტის წინასწარ შემუშავებული საგანგებო მართვის გეგმების მიხედვით და მოსახლეობის შეტყობინება ხდება ზემოთ განხილული თანმიმდევრობით და ხორციელდება მათი ორგანიზებული გაყვანა უსაფრთხო რაიონებში.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, გამაფრთხილებელი სიგნალებისა და შეტყობინების გადაცემა ხდება დაუყოვნებლივ, ყოველგვარი რეგითობის გარეშე, ხელთ არსებული ყველა საკომუნიკაციო მოწყობილობისა და

ტექნიკური საშუალების გამოყენებით, ადგილობრივი შეტყობინების სქემის მიხედვით. ამის მაგალითია ჰიდროტექნიკური ნაგებობის ავარიის დროს წარმოშობილი წამლევი ტალღის ერთსაათიანი დაფარვის ზონაში მყოფ პირთა და მოსახლეობის უსაფრთხო ზონაში დაუყოვნებელი ევაკუაციის შესახებ გამაფრთხილებელი სიგნალის უშუალოდ შესაძლო საგანგებო სიტუაციის ზონაში გადაცემა. ამ შემთხვევაში განგამის სიგნალი გადაიცემა უშუალოდ ჰიდროტექნიკური კვანძის მართვის პუნქტიდან.

ადმინისტრაციული ერთეულის დასახლებაში შეტყობინებასა და გამაფრთხილებელ სიგნალს ავრცელებს სამოქალაქო უსაფრთხოების ხაზით მორიგე პირი.

მოსახლეობის შეტყობინებისა და იმფორმირების მიზნით ამოცანების გადასაჭრელად, დადგენილი წესით შესაძლებელია ორგანიზაციების კუთვნილი მანათობელი და ხმოვანი შეტყობინების მოწყობილობებით აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება.

შეტყობინების ლოკალური სისტემის საიმედოდ მუშაობის მიზნით, მუშავდება სამოქმედო ინსტრუქციები მუნიციპალიტეტის ორგანოსა და შესაბამისი ორგანიზაციის (პოტენციურად საშიში ობიექტის) მორიგე თანამშრომლებისათვის.

შეტყობინების ლოკალური სისტემით ინფორმაციის გავრცელების საშუალებებია: ტელევიზია, რადიომაუწყებლობა; სირენები; მოძრავი სირენები; ელექტრონული ნიშნები; GSM (GPRS) მობილური ოპერატორები; ციფრული ტელევიზია; დაბალმახვიანი რადიოსაშუალებები; მობილური ტელეფონი, ინტერნეტი, VOIP-ი და სატელიტური ტელეფონი; მოკლე ტექსტური შეტყობინებები და სხვ.

სირენების უწყვეტი ხმა სამი წუთის განმავლობაში შეესაბამება ზეპირ (სიტყვიერ) ინფორმაციას - „ყველას საყურადღებოდ !“. სიგნალის - „ყველას საყურადღებოდ!“ შემდეგ, ადგილობრივი ტელე- და რადიომაუწყებლობის საშუალებით დროის გარკვეული ინტერვალით მოსახლეობას მიეწოდება ტექსტური ინფორმაცია იმის შესახებ, რა მოხდა, სად მოხდა და როგორ უნდა იმოქმედონ.

პოტენციურად ქიმიურად საშიში ობიექტის შემთხვევაში, შეტყობინების ლოკალური სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს სიგნალის მიწოდებას 2,5 კმ რადიუსის ფარგლებში, ჰიდროტექნიკური ნაგებობების შემთხვევაში - 6 კმ მანძილზე მდინარის ქვედა ბიფში მდინარის კალაპოტის გასწვრივ. დასახლებული პუნქტში, სადაც მრავალსართულიანი შენობებია, სირენების ხმა უნდა ისმოდეს 400 მეტრის რადიუსში, ხოლო ერთჯერადი ჩართვის დროს არ უნდა იყოს სამ წუთზე ნაკლები, სიგნალის შემდგომი სიტყვიერი ინფორმაციის ხანგრძლივობა არ აღემატებოდეს ხუთ წუთს და მეორედბოდეს 2-3-ჯერ.

თავი III. ევაკუაციის ორგანიზება საგანგებო სიტუაციებისას

1. მოსახლეობის ევაკუაციის ორგანიზების საფუძვლები

საქართველოს ისტორიას თუ გავადევნებთ თვალს, ნათლად დავინახავთ, რომ ეს არის ისტორია ერისა, რომელმაც თავისი სახელმწიფოებრიობა შეინარჩუნა უთანასწორო ბრძოლებში უამრავი მსხვერპლის გადახდას, დარბევის, ამავე დროს გამირობის, მამაცობისა და გაუტეხელი რწმენის ხარჯზე. უთანასწორო ბრძოლისას ქართველ ხალხს ხშირად უხდებოდა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან აყრა და ტყეებში, მთებში, გამოქვაბულებში გახიზვნა.

მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ “დიდი თურქობა” 1080 წლიდან. ამ დროიდან, სელჩუკებმა უკვე წესად შემოიღეს ყოველწლიური შემოსევები საქართველოში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს: “არა იყო მათ ქამთა შინა თესვა და მკა, მოხრდა ქვეყანა და ტყედ გარდაიქმნა და ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრეს მას შინა”.

წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური კვლევა-ძიების თანახმად, გახიზნულ მოსახლეობას გაჰქონდა სახელმწიფო საგანძური და გაჰყავდა მსხვილფეხა საქონელი.

XII ს-ში (1156-1184) გიორგი მესამემ (თამარის მამამ) უჯარმის ადგილად მისაწდომი ციხე-დარბაზი ააღადგინა და სახელმწიფოს საგანძური იქ განათავსა. მონღოლების შემოსევის დროს განძი არწივის საზუდარ ხვამლის კლდეში დამალეს. საერთოდ, კი საქართველოში შექმნილი იყო მთელი სისტემა სამალავ-სახიზარი ქვაბებისა, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ჯერ თურქ-სელჩუკებისა (XI ს.) და შემდეგ მონღოლთა შემოსევების პერიოდში.

სახიზართაგან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ხვამლის, ბეთლემისა და თრეზვის ქვაბები. ასეთი მაგალითები, შეიძლება უამრავი მოვიყვანოთ საქართველოს ისტორიიდან. კერძოდ, საქართველოში მონღოლთა ბატონობის პერიოდში (XIII საუკუნის 40-იანი - XIV საუკუნის 10-იანი წლები) ჯავახეთ-თრიალეთიდან მოსახლეობა გადადიოდა შიდა ქართლში, ჰერეთ-კახეთის მოსახლეობა კი იხიზნებოდა მთებში.

თემურ ლენგის რვა გამანადგურებელმა შემოსევამ (1386-1403) იბულებული გახადა მოსახლეობა, თავი მაღალი მთებისა და გამაგრებული მღვიმე-ქვაბებისათვის შეეფარებინა. თავდაცვის მიზნით ისინი ძნელად მისადგომ ადგილებში თავშესაფრებსა და სიმაგრეებს აგებდნენ.

განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა შაჰ-აბასის (1587-1629) ლაშქრობები საქართველოში. ამ პერიოდში მოსახლეობის გახიზვნისა (განსაკუთრებით ქალების, ბავშვებისა და მოხუცების) და ქონების გატანის უამრავი მაგალითი გვაქვს.

ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდისა და მშობლიური ადგილებიდან მასობრივად განდევნის თვალსაჩინო მაგალითია 1992 წლის 14 აგვისტოდან 1993 წლის 27 სექტემბერამდე მიმდინარე 13 - თვიანი სამხედრო დაპირისპირება საქართველოს სამთავრობო ჯარებსა და სეპარატისტულად განწყობილ ეთნიკურ აფხაზთა ერთ ნაწილს შორის. სეპარატისტების მხარეს ასევე იბრძოდნენ ადგილობრივი სომეხები (ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი), დაქირავებული მეზომოლები ჩრდილოეთ კავკასიიდან, კაზაკთა შეიარაღებული მილიციის მეომრები, რომელთაც არაოფიციალურად მხარს უჭერდა რუსეთის სამხედრო ბაზის გარნიზონი გუდაუთაში. დაპირისპირების შედეგად განსაკუთრებული სისასტიკით განხორციელდა ქართველების ეთნიკური წმენდა. აფხაზეთიდან გამეევებულ იქნა 250 ათასამდე ქართველი, ლტოლვილად იქცა 20 ათასი აფხაზი, რუსი, სომეხი, ბერძენი, ებრაელი, ესტონელი და სხვა ეროვნების წარმომადგენელი.

დევნილთა ევაკუაცია განხორციელდა 1993 წლის 25-28 სექტემბერს. მათი ერთი ნაწილის ევაკუირება მოხდა ზღვიდან (გულრიფშის რ-ნი), ხოლო მეორე ნაწილის, გაცილებით დიდი რაოდენობის ადამიანებისა - კოდორის (დალის) ხეობით, მერხეული-წებელდა-ლათა-აჟარა-გენწვიში-ჩხალთა-საკენის გზით. მთის გზას, რომელსაც "გოლგოთის გზა" შეარქვეს, მიუყვებოდა ასობით მსუბუქი და სატვირთო მანქანა, ათიათასობით ადამიანი. მათ პრაქტიკულად არ ჰქონდათ საკვები და ისინი შიმშილისაგან იღუპებოდნენ. ადგილობრივი სვანი მოსახლეობა, რითაც შეეძლო, ეხმარებოდა დევნილებს. ხალხი ჭუბურის უღელტეხილისკენ მიიწევდა. ამ პერიოდში, მაღალმთიანეთში დამით აუტანელი სუსხი სუფევდა. ბავშვები, მოხუცები, ქალები სიცივისგან ავად ხდებოდნენ. დაუზუსტებელი მონაცემებით, უღელტეხილის გადავლისას დაიღუპა 400-ზე მეტი ადამიანი. მიცვალებულებს, ხშირ შემთხვევაში იქვე ასაფლავებენ. საქართველოს ხელისუფლებამ დახმარებისთვის მიმართა მსოფლიოს თანამეგობრობას. ზოგიერთი ქვეყანა გამოეხმაურა, კერძოდ, უკრაინა და სომხეთი, რომლებმაც სატრანსპორტო ვერტმფრენები გამოგზავნეს. ხელისუფლება და ადგილობრივი მოსახლეობა ხალხს ეხმარებოდა საკვებით, თბილი ტანსაცმლით. ამასთან ერთად, კოდორის ხეობაში აღმოჩნდნენ ბანდიტური ჯგუფები და კრიმინალური ელემენტები, რომლებიც ადამიანებს ართმევდნენ ყველაფერს, შეურაცხყოფას აყენებდნენ უმწეოებს, ამცირებდნენ მათ ადამიანურ ღირსებას.

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რა დიდ როლს ასრულებს გახიზვნა (საევაკუაციო ღონისძიებები) მოსახლეობის გადარჩენისა და ქონების შენარჩუნების საქმეში და როდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ევაკუაციის მართებულად განხორციელებასა და მისი ორგანიზების წესების ცოდნას.

დღევანდელ რეალობაში, საევაკუაციო ღონისძიებების გატარება, ნებისმიერი ხასიათის საგანგებო სიტუაციაში მოსახლეობის, სასოფლო-

სამეურნეო ცხოველების, ეროვნული მნიშვნელობის მატერიალური ფასეულობების დაცვის ძირითადი ხერხია.

საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის ღონისძიებათა კოორდინირების მიზნით, როგორც ზემოთაა განხილული, ქვეყანაში ფუნქციონირებს საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემა. ყოველდღიური მუშაობის რეჟიმში, სისტემის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა მოსახლეობის დაცვის მიზნით წინასწარგასატარებელ, კერძოდ, საევაკუაციო ღონისძიებათა დაგეგმვა და განხორციელება; ხოლო, საგანგებო სიტუაციების რეჟიმში - მოსახლეობის დაცვის, მათ შორის საევაკუაციო ღონისძიებათა გატარება, სამაშველო და გადაუდებელი საავარიო-აღდგენითი სამუშაოების ორგანიზება და გადარჩენილი ადამიანების სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობებით უზრუნველყოფა. ერთიანი სისტემის სახელმძღვანელო დოკუმენტია სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმა. ამ გეგმის საფუძველზე საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, ხოლო მათი განვითარების შემთხვევაში, შედეგების (მიტიგაციის) შერბილებისა და ლიკვიდაციის მიზნით, სამინისტროებს, უწყებებს, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, საგანგებო დახმარების ფუნქციების სახით, განსაზღვრული აქვთ როლი და პასუხისმგებლობა. საგანგებო დახმარების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა საგანგებო სიტუაციებში მოსახლეობის ევაკუაცია და ლტოლვილთა მოულოდნელი ნაკადების მართვა.

აღნიშნული საგანგებო დახმარების ფუნქციის ამოცანების ძირითადი კომპონენტებია:

კოორდინაცია - საგანგებო სიტუაციების დროს მოსახლეობის ევაკუაციის უზრუნველყოფისათვის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება, მათი განხორციელების კოორდინაცია და შესაბამისი ინფორმაციის შეროვება;

თავშესაფარი - ტერიტორიის შერჩევა, წინასწარ იდენტიფიცირებული თავშესაფრების გამოყოფა არსებული ფონდის ფარგლებში, ასევე დროებითი თავშესაფრის (საველე კარავების) ნაგებობების შექმნა და იმ თავშესაფრების გამოყენება, რომლებიც არ არის დაზიანებული საგანგებო სიტუაციების ზონაში;

კვება - კვებით უზრუნველყოფა სპეციალურად განსაზღვრულ ადგილებში, კვების მობილური პუნქტების მეშვეობით;

განთავსება - გულისხმობს: დაზარალებულთა დროებითი და გრძელვადიანი განთავსების პრობლემის გადაჭრას; იმ ფაქტორების გამოვლენას, რომელთაც შეუძლიათ ხელი შეუშალონ განთავსების საკითხებს და დაზარალებულთა დროებითი ან გრძელვადიანი განთავსების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას.

საგანგებო დახმარების ფუნქციის ფარგლებში, მოსახლეობის ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველსაყოფად ხორციელდება:

-საევაკუაციო ღონისძიებების კოორდინაცია და შექმნილი საგანგებო ვითარების მუხდმივი მომიტორინგი და შეფასება. აღნიშნულის საფუძველზე

ევაკუირებულთა დასახმარებლად შესაბამისი პროგრამების შემუშავება და არსებული საშუალებების გამოყენების საფუძველზე მათი რეალიზება;

- ყველა იმ სამსახურთან ურთიერთთანამშრომლობა, რომლებიც ჩართული არიან საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების პროცესში;

- იმ პირების გამოვლენა, რომელთაც აქვთ სპეციფიკური მოთხოვნები და საჭიროებენ განსხვავებულ სპეციალიზებულ დახმარებას (მაგ.: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, სხვა ენაზე მოსაუბრე მოსახლეობა და სხვ.);

- დახმარების აღმოჩენა იმ პირებისთვის, რომელთაც მიიღეს სტრესი, კატასტროფასთან ასოცირებული მენტალური ტრავმა;

- დანიშნულების ადგილებამდე პირველადი მოხმარების საგნებისა და პროდუქტების მიწოდების კონტროლი;

- დახმარების აღმოჩენა საგანგებო სიტუაციის ზონაში საფოსტო სამსახურის ოპერატიულად მუშაობის უზრუნველსაყოფად.

მოსახლეობის ევაკუაცია არის ღონისძიებათა კომპლექსი, რომლის მიზანია მათი ორგანიზებული გაყვანა საგანგებო სიტუაციის ზონიდან უსაფრთხო განთავსების ზონაში. ამ შემთხვევაში, უსაფრთხო განთავსების ზონა არის საგანგებო სიტუაციის ზონა ან მის გარეთ წინასწარ შერჩეული უსაფრთხო ტერიტორია, რომელიც მომზადებულია ევაკუირებული მოსახლეობის განთავსებისა და მათთვის აუცილებელი საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად.

მოსახლეობის ევაკუაციის ამოცანებია:

- ევაკუაციისთვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობისა და ევაკუაციის მარშრუტების განსაზღვრა;

- დაზარალებული მოსახლეობის შეკრების, საევაკუაციო, სამედიცინო დახმარების, კვებისა და პირველადი მოხმარების საგნების გაცემის პუნქტების ამოქმედება;

- ევაკუირებული მოსახლეობის განთავსების ობიექტების განსაზღვრა, მათი საწოლებით, კვების პროდუქტებით, პირველადი მოხმარების საგნებით უზრუნველყოფის ორგანიზება;

- დაზარალებული და უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის დროებითი განსახლების მიზნით სავლელ ქალაქების მოწყობის ორგანიზება.

საევაკუაციო ღონისძიებების განხორციელების ვადების მიხედვით მოსახლეობის ევაკუაცია შეიძლება იყოს წინასწარი ან გადაუდებელი.

იმ შემთხვევაში, როდესაც მიღებულია ზუსტი ინფორმაცია პოტენციურად საშიშ ობიექტზე ავარიის ან სტიქიური უბედურების მოსალოდნელი განვითარების შესახებ, მაშინ ხორციელდება დამაზიანებელი ფაქტორების მოსალოდნელი ზემოქმედების ზონებიდან მოსახლეობის წინასწარი ევაკუაცია.

გადაუდებელი ევაკუაცია ტარდება საგანგებო სიტუაციის განვითარების შემთხვევაში, როცა საგანგებო სიტუაციის განვითარებამდე რჩება ძალიან ცოტა

დრო და მოსახლეობა უკვე განიცდის საგანგებო სიტუაციის წინმსწრები მოვლენების ირიბად ან უშუალოდ ზემოქმედებას.

საგანგებო სიტუაციის ზონის მასშტაბებისა და გასაყვანი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით განასხვავებენ ევაკუაციის სამ სახეს: ლოკალურს, ადგილობრივს, რეგიონულს.

ლოკალური ევაკუაცია ტარდება იმ შემთხვევაში, როდესაც საგანგებო სიტუაციის დამაზიანებელი ფაქტორების ზემოქმედების ზონაში ხდება ქალაქის მიკრორაიონი ან დასახლებული პუნქტი. ამ შემთხვევაში ევაკუირებული მოსახლეობის განთავსება ხდება ქალაქის დაუზიანებელ მიკრორაიონში ან მიმდებარე დასახლებულ პუნქტებში.

ადგილობრივი ევაკუაცია ტარდება მაშინ, როდესაც საგანგებო სიტუაციის დამაზიანებელი ფაქტორების ზემოქმედების ზონაში ხდება პატარა ქალაქები, მუნიციპალიტეტები, დიდი ქალაქის რაიონები და სოფლები. ამ შემთხვევაში ევაკუირებული მოსახლეობის განთავსება ხდება მეზობელ რაიონებში.

რეგიონული ევაკუაცია ტარდება მაშინ, როდესაც საგანგებო სიტუაციის დამაზიანებელი ფაქტორების ზემოქმედების ზონაში ხდება ერთი ან რამდენიმე მუნიციპალიტეტის ტერიტორია. ამ შემთხვევაში ევაკუირებული მოსახლეობის განთავსება ხდება მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან დაშორებული სხვა რეგიონის უსაფრთხო ადგილებში.

არსებობს აგრეთვე ევაკუაციის უმარტივესი სახე - ე.წ. შენობიდან ევაკუაცია. ამ შემთხვევაში ორგანიზება უკეთდება საგანგებო სიტუაციის განვითარებამდე ან მისი მოხდენის შემდეგ წინასწარ შემუშავებული საევაკუაციო მარშრუტების მიხედვით ადამიანების მიერ შენობის დატოვებასა და მათ გაყვანას წინასწარ შერჩეულ უსაფრთხო ტერიტორიაზე, შენობის საიმედოდ დაცულ უსაფრთხო სათავსში ან სპეციალურ დამცავ ნაგებობაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ღონისძიებების მიხედვით ევაკუაცია შეიძლება იყოს: სრული და ნაწილობრივი. ხასიათის მიხედვით ასევე განასხვავებენ ევაკუაციის განსაკუთრებულ სახეობას - ე.წ. დაშორიშორებას.

სრული ევაკუაცია ითვალისწინებს მოსახლეობის ყველა კატეგორიის გაყვანას, ხოლო, ნაწილობრივი ევაკუაცია - ვითარებიდან გამომდინარე, საგანგებო სიტუაციის ზონიდან მოსახლეობის გარკვეული მოწყვლადი ნაწილის, მაგალითად, შრომის უუნარო მოსახლეობის, საბავშვო ბაღების აღსაზრდელების, სკოლის მოსწავლეების ორგანიზებულ გაყვანას წინასწარ განსაზღვრულ უსაფრთხო ადგილებში.

რაც შეეხება დაშორიშორებას, ეს არის საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედ წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, ასევე ქალაქების სასიცოცხლო მნიშვნელობის სამსახურებში დასაქმებულ და სამუშაო ცვლაში არმყოფი, პერსონალის ქალაქგარეთ უსაფრთხო ზონაში ორგანიზებული

გაყვანისა და განთავსების ღონისძიებათა კომპლექსი. დაშორიშორების მიზანია იმ პერსონალზე ზრუნვა, რომლებიც საგანგებო სიტუაციის დროს განაგრძობენ მუშაობას საწარმოებისა და დაწესებულებების სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

ევაკუაციის ხერხები და მისი ჩატარების ვადები დამოკიდებულია საგანგებო სიტუაციის მასშტაბზე, სახიფათო ზონებში მოხვედრილი მოსახლეობის რაოდენობასა და სხვა ადგილობრივ პირობებზე.

მოსახლეობის გაყვანა საგანგებო სიტუაციების ზონებიდან შეიძლება მოხდეს ფეხით, ნებისმიერი სახის ტრანსპორტით (საავტომობილო, სარკინიგზო, საჰაერო და საზღვაო) ან კომბინირებულად, რაც ითვალისწინებს მოსახლეობის დიდი ნაწილის ფეხით გაყვანას, ხოლო დანარჩენისა (ძირითადად, მათი ვისაც უჭირს ფეხით გადაადგილება ან დაშორიშორებას ექვემდებარებიან) - ტრანსპორტით.

კომბინირებული ხერხით მოსახლეობის ევაკუაცია ყველაზე მეტად განპირობებულია იმ მოთხოვნებით, რომელიც საევაკუაციო ღონისძიებების უმოკლეს ვადებში ჩატარებას ეხება.

საომარი მოქმედების პირობებში, საევაკუაციო ღონისძიებების ჩატარება ხასიათდება მრავალი თავისებურებით. საომარი მოქმედებების მასშტაბებიდან და განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე, ევაკუაცია შეიძლება იყოს მასშტაბური ან მხოლოდ სასაზღვრო რაიონებიდან ევაკუაცია. ამ შემთხვევაში, მასშტაბური ევაკუაცია ხორციელდება მთელი ქვეყნის ან რამდენიმე მხარის ტერიტორიაზე და ითვალისწინებს ყველა კატეგორიის მოსახლეობის გაყვანას. სასაზღვრო რაიონებიდან მოსახლეობის ევაკუაციას გეგმავენ და ახორციელებენ ადგილობრივი მმართველობის ორგანოები სამხედრო ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით.

ევაკუაცია არის მოსახლეობის დაცვის ეფექტური ღონისძიება ჰიდროტექნიკური ნაგებობების ავარიის შემთხვევაში შექმნილი საგანგებო სიტუაციის დროს. ამ შემთხვევაში შესაძლო კატასტროფული დატორვის ზონიდან ანუ ტერიტორიიდან, რაც წამლეკმა ტალღამ უნდა დაფაროს ერთი საათის შემდეგ, ევაკუაცია ხორციელდება დაუყოვნებლივ, ადრეული შეტყობინების სიგნალის მიღებისთანავე, შემადგენელი, შედარებით უსაფრთხო ადგილებისაკენ ადამიანების სპონტანური გადაადგილებით, ხოლო იმ ზონებიდან, სადაც ტალღამ შეიძლება მიაღწიოს ოთხი საათის განმავლობაში - მოსახლეობის ევაკუაცია ხდება წინასწარ შედგენილი საევაკუაციო გეგმის მიხედვით.

საევაკუაციო ღონისძიებები, როგორც წესი, იგეგმება და ხორციელდება კომბინირებულად, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის ერთი ნაწილის ნებისმიერი სახის ტრანსპორტითა და მეორე ნაწილის ფეხით გაყვანას.

ტრანსპორტით პირველ რიგში გაჰყავთ: სამედიცინო დაწესებულებები; მოსახლეობა, რომელსაც არ შეუძლია ფეხით გადაადგილება; ორ-სამცვლიან

საწარმოთა მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც ცვლაში არ მუშაობენ; სახელმწიფო მართვისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების თანამშრომლები.

ჩვენს ქვეყანაში, დამცავ ნაგებობებში მოსახლეობის მოთავსების შესაძლებლობის პროცენტი ძალიან დაბალია, ამიტომ ევაკუაცია მოსახლეობის დაცვის ძირითადი ხერხია.

ევაკუირებული მოსახლეობის უსაფრთხო განთავსების ზონის შერჩევა ხდება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს მიერ, საგანგებო დახმარების ფუნქციის - „საგანგებო სიტუაციებში მოსახლეობის ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა და ლტოლვილთა მოულოდნელი ნაკადების მართვა“- ამოქმედების ფარგლებში.

საევაკუაციო ღონისძიებების ორგანიზებასა და ჩატარებას უშუალოდ ხელმძღვანელობენ შესაბამისი საგანგებო სიტუაციათა მართვის ოპერატიული ცენტრები, რომლებიც, თავის მხრივ, ევაკუაციის ოპერატიულად ჩატარების მიზნით ქმნიან შემდეგი სახის საევაკუაციო ორგანოებს:

- შემკრები საევაკუაციო პუნქტებს;
- შუალედურ საევაკუაციო პუნქტებს (იმ შემთხვევაში, როცა ევაკუაციის მარშრუტი გრძელდება ოთხ საათზე მეტ ხანს);
- მიმღებ საევაკუაციო პუნქტებს.

თავის მხრივ, საევაკუაციო პუნქტებში იქმნება შემდეგი მუშა ჯგუფები: საევაკუაციო მოსახლეობის აღრიცხვის; ევაკოტრანსპორტის; უსაფრთხო განთავსების ზონებში ევაკუირებული მოსახლეობის აღრიცხვის, მიღებისა და განთავსების; საევაკუაციო ღონისძიებების უზრუნველყოფის; გატანილი მატერიალური ფასეულობის აღრიცხვისა და ა.შ.

საევაკუაციოდ მოსახლეობის შეკრების, რეგისტრაციის, საევაკუაციო კოლონიებისა და ეშელონების ფორმირების და უსაფრთხო განთავსების ზონაში გაგზავნის მიზნით იქმნება შესაკრები საევაკუაციო პუნქტი.

შემკრები საევაკუაციო პუნქტები, როგორც წესი, უნდა მოეწყოს რკინიგზის სადგურთან, საზღვაო პორტთან, საფეხმავლო მარშრუტებთან ან იმ ადგილებთან ახლოს, სადაც ადვილია ხალხის შეკრება. შემკრები საევაკუაციო პუნქტების რაოდენობა და მათი გამტარუნარიანობა განისაზღვრება გასაყვანი მოსახლეობის, ევაკუაციის მარშრუტების, ტრანსპორტში ჩასასხდომი პუნქტების რაოდენობისა და ავტოკოლონების (ეშელონების) გაგზავნის ინტენსივობის გათვალისწინებით. შემკრები საევაკუაციო პუნქტების განთავსებისათვის გამოიყენება სხვადასხვა ადმინისტრაციული შენობები. მზადყოფნაში მოდის შემკრებ საევაკუაციო პუნქტთან ახლოს მდებარე ყველა ტიპის დამცავი ნაგებობა (თავშესაფრები, სარდაფები და სხვ.).

შემკრებმა საევაკუაციო პუნქტებმა, როგორც მინიმუმ, უნდა უზრუნველყოს ერთდროულად ერთ მატარებელში (ერთ სამანქანო კოლონაში) განსათავსებელი მოსახლეობის განსაზღვრული რაოდენობა.

შემკრებ საევაკუაციო პუნქტებს უნდა ჰქონდეს პირდაპირი კავშირი მუნიციპალიტეტის ოპერატიულ ცენტრთან და მისი მოქმედების ზონაში შემავალი ყველა ობიექტის საგანგებო შტაბთან, ტრანსპორტში ჩასახდომი პუნქტებთან და ტრანსპორტით უზრუნველყოფ სამსახურებთან.

შემკრებ საევაკუაციო პუნქტებზე ინიშნება ადმინისტრაცია. მასში შედიან როგორც ადგილობრივი ტერიტორიული ორგანოების, ასევე იმ დაწესებულებების თანამშრომლები, რომელთა ბაზაზეც იშლება შემკრები საევაკუაციო პუნქტი.

შემკრები საევაკუაციო პუნქტები არ იქმნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საგანგებო სიტუაციების ზონიდან ხორციელდება მოსახლეობის ე.წ. გადაუდებელი ევაკუაცია. ამიტომ საევაკუაციო პუნქტის ამოცანებს ასრულებენ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ორგანოებზე მიმარებული ოპერატიული ჯგუფები. ეს ამოცანებია:

- მოსახლეობის შეტყობინება, შეკრება, აღრიცხვა და ტრანსპორტში ჩასხდომის ორგანიზება;
- მოსახლეობის გადანაწილება სატრანსპორტო საშუალებებში, საევაკუაციო კოლონიების ფორმირება და მათი გაცილება;
- საევაკუაციო ღონისძიებების მიმდინარეობის კონტროლი და ზემდგომი საევაკუაციო ორგანოების ინფორმირება;
- პასუხისმგებლობის ზონაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანიზება.

საგანგებო სიტუაციების ზონის გარე საზღვარზე იშლება საევაკუაციო შუალედური პუნქტები, რომლებიც უზრუნველყოფენ: მოსახლეობის აღრიცხვას, რეგისტრაციის ხელმეორედ გავლას, დოზიმეტრიულ და ქიმიურ კონტროლს (საჭიროებისამებრ), სანიტარიულ დამუშავებასა და მოსახლეობის უსაფრთხო განთავსების ზონაში გაგზავნას. საჭირო შემთხვევაში, ევაკუაციის შუალედურ პუნქტებზე ხდება დაბინძურებული (დასნეზოვნებული) ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გამოცვლა და მოსახლეობის დასნეზოვნებული ტრანსპორტიდან სუფთა ტრანსპორტში გადაყვანა.

საგანგებო სიტუაციის ზონიდან ევაკუირებული მოსახლეობის მიღების, განთავსებისა და ყოველმხრივი უზრუნველყოფის მიზნით უსაფრთხო განთავსების ზონაში იქმნება საევაკუაციო მიმღები პუნქტები.

მიმღები საევაკუაციო პუნქტი შეიძლება გაიშალოს ევაკუირებული მოსახლეობის ჩამოსვლის ადგილებში. პუნქტის ამოცანაა, შეხვდეს ევაკუირებულ მოსახლეობას და დააგზავნოს ისინი შემდგომი განთავსების ადგილებში. მიმღები საევაკუაციო პუნქტები შეიძლება განთავსდეს სკოლაში, კლუბში, საბავშვო ბაღში, სანატორიუმში, სასტუმროსა და სხვ., სადაც უზრუნველყოფენ მოსახლეობის დროებით განთავსებას ამინდის ნებისმიერ პირობებში.

უსაფრთხოდ განთავსების ზონა შეირჩევა იმ პირობით, რომ ერთ მუნიციპალიტეტზე მიმაგრებული იყოს შეძლებისდაგვარად მხოლოდ ერთი ან ორი თემი (სოფელი).

თითოეულ საწარმოს, დაწესებულებას (მათ შორის სასწავლოს) მშვიდობიან პერიოდში წინასწარ აქვს განსაზღვრული უსაფრთხო განთავსების ზონა. ევაკუირებული მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე, წინასწარ ხდება დასახლებული პუნქტების შერჩევა. უსაფრთხო განთავსების ზონის შერჩევის დროს გათვალისწინებულია, რომ ზოგიერთი რაიონი თავისი სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობით, უგზობობის, კატასტროფული დატბორვის ზონების არსებობისა და სხვა მიზეზების გამო, შეიძლება გამოუსადეგარი აღმოჩნდეს ევაკუირებულთა მისაღებად.

შესაძლო საომარი მოქმედებებისას, უსაფრთხო განთავსების ზონის შერჩევისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების თვალსაზრისით, საევაკუაციო გეგმა უნდა შეუთანხმდეს სამხედრო ნაწილის უფროსებს.

2. მოსახლეობის ევაკუაციის დაგეგმვა

მართვის ყველა დონეზე საევაკუაციო ღონისძიებების დაგეგმვას, უზრუნველყოფასა და ჩატარების ორგანიზებას ახორციელებს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის შესაბამისი ორგანო დამხმარე უწყებებსა და ორგანიზაციებთან ერთობლივად. უსაფრთხო ზონების რაიონებში ადგილობრივი თვითმმართველობის ევაკომიმდები პუნქტები შესაბამისი საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოებსა და სამსახურებთან ერთად შეიმუშავენ ევაკუირებულთა მიღების, განთავსებისა და პირველადი სასიცოცხლო უზრუნველყოფის გეგმებს. არსებული გეგმების ყველა დოკუმენტი უნდა იყოს (შემღებისდაგვარად) ლაკონური და ადვილად გასაგები, მარშრუტები და განთავსების ადგილები გრაფიკულად იყოს გამოსახული რუკებზე. ეს ნებისმიერ პირობებში მათი ადვილად გამოყენების საშუალებას იძლევა.

საევაკუაციო ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება ხდება ისეთი საკითხების გათვალისწინებით, როგორცაა:

- სატრანსპორტო საშუალებების გამოყოფა მოსახლეობის საევაკუაციოდ;

- სატრანსპორტო კომუნიკაციების ერთდროულად გამოყენების (სარკინიგზო, საავტომობილო, საჰაერო და წყლის ტრანსპორტის) შესაძლებლობა;

- სავაკუაციო მარშრუტებზე მოძრაობის ერთობლივი რეგულირებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად ძალებისა და საშუალებების გამოყოფა;

- ყველა სახის დაზვიერვის უზრუნველყოფა;

- ევაკუაციის საინჟინრო უზრუნველყოფა, მოსახლეობის ქიმიური და რადიაციული დაცვის, სანიტარიულ-ეპიდსაწინააღი და სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების მიზნით ძალებისა და საშუალებების გამოყოფა;

- შეიარაღებული ძალებისა და მათი რესურსების გამოყენების შესაძლებლობა ევაკუირებული მოსახლეობის განთავსებისა და მათი უსაფრთხო ზონაში პირველადი სასიცოცხლო უზრუნველყოფის მიზნით;

- ევაკუირებული მოსახლეობის განთავსების რაიონების განსაზღვრა და სათანადო მუნიციპალიტეტების ორგანოებთან შეთანხმება.

სავაკუაციო ღონისძიებების ჩატარების გეგმა, სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის ფარგლებში თანხმდება ქვეყნის ეკონომიკის მშვიდობიანი პერიოდიდან საომარ მდგომარეობაზე გადასვლის გეგმასთან, ასევე, შეიარაღებული ძალების სატრანსპორტო და საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, საწარმოო რესურსებითა და ფინანსებით უზრუნველყოფის გეგმებთან.

ევაკუაციას დაქვემდებარებული მოსახლეობის თანმიმდევრობით გაყვანისა და უსაფრთხო ზონაში მათი განთავსების დაგეგმვის განსაზღვრისას ევაკუირებული მოსახლეობა იყოფა 3 ჯგუფად:

- პირველი ჯგუფში შედიან საწარმოო ობიექტის მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც აგრძელებენ საწარმოო საქმიანობას კატეგორირებულ ქალაქებში საომარი მოქმედების დროს შესაძლო ძლიერი ნგრევის პირობებში და ასევე ის პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ საქმიანობას;

- მეორე ჯგუფში არიან საწარმოო ობიექტების მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც წყვეტენ საწარმოო საქმიანობას საომარი მოქმედების დროს ანდა აგრძელებენ მუშაობას უსაფრთხო ზონაში;

- მესამე ჯგუფში შედის ყველა დანარჩენი სახის მოსახლეობა.

საომარი მდგომარეობის დროს აუცილებელია ქალაქებში მომუშავეთა რაოდენობის მაქსიმალურად შემცირება, ასევე უცილებელია, ევაკუირებულთათვის უსაფრთხო ადგილებში განთავსებულ ბაზებზე საქმიანობის გაგრძელების პირობების შექმნა.

ევაკუირებული მოსახლეობის განთავსება უსაფრთხო ზონის რაიონებში ხდება: ქალაქებიდან დაშორების მანძილის, საცხოვრებელი ფონდის სიდიდის, საგზაო ქსელის მდგომარეობის, ასევე, მოსახლეობისა და სამშველო ფორმირების მუშაობის პირობების უზრუნველყოფის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

როგორც წესი, პირველ ჯგუფში შემავალი მუშა-მოსამსახურეები, მათთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით, უნდა განთავსდნენ ქალაქთან ახლოს მდებარე უსაფრთხო ზონაში.

მეორე ჯგუფში შემავალი მუშა-მოსამსახურეების განთავსება მიზანშეწონილია უშუალოდ ობიექტის მიმდებარე ტერიტორიაზე, რადგანაც ისინი აგრძელებენ საქმიანობას უსაფრთხო ზონაში განთავსებულ მონათესავე პროფილის საწარმოებში ან ახლად შექმნილ სპეციალური დანიშნულების საწარმოო ბაზებზე. ეს ტერიტორიები შეირჩევა პირველი ჯგუფის მუშა-მოსამსახურეთა განთავსების რაიონების შერჩევის შემდეგ.

მოსახლეობის ის ნაწილი კი, რომელიც არ არის ჩართული საწარმოო საქმიანობაში (მესამე ჯგუფს მიკუთვნებული მოსახლეობა), უნდა განთავსდეს ქალაქებიდან შედარებით დაცილებულ უსაფრთხო ზონებში.

მოსახლეობის ევაკუაციისათვის საჭირო საცხოვრებელი ფონდის, ტრანსპორტისა და საკომუნიკაციო ქსელის გამოყენების წესი განისაზღვრება ქვეყნის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილების საფუძველზე.

საევაკუაციო გეგმის ტექსტურ ნაწილში მიეთითება:

- საევაკუაციო ორგანოების მზადყოფნაში მოყვანის თანმიმდევრობა;
- ევაკუაციის დაწყების თაობაზე მოსახლეობის შეტყობინების წესი;
- ევაკუაციის დაქვემდებარებული მოსახლეობის რაოდენობა ჯგუფების მიხედვით;

• ევაკუირებული მოსახლეობის უსაფრთხო ზონაში განთავსების რაიონები;

• საევაკუაციო ღონისძიებების შესრულების დრო;

• ქალაქებიდან მოსახლეობის გაყვანის თანმიმდევრობა;

• საევაკუაციო მარშრუტებზე საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისა და საგზაო მოძრაობის რეგულირების ორგანიზება;

• ყველა სახის საევაკუაციო პუნქტებში და ევაკუაციის მარშრუტებზე მოსახლეობის დაცვის ორგანიზება;

• ევაკუირებული მოსახლეობის განთავსების თანმიმდევრობა უსაფრთხო ზონაში და მათი პირველადი სასიცოცხლო უზრუნველყოფა;

• სანიტარიულ-ეპიდსაწინააღმდეგო და სამკურნალო-საევაკუაციო ღონისძიებები;

• მოსახლეობის ევაკუაციის ჩატარების ხელმძღვანელობა;

• მოსახლეობის ინფორმირება და ინსტრუქტაჟი ევაკუაციის ჩატარების თაობაზე.

გეგმის ტექსტურ ნაწილთან ერთად შემუშავდება დანართები რუკების, სქემების, გრაფიკებისა და განწესების სახით, მათში შედის:

- მოსახლეობის იმ ნაწილის განწესი, რომლებიც ექვემდებარებიან ევაკუაციას;
- საევაკუაციო შემკრები პუნქტის დისლოკაციის ადგილი, ფეხით ევაკუაციის საწყისი პუნქტი, მოსახლეობის ჩასხდომისა და გადმოსხდომის პუნქტები;
- საწარმოო ობიექტების პერსონალის განაწილება საევაკუაციო შემკრები პუნქტების მდებარეობის, ჩასხდომისა და უსაფრთხო ზონაში განთავსების ადგილების მიხედვით;
- ტრანსპორტზე მოთხოვნილება და შესაძლებლობები (სარკინიგზო, საავტომობილო, წყლის, საჰაერო), მათი გადანაწილება საევაკუაციო მარშრუტების მიხედვით;
- საევაკუაციო ორგანოების შედგენილობა და მათი მზადყოფნაში მოყვანის დრო;
- აღმასრულებელი ხელისუფლების, სამოქალაქო უსაფრთხოების მიხედვით კატეგორირებული ობიექტების ხელმძღვანელი პირებისა და მოსახლეობის შეტყობინების სქემა;
- კავშირგაბმულობისა და მართვის ორგანიზება;
- ევაკუირებული მოსახლეობის უსაფრთხო ზონაში განთავსების რუკა. ობიექტების საევაკუაციო გეგმის ტექსტურ ნაწილში მიეთითება;
- მუშების, მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების შეტყობინებისა და მკვრების წესი, ევაკუაციის დაწყების ინსტრუქტაჟი;
- ევაკუაციას დაქვემდებარებული მუშების, მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების რაოდენობა;
- საევაკუაციო შემკრები პუნქტი, რომელზეც მიმაგრებულია ან რომელსაც შლის თავად ეს ობიექტი; საევაკუაციო შემკრები პუნქტის გაშლის და ობიექტის მუშა-მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების გამოცხადების დრო;
- ევაკუაციისათვის საჭირო აუცილებელი დოკუმენტებისა და მინიმალურად აუცილებელი ტვირთის მომზადების, მათი სატრანსპორტო საშუალებებში ჩატვირთვისა და საევაკუაციო პუნქტებში ჩამოტვირთვის წესი;
- იმ დოკუმენტების, მოწყობილობებისა და ქონების გადაცემის წესი (ვის, რა დროით), რომლებიც რჩება ობიექტის მუდმივი დისლოკაციის ადგილზე;
- საევაკუაციო პუნქტებში გატანილი დოკუმენტების, მოწყობილობებისა და ქონების დაცვის წესები და ობიექტის მუდმივი დისლოკაციის ადგილზე დარჩენილი ქონების დაცვის უზრუნველყოფა;
- საევაკუაციო მარშრუტი, ჩასხდომისა და გადმოსხდომის პუნქტები;
- ევაკუირებულია განთავსების პუნქტები უსაფრთხო ზონებში;

- საევაკუაციო ჯგუფების უფროსები, სატრანსპორტო ერთეულებზე კოლონების უფროსები და სხვა პასუხისმგებელი პირები, რომლების პასუხს აგებენ უსაფრთხო ზონებში გაყვანის ორგანიზებაზე;
- უსაფრთხო ზონებში მუშების, მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების განთავსების თანმიმდევრობა;
- განთავსების ზონაში ევაკუირებული კონტიგენტისათვის პირველადი სასიცოცხლო უზრუნველყოფის ორგანიზება;
- ევაკუაციის მიმდინარეობის დროს კავშირგაბმულობისა და მართვის ორგანიზება.

ევაკუირებული მოსახლეობის უსაფრთხო ზონაში მიღებისა და განთავსების გეგმის ტექსტურ ნაწილში მითითება:

- მისაღები ევაკუირებული მოსახლეობის რაოდენობა კატეგორიების მიხედვით;
- ევაკუაციას დაქვემდებარებული საწარმოო ობიექტების დასახლება;
- შენობები და ნაგებობები, რომლებშიც დაგეგმილია ევაკუირებული მოსახლეობის განთავსება;
- ევაკუირებული მოსახლეობის განთავსების თანმიმდევრობა;
- ევაკუირებულთა მიმღები პუნქტები, მათი დისლოკაციის ადგილი, მზადყოფნაში მოყვანის დრო, გაშვების შესაძლებლობა (კაცი/საათში);
- საევაკუაციო გადაზიდვებისათვის გამოყოფილი სატრანსპორტო საშუალებები, მათი განაწილება მარშრუტების მიხედვით;
- განთავსების პუნქტებში ევაკუირებული მოსახლეობის მიყვანის დრო და თანმიმდევრობა;
- ევაკუირებული მოსახლეობის განთავსებისა და პირველადი სასიცოცხლო უზრუნველყოფის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების შეტყობინების წესი;
- ევაკუირებული მოსახლეობის განთავსების პუნქტებში პირველადი სასიცოცხლო უზრუნველყოფის ორგანიზება;
- ევაკუაციის დროს მართვისა და ურთიერთკავშირის ორგანიზება;
- ადგილობრივი და ევაკუირებული მოსახლეობის ინფორმირებისა და ინსტრუქტაჟის წესი.

გეგმას ერთვის რუკა და ევაკუირებული მოსახლეობის დასახლებული პუნქტების მიხედვით განაწილების განწესი.

დგება ევაკუაციას დაქვემდებარებულთა სიები. მუშა-მოსამსახურეთა ოჯახების დაუსაქმებელი წევრები აღრიცხვაზე ადიან ოჯახის უფროსის სამუშაო ადგილის მიხედვით საწარმოო ობიექტებზე, უმუშევრები – საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (საბინაო ამხანაგობების მიერ).

საევაკუაციო სიების შედგენა ხორციელდება წინასწარ და ზუსტდება როგორც საევაკუაციო გეგმის პერიოდული კორექტირებისას, ასევე საომარი ანდა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროს.

სიების შედგენა ხდება 3 ეგზემპლარად. ევაკუაციასთან დაკავშირებით განკარგულების მიღების შემდეგ სიების პირველი ეგზემპლარი რჩება საწარმოო ობიექტზე ან საბინაო ამხანაგობაში; მეორე ეგზემპლარი იგზავნება საევაკუაციო შემკრებ პუნქტში (ოპერატიულ ჯგუფში) და მოსახლეობის გაყვანის შემდეგ გადაეცემა შესაბამის საგანგებო მართვის ორგანოს; მესამე ეგზემპლარი – ევაკუაციის დაწყების მომენტში გადაეგზავნება უსაფრთხო ზონის რაიონის ადგილობრივი თვითმმართველობის ევაკუირებულთა მიმღებ პუნქტს.

საევაკუაციო სია და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (პასპორტი) აუცილებელი საადრიცხო დოკუმენტებია ევაკუირებული მოსახლეობის განთავსებისა და პირველადი სასიცოცხლო უზრუნველყოფის მიზნით.

3. მოსახლეობის ევაკუაციის განხორციელება

ევაკუაციის ჩასატარებლად ხორციელდება შემდეგი მოსამზადებელი ღონისძიებები:

- ტერიტორიული, დარგობრივი და საობიექტო საევაკუაციო ორგანოების მზადყოფნაში მოყვანა;
 - ევაკუაციის დაქვემდებარებული მოსახლეობის რაოდენობის დაზუსტება (მუშების, მოსამსახურეების, მათი ოჯახის წევრებისა და დანარჩენი მოსახლეობის);
 - ფეხით საევაკუაციო მარშრუტების მომზადების კონტროლი (ხიდების რემონტი, წყალდიდობით შექმნილ დაბრკოლებებზე ფეხით მოსიარულეთათვის გადასასვლელების მოწყობა, გზების გაყვანა და ა.შ.);
 - საევაკუაციო გადაზიდვების შესასრულებლად საჭირო ტრანსპორტის მომზადების მონიტორინგი;
 - შეტყობინებისა და კავშირგაბმულობის სისტემის შემოწმება;
 - ყველა სახის დაზვერვის ჩასატარებლად მომზადება;
 - არსებული თავდაცვითი ნაგებობების მომზადება და მარტივი ტიპის თავშესაფრების აშენება საევაკუაციო მიმღებ პუნქტებთან და ტრანსპორტში ჩასხდომის პუნქტებთან;
 - უსაფრთხო ზონაში განთავსების რაიონების მომზადება;
 - სამედიცინო უზრუნველყოფის წესის განსაზღვრა;
 - საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების დაზუსტება.
- მოსახლეობის ევაკუაცია იწყება მის ჩატარებაზე სპეციალური განკარგულების მიღებისთანავე.

საევაკუაციო ორგანოები საგანგებო სიტუაციის ან საომარი მდგომარეობის დროს საევაკუაციო ღონისძიებებს ახორციელებენ წინასწარ შემუშავებული და ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული გეგმებისა და გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მოსახლეობის ევაკუაციის დროს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის ორგანოები:

- კოორდინაციას უწევენ და აკონტროლებენ მოსახლეობის დროულ შეტყობინებას, შეკრებასა და უსაფრთხო ზონაში გაყვანას;

- სატრანსპორტო სამსახურების ხელმძღვანელობასთან ერთად აკონტროლებენ სატრანსპორტო საშუალებების საევაკუაციო გადაზიდვებისათვის მზადყოფნას, აზუსტებენ საევაკუაციო მიმღებ და ჩასხდომის პუნქტში ევაკუირებული მოსახლეობის გადასაყვანად საქალაქო ტრანსპორტის გამოყენების წესს;

- ქმნიან და მზადყოფნის რეჟიმში ინარჩუნებენ მუდმივ კავშირს საევაკუაციო მარშრუტის უფროსებთან;

- კოორდინირებას უწევენ და აკონტროლებენ უსაფრთხო ზონაში ევაკუირებული მოსახლეობის მიღების, განთავსებისა და პირველადი სასიცოცხლო უზრუნველყოფის ორგანიზებას;

- უზრუნველყოფენ ქვეყნის რეგიონებს (მუნიციპალიტეტებს) შორის ურთიერთთანამშრომლობას ევაკუირებული მოსახლეობის მათ ტერიტორიაზე მიღებისა და განთავსების საკითხებზე;

- ურთიერთთანამშრომლობენ სამხედრო ხელმძღვანელობასთან საევაკუაციო ღონისძიებების ჩატარების უზრუნველყოფისა და ორგანიზების საკითხებზე.

საბინაო ამხანაგობათა ხელმძღვანელები ახორციელებენ იმ დაუსაქმებელი მოსახლეობის დროულ შეტყობინებასა და საევაკუაციო მიმღებ პუნქტებში შეკრებას, რომლებიც არ არიან მუშა-მოსამსახურეთა ოჯახის წევრები, უზრუნველყოფენ მარტოხელა და დავრდომილი ადამიანების (რომლებიც საჭიროებენ სხვის დახმარებას) საევაკუაციო მიმღებ პუნქტებში გადაყვანას.

საევაკუაციო ღონისძიებების უზრუნველსაყოფად სამხედრო ხელმძღვანელობა ურთიერთმოქმედების გეგმების შესაბამისად:

- გამოყოფს სატრანსპორტო საშუალებებს;

- აზუსტებს საგზაო ქსელის გამოყენების წესს, ინფორმაციას აწვდის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვისა და საევაკუაციო ორგანოებს შექმნილი ვითარების უცვარი ცვლილების შესახებ და აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამის რეკომენდაციებს აძლევს საევაკუაციო გეგმაში ცვლილებების შესატანად, დახმარებას უწევს მათ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, საკომუნდატო სამსახურის საევაკუაციო მარშრუტებზე მოძრაობის რეგულირებისა და დაზვერვის ორგანიზებაში;

• ევაკუირებული მოსახლეობის განთავსებისა და პირველადი სასიცოცხლო უზრუნველყოფის მიზნით, შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფს მათთვის სამხედრო ქვედანაყოფების განთავსებისათვის განკუთვნილი იმ დროს თავისუფალი ადგილების, სამხედრო დასახლებული პუნქტებისა და სამხედრო ქონების გარკვეული ნაწილის გადაცემას.

საევაკუაციო შემკრები პუნქტის ხელმძღვანელები:

• ობიექტის ხელმძღვანელობასთან ერთად აზუსტებენ საევაკუაციო შემკრებ პუნქტებზე მიწერილი მუშა-მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების შემადგენლობას, ევაკუაციას დაქვემდებარებული მოსახლეობის რაოდენობასა და მათი უსაფრთხო ზონაში გამგზავრების წესს;

• საევაკუაციო შემკრებ პუნქტზე ახორციელებენ ევაკუაციას დაქვემდებარებული მოსახლეობის რეგისტრაციასა და აღრიცხვას, საევაკუაციო ჯგუფების დაკომპლექტებას, სატრანსპორტო საშუალებებში ჩასხდომის ორგანიზებას;

• ხელმძღვანელებს ყველა საევაკუაციო შემკრები პუნქტის მუშა ჯგუფების მუშაობას, ინსტრუქტაჟს უტარებენ საევაკუაციო ჯგუფების უფროსებს;

• ორგანიზებას უწევენ საევაკუაციო შემკრებ პუნქტებში ავადმყოფების სამედიცინო უზრუნველყოფის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, საჭიროების შემთხვევაში - ევაკუაციას დაქვემდებარებული მოსახლეობის დაცვით ნაგებობებში განთავსებას;

• საევაკუაციო ღონისძიებების ჩატარების შემდეგ, ქალაქის (მუნიციპალიტეტის) საგანგებო სიტუაციების მართვის ოპერატიული ცენტრის განკარგულების საფუძველზე, ახორციელებენ საევაკუაციო შემკრები პუნქტის პირადი შემადგენლობის ევაკუაციას.

ფეხით ევაკუაციის შემთხვევაში, მარშრუტის უფროსები მართვის ჯგუფთან და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ძალებთან ერთად:

• უზრუნველყოფენ ფეხით საევაკუაციო მარშრუტებზე ორგანიზებულ მოძრაობას, ახდენენ მარშრუტების დაზვერვასა და შედეგების მოსახლეობისათვის შეტყობინებას;

• საგანგებო სიტუაციების მართვის შესაბამის ოპერატიულ ცენტრს აწვდიან ინფორმაციას ფეხით ევაკუირებულთა ჯგუფების მიერ საწყისი პუნქტის გავლის, დროებითი შესვენების ადგილებზე მისვლის, ევაკუირებულთა მიმდებ პუნქტებზე გამოცხადებისა და უსაფრთხო ადგილებში მათი განთავსების დროის შესახებ;

უსაფრთხო ზონაში საევაკუაციო მიმდები პუნქტები:

• ორგანიზებას უწევენ მოსახლეობის გადმოსხდომის პუნქტების მზადყოფნაში მოყვანას სატრანსპორტო სადგურებისა და პორტების უფროსებთან ერთად;

- აზუსტებენ უსაფრთხო ზონაში მისაღები ევაკუირებული მოსახლეობის საერთო რაოდენობას, საევაკუაციო მიმღები პუნქტებიდან განთავსების ადგილებამდე მოსახლეობის გადასაცვანად საჭირო ტრანსპორტით უზრუნველყოფის წესს;

- ორგანიზებას უწევენ ევაკუირებული მოსახლეობის პირველად სასიცოცხლო უზრუნველყოფას.

ევაკუირებული პირები ვალდებული არიან თან იქონიონ პირადობის დამადასტურებელი საბუთები, პირადი ნივთები და 2-3 დღე-ღამის სამყოფი საკვები პროდუქტები (ერთ მოზრდილ ადამიანზე არაუმეტეს 50 კგ ტვირთი).

სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებებში მყოფი ავადმყოფები უსაფრთხო განთავსების ზონაში გაჰყავთ ამ დაწესებულებებთან ერთად, გარდა არატრანსპორტირებადი ავადმყოფებისა და მათი მომსახურე პერსონალისა.

ევაკუაციას დაქვემდებარებული მოსახლეობა, შეტყობინების შემდეგ მითითებული დროის განმავლობაში საქალაქო ტრანსპორტით (რომელიც ამ პერიოდისათვის მუშაობს დღე-ღამის განმავლობაში) უნდა გამოცხადდეს საევაკუაციო შემკრებ პუნქტებში.

საევაკუაციო შემკრებ პუნქტებში მოსახლეობის გამოცხადების ხანგრძლივობა იზღუდება დროით, რომელიც აუცილებელია მათი რეგისტრაციისა და უსაფრთხო განთავსების ზონაში მოქმედების წესების შესახებ ინსტრუქტირებისათვის.

მოსახლეობა, რომელიც ექვემდებარება ტრანსპორტით ევაკუაციას, საევაკუაციო შემკრებ პუნქტში ინსტრუქტაჟის შემდეგ, ნაწილდება სატრანსპორტო საშუალებებში (ვაგონებში, გემის სათავსებში, ავტომანქანებში), სადაც მათი ჩასხდომა მიმდინარეობს ორგანიზებულად.

მოსახლეობა, რომელიც ექვემდებარება ფეხით ევაკუაციას, ერთიანდებიან ჯგუფებად და საწყისი პუნქტებიდან მიდის წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით უსაფრთხო ზონაში. ფეხით ევაკუაციის მარშრუტების შერჩევა ხდება ადგილობრივი პირობების, გზების მდგომარეობისა და ევაკუაციას დაქვემდებარებული მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით.

მოსახლეობის ფეხით ევაკუაციისათვის გამოიყენება ისეთი გზები, რომლებითაც არ ხორციელდება სამხედრო გადაზიდვები, ასევე წინასწარ მომზადებული სათადარიგო გზები, ბილიკები და სხვ. გამონაკლის შემთხვევაში, შესაძლებელია საავტომობილო გზების ტროტუარების გამოყენება.

ფეხით ევაკუირებულთა კოლონები იქმნება 500-დან 1000 კაცამდე შემადგენლობით. კოლონებს უკეთ მართვის მიზნით, ყოფენ 50-100 კაციან ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს ხელმძღვანელობს ჯგუფის უფროსი, რომელიც ვალდებულია, შეამოწმოს პირადი შემადგენლობის რაოდენობა, არ დაუშვას ჯგუფში უცხო პირების ყოფნა, თვალყური ადევნოს ჩამორჩენილ პირებს.

ფეხით ევაკუირებულთა კოლონების მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარე გადაადგილების მარშრუტებზე 3-4 კმ/სთ-ია; კოლონებს შორის მანძილი - 500

მეტრი. კოლონების მიერ დღე-ღამის განმავლობაში 10-12 საათი მოძრაობის შედეგად გავლილი მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 30-40 კმ-ს. კოლონათათვის ყოველი 1-1,5 საათის მოძრაობის შემდეგ ინიშნება მცირე 15-20 წუთიანი შესვენება. დღის მეორე ნახევრის დასაწყისში - შესაძლო დაზიანების ზონის გარეთ ინიშნება დიდი შესვენება 1,5-2 სთ ხანგრძლივობით.

მცირე შესვენების დროს მოწმდება კოლონების (ჯგუფების) შემადგენლობა, საჭიროებისამებრ ტარდება სამედიცინო დახმარება;

დიდი შესვენების დროს ხორციელდება ცხელი საკვების მიღება. მცირე და დიდი შესვენების ადგილებად შეირჩევა შეძლებისამებრ დაცული ადგილები. დაუშვებელია კოლონების შეჯგუფება.

ფეხით ევაკუირებულთა კოლონები, რომლებიც გადაადგილების დროს იმყოფებიან რადიოაქტიურად, ქიმიურად და ბაქტერიოლოგიურად (ბიოლოგიურად) დაზინძურებულ რაიონებში, შესაძლებლობის მიხედვით შემოუვლიან აღნიშნულ რაიონებს ქარის მიმართულებით, ხოლო თუ შემოვლითი გზები არ არსებობს, მაშინ დაზინძურებული რაიონების გავლა შესაძლებელია ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებით.

იმ ქალაქებიდან, რომლებზეც უშუალოდ განხორციელდა მოწინააღმდეგის საჰაერო იერიშები, მოსახლეობის ევაკუაცია მიმდინარეობს საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელ სამუშაოებთან ერთად კომპლექსურად.

ევაკუაციის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, წინასწარ (შშვიდობიან პერიოდში) იგეგმება, ხოლო საგანგებო სიტუაციების საფრთხის არსებობის ან მოხდენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ იწყება: დაზვერვის, კავშირგაბმულობის, შეტყობინების, სატრანსპორტო, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების, საინჟინრო და მტერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ღონისძიებები.

საწარმო ობიექტების ხელმძღვანელებისთვის შეტყობინება ხორციელდება როგორც ქალაქების (მუნიციპალიტეტების) საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის ორგანოების, ასევე ეკონომიკის შესაბამისი დარგის ხელმძღვანელების მიერ საუწყებო კავშირის საშუალებით.

ევაკუაციას დაქვემდებარებული მოსახლეობის დამატებითი ინფორმირებისა და ინსტრუქტირებისათვის გამოიყენება ადგილობრივი შეტყობინების საშუალებები. მოსახლეობის შეტყობინებისა და ინფორმირების სფეროში დიდი როლი ენიჭება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს.

დაზვერვა. გზებზე წყალდიდობის შედეგად შექმნილი დაბრკოლებების შეფასების, მარშრუტების, რადიოაქტიული დაზინძურების კერების, ქიმიურად დასნეულებების ზონების, ასევე სამედიცინო, ეპიდემიოლოგიური და ვეტერინარული ვითარების დაზუსტებისა და საიმედო მონაცემების მიღების მიზნით ტარდება საჰაერო, საზღვაო (სამდინარო) და სახმელეთო დაზვერვა.

დაზვერვის კოორდინაციას ახორციელებენ შესაბამისი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების ოპერატიული მართვის ცენტრები, რომლებიც გეგმავენ მოსახლეობის ევაკუაციას.

საპაეო დაზვერვას ატარებენ სპეციალურად მომზადებული სამოქალაქო და სამხედრო ავიაციის თვითმფრინავებისა და ვერტმფრენების ეკიპაჟები, ძირითადად დაზიანების კერების საზღვრების, ნგრევის ხასიათისა და ხანძრების, ხიდებისა და გადასასვლელების, ეკონომიკის ობიექტების, სატრანსპორტო მაგისტრალების, საინჟინრო ნაგებობებისა და სხვა ობიექტების მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით.

სახმელეთო დაზვერვას ახორციელებენ საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემის შესაბამისი სამსახურების სადაზვერვო ფორმირებების დაკვირვებებისა და ლაბორატორიული კონტროლის დაწესებულებების ქსელი, რადიაციული და ქიმიური დაზვერვის საგუშაგოები.

საზღვაო (სამდინარო) დაზვერვას ატარებენ შესაბამისი სადაზვერვო ფორმირებების ხომალდებით (კატარღებით) და სხვა საცურაო საშუალებებით, ასევე სამხედრო-საზღვაო ხელმძღვანელობის მიერ გამოყოფილი ძალებით და საშუალებებით.

სატრანსპორტო უზრუნველყოფა არის ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მიმართულია საევაკუაციო გადაზიდვების შესასრულებლად გამოყოფილი სატრანსპორტო საშუალებების მომზადებისაკენ, განაწილებისა და სწორი ექსპლუატაციისაკენ.

სატრანსპორტო უზრუნველყოფის ძირითადი ამოცანებია:

- საევაკუაციო გადაზიდვების შესასრულებლად საჭირო მართვის ორგანოების, ძალებისა და საშუალებების მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფა;
- საევაკუაციო გადაზიდვების მცირე დროში შესრულების ორგანიზების მიზნით, ყველა სახის ტრანსპორტისა და სატრანსპორტო საშუალების მაქსიმალურად გამოყენება;
- სატვირთო სატრანსპორტო საშუალებების მომზადება (გადიარაღება) ხალხის ტრანსპორტირებისათვის;
- სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობების სპეციალური დამუშავება;
- ტრანსპორტის სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფა და სატრანსპორტო საშუალებების რემონტის ორგანიზება საევაკუაციო სამუშაოების შესრულების დროს;
- საევაკუაციო გადაზიდვების მართვის უწყვეტობის უზრუნველყოფა.

პირად საკუთრებაში არსებული ტრანსპორტის მფლობელებთან ფორმდება შეთანხმება, რომლის საფუძველზეც ისინი ვალდებულიებას აიღებენ საევაკუაციო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებაზე იმ პირობით, რომ ამოცანების

შესრულების შემდეგ, მათთვის განხორციელდება სატრანსპორტო საშუალების მომსახურების მატერიალური დანახარჯების ანაზღაურება.

სამედიცინო უზრუნველყოფა მოიცავს:

- ევაკუირებული მოსახლეობისათვის საევაკუაციო შემკრებ, ჩასხდომისა და ევაკუირებულთა მიღების პუნქტებზე, საევაკუაციო მარშრუტებზე, გადმოსხდომისა და უსაფრთხო განთავსების ზონაში დროული სამედიცინო დახმარების ორგანიზებას;

- სანიტარიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას, რომელიც მიმართულია ევაკუირებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისკენ, ინფექციური დაავადებებისა და მასობრივად გავრცელების შესახებ შეტყობინების უზრუნველყოფისაკენ.

საევაკუაციო ღონისძიებების ჩატარებისას საევაკუაციო შემკრებ პუნქტებზე, ჩასხდომისა და გადმოსხდომის პუნქტებზე, საევაკუაციო მარშრუტებზე იშლება სამედიცინო პუნქტები, სადაც მიმდინარეობს სამედიცინო პერსონალის სადღეღამისო მორიგება.

სამედიცინო პუნქტების გაშლას ახორციელებენ სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებები საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის შესაბამისი ორგანოების დავალებით.

მოსახლეობის ევაკუაციის დროს, მათი სამედიცინო უზრუნველყოფის მიზნით კოლონებში, გემებსა და მატარებლებში ყოველთვის უნდა იმყოფებოდეს სამედიცინო პერსონალი (დაიშვებიან ევაკუაციასდაქვემდებარებული პირებიც, რომლებსაც აქვთ სამედიცინო გამოცდილება) არაუმცირეს ორი სანიტარიული რაზმის სახით, რომლებიც უზრუნველყოფილი იქნებიან სათანადო აუცილებელი სამედიცინო აღჭურვილობით.

ფეხით ევაკუირებული მოსახლეობის სამედიცინო დახმარებას საევაკუაციო მარშრუტებსა და შესვენების ადგილებზე, ახორციელებენ ახლომდებარე სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებები (აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია გაიშალოს დროებითი სამედიცინო პუნქტი 1-2 ექიმის, 2-3 ექთნისა და 1-2 სანიტრის შემადგენლობით).

ყოველ საევაკუაციო მარშრუტზე ადგილობრივი სამკურნალო დაწესებულებების ბაზაზე იქმნება არანაკლები 2 სამედიცინო ბრიგადა, რომლებიც აღჭურვილია სატრანსპორტო საშუალებებით. ყოველი მოძრავი ბრიგადა ყალიბდება შემდეგი შემადგენლობით: 1 ექიმი, 2-3 ექთანი, რომლებსაც აქვს გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო აღჭურვილობა და რადიოკავშირი.

მოძრავი სამედიცინო ბრიგადები ექვემდებარებიან სამკურნალო დაწესებულების მთავარ ექიმს, რომელიც გემის მიხედვით უზრუნველყოფს მოცემულ მარშრუტზე სამედიცინო დახმარებას.

უსაფრთხო ზონაში განთავსებული ევაკუირებული მოსახლეობის სამედიცინო მოსამსახურეობას ახორციელებენ ადგილობრივი და სხვადასხვა ქალაქებიდან ევაკუირებული სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებები.

ობიექტებზე, რომლებიც განაგრძობენ მუშაობას საომარი მოქმედების დროს, მუშა-მოსამსახურეთა სამედიცინო უზრუნველყოფა ხორციელდება სამედიცინო სამსახურების უფროსებისა და შესაბამის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის ორგანოების გადაწყვეტილების შესაბამისად.

მოსახლეობის ევაკუაციის დროს, სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები ხორციელდება სავაკუაციო შემკრებ, მიმღებ, ჩასხდომისა და გადმოსხდომის პუნქტებში, გადაადგილების მარშრუტებზე, განთავსების ადგილებში. ის მოიცავს:

- ევაკოკონტიგენტის დროებითი და მუდმივი განთავსების ადგილების სანიტარიულ-ჰიგიენურ კონტროლს;

- სანიტარიულ-ჰიგიენური წესების დაცვის კონტროლს კვების ობიექტებზე საკვები პროდუქტების შენახვის, მომზადებისა და მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის დროს;

- ეპიდემიოლოგიურ მონიტორინგს, შექმნილ ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობაზე დროული და სრულყოფილი ინფორმაციის მიღებას;

- დაავადებულთა დროულ გამოვლენას, მათ იზოლირებასა და ჰოსპიტალიზაციას;

- მოსახლეობის განთავსების ადგილებში აბანოებით სარგებლობის ორგანიზების კონტროლს;

- სადებიზინფექციო ღონისძიებებს.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებია:

- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა ევაკოობიექტებზე (სავაკუაციო შემკრებ, მიმღებ, ჩასხდომისა და გადმოსხდომის (რკინიგზის ავტოსადგურები, ავტოსადგურები, პორტები, აეროპორტები) პუნქტებში, სავაკუაციო მარშრუტებზე და უსაფრთხო განთავსების ზონაში;

- საწარმოო ობიექტის დაცვის უზრუნველყოფა, სავაკუაციო პერიოდში დადგენილი წესების მიხედვით;

- ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში, სავაკუაციო მარშრუტებზე მოძრაობისა და ტვირთების გადაზიდვის წესების დაცვის უზრუნველყოფა;

- სისხლისსამართლებრივ დანაშაულთან ბრძოლა (ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში, სავაკუაციო მარშრუტებზე და ევაკუირებულთა უსაფრთხო განთავსების ზონაში);

• პოტენციური მოწინააღმდეგის დივერსიულ-ტერორისტულ ჯგუფებთან ბრძოლა და სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფა, სხვადასხვა დონისძიებებში მონაწილეობა;

• ევაკუირებული მოსახლეობის რეგისტრაცია და სამისამართო-საცნობარო სამუშაოების წარმართვა (მოსახლეობის განთავსების ადგილებისა და სხვა სახის მონაცემების შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნა);

• სპეციალურ საშვთა გამცემი კომისიის მუშაობის ორგანიზება.

საევაკუაციო შემკრები და მიმღები პუნქტების საინჟინრო უზრუნველყოფა მოიცავს:

• ევაკუირებული მოსახლეობისათვის თავშესაფრების მოწყობას;

• საავარიო განათების მოწყობას;

• სანიტარული კვანძების მოწყობას;

• სასმელი წყლის გამანაწილებელი პუნქტების მოწყობას;

• სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციისათვის ბაქნების მოწყობას;

• იმ ადგილების მოწყობას, სადაც ხორციელდება ევაკუირებული მოსახლეობის სახმელეთო, საზღვაო-სამდინარო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებში ჩასხდომა.

მოძრაობის მარშრუტებზე სრულდება საინჟინრო უზრუნველყოფის შემდეგი დონისძიებები:

• გზების მდგომარეობის გაუმჯობესება, ხიდების გაძლიერება, გზების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა (საჭიროების შემთხვევაში შემოვლითი გზების გაყვანა), წყლის გამო შექმნილ დაბრკოლებებზე გადასასვლელების მოწყობა;

• ზამთრის პირობებში ევაკუაციის დროს თოვლის საფარისაგან გზების გაწმენდა;

• ძნელად გასავლელი და მკვეთრი აღმართი გზების გადალახვის მიზნით საწევ-საბუქსირე საშუალებების უზრუნველყოფა;

• წყლის ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტებზე სანავიგაციო ნიშნების დაყენება.

მოსახლეობის უსაფრთხო განთავსების ზონის რაიონის საინჟინრო უზრუნველყოფა გულისხმობს:

• ევაკუირებული მოსახლეობის განთავსების მიზნით საზოგადოებრივი შენობებისა და ნაგებობების გადაკეთება-მოწყობას;

• საველე სამედიცინო პუნქტების, პურის საცხობების, აბანოების, დროებითი სავაჭრო ფარდულების და მომსახურების სხვა ობიექტების მოწყობას;

• წყალმომარაგების პუნქტების მოწყობას.

ევაკუაციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა მოიცავს: ევაკუაციის დროს სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისა და

რემონტის ორგანიზებას, საწვავ-საპოხი მასალების მარაგების, სათადარიგო ნაწილების, წყლის, კვების პროდუქტებისა და პირველადი მოხმარების საგნების მარაგების შექმნას, საევაკუაციო ორგანოების უზრუნველყოფას აუცილებელი ნივთებითა და მარაგებით.

უსაფრთხო განთავსების ზონაში ევაკუირებული მოსახლეობისათვის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას ახორციელებენ ადგილობრივი თვითმმართველობის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურები (შესაბამისი უწყებები, საქალაქო (მუნიციპალური) კომუნალური სამსახურები და ინფრასტრუქტურის სახვა სპეციალიზებული ორგანიზაციები).

ევაკუირებული მოსახლეობის საბინაო-კომუნალური უზრუნველყოფა გულისხმობს:

- ევაკუირებული მოსახლეობისათვის წყალმომარაგებისა და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების მოწყობისა და ფუნქციონირების ორგანიზებას;
- დროებითი და სტაციონარული მომსახურების ობიექტების (სავაჭრო ობიექტები, პურის საცხობები, აბანოები, სამრეცხაოები და სხვ.) მუშაობის ორგანიზებას;
- მოსახლეობის სათბობითა და ელექტროენერგიით უზრუნველყოფის მიზნით კომუნალურ-ენერგეტიკული საწარმოების მუშაობის ორგანიზებას.

4. საგანგებო სიტუაციების დროს სახელმწიფო მნიშვნელობის მატერიალური ფასეულობების საევაკუაციო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება

სახელმწიფო მნიშვნელობის მატერიალური ფასეულობების ევაკუაცია არის ღონისძიებათა კომპლექსი, რომლის მიზანია მათი გატანა უსაფრთხო ზონაში ან ადგილზე მათი უსაფრთხოდ შენახვა.

აქ სახელმწიფო მნიშვნელობის ფასეულობებს განეკუთვნება:

I - დოკუმენტური მასალა (არქივებში, ბიბლიოთეკებში და სხვ.);

II - ხელოვნების ნიმუშები და განძეულობა (მუზეუმებში, ფონდებში, გალერეებში და სხვ.);

III - ფულადი სახსრები და ოქროს მარაგი (ბანკებში);

IV - აუდიო-, ვიდეო-, კინო-, ფოტო-, ფონო- და კომპიუტერული მასალები (ტელევიზიაში, კინოსტუდიაში და სხვ.).

მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციების ან საომარი მოქმედების ზონებიდან სახელმწიფო მნიშვნელობის მატერიალური ფასეულობების ევაკუაცია იგეგმება წინასწარ.

სახელმწიფო მნიშვნელობის მატერიალური ფასეულობების ევაკუაციის მართებულად დაგეგმვისა და ორგანიზებულად ჩატარებისათვის საჭიროა განისაზღვროს:

1. სახელმწიფო მნიშვნელობის მატერიალური ფასეულობების რაოდენობა (მოცულობა) და მდგომარეობა;

2. შენახვის ფორმა;

3. შენახვის ადგილი (სართული);

4. მტვირთავთა ბრიგადების რაოდენობა და მათი რიცხოვნობა;

5. საიდან იგზავნება მტვირთავთა ბრიგადა;

6. საავტომობილო ტრანსპორტის რაოდენობა;

7. საიდან იგზავნება ტრანსპორტი;

8. სად გადააქვთ მატერიალური ფასეულობები.

დოკუმენტური მასალა, როგორც წესი, ინახება სპეციალურ მუყაოს ყუთებში, რომლებიც დანომრილია და აქვს მასში მოთავსებული მასალის ჩამონათვალი (სია). ყუთების რაოდენობიდან გამომდინარე განისაზღვრება მტვირთავთა ბრიგადების რაოდენობა და რიცხოვნობა. იმ შემთხვევაში, თუ ყუთების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ მათი დატვირთვა მანქანებზე ობიექტის პერსონალის შესაძლებლობებს აღემატება, მაშინ შესაბამისი სამსახური გეგმავს სხვა დამხმარე რეაგირების ძალების პირადი შემადგენლობის მიწერას (სამხედრო ნაწილები, სამოზილიზაციო ქვედანაყოფები, სტუდენტები და სხვ.). გარდა პირადი შემადგენლობისა, ამ ობიექტებს უნდა მიეწეროს ტრანსპორტი, რომლის რაოდენობა და გადაზიდვისათვის საჭირო დრო განისაზღვრება წინასწარი გაანგარიშების საფუძველზე, ობიექტის სავაკუაციო გეგმაში.

დოკუმენტური მასალების გატანა ხდება ქალაქიდან მოშორებით, მშრალ, აგრესიული ზემოქმედებისაგან დაცულ სავაკეში.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების დაგეგმვა და დროული განხორციელება, ძალებისა და საშუალებების სწორი გათვლა საშუალებას იძლევა, გადავარჩინოთ სახელმწიფო მნიშვნელობის ფასეულობები, რაც ნიშნავს, რომ თაობებს შევუნარჩუნებთ ისტორიას.

5. საგანგებო სიტუაციების დროს სასოფლო-სამეურნეო ცხოველების სავაკუაციო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება

სასოფლო-სამეურნეო ცხოველების (შემდგომში ცხოველები) ევაკუაცია არის ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ხორციელდება პირუტყვის სულადობის შენარჩუნების მიზნით და ითვალისწინებს საგანგებო სიტუაციის ზონიდან მათ ორგანიზებული გადაყვანას (გადარეკვას) უსაფრთხო განთავსების ზონაში.

ცხოველთა ევაკუაცია იგეგმება მოსალოდნელი საომარი მოქმედებისა და საგანგებო სიტუაციების ზონებიდან. ეს ხორციელდება გადარეკვით ან

საავტომობილო, სარკინიგზო და საზღვაო სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით.

დასაშვებია მხოლოდ ჯანმრთელი ცხოველების ევაკუაცია დაავადების მხრივ კეთილსაიმედო რაიონებიდან.

ევაკუაციის წინ ტარდება ცხოველების სავალდებულო ვეტერინარიული გასინჯვა, დამუშავება და ეპიზოოტიის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური აცრები. ყოველ პარტიაზე გაიცემა ვეტერინარიული მოწმობა.

საგანგებო სიტუაციების ზონებიდან ცხოველთა საევაკუაციო ღონისძიებების დროულად და ორგანიზებულად ჩატარების მიზნით წინასწარ დგება ევაკუაციის გეგმა, რომელშიც განსაზღვრული უნდა იყოს:

1. ცხოველთა თავმოყრის ადგილები;
2. გადარეკვის (გადაყვანის) მარშრუტები;
3. საჭირო ტრანსპორტის სახეობა და რაოდენობა;
4. უსაფრთხო განთავსების ზონები;
5. საევაკუაციო ღონისძიებების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირების ვინაობა.

ცხოველების თავმოყრის ადგილები, როგორც წესი, შეირჩევა მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციების ზონების გარეთ, გაშლილ ადგილას. სარკინიგზო (საზღვაო) ტრანსპორტით ევაკუაციის დროს ცხოველების თავმოყრის ადგილი შეირჩევა რკინიგზის პლატფორმასთან (პორტთან) ახლოს, სადაც ხდება საევაკუაციო ცხოველების აღრიცხვა, დახარისხება, პარტიებად თავმოყრა და სპეციალურად მომზადებულ პირთათვის ჩაბარება. ყოველივე ამის შემდეგ იქმნება სატრანსპორტო (გადარეკვის) კოლონები და ინიშნებიან კოლონათა უფროსები, რომლებიც ადგენენ ცხოველთა აღრიცხვის უწყისს.

საცობების თავიდან აცილების მიზნით პირუტყვის გადარეკვისათვის საავტომობილო მარშრუტების შერჩევა ხდება ისე, რომ არ დაემთხვეს მოსახლეობის ევაკუაციის მარშრუტებს. როგორც წესი, ეს არის სავლე გზები, რომლებიც უნდა გადიოდეს ეპიზოოტიურად კეთილსაიმედო ტერიტორიებზე, რომლებზეც იქნება ცხოველთა საძოვარი და წყურვილის მოსაკლავი ადგილები.

ცხოველთა გადარეკვა ხორციელდება პარტიებად: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი _ ნახირებად 250 სულამდე, წვრილფეხა - ფარებად 1000 სულამდე, ცხენები - ჯოგებად - 150 სულამდე. პირუტყვის თითოეულ პარტიაზე უფროს მეჯოგეს (მეცხვარეს, მენახირეს) სავეტერინარო მოწმობასთან ერთად გადაეცემა გადარეკვის გრაფიკი მარშრუტის მითითებით. დიდ მანძილებზე პირუტყვის გადარეკვისას თითოეულ ჯგუფს მიჰყვება ფერმის ინვენტარითა და პირუტყვის საკვების გარკვეული მარაგით დატვირთული სპეციალური კონტეინერი.

ცხოველთა გადარეკვის მარშრუტებზე უნდა შეირჩეს დამის სადგომი და ვეტერინარიული მომსახურების პუნქტები. ამ პუნქტების მახლობლად იშლება ცხოველთა დახარისხების, დაკვლის, ხორცის დამარილების, ასევე ნარჩენი პროდუქტების, ლეშისა და ავადმყოფი ცხოველების უტილიზაციის პოსტები.

გადარეკვის მარშრუტებზე დღე-ღამეში წვრილფეხა პირუტყვი გადის - 10-15 კმ-ს, ხოლო მსხვილფეხა პირუტყვი - 20-30 კმ-ს. ნაკლებ ბალახიან და წყლით ნაკლებად უზრუნველყოფილ ტრასებზე გადარეკვის სიჩქარე შეიძლება უფრო მეტი იყოს.

ტრანსპორტით ცხოველების გადაყვანისას შეირჩევა დატვირთვა-გადმოტვირთვის ადგილები. საავტომობილო ტრანსპორტზე ცხოველების დატვირთვა ხდება სათითაოდ, ხოლო სარკინიგზო (საზღვაო) ტრანსპორტზე - პატარა ჯგუფებად (პარტიებად).

საავტომობილო ტრანსპორტზე განთავსებული საევაკუაციო პირუტყვის რაოდენობა დამოკიდებულია ავტომობილის მარკასა და პირუტყვის წონაზე.

საავტომობილო ტრანსპორტით ცხოველების ევაკუაციისათვის იყენებენ სპეციალურ პირუტყვშიდებს ან სპეციალურად მოწყობილ ყველა მარკის ბორტიან სატვირთო მანქანებს. საშუალოდ ერთი ბორტიანი სატვირთო ავტომობილით გადაჰყავთ 3-4 სული მსხვილფეხა პირუტყვი, ხოლო წვრილფეხა - 15-30 სული. სარკინიგზო ტრანსპორტით ცხოველების ევაკუაციისათვის იყენებენ უსაფრთხო გადაყვანისათვის სპეციალურად მოწყობილ ყველა ორღერძიან და ოთხღერძიან ვაგონს. ორღერძიან ვაგონში ათავსებენ 8-12 მსხვილფეხა პირუტყვს, 18-25 ხბოს, 12-25 ღორს ან 40-55 ცხვარსა და თხას.

ოთხღერძიან ვაგონზე დასატვირთი პირუტყვის რაოდენობა ორჯერ მეტია. ასეთი ტიპის ვაგონში თავსდება არაუმეტეს 14 ცხენისა.

ცხოველთა ტრანსპორტირების წინ სატრანსპორტო საშუალებები ირეცხება ცხელი წყლით და ტარდება დეზინფექცია. ასევე, ცხოველების დატვირთვის (გადმოტვირთვის) შემდეგ პლატფორმები და ცხოველთა თავმოყრის ადგილები სუფთავდება და უტარდება დეზინფექცია.

ევაკუირებული ცხოველების ორგანიზებულად მიღებისა და განთავსების მიზნით სწორად უნდა შეირჩეს უსაფრთხო განთავსების ზონები და განისაზღვროს პირუტყვის თავმოყრისა და შემდგომი სადგომების ადგილები. ტრანსპორტით ევაკუაციის დროს დამატებით შეირჩევა გადმოტვირთვის ადგილები. ზამთარში ცხოველთა განთავსება უნდა ხდებოდეს შენობებში.

უსაფრთხო განთავსების ზონებში ტარდება პირუტყვის ვეტერინარიული მომსახურება.

ცხოველების ევაკუაციას, უსაფრთხო ზონაში ორგანიზებულად მიღებისა და განთავსების ღონისძიებებს გეგმავენ და ატარებენ შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს - სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები მეცხოველეობის ობიექტების ხელმძღვანელებთან და ფერმერებთან ერთობლივად.

ზემთო მოყვანილი ღონისძიებების სწორი დაგეგმვა და დროული განხორციელება განაპირობებს ცხოველთა სულადობის შენარჩუნებასა და უსაფრთხო განთავსების ზონაში მათთვის აუცილებელი სასიცოცხლო პირობების შექმნას.

თავი IV. საგანგებო სიტუაციის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების ორგანიზება

1. საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება და მათი შედეგების ლიკვიდაცია მოიცავს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების მიერ ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის, მის ჯანმრთელობის შენარჩუნების, მატერიალური ზიანისა და გარემოს დაზიანების შემცირების ღონისძიებებს, აგრეთვე საგანგებო სიტუაციის ზონაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ხანძრის ჩაქრობასა და მის ლოკალიზაციას, ვითარების შესწავლა-შეფასებას, საავარიო-სამაშველო სამუშაოებისა და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩატარებას.

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შემდეგ ეტაპზე საგანგებო სიტუაციის ზონაში ორგანიზება უკეთდება აღდგენით სამუშაოებს (შემდგომ – აღდგენითი სამუშაოები). ეს არის პირველი რიგის გადაუდებელი ღონისძიებების კომპლექსი, რომელსაც საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალები ახორციელებენ საგანგებო სიტუაციის ზონაში სასიცოცხლო პროცესებისა და სოციალური ყოფის აღდგენის, გადარჩენილი მოსახლეობის, თავად ამ ძალების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისა და მათი საქმიანობის ყოველმხრივ უზრუნველყოფის მიზნით.

საგანგებო სიტუაციის ზონაში, პირველ რიგში, სრულდება სამაშველო სამუშაოების წარმოებასა და დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენასთან, ასევე, საგანგებო სიტუაციის შედეგების გავრცელებისა და შესაძლო მეორეული დამაზიანებელი ფაქტორების წარმოქმნის თავიდან აცილების ღონისძიებები.

განვიხილოთ სახვადასხვა სახის საგანგებო სიტუაციის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები.

მიწისძვრის შემთხვევაში სალიკვიდაციო სამუშაოებში შედის:

- დაზიანების კერაში შესაღწევად და დაზარალებულთა ევაკუაციისათვის ნანგრევებში გასასვლელების მოწყობა;

- ნანგრევებიდან, ნაწილობრივ დანგრეული და ცეცხლმოკიდებული შენობებიდან დაზარალებულების გამოყვანა და მათთვის საჭირო დახმარების გაწევა;

- კომუნალურ, ენერგეტიკულ და ტექნოლოგიურ ქსელებზე ავარიის ლოკალიზაცია და მათგან გამომდინარე, იმ მეორეული დამაზიანებელი ფაქტორების თავიდან აცილება, რომლებმაც საფრთხე შეიძლება შეუქმნან ადამიანთა სიცოცხლეს, ამავე დროს ხელს უშლიან სამაშველო სამუშაოების ჩატარებას;

- ხანძრის ლოკალიზაცია და მისი გავრცელების შედეგად დაზიანების მეორეული ფაქტორების წარმოშობის თავიდან ასაცილებლად ზომების მიღება;
- შენობა - ნაგებობების იმ კონსტრუქციების დანგრევა ან გამაგრება, რომლებიც ავარიულ მდგომარეობაში აღმოჩნდა და შეიძლება ჩამოინგრეს;
- დაზარალებულთა შეკრების პუნქტების მოწყობა და ევაკუაციის უზრუნველყოფა.

სამაშველო სამუშაოების მიმდინარეობასთან ერთად მზადდება დროებითი საცხოვრებელი ფონდი. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამსახური ატარებს ღონისძიებებს პანიკისა და მარადიურობის თავიდან ასაცილებლად.

უსაფრთხო რაიონებში იშლება სამედიცინო პუნქტების ქსელი. შესაბამისი სამსახურები ორგანიზებას უკეთებენ დაზარალებულთა კვებას და პირველი მოთხოვნილების საგნებით მომარაგებას.

წყალდიდობის შემთხვევაში ტარდება შემდეგი სამუშაოები:

შესაძლო დატბორვის ზონებში მეტეოსადგურები აწარმოებენ ამინდსა და მდინარეების მდგომარეობაზე უწყვეტ დაკვირვებას, ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურები ადგენენ შესაძლო დატბორვის ზონების მოკლე და გრძელვადიან პროგნოზს, რომლებსაც გადასცემენ შესაბამის მართვის ორგანოებს. ამ შემთხვევაში ეფექტური პროფილაქტიკური ღონისძიებებია წყლის ჩადინების რეგულირება, ჯებირებისა და სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობებით ნაპირების გამაგრება.

წყალდიდობის შემთხვევისათვის წინასწარ განისაზღვრება ადამიანების, ცხოველების, მატერიალური ფასეულობების ევაკუაციის გზები, მათი განთავსების ადგილები და ეცნობება მოსახლეობას. ასევე ხდება მოსახლეობის ინფორმირება იმის შესახებ, როგორ იმოქმედონ წყალდიდობის დროს. წყალდიდობის ზონაში, მოსახლეობის დროებითი განთავსებისათვის მზადყოფნაში მოდის შენობათა მეორე სართულები და სხვენები, ყველა არსებული მცურავი საშუალება, ორგანიზება უკეთდება წყალდიდობის დროს სადღეღამისო მორიგეობას, მოსახლეობის ინფორმირებას ელექტრო- და აირმომარაგების ქსელების გამორთვის შესახებ.

წყალდიდობის (დატბორვის) უშუალო საფრთხის დროს შესაბამისი საგანგებო სიტუაციის მართვის ოპერატიული ცენტრის გადაწყვეტილებით მოქმედებას იწყებს მართვის პუნქტები, სადაც ორგანიზება უკეთდება პასუხისმგებელი თანამდებობის პირების სადღეღამისო მორიგეობას და ზუსტდება ოპერატიული ცენტრისა და მუნიციპალური სამსახურების პირველი რიგის ამოცანები.

შესაძლო საგანგებო სიტუაციების ზონაში ინტენსიურად მიმდინარეობს დაკვირვება და დაზვერვა; აზუსტებენ ძალებისა და საშუალებების მდგომარეობას და მზადყოფნაში მოჰყავთ პირადი შემადგენლობა; ემზადებიან და წინასწარ ატარებენ მოსახლეობისა და სასოფლო - სამეურნეო ცხოველების

ევაკუაციას, გააქვთ მატერიალური საშუალებები; მუშაობას ზღუდავენ და წყვეტენ მოსალოდნელი დატბორვის ზონაში განლაგებული წარმოება-დაწესებულებები, ამყარებენ და ინარჩუნებენ კავშირს შეიარაღებული ძალების ნაწილებთან და ყველა იმ დანაყოფებთან, რომლებიც განსაზღვრულია ურთიერთმოქმედების გეგმებით.

საგანგებო სიტუაციების მართვის ოპერატიული ცენტრი (დატბორვის) წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციის დროს სამაშველო სამუშაოების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებაში განსაზღვრავს: მოზიდული ძალებისა და საშუალებების შემადგენლობას; იმ პრიორიტეტულ მიმართულებას, რომელზეც ძირითადი ყურადღება უნდა გამახვილდეს; სამუშაოების შესრულების წესსა და თანმიმდევრობას; სამსახურების ფორმირებათა და მოზიდული ძალების ამოცანებს; მოსახლეობის გადარჩენისა და ევაკუაციის წესს, მათი განთავსების ადგილებს, უსაფრთხოების ზომებს სამაშველო სამუშაოების ჩატარების დროს; ფორმირებების მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის წესს, მცურავი საშუალებების გამოყენების ჩათვლით; დახმარებაზე მოთხოვნებისა და ანგარიშების შესახებ პატაკების წარდგენის წესს.

სამაშველო სამუშაოებში შედის დატბორილ ტერიტორიაზე ადამიანების ძებნა და მცურავი საშუალებებისა და შევლმფრენების გამოყენებით მათი უსაფრთხო ადგილებში გადაყვანა, დაზარალებულთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა, სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, მდინარეებზე ადამიანების გადარჩენა, წყალსარინი არხების ჯებირების გამაგრება ან აგება, კაშხლების, ზღუდარებისა და სხვა საინჟინრო და ჰიდროტექნიკური ნაგებობების აშენება.

ადამიანების ჩასხდომა-გადმოსხდომის უზრუნველსაყოფად ეწყობა დროებითი ნავსადგომი, ხოლო მცურავ საშუალებებს უზრუნველყოფენ საბიჯებლებითა და სპეციალური მოწყობილობებით ნახევრად დატბორილი შენობა - ნაგებობებიდან, ხეებიდან და სხვა ობიექტებიდან ადამიანების ჩამოსაყვანად.

წყლის დონის დაწვევის შემდეგ მიმდინარეობს კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემი ხაზების, შენობა-ნაგებობებისა და სხვა დაზიანებული ან დაზარალებული ობიექტების აღდგენითი სამუშაოები.

ღვარცოფული ნაკადის (ზვავის, ჩამონაქვევების, მეწყერის) შესაძლო გავრცელების უბანზე სრულდება შემდეგი სახის სამუშაოები:

- არსებული ხელოვნური ზღუდეების გამაგრება;
- ახალი ნაგებობების (კაშხლები, ჯებირები და სხვ.) აგება, რომლებიც უზრუნველყოფენ დასახლებული პუნქტებისა და ცალკეული ობიექტების დაცვას ღვარცოფის ნაკადებისაგან;
- ადამიანების გადარჩენისა და ღვარცოფის, ზვავის, ჩამონაქვევების, მეწყერის შედეგების ლიკვიდაცია მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოების ანალოგიურად.

მატერიალური უზრუნველყოფის ფორმირებები ახორციელებენ დაზარალებულთა სურსათით, თბილი ტანსაცმლით, ფეხსაცმლითა და სხვა საჭირო საგნებით დროულად უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

ტექნიკური უზრუნველყოფის ფორმირებები ორგანიზებას უწყვენ ავტოკოლონებისათვის, ავტომობილებისა და მატარებლებისათვის ტექნიკური დახმარების აღმოჩენას.

ქარიშხალის (გრიგალის) საფრთხის დროს პორტებში ამაგრებენ გემებსა და დამტვირთავ - განმტვირთავ მექანიზმებს, ღებულობენ ზომებს ენერგოსისტემების მდგრადობის ასამაღლებლად. გრიგალის (ქარიშხლის) შეწყვეტის შემდეგ შესაბამისი ფორმირებები ატარებენ დასახლებული პუნქტების ხერგილებისგან გაწმენდისა და ნგრევის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებს, უზრუნველყოფენ სატრანსპორტო კომუნიკაციებსა და ენერგეტიკულ ქსელებზე დაზიანების აღმოფხვრას, საკოლონო და შემოსავლელი გზების გაყვანას, დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენას, ამ სამუშაოების შესასრულებლად და ობიექტების სარემონტო - აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად ძალების, საშუალებებისა და ორგანიზაციითა სატრანსპორტო საშუალებების მობილიზებას.

ტყის ხანძართან ეფექტური ბრძოლის უმნიშვნელოვანესი პირობაა ტყეებში სახანძრო ვითარების მუდმივი მონიტორინგი და პროგნოზირება.

ჰიდრომეტეოცენტრი ადგენს სახანძრო ვითარების პროგნოზს. ის ხანძარსაშიში სეზონის დროს, სატყეო დეპარტამენტისა და საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოებისათვის ყოველდღიურად ადგენს ტყის წვადობის მეტეოროლოგიური მაჩვენებლების საინფორმაციო-საპროგნოზო რუკებს, რომლებზეც (შესაბამისი ფერით) აღნიშნულია რაიონები ხანძრის საშიშროების კლასების მიხედვით.

ხანძრის გამოსავლენად მიმდინარეობს მუდმივი მონიტორინგი, რომლის მონაცემები გადაეცემა გარემოს დაცვის სამინისტროს სატყეო დეპარტამენტს.

ტყის ხანძრის თავიდან აცილების ან მისი უარყოფითი შედეგების შემცირების მიზნით, ხანძარსაშიშ რაიონებში პროფილაქტიკური ღონისძიებები მოიცავს:

- ტყეში განაკაფი ზოლების მოწყობას;
- ტყის ხანძრის კერის შემოზღინვას;
- ტყის გაწმენდას;
- წყალსატევების მოწყობას;
- დაშორებული წყაროებიდან წყლის გაყვანას;
- დამუშავებული ტყის მასალისა და მოპოვებული ტორფის გატანას.

ხანძრის ლიკვიდაცია მოიცავს შემდეგ სტადიებს: ხანძრის შეჩერებას (აღებადი წვის შეწყვეტა), ხანძრის ლოკალიზაციას, მის ბოლომდე ჩაქრობასა და შემდგომ მეთვალყურეობას.

ხანძრის ჩაქრობის ძირითადი ხერხებია:

• ხანძრის განაპირას ცეცხლზე გრუნტის დაყრა ან მისი ფოთლიანი ტოტებით ჩახშობა;

- გადამღობი და მინერალიზებული ზოლებისა და არხების მოწყობა;
- ხანძრის წყლით ან ცეცხლსაქრობი ქიმიური ხსნარებით ჩაქრობა;
- მოწვა (შემხვედრი დაბალი ცეცხლით ჩაქრობა).

ტყისპირა სუსტი და საშუალო სიმძლიერის დაბალი ხანძრის ჩასაქრობად იყენებენ ძირითადად 1-2 მეტრი სიგრძის ფოთლიანი ხეების ტოტებს. ის პირები, რომლებიც აქრობენ ხანძარს, მოძრაობენ ცეცხლის გასწვრივ და გვერდიდან ურტყამენ ტოტებს ალს ისე, რომ ნამწვი და ნაპერწკლები გადამწვარ უბანზე დაცვივდეს. ამ დროს, ხანძრის ჩაქრობა ხდება ცეცხლმოდებელი მასალის ალისგან მოწყვეტისა და მათი წვის არეალიდან ნაწილობრივ გამიჯვნის გზით.

ხანძრის ქრობის ერთ-ერთი ხერხია ხანძრის ნაპირზე ფხვიერი გრუნტის დაყრა - ხანძრის გასწვრივ ალს მის მახლობლად აღებულ გრუნტს ნიჩბებით აყრიან. ცეცხლმოდებულ მასალებზე გრუნტის მოხვედრისას ალი მექანიკურად მცირდება, წვადი მასალები ცივდება და ჰაერისგან მათი იზოლირება ხდება. ხანძრის დროს საჭიროა ჯერ ალის ჩაქრობა, ხოლო ხანძარის ჩააქრობის შემდეგ, ნახანძრალი ტერიტორიის პირას 6-8 სმ სისქისა და 40-60 სმ სიგანის გრუნტის უწყვეტი ფენის დაყრა.

ცეცხლის გავრცელების გზაზე ქმნიან გადამღობ და მინერალიზებულ ზოლებს ზღუდეების სახით, ხოლო მოწვის განსახორციელებლად და შეჩერებული ხანძრის ლოკალიზაციისათვის - ე.წ. დასაყრდენ ზოლებს.

გადამღობი ზოლი ეწოდება ადგილზე იმ ზოლს, რომელზეც გაკაფულია ხეები და მიწის ზედაპირიდან მოცილებულია არსებული წვადი მასალები. ადგილზე ნიადაგის მინერალურ ფენამდე დასულ იმ ზოლს, რომლიდანაც მოცილებულია ყველა სახის წვადი მასალა, მინერალიზებული ეწოდება.

გადამღობი ზოლის სიგანე უნდა იყოს არანაკლებ 25 მეტრი, ხოლო წიწვოვან ტყეებში - არანაკლებ 50 მეტრი. დასახლებული პუნქტის მხრიდან ზოლის სიგანე არ უნდა იყოს 100 მეტრზე ნაკლები, ხეები წაიქცეს ხანძრის მხარეს. ზოლების მოსაწყობად გამოიყენება მიწისათხრელი და საგზაო-სამშენებლო ტექნიკა: ბულდოზერები, ამწეები, გზის გამყვანები და სხვ. მანქანები.

ტორფის ხანძრის ლოკალიზაციისათვის საჭიროა 0,8 - 1,0 მეტრი სიგანის გადამღობი ზოლების ანუ ტორფის განლაგების მთელ სიღრმეზე და მინერალურ ქვედაფენაში 20 სმ-მდე სიღრმის არხების მოწყობა. ამისთვის გამოიყენება არხსათხრელი გუთნები, ხოლო ტორფის დიდ სიღრმეზე განლაგების შემთხვევაში - ექსკავატორები და თხრილგამყვანები.

ტყის ხანძრის ჩაქრობის დროს მიზანშეწონილია გაფრქვეული ჭავლით მოქმედება. მისი გამოყენებისას მიიღწევა მცენარულ ბოჭკოებში წყლის უკეთესი შეღწევა და მამასადამე, ტყის საწვავი მასალის უკეთ დასველება. საწვავი მასალების სწრაფად გაუღვინის მიზნით წყალში ცოტაოდენ საუღვინთ

საშუალებებს (მაგალითად, სულფანოლს „НП-1“) უმატებენ. ამ მიზნისთვის გამოიყენება აგრეთვე საყოფაცხოვრებო სარეცხი საშუალებები. ხანძრის ქრობისას წყალზე უფრო ეფექტურია ცეცხლსაქრობი ქიმიური ხსნარების გამოყენება. ტყის ხანძრის ჩასაქრობად ხშირად იყენებენ ქლოროვანი კალციუმის, ქლოროვანი მაგნიუმის და ამონიუმის სულფატის 20%-იანი წყალხსნარებს. იმის გათვალისწინებით, რომ ტორფი დასველებულიც იწვის, ატარებენ ტორფის სულფანოლის („НП-1“) ხსნარის ჭავლით გაფხვიერებას ან გადათხრას.

მასშტაბური მაღალი და დაბალი ხანძრების ლოკალიზაციის ძირითადი ხერხია მოწვა საყრდენი ზოლიდან. მოწვა ეწოდება ნიადაგის ზედა საფარზე მაღალი და დაბალი ხანძრის მიმართულებით შემხვედრი დაბალი ცეცხლის წინასწარ გაშვებას მის გზაზე ფართო გადამღობი ზოლის შექმნის მიზნით.

გადამღობი ზოლისთვის შეირჩევა ან იქმნება წვადი მასალებისაგან გაწმენდილი ზოლოვანი უბანი. ზოლის სიგანე უნდა იყოს არანაკლებ 30-40 სანტიმეტრი.

გადამღობი ზოლი გარს უნდა ევლებოდეს მთლიანად ხანძრის კერას ან ებჯინებოდეს ზღუდეს (მდინარეს, გზას და ა.შ.), რომელიც არ იძლევა ცეცხლის გავრცელების საშუალებას. მოწვის დაწყებამდე იწმინდება გადამღობი ზოლიდან ხანძრის მხარეს 5 მეტრზე ახლოს მდებარე ტყე. ზოლის უკან, ხანძრის მხრიდან კეთდება ტოტების, ფიჩხისა და ხექვეულის ზვინული. ხანძართან ისეთ მანძილზე მიახლოებისას, როდესაც იგრძნობა მისი მხარისკენ ჰაერის წევა, ზვინულს ცეცხლს უკიდებენ. ამ მასალის ამოწვა აჩერებს ხანძარს გავრცელების გზაზე.

ხანძრის ქრობის სამუშაოების დაწყებამდე ფორმირებების პირად შემადგენლობას აცნობენ უსაფრთხოების წესებს, ასევე ცეცხლისგან უკან დასახვე გზებსა და თავის შესაფარებელ უსაფრთხო ადგილებს.

პირები, რომლებიც მუშაობენ უშუალოდ ხანძრისპირას, აღჭურვილი უნდა იყვნენ სპეციალური ტანსაცმლით, ჩაჩქნებით, კვამლსაწინააღმდეგო ნიღბებით, მაიზოლირებელი აირწინაღებით, მათ შორის გოპკალიტიცაზნებიანი აირწინაღებით.

ფორმირების ყოველ ქვედანაყოფს უნდა ახლდეს ადგილმდებარეობის კარგად მცოდნე გამყოლი, აგრეთვე დამკვირვებელი, რომელიც თვალს ადევნებს ცეცხლის გავრცელების მიმართულებას და ვარდნილ ხეებს. საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში, ის აფრთხილებს პირად შემადგენლობას ხმოვანი სიგნალებით.

ძლიერი კვამლის შემთხვევაში, ფორმირებებმა შეიძლება დაკარგონ ერთმანეთთან კავშირი და ორიენტაცია. ამიტომ, აუცილებელია ხანძრის საწინააღმდეგო მხარეს მახასიათებელი ორიენტირის, მათ შორის წყლის წყაროსთან მისასვლელი გზების შერჩევა.

სამუშაოების დაწყების წინ ტექნიკის გადაადგილების შესაძლებლობის შესაფასებლად აუცილებელია დაზვერვის ჩატარება. ამისათვის საჭიროა ხანძრის კერის ახლოს ჯგუფურად, არანაკლებ ორი მანქანით მუშაობა, რათა ადვილად მოხდეს მწყობრიდან გამოსული მანქანის სამშვიდობოს დროულად გამოყვანა და თავიდან იქნეს აცილებული მანქანებზე ტოტებისა და წიწვების დაგროვება. აუცილებელია ასევე ტექნიკის დაყენება ხანძრის ძირითადი ფრონტისაგან მოშორებით, რათა შეიქმნას დროის რეზერვი მათი ევაკუაციისათვის. მოწვის დაწყებამდე ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელი უნდა დარწმუნდეს, რომ მოწვის ხაზსა და ხანძრის ფრონტს შორის არ იმყოფებიან ადამიანები და არ დგას ტექნიკა.

მოწვის დროს, ცეცხლამთებ აპარატთან სამუშაოდ დაიშვებიან მხოლოდ ის პირები, რომლებსაც გავლილი აქვთ სპეციალური ინსტრუქტაჟი.

ჩაქრობში მონაწილე ყველა, პირი უნდა იყოს გაფრთხილებული ამომწვარ ორმოებში ჩავარდნისა და ფესვებამომწვარი ხეების წაქცევის საშიშროების შესახებ.

ხანძრის ჩაქრობისას არ შეიძლება ელექტროდანადგარებისა და ელექტროგადამცემი ხაზებისკენ წყლის მიმართვა და დასხმა.

მოქმედი (აქტიური) ხანძრის ზონაში იკრძალება ღამის გასათევის მოწყობა. დასვენება და ღამის თევა შეიძლება მხოლოდ ხანძარლოკალიზებული ტერიტორიის ნაწილისაგან არანაკლებ 100 მეტრით დაცილებულ და არანაკლებ 2 მეტრის სიგანის მინერალიზებული ზოლით შემოფარგლულ ადგილებში.

უბედური შემთხვევებისა და ტორფის ნაშენებში ჩავარდნის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ფრთხილად გადაადგილება არანაკლებ ორკაციან ჯგუფებად. ჯგუფის ხელმძღვანელმა მოპრაობის მიმართულებით უნდა ლატანით (ჯოხით) განუწყვეტილად ამოწმოს ტორფის გრუნტი. უსაფრთხოების ზომების დაცვა აუცილებელია ცეცხლმოდებულ ტორფის ველზე მანქანებით გადაადგილებისასაც.

დასახლებულ პუქტებში ფართომასშტაბიანი ავარიისა და ხანძრის შემთხვევაში მორეაგირე ფორმირებები, ერთმანეთთან ურთიერთმოქმედებით აქრობენ ხანძარს, გამოჰყავთ დაზარალებულები ნაზგრევებიდან, უწევენ პირველ დახმარებას და ახდენენ მათ სამედიცინო დაწესებულებებში ევაკუირებას, წმენდენ გასასვლელებს სამაშველო სამუშაოების უზრუნველსაყოფად და აღმოფხვრიან დაზიანებებს კომუნალურ - ენერგეტიკულ ქსელებსა და ტექნოლოგიურ კომუნიკაციებზე. ასევე, იღებენ ზომებს აფეთქებებისა და ძლიერმოქმედი შხამიანი ნივთიერებების დაღვრის თავიდან ასაცილებლად.

ერთდროულად ხდება საკომედანტო სამსახურის ორგანიზება, ხორციელდება აღდგენითი სამუშაოების მოსამზადებელი სამუშაოები (მოწყობილობის დემონტაჟი, დაზიანებული კონსტრუქციების ჩამონგრევა ან გამაგრება და სხვ.).

გაზის ქსელების ავარიის ლიკვიდაციის დროს ხდება ქსელებში წნევის დაწევა, ცეცხლის კერების ჩაქრობა სილით, თიხით ან სველი ბრეზენტით. სამუშაოები ხორციელდება ელექტროქსელების საავარიო - ტექნიკურ ფორმირებებთან ურთიერთმოქმედებით.

წყალსადენისა და საკანალიზაციო ქსელების საავარიო - ტექნიკური ფორმირებები სარდაფის დატბორვის თავიდან ასაცილებლად გამორთავენ დაზიანებულ უბნებს, პირველ რიგში იმას, სადაც ენერგეტიკული და ტექნოლოგიური მოწყობილობებია. ხოლო მიწის ზედაპირიდან წყლის გამოდინების შემთხვევაში იწყებენ წყალსარინი ღარების, არხების, გადასაშვებებისა და მიწაყრილების მოწყობას წყლის ჩადინების რეგულირებისათვის.

საწარმოო ავარიებსა და კატასტროფებს ხშირად თან სდევს ხანძარი, რომელიც წარმოიქმნება საინჟინრო და ენერგეტიკული სისტემების, ნაგებობების, ტექნოლოგიური მოწყობილობების ნგრევისა და დაზიანების შედეგად.

ხანძართან ბრძოლა გართულებულია ხერგილების წარმოქმნის შედეგად, რომლებიც აბრკოლებენ სახანძრო ტექნიკის გადაადგილებას, აგრეთვე იწვევენ მაღალტოქსიკური ნივთიერებების გამოყოფას, გაკვამლიანობას, წყალმომარაგების დარღვევას აფეთქების შესაძლებლობისა და სხვა ხელშეშლელი პირობების გაჩენის გამო. ამიტომ, ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელმა უნდა დაამყაროს კავშირი საწარმოს ტექნიკურ პერსონალთან, დააზუსტოს, არის თუ არა მაღალი წნევის აპარატურა საწარმოში და თუ არის - მისი ადგილმდებარეობა. გაარკვიოს ფეთქებადი და შხამიანი ნივთიერებების სახეობა, რაოდენობა და ადგილმდებარეობა, მიიღოს ზომები ცეცხლისაგან მათ დასაცავად, დაადგინოს ხანძრის ჩასაქრობი სპეციალური და სტაციონარული საშუალებების არსებობა და გამოყენების შესაძლებლობა.

აფეთქების საშიშროების დროს, ხანძარსაწინააღმდეგო ფორმირებების პირადი შემადგენლობა დაუყოვნებლივ გაჰყავთ შენობა - ნაგებობებიდან უსაფრთხო ადგილებში და სამუშაოებს განაახლებენ მხოლოდ საფრთხის ლიკვიდაციის შემდეგ.

ხანძრის შემთხვევაში, ადამიანების გადარჩენისა და ევაკუაციის დროს გამოიყენება სახიფათო და სათადარიგო შესასვლელ - გასასვლელები, სტაციონარული და გადასატანი სახანძრო კიბეები, ავტომაწეები, ავტოკიბეები და სხვა სამაშველო მოწყობილობები. ზოგჯერ ადამიანების გადასარჩენად აკეთებენ გამოსასვლელ ღიობებს ტიხრებსა და კედლებში.

ძლიერი გაკვამლიანების პირობებში, საჭიროა მუშაობა მაიზოლირებელი და გოპკალიტურვაზნებიანი მფილტრავი აირწინარებით 3-4 კაციან ჯგუფებად. დადგენილი დროის შემდეგ, გაკვამლიანობისას მომუშავე პირადი შემადგენლობა ისვენებს ამაღლებულ ადგილებში, რომელიც ნიავედება

ან წყალსაცავის მახლობლად, ვინაიდან წყლის ზედაპირთან კვამლი მნიშვნელოვნად შემცირებულია.

ქარიან ამინდში ღია ხანძრის ჩაქრობისას, უპირველეს ყოვლისა, საჭროა ქარისაგან დაცული მხრიდან მდებარე შენობა - ნაგებობებზე ცეცხლის გადასვლის თავიდან აცილება. ამისათვის ხანძარსაწინაღო ზოლები უნდა აღიჭურვოს ცეცხლმაქრი საშუალებებით. ცეცხლზე შეტევა მიმდინარეობს ქარის მიმართულებით, ასევე იმ მხრიდან, რომელიც უზრუნველყოფს მის ლოკალიზაციას უმოკლეს დროში.

საავარიო - სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების წარმატებითი შესრულება მიიღწევა:

- მშვიდობიანობის და ომიანობის დროს საავარიო - სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების შესრულებისათვის მართვის ორგანოებისა და ფორმირებების წინასწარი მომზადებით, საგანგებო სიტუაციებისას შესაძლო ვითარების წარმოქმნის პროგნოზირებისათვის საჭირო მონაცემების მომზადებითა და ამ სამუშაოების ჩატარებაზე გადაწყვეტილებების სწრაფად მიღებით;

- დაზვერვის დროული ორგანიზებითა და უწყვეტობით, დადგენილ ვადებში უტყუარი მონაცემების მოძიებით;

- ამოცანების შესრულების მიზნით დაზიანების კერაში ფორმირებების სწრაფი შეყვანით;

- პირადი შემადგენლობის მაღალი გაწვრთნილობითა და ფსიქოლოგიური სიმტკიცით;

- პირადი შემადგენლობის მიერ საავარიო - სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩატარების დროს მოქმედებისა და უსაფრთხოების წესების ცოდნითა და დაცვით;

- ფორმირების მეთაურის მიერ სამუშაოების სავარაუდო უბნებზე (ობიექტებზე) განაშენიანების ხასიათის, კომუნალურ - ენერგეტიკული და ტექნოლოგიური ქსელების არსებობის, ძლიერმოქმედი შხამიანი ნივთიერებების შენახვის ადგილების, დამცავი ნაგებობების განლაგების ადგილებისა და დახასიათების წინასწარი შესწავლით;

- მორეაგირე ძალებისა და საშუალებების ურთიერთმოქმედების უწყვეტი მართვითა და ყოველმხრივი უზრუნველყოფით.

კომპლექსური საგანგებო ვითარების შემთხვევაში, საგანგებო სიტუაციის ზონაში ჩნდება კომბინირებული დაზიანების კერები. ამ დროს საავარიო - სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების წარმატებით ჩატარებისათვის უმნიშვნელოვანესი პირობაა რადიაციული, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური, სახანძრო და განსაკუთრებით, საინჟინრო ვითარების ადეკვატური შეფასება, რაზეც ძირითადად დამოკიდებული იქნება საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების ხასიათი, იმ ძალებისა და საშუალებების

მოცულობა, რომელიც საჭიროა ამ სამუშაოების წარმატებით და დროულად ჩატარებისათვის.

კომბინირებული კერისთვის დამახასიათებელია შემდეგი თავისებურებანი:

- სამუშაოების ჩატარებისათვის გართულებული პირობები;
- დიდი მოცულობისა და სხვადასხვა სახის სპეციფიკური ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობა;

- სამუშაოებში სხვადასხვა დანიშნულების ფორმირებების ერთდროულად ან გარკვეული წესით ჩაბმის საჭიროება;

- რეაგირების ძალების პირადი შემადგენლობის მიერ, როგორც სასუნთქი ორგანოების, ასევე კანის დაცვის ინდივიდუალური საშუალებების გამოყენების აუცილებლობა;

- მოსახლეობის სწრაფი ევაკუაციის, კარანტინის ზონის ფარგლებში დაუსწებოვნებულ ტერიტორიაზე განთავსების, მათთვის გადაუდებელი და სასწრაფო პროფილაქტიკური ღონისძიებების აუცილებლობა.

კომბინირებული დაზიანების კერებში ზემოაღნიშნულ თავისებურებათა გათვალისწინება, მოსახლეობის დაცვის, საავარიო - სამშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩატარების განსაკუთრებულ ორგანიზებასთან არის დაკავშირებული.

კომბინირებული დაზიანების კერებში რეაგირების ძალების მოქმედებათა ორგანიზება ხდება ხანძრის, ნგრევის, რადიოაქტიური, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური მოწამვლის არსებობის გათვალისწინებით. ამასთანავე, გარემოში არსებული ბაქტერიოლოგიური საშუალებების სახეობის დადგენამდე ყველა ღონისძიების ორგანიზება განსაკუთრებით საშიში ინფექციისაგან დაცვის რეჟიმში წარიმართება.

კომბინირებული დაზიანების კერებში ფორმირებები გარდა ჩვეულებრივი ტიპის აირწინაღებებისა, უზრუნველყოფილი უნდა იყოს კანის დაცვის ინდივიდუალური საშუალებებით, ხოლო ძლიერმოქმედი შხამიანი ნივთიერებების არსებობისას - მაიზოლირებული აირწინაღებებით ან მოცემული ტიპის ძლიერმოქმედი შხამიანი ნივთიერებებისაგან დამცავი შესაბამისი სპეციალური სამრეწველო სფეროში გამოსაყენებელი აირწინაღებით.

კომბინირებული დაზიანების კერებში სამუშაოს ორგანიზებისა და ჩატარების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

- პირადი შემადგენლობის მიერ სასუნთქი ორგანოებისა და კანის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მუდმივად გამოყენება და დაზიანებულთა სათანადო აირწინაღებით აღჭურვა;

- დაზიანების კერების იზოლაციის მიზნით სარეჟიმო ღონისძიებების ჩატარება და დასწებოვნებულ ტერიტორიაზე ყოფნის შეზღუდვის ზომების შემოღება, დაზიანების კერებიდან გამოსვლის შემდეგ ფორმირებების განლაგების რაიონებში კარანტინის შემოღება;

- ფორმირების პირადი შემადგენლობისათვის პროფილაქტიკური და დაზიანებულთათვის დაუყოვნებლივი სამედიცინო დახმარების ჩატარება;

- ქიმიური და რადიოაქტიური მოწამვლის კერებიდან მოსახლეობის (მათ შორის დასნებოვნებულთა) გაუსნებოვნებულ ტერიტორიაზე სასწრაფო ევაკუაცია;

- ძალებისა და საშუალებების გამოყოფა სავაკუაციო გზების, ტერიტორიის ცალკეული უბნების, ნაგებობების, ტრანსპორტისა და ტექნიკის დეკონტამინაციის მიზნით;

- მოსახლეობის სანიტარიული დამუშავება. ერთდროულად მათი რადიოაქტიური, მოწამლავი ნივთიერებებითა და ბაქტერიული საშუალებებით დასნებოვნების, აგრეთვე ტრავმების და დამწვრობის გათვალისწინებით.

კომბინირებული დაზიანების კერების მიხედვით სადაზვერვო ფორმირების ძირითადი ძალისხმევა გადადის რადიოაქტიური მოწამვლის, მოწამლავი და ძლიერმოქმედი შხამიანი ნივთიერებების ტიპის (ჯგუფის), მათი კონცენტრაციისა და გავრცელების მიმართულების, ინფექციურ დაავადებათა გამომწვევის სახეობისა და გამოყენების ხერხების, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური მოწამვლის ზონათა საზღვრების დადგენაზე.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დაზარალებულთა პირველად სამედიცინო დახარისხებას, რაც დაზიანების სახეობისა და სიმძიმის, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური მოწამვლის არსებობის მიხედვით ჯგუფებად და ნაკადებად დაყოფას გულისხმობს. დახარისხება მაქსიმალურად გამორიცხავს სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ევაკუაციის დროს ადამიანთა შემდგომ მოწამვლას და სხვა გართულებებს.

პირველი სამედიცინო დახმარების დროს ტარდება პირველადი სასწრაფო პროფილაქტიკა და ყველა დაზარალებულზე სამედიცინო დაკვირვების ჩატარება ინფიცირებულ პირთა (დაავადებულების) დროულად გამოვლენისა და იზოლაციის მიზნით.

საკვებით უზრუნველყოფი პერსონალი რჩება საკონტროლო - გამტარი პუნქტის გარეთ. ისინი პროდუქტებსა და მატერიალურ საშუალებებს აწვდიან კომბინირებული დაზიანების კერებში მიმღებ - გადამცემი პუნქტების მეშვეობით.

კომბინირებული დაზიანების კერებში რეაგირების ძალების ფორმირების შეცვლა ხდება სარეჟიმო ღონისძიებების მკაცრი დაცვით. ამ დროს ჩანაცვლებული ფორმირებები ინაცვლებენ კარანტინისა და ობსერვაციის ზონის ფარგლებში, მეთაურის მიერ მითითებულ რაიონებში, სადაც პარალელურად მიმდინარეობს მათი სათანადო სპეციალური დამუშავება.

2. საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების უზრუნველყოფა

რეაგირების ძალების ფორმირებათა მოქმედებების უზრუნველყოფა არის საავარიო - სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების წარმატებით ჩატარების ერთ - ერთი გადაწყვეტი პირობა. ის ხორციელდება სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის საგანგებო დახმარების ფუნქციების შესაბამისად საგანგებო მართვის გეგმების საფუძველზე.

საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემის ფარგლებში ფორმირებათა მოქმედებების ორგანიზება და განხორციელება ეკისრება სათანადო საგანგებო დახმარების ფუნქციის მაკოორდინირებელი უწყების/სამსახურის უფროსსა და უშუალოდ ფორმირების მეთაურებს.

სამაშველო სამუშაოების ჩატარების დროს ხორციელდება ფორმირებათა

- სადაზვერვო;
- სამედიცინო;
- მატერიალური;
- ტექნიკური;
- სატრანსპორტო;
- ჰიდრომეტეოროლოგიური უზრუნველყოფა.

დაზვერვა. დაზვერვის მიზანია ვითარების შესახებ მონაცემების დროული მოძიება გადაწყვეტილების მისაღებად და სამაშველო სამუშაოების წარმატებით ჩასატარებლად.

სტიქიური უბედურების რაიონებში დაზვერვა განსაზღვრავს კერის საზღვრებს და მისი გავრცელების მიმართულებას, იმ ობიექტებს და დასახლებულ პუნქტებს, რომლებსაც უშუალო საფრთხე ემუქრება, ადამიანების თავმოყრის ადგილებს, სამუშაოების ადგილზე ტექნიკის მისასვლელ გზებს, სამაშველო სამუშაოების მოცულობას, დაზიანებული შენობების მდგომარეობას, დაზიანებული ადამიანებისა და ცხოველების არსებობას, ძლიერმოქმედი შხამინი ნივთიერებების მქონე ობიექტსა და ატომურ ელექტროსადგურზე ავარიების დროს - ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობას.

სადაზვერვო ფორმირებების შემადგენლობაში რეკომენდებულია იმ სპეციალისტების ჩართვა, რომლებმაც იციან ობიექტის განლაგება და სპეციფიკა.

მოწინააღმდეგის მიერ მასობრივი დაზიანების იარაღის გამოყენების შემდეგ დაზვერვა ადგენს იარაღის გამოყენების ადგილს, დროსა და სახეობას, რადიაციის დონეს, მოწინააღმდეგე ნივთიერებების სახეობასა და კონცენტრაციას, მოძრაობის მარშრუტებისა და საგზაო ნაგებობების მდგომარეობას, საბრძოლო საშუალების სახეობის დასადგენად იღებს სინჯებს და აგზავნის ლაბორატორიაში. მისი ამოცანაა: მოწინააღმდეგის ზონის საზღვრებისა და ფართობის განსაზღვრა, შემოსავლელი გზების მოძებნა, დაშავებულთა ადგილმდებარეობის

დადგენა; ობიექტის მდგომარეობის გარკვევა; ჩამონაქცევების ქვეშ მოყოლილი დამცავი ნაგებობებისა და იქ მყოფი ადამიანების მოძებნა; კომუნალურ - ენერგეტიკულ ქსელებზე დაზიანების აღმოჩენა. სადაზვერვო ფორმირებები მორეაგირე ძალების მოქმედების ადგილებში ვითარების ცვლილებას უწყვეტად აკვირდებიან. გადასაწყვეტი ამოცანების ხასიათისა და დანიშნულების მიხედვით დაზვერვა იყოფა ზოგადად და სპეციალურად.

ზოგად დაზვერვას ახორციელებენ საერთო დანიშნულების ფორმირებების სადაზვერვო ჯგუფები და რგოლები, ობიექტის რადიაციულ და ქიმიურ ვითარებაზე დაკვირვების საგუშაგოები იმ საერთო მონაცემების სწრაფად მიღებისათვის, რომლებიც საჭიროა დაცვითი და სპეციალური ღონისძიებების ჩატარებაზე გადაწყვეტილებების მისაღებად.

სპეციალურ დაზვერვას ახორციელებენ რადიაციული, ქიმიური, სახანძრო, საინჟინრო, ბიოლოგიური ვითარების შესახებ, რაც შეიძლება სრული მონაცემების მისაღებად.

რადიაციულ დაზვერვას აწარმოებენ მანქანებით, რომლებშიც მაქსიმალურადაა უზრუნველყოფილი ჰერმეტიზაცია ან ჯავშანტრანსპორტიორებით, რადიაციული და ქიმიური დაზვერვის საბრძოლო სადაზვერვო მანქანებით ან ქვეითი წესით.

ომიანობის დროს, როდესაც რადიაციის დოზის სიმძლავრის დონე 0,5 რ/სთ-ს აღწევს, პირადი შემადგენლობა იცვამს ინდივიდუალური დაცვის საშუალებას და აგრძელებს მოძრაობას: ქვეითი წესით დაზვერვა ხდება იმ უზნებამდე, სადაც რადიაციის დონე 30რ/სთ-ს აღწევს, მანქანებით - იმ უზნებამდე, სადაც რადიაცია 100რ/სთ-მდეა. უზნების, სადაც რადიაცია 0,5 და 100 რ/სთ-ია, შემოიფარგლება სპეციალური ნიშნებით.

მშვიდობიანობის დროს ატომურ ელექტროსადგურებში ავარიისას, რასაც თან სდევს ტერიტორიის რადიაციული დაბინძურება და რადიაციის დონე 2 მრ/სთ-ს აღწევს, ითვლება მოწამვლის ზონად. ამ ზონის საზღვრებზე უნდა იყოს შემდეგი ამოსაცნობი ნიშნები: მკაცრი კონტროლის ზონა (2-5 მრ/სთ), განსახლების (5-20 მრ/სთ), განრიდების (20-ზე მეტი მრ/სთ). ამ ზონებში ყოფნა მხოლოდ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით არის ნებადართული. ასეთ შემთხვევაში დასახული ამოცანების შესრულებაზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება და ფორმირებების მოქმედების მართვა უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ დაზვერვის უტყუარ და დროულად მიღებულ მონაცემებს.

ფორმირების მეთაური პირადი შემადგენლობის წინაშე სახავს დაზვერვის ამოცანებს (რა მონაცემები უნდა იყოს მოძიებული, რა დროში და საით უნდა იყოს მიმართული ძირითადი ძალისხმევა) და გამოყოფს ამისათვის საჭირო ძალებსა და საშუალებებს.

სამედიცინო უზრუნველყოფა ორგანიზებულია დაზარალებული მოსახლეობისა და იმ ფორმირებების პირადი შემადგენლობისათვის, რომელმაც

საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების მიმდინარეობისას ტრავმა მიიღო. კონკრეტულად კი, მათთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, მათი ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის შენარჩუნების, მკურნალობისა და მწყობრში სწრაფად დაბრუნების, დაზარალებულთა ევაკუაციისა და ინფექციური დაავადებების თავიდან აცილების მიზნით.

სამედიცინო უზრუნველყოფა მოიცავს სამკურნალო - პროფილაქტიკური, სანიტარიულ-ჰიგიენური, ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებების კომპლექსს, რომლებიც ტარდება საავარიო -სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ყველა ეტაპზე.

სამედიცინო უზრუნველყოფის ორგანიზატორია საგანგებო სიტუაციის ზონაში სამედიცინო სამსახურის უფროსის მიერ დანიშნული პირი. სამედიცინო დახმარება ხორციელდება სამედიცინო სამსახურის ფორმირებისა და მათ განკარგულებაში მყოფი სანიტარიული სამსახურების სამედიცინო პერსონალის მიერ ჯანდაცვის სისტემის უახლესი სამკურნალო დაწესებულებების ბაზაზე.

სამედიცინო პუნქტი, როგორც წესი, იშლება მომუშავე ფორმირების მახლობლად ან უშუალოდ სამუშაოების მიმდინარეობის უბანზე.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირველი დახმარების სწრაფად აღმოჩენას. ამიტომ, ფორმირებების პირადად შემადგენლობამ უნდა იცოდეს პირველი თვით- და ურთიერთდახმარების აღმოჩენის წესები.

ადგილზე პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემდეგ დაზარალებულს აგზავნიან სამედიცინო პუნქტში ან უახლოეს სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც საექიმო დახმარებას აღმოუჩენენ. სამედიცინო პუნქტში დაზარალებულები და ავადმყოფები დიდხანს არ უნდა დარჩნენ და შეძლებისდაგვარად სწრაფად გაიგზავნონ სამედიცინო დაწესებულებაში საგანგებო სიტუაციის ზონის ფარგლებს გარეთ.

მატერიალური უზრუნველყოფა. ფორმირებების მატერიალური უზრუნველყოფა საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების წარმატებით შესრულების ერთ-ერთი პირობაა. ის მოიცავს ფორმირებების ტექნიკით, ქონებითა და სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო სხვა სახის მატერიალური საშუალებებით დროულად მომარაგებას.

ფორმირებებს, რომლებიც მონაწილეობენ სტიქიური უბედურებებისა და საწარმოო ავარიების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში, უნდა ჰქონდეს ამ სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ტექნიკა და ქონება არსებული შტატებისა და ტაბელური აღჭურვილობის შესაბამისად, ასევე საგანგებო სიტუაციის ზონაში უზრუნველყოფილი იყვნენ კვებით და სხვადასხვა სახის სურსათით. კვება შეიძლება იყოს ორგანიზებული როგორც სტაციონარულ, ასევე საველე პირობებში. კვების პუნქტის განთავსების ადგილის შერჩევას აუცილებელია იმის გათვალისწინება, როგორია უბნის სანიტარიული მდგომარეობა, ახლოს არის თუ არა ხარისხიანი სასმელი წყლის წყარო და არსებობს თუ არა მოხერხებული მისასვლელი გზები. სანიტარიულ-ჰიგიენური და

ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების კომპლექსში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აბანოებსა და სამრეცხაო პუნქტებს. აქ იგულისხმება პირადი შემადგენლობისათვის პირადი ჰიგიენის დაცვისათვის პირობების შექმნა (რეგულარულად შხაპის მიღება, თეთრეულისა და სპეციალური ტანსაცმლის რეცხვა) და სანიტარული დამუშავების ჩატარება ეპიდემიური მაჩვენებლების მიხედვით.

მატერიალური საშუალებებით უზრუნველყოფას ახორციელებენ შესაბამისი პროფილის მქონე საწარმოო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, რომელთა ბაზაზე იქმნება მატერიალური საშუალებებით უზრუნველყოფის ფორმირებები, რომელთა განკარგულებაში გადადის ამ ობიექტების დაქვემდებარებაში არსებული ბაზები, საწყობები სათანადო მობილური და სტაციონარული სადეკონტამინაციო ააღჭურვილობა და სხვა მატერიალური რესურსები.

ტექნიკური უზრუნველყოფის მიზანია ავტომატქანებისა და სხვა ტექნიკის გამართული მდგომარეობისა და მათი გამოყენებისათვის მუდმივი მზადყოფნის შენარჩუნება. ეს გულისხმობს მორეაგირე ფორმირებათა აღსაჭურვად, საკირო სატრანსპორტო და სხვა ტექნიკურ საშუალებათა გამართული ექსპლუატაციისა და სარემონტო, საკიროების შემთხვევაში - მათი ევაკუაციის, ასევე სათადარიგო ნაწილებითა და საწვავ-საპოხი მასალებით უზრუნველყოფის ღონისძიებების ორგანიზებას.

ტექნიკის მიმდინარე რემონტი ტარდება სტაციონარულ სარემონტო სახელოსნოებში და დაზიანებული მანქანების შესაკრებ პუნქტებში. პირველ რიგში ხდება იმ მანქანების აღდგენა, რომლებიც უმნიშვნელოდ არის დაზიანებული და ამავე დროს მათზე დიდი მოთხოვნილებაა.

საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების ეფექტურად წარმართვის ერთ-ერთი წინაპირობაა ამ სამუშაოების სატრანსპორტო უზრუნველყოფა. მორეაგირე ფორმირებების საგანგებო სიტუაციის ზონაში დროულად გაყვანა შესაძლებელია მხოლოდ სატრანსპორტო საშუალებებით ოპერატიული უზრუნველყოფით. ავტოსატრანსპორტო უზრუნველყოფას ახორციელებენ ავტოსატრანსპორტო საწარმოები, დაწესებულებები და სხვა შესაბამისი სამსახურები და ორგანიზაციები, რომლებსაც დაქვემდებარებაში ჰყავს სატრანსპორტო ერთეულები.

ჰიდრომეტეოროლოგიური უზრუნველყოფის ორგანიზება ხდება რეაგირების ღონისძიებების ჩატარების დროს ამინდის, საშიში მეტეოროლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროლოგიური მოვლენების გათვალისწინების მიზნით.

ჰიდრომეტეოროლოგიური უზრუნველყოფა მოიცავს მონაცემებს ამინდის, თოვლის საფარის სისქის, გრუნტის გაყინვის სიღრმის, განსაკუთრებით საშიში ბუნებრივი მოვლენების, ატმოსფეროსა და ადგილმდებარეობის რადიოაქტიური დაბინძურების შესახებ.

ჰიდრომეტეოროლოგიური უზრუნველყოფისას ასევე განისაზღვრება ზემოჩამოთვლილი მოვლენების გავლენა რეაგირების ღონისძიებების ჩატარებასა და, ზოგადად, საგანგებო სიტუაციების ზონაში სამაშველო სამუშაოების წარმართვაზე.

ჰიდრომეტეოროლოგიური ვითარების პროგნოზს საგანგებო სიტუაციების მართვის ოპერატიული ცენტრები იღებენ შესაბამისი მონიტორინგული სამსახურებიდან. ხოლო ფაქტობრივ მონაცემებს ჰაერის მიწისპირა ფენის ვერტიკალური მდგრადობის, ღია წყალსაცავების მდგომარეობის, ჰაერის და ადგილმდებარეობის რადიოაქტიური, ძლიერმოქმედი შხამიანი ნივთიერებებით მოწამვლის შესახებ - ახლომდებარე (ფუნქციონირებადი) სათანადო მონიტორინგული სამსახურების დაკვირვების საგულშაოებიდან და ჰიდრომეტეოსადგურებიდან.

3. ფორმირების სრულ მზადყოფნაში მოყვანა და რეაგირების ორგანიზება

ფორმირების სრულ მზადყოფნაში მოყვანისათვის რაზმის მეთაურმა უნდა შეასრულოს შემდეგი მოქმედებები:

1. გამოცხადდეს სიგნალზე შეკრების ადგილას;
2. აამოქმედოს პირადი შემადგენლობის შტუკობინების სქემა;
3. ორგანიზება გაუკეთოს სატაბელო ქონებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გაცემას;
4. შეამოწმოს კავშირგაბმულობის საშუალებების მზადყოფნა და სპეციალურ სიგნალზე პირადი შემადგენლობის შეტყობინების შესაძლებლობა;
5. შეამოწმოს ფორმირების ტექნიკის მდგომარეობა და შესაძლებლობა;
6. დააზუსტოს ფორმირების მოქმედებებთან დაკავშირებული ყველა საკითხი;
7. ორგანიზება გაუკეთოს რაზმის განლაგების რაიონში გადაადგილებასა და საგანგებო სიტუაციის ზონაში მის განთავსებას.

ფორმირების (რაზმის) მეთაურის მუშაობის მეორე ეტაპი იწყება კონკრეტულ ობიექტზე (მის ტერიტორიაზე) საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩატარების შესახებ ობიექტის ან საგანგებო სიტუაციების მართვის ოპერატიული ცენტრის უფროსის განკარგულების მიღების შემდეგ. დავალების მიღებასთან ერთად რაზმის მეთაური მოიპოვებს ინფორმაციას დაზიანების კერაში შექმნილი საგანგებო ვითარების შესახებ, თავდაპირველად, უკვე მომხდარი აფეთქების ადგილის, სახეობის, სიმძლავრისა და სხვა პირველადი პარამეტრების პროგნოზირების საფუძველზე, ხოლო

შემდგომ - ადგილზე მიმდინარე პროცესების მონიტორინგის, მათ შორის საავიაციო, კოსმოსური და სახმელეთო დაზვერვის მონაცემების საფუძველზე.

რაზმის მეთაურმა უნდა შეისწავლოს და გაარკვიოს პირობები, რომელშიც მოუწევს დასახული ამოცანის შესრულება. ამ მიზნით განსაზღვრავს იმ ღონისძიებებს, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა ჩატარდეს მის სამოქმედო ტერიტორიაზე და რომლებიც აუცილებელია რაზმის მომზადებისათვის მის წინაშე დასახული ამოცანის შესასრულებლად. ის, მის ხელთ არსებული და სამუშაოების ჩატარების უბანზე შესაძლო ვითარების საპროგნოზო მონაცემების გათვალისწინებით, დაუყოვნებლივ გასცემს განკარგულებებს ხელქვეითების მიერ სამუშაოების შესრულების თაობაზე, ასევე, საავარიო-სამშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების დაწყების მიზნით გადაწყვეტილების მისაღებად ყველა საჭირო მონაცემის მომზადების შესახებ და ადგენს ზემოაღნიშნულ სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო დროს. ყოველი ამოცანის გადაჭრის შემდეგ მეთაური ახდენს შექმნილი ვითარების შეფასებას შემდგომი გადაწყვეტილების მისაღებად.

ზოგადად, ვითარების შეფასება მოიცავს შემდეგი სახის მონაცემების განსაზღვრას:

- დაზიანების ადგილს, დროსა და სახეობას, ობიექტზე ნგრევის ხასიათსა და მოცულობას, შესასრულებელი სამუშაოების სახეობასა და მოცულობას;

- სამუშაოების უბანზე რაზმის გადაადგილების ყველაზე მიზანშეწონილ მიმართულებას;

- რადიაციულ, ქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ ვითარებას და მის გავლენას ამოცანების შესრულებაზე;

- რაზმისა და დაქვემდებარებული ფორმირებების მდებარეობას, მდგომარეობას, მათი უზრუნველყოფის პირობებსა და შესაძლებლობებს;

- მეზობლად განლაგებული ფორმირებების მდგომარეობას, ამოცანებსა და მოქმედების ხასიათს;

- ადგილმდებარეობის დახასიათებასა და მის გავლენას რაზმის მოქმედებაზე, გადაადგილების მარშრუტებისა და სამუშაოების უბნებზე მისასვლელი გზების მდგომარეობას;

- ამინდის, წელიწადისა და დღე-ღამის დროის გავლენა ამოცანების შესრულებაზე.

ამოცანის გარკვევისა და ვითარების შეფასების შემდეგ მეთაურმა უნდა განსაზღვროს :

- მოქმედების მიზანი;

- რაზმისა და დაქვემდებარებული ფორმირებების ამოცანები;

- მოქმედების რაიონში გადაადგილების წესი;

- დაქვემდებარებულ ნაწილებთან და მეზობელ ფორმირებებთან რაზმის წევრების ურთიერთმოქმედების წესი;

- გადაადგილების მიმართულება და გზები;

- შეტყობინების სიგნალები და მოქმედების წესი;
- მახლობლად განლაგებული ფორმირებების ამოცანები;
- შესასრულებელი მოქმედებების წინასწარი მიზანი;
- სამედიცინო პუნქტის ადგილმდებარეობა;
- დასახივების დასაშვები დოზების მნიშვნელობა კონკრეტული რადიაციული ვითარებიდან გამომდინარე;

- მისი და მოადგილეების ადგილი.

მეთაური ადგენს აგრეთვე საკომენდატო სამსახურის ორგანიზებისა და განლაგების რაიონის საინჟინრო მოწყობის წესს.

საკომენდატო სამსახურის ორგანიზების დროს განისაზღვრება:

- განწესის შემადგენლობა;
- განწესის სამსახურის დრო და ადგილი;
- კავშირის შენარჩუნების წესი;

- ინიშნება მორიგე, ორგანიზება უკეთდება საკომენდატო საგულშაოების მოწყობას, ფორმირების განლაგებისა და სამოქმედო ტერიტორიაზე ხორციელდება მონიტორინგი და დაცვის ღონისძიებები, ასევე პირადი შემადგენლობისათვის დადგენილი დისციპლინური წესებისა და შუქშენიღვის რეჟიმის დაცვის კონტროლი.

მოწამვლის შემთხვევის უეცარი გამოვლენის შემთხვევაში, მეთაური დამოუკიდებლად იღებს პირადი შემადგენლობის ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების შესახებ გადაწყვეტილებას, აღნიშნულის შესახებ ატყობინებს ზემდგომ მეთაურს.

ძირითადი ქმედებების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მეთაური მოახსენებს ზემდგომს გადაწყვეტილების მიღების შესახებ, ხელქვეითების მისამართით გასცემს ბრძანებებს მოქმედებების დაწყების თაობაზე.

სამუშაოთა უბანზე გადაადგილების დაწყების წინ გადაადგილების ანდა საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩატარების დაწყების შესახებ ბრძანებაში მიეთითება:

- ვითარება გადაადგილების მარშრუტზე და საგანგებო სიტუაციის ზონაში შეკრების ადგილი;
- რაზმის ამოცანა;
- მარშრუტის შესრულების მიზანი;
- დანიშნულების რაიონში ჩასვლის დრო და პერიოდი;
- კოლონის წყობა;
- მოძრაობის სიჩქარე და მანქანებს შორის დისტანცია მარშზე და შესვენების ადგილებში;
- საწყისი პუნქტისა და სათავეო კოლონის მიერ სარეგულირებელი პუნქტის გავლის დრო;
- სამედიცინო პუნქტების განლაგების ადგილი;

- პირადი შემადგენლობის დასხივების დასაშვები დოზები;
- მარშისთვის მზადყოფნის დრო.

რაზმის მეთაური საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების უბანზე (თავმოყრის პუნქტში) ჩასვლისას, დაზვერვის მონაცემებისა და უფროსი მეთაურის მითითებების საფუძველზე აფასებს და აზუსტებს დაქვემდებარებული ქვედანაყოფების ამოცანებს, გასცემს ბრძანებას ან განკარგულებებსა და მითითებებს.

ამოცანაში მითითებულია:

სამაშველო ჯგუფისთვის: არსებული შესაძლებლობა და მათი გაძლიერების საშუალებები, დაზიანებულთა ძებნის უბნები და პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, დაზარალებულთა ტრანსპორტში ჩასხდომისა და ავარიის ლოკალიზაციის ადგილები, მოძრაობის მარშრუტი და წესი;

ქმისაწინააღმდეგო დაცვის ჯგუფისთვის: - უბნები, რომლებიც გაუსწებოვნებას ექვემდებარება; იმ გასასვლელების სიგანე, რომლებსაც დეზაქტივაცია ესაჭიროება და სადეზაქტივაციო ხსნარებით დასამუშავებელი ფართობი, სამუშაოების შესრულების ხერხები, თანმიმდევრობა და მოცულობა; გაუსწებოვნებული უბნებისა და ნაგებობების აღნიშვნის წესი; ამოცანის შესრულების შემდეგ შეკრების პუნქტი, მოძრაობის მარშრუტი და წესი.

მეხანძრე-მაშველთა ჯგუფისთვის: - მოძრაობის მარშრუტსა და რაზმის მუშაობის უბნებზე ხანძრის კერების ლოკალიზაციის ან ლიკვიდაციის უზრუნველყოფის წესი;

საავარიო-ტექნიკურ ჯგუფისთვის: - შესაბამის კომუნალურ და ტექნოლოგიურ ქსელებში ავარიის აღმოჩენის და თავიდან აცილების წესი, უსაფრთხოების ზომები, ამოცანის შესრულების შემდეგ მოქმედების თანმიმდევრობა, სამუშაოების შესრულების ადგილებში გადაადგილების მარშრუტი და წესი;

სანიტარული რაზმისთვის: - დაზიანებულთა მოძებნისა და სამედიცინო დახმარების უბანი.

დაქვემდებარებაში გადმოსული (მიმაგრებული) ფორმირებების ამოცანები ისახება ანალოგიური სახით.

ქვედანაყოფებისათვის ამოცანების დასახვის შემდეგ ფორმირების მეთაური ახორციელებს უშუალოდ თავისი დაქვემდებარებაში მყოფ ფორმირებათა (რაზმების) ქვედანაყოფებს შორის, აგრეთვე თავის და მის დაქვემდებარებაში გადმოსული ფორმირებების მოსაზღვრე ზონებში მოქმედ ქვედანაყოფებთან ურთიერთმოქმედების ორგანიზებას.

რეაგირების მართვის პროცესში ყველა დონის მეთაურის, უფროსის, საგანგებო სიტუაციების მართვის ოპერატიული ცენტრის ხელმძღვანელის ურთიერთმოქმედების ორგანიზება და განხორციელება უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა.

ურთიერთმოქმედება ორგანიზებულად ჩაითვლება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოებმა და ძალებმა იციან საერთო ამოცანა, უფროსი მეთაურის მოქმედებების მიზანი, ერთმანეთის ამოცანების არსი, ერთობლივი მოქმედებების ხერხები და ხანგრძლივობა. ასევე, აქვთ ერთმანეთთან და უფროს მეთაურთან საიმედო კავშირი, შეუძლიათ დროულად მიაწოდონ ერთმანეთს ინფორმაცია და სწრაფად და ეფექტურად გამოიყენონ ურთიერთმოქმედების სიგნალები.

მდგრადი ურთიერთმოქმედების შესანარჩუნებლად ფორმირების მეთაურის წარმატებული საქმიანობის წინაპირობაა საგანგებო ვითარების ზუსტად შეფასება და მისი შესაძლო ცვლილების ოპერატიულად პროგნოზირება.

მეთაურმა ურთიერთმოქმედების ორგანიზებისას უნდა შეათანხმოს დაზიანების კერაში რეაგირების ძალების გადაადგილების წესი და მათი მოქმედება მოძრაობის მარშრუტებზე დასწრეობების ან ხანძრის ზონების და სხვა დაბრკოლებების გადალახვის დროს, ასევე საწყისი პუნქტიდან და სარეგულირებელ პუნქტებში გავლის დრო.

დაზიანების კერაში ზუსტდება და თანხმდება დაზვერვის, ხერგილებში გასასვლელების მოწყობის, ხანძრის ლოკალიზებისა და ჩაქრობის, დამგავი ნაგებობების გახსნის, ავარიის ლოკალიზების, ხერგილებიდან და დანგრეული შენობებიდან დაზიანებულთა გამოყვანის, პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და სხვა სამუშაოების შესრულების წესი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამსახურებისა და ფორმირებების მართვის პუნქტების განლაგების, კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ორგანიზების, მართვის სიგნალების, აგრეთვე დასახული ამოცანების შესასრულებლად რაზმების ყოველმხრივი უზრუნველყოფის საკითხების შეთანხმებას.

4. უსაფრთხოების ზომები საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩატარებისას

დაზიანების კერებში სამუშაოების დაწყების წინ აუცილებელია დანგრეული შენობების დათვალიერება და საშიში დაზიანებების გამოვლენა. შენობათა კონსტრუქციები, რომელთა ჩამოქცევის საფრთხე არსებობს, უნდა ჩამოინდრეს ან გამაგრდეს. აკრძალულია დანგრეულ შენობა-ნაგებობებში შესვლა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამის გადაუდებელი აუცილებლობა არსებობს. საშიში უბნები უნდა შემოიღობოს და აღინიშნოს სპეციალური ნიშნებით. აუცილებელია იმ პირების საიმედოდ დაზღვევა, რომლებსაც ევალებათ დანგრეული ნაგებობებიდან და ხერგილებიდან ადამიანების

გამოყვანა და გადარჩენა. დაუშვებელია, ხერგილებში სამუშაოებს მარტო ერთი მაშველი ასრულებდეს.

ელექტროხაზებზე სამუშაოდ ინიშნებიან მხოლოდ სპეციალურად მომზადებული პირები. დაზიანებული ელექტროგაყვანილობის შეკეთება ხდება მხოლოდ კვების წყაროდან მისი გამორთვის შემდეგ. წყალსადენის, კანალიზაციისა და გაზგაყვანილობის ქსელებზე მომუშავე პირებმა მაიზოლირებელი აირჩინალებით უნდა იმუშაონ. აირის არსებობა დგინდება მხოლოდ აირანალიზატორებით. დაგაზიანებული უბნების მახლობლად აკრძალულია ასანთის ანთება, მოწევა და იმ ხელსაწყოების გამოყენება, რომლებიც წარმოქმნიან ნაპერწკალს.

საინჟინრო დაზვერვის მონაცემების საფუძველზე დაზუსტებული საპროგნოზო მონაცემები საინჟინრო სამსახურების მიერ წინასწარ მომზადებულ დოკუმენტაციაში არსებული საინჟინრო ვითარების ასახვის საწყისი მასალაა.

ქალაქის (მუნიციპალიტეტის) მასშტაბით საინჟინრო ვითარების პროგნოზირებისას, დოკუმენტაციაში აღნიშნება ძირითადი დამაზიანებელი ფაქტორის წარმოშობის ეპიცენტრი და მისი ძირითადი ფიზიკური მახასიათებლები.

აუცილებელია სახანძრო უსაფრთხოების ზომების მიღება. არ შეიძლება წყლის გამოყენება ცეცხლმოდებული ლითონების - კალიუმის, მაგნიუმის, აგრეთვე იმ მასალების ჩასაქრობად, რომლებიც კალციუმკარბიდთან და ჩაუმქრალ კირთან ერთად ინახება, ძაბვის ქვეშ არსებულ ცეცხლმოდებულ ელექტროდანადგარებზე, ბენზინის, ნავთისა და სხვა თხევადი საწვავის რეზერვუარებზე. ასეთ შემთხვევაში მხოლოდ სპეციალური ცეცხლმაქრი საშუალებები გამოიყენება.

განსაკუთრებით საშიშ ადგილებში (შეზღუდული ხილვადობა, აფეთქებისა და კონსტრუქციების ჩამოქცევის შესაძლებლობა და ა.შ.) სამუშაოების ჩატარების დროს ინიშნება სამუშაოების ჩატარებაზე ზედამხედველი. საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების შემთხვევაში, სპეციალური ნიშნებით უნდა იყოს მითითებული სამედიცინო პუნქტების ადგილმდებარეობა.

საგანგებო სიტუაციების ზონაში მოქმედების დროს აუცილებელია დამაზიანებელი ფაქტორების ზემოქმედების თავისებურებათა გათვალისწინებით მკაცრად იქნეს დაცული უსაფრთხოების ზომების შესახებ ინსტრუქციები.

მეთაური რაზმის მართვას ახორციელებს ვითარების შესაბამისად, სპეციალურად შერჩეულ ადგილზე მოწყობილი მართვის პუნქტიდან. ის მუდმივად უნდა ეცნობოდეს და აფასებდეს არსებული ვითარებას, სწრაფად ახდენდეს მის ცვლილებაზე რეაგირებას, დროულად იღებდეს გადაწყვეტილებას და ახორციელებდეს შესაბამის ღონისძიებებს, ინარჩუნებდეს კავშირს დაქვემდებარებულ ძალებთან და ეცნობოდეს მათ ინფორმაციას

ვითარების შესახებ. მეთაური უნდა იმყოფებოდეს ყველაზე საპასუხიმგებლო სამუშაოების უზნებზე. ეს მისცემს მას ვითარების უკეთ გაცნობის, დაქვემდებარებული ძალებისთვის სათანადო მითითებებისა და დავალებების განსაზღვრისა და ადრე მიღებული გადაწყვეტილების დროულად დაზუსტების საშუალებას.

სამაშველო სამუშაოების ეფექტურად სამართავად დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაზვერვის მოწოდებულ მონაცემებს. ძირითადად ეს მონაცემებია: რადიაციული გამოსხივების დაზუსტებული დოზის სიმძლავრე, დამცავი ნაგებობების ჩახერგვის ხარისხი და ხასიათი, მათი ადგილმდებარეობა, შენობათა ნგრევის, კომუნალურ-ენერგეტიკული და გაზსადენი ქსელების დაზიანების ადგილები და ხარისხი. დაზვერვის ძირითადი ამოცანაა, ჩახერგილ თავშესაფრებსა და დანგრეულ შენობებში ადამიანების დროულად აღმოჩენა და ამის შესახებ მეთაურისათვის დაუყოვნებლივ შეტყობინება. განახლებული დაზვერვის მონაცემებისა და ვითარების შესწავლის საფუძველზე მიღებული დასკვნების გათვალისწინებით მეთაური დაზვერვისა და ქვედანაყოფების მეთაურებს პირადი შემაღენლობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით აძლევს დამატებით დავალებებს.

ჯგუფების (რგოლების) მეთაურები, იმყოფებიან რა უშუალოდ სამუშაოების ადგილებში, ხელმძღვანელობენ პირადი შემაღენლობის მოქმედებას, ზრუნავენ, რათა შენარჩუნდეს მუშაობის რეჟიმი და მაქსიმალურად იქნეს დაცული მოქმედებათა თანმიმდევრობა. ისინი კონტროლს უწევენ დაცვისა და უსაფრთხოების ზომების შესრულებას, უსახავენ ჯგუფის წევრებს დამატებით ამოცანებს და საჭიროების შემთვევაში ახდენენ სამუშაოების მიმდინარეობის ადგილებზე ტექნიკისა და პირადი შემაღენლობის გადანაწილებას.

საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ მოხსენებას რაზმის მეთაური წარადგენს საგანგებო სიტუაციების მართვის ოპერატიულ ცენტრში საქმიანობის შემდეგი ეტაპების მიხედვით:

- სამოქმედო ობიექტამდე მარშის განხორციელების შემდეგ;
- დაზიანების კერაში რაზმის შეყვანისა და საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების დაწყების შემდეგ;
- სამუშაოების დამთავრების ან მათი სხვა ფორმირებების მიერ ჩანაცვლების შემდეგ;
- ყოველდღიურად - სამუშაო დღის დასრულების შემდეგ, საავარიო - სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების გახანგრძლივების შემთხვევაში;
- დაუყოვნებლივ, საგანგებო შემთხვევებისა და სხვა ექსტრემალური სიტუაციების წარმოქმნის დროს.

5. სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობა საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის დროს

საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებს ახორციელებს საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემა. იმ შემთხვევაში, როდესაც საგანგებო სიტუაციების მასშტაბი დიდია, სამუშაოების შესრულებაში პრეზიდენტის განკარგულებით სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის ფარგლებში ერთვება ქვეყნის შეიარაღებული ძალების სათანადო ნაწილები და ქვედანაყოფები წინასწარ შემუშავებული გეგმების შესაბამისად.

სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის ძირითადი მიზანია მოქმედების კოორდინაცია და არსებული ძალებისა და საშუალებების ოპტიმალურად გამოყენება, ხოლო მის ძირითად მიმართულებებს განეკუთვნება ინფორმაციის გაცვლა და რეაგირების ძალებისა და საშუალებების მოზიდვა.

სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობა აგებულია გეგმურობის, ტერიტორიულობის, ურთიერთშეთანხმების, მხარეთა ფუნქციონირებასა და მათ მოქმედებებში ურთიერთჩაურევლობის პრინციპებზე.

სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობა ხორციელდება შემდეგი მეთოდებით:

- მითითების მიცემით;
- ძირითადი სცენარების გათამაშებით;
- წინადადებების მოსმენით.

სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობა უნდა იყოს მდგრადი და მოქნილი და ხორციელდებოდეს საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოების მიმდინარეობის მთელ პერიოდში.

სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობა გულისხმობს:

- ერთობლივ მონაწილეობას ნორმატიული დოკუმენტების შემუშავებაში;
- მოპოვებული ინფორმაციის ურთიერთგაცვლას;
- ურთიერთქმედების გეგმების ერთობლივად შემუშავებას;
- საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციოდ საჭირო ძალებისა და საშუალებების ერთობლივად და შეთანხმებულად განსაზღვრას;
- ერთობლივი სწავლებებისა და წვრთნების ჩატარებას.

სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობა ხორციელდება საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალებსა და ძალოვანი სტრუქტურების ქვედანაყოფებს შორის. ამ თანამშრომლობას კოორდინაციას უწევს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სპეციალურად უფლებამოსილ ორგანო. კოორდინაციის მთავარი მიზანია, კონკრეტულ ტერიტორიაზე ძალოვანი სტრუქტურების ყველა დანაყოფს მკაფიოდ განესაზღვროს ადგილი და როლი

საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელების დროს, კერძოდ:

1. უნდა იყოს შესწავლილი ამ დანაყოფების შესაძლებლობები (ძალები და საშუალებები), რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში;

2. ჩატარდეს მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციების ზონებში განლაგებული ობიექტების შესწავლა და განისაზღვროს მოქმედებათა თანმიმდევრობა;

3. განისაზღვროს სამხედრო დანაყოფების სატრანსპორტო საშუალებების შესაძლებლობები და მათი გამოყენების შესაძლებლობა;

4. უზრუნველყოფილ იქნეს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული გზებისა და მარშრუტების ურთიერთშეთანხმებული გამოყენება;

5. ორგანიზება გაუკეთდეს სამხედრო ნაწილების სპეციალიზებული ქვედანაყოფების (დაზვერვის, ქიმიური, რადიაციული, კინოლოგიური და სხვ.) საგანგებო სიტუაციებზე მორეაგირე ძალების ტერიტორიულ ფორმირებებთან აქტიურ თანამოქმედებას;

6. ტერიტორიული სამედიცინო სამსახურების დახმარების მიზნით გაიშალოს საველე ჰოსპიტლები;

7. უზრუნველყოფილ იქნეს სამხედრო დანაყოფების კავშირგაბმულობის საშუალებების გამოყენება ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მხარდასაჭერად და სხვ.

სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთთანამშრომლობის სფეროში განსახორციელებელ ღონისძიებებს განეკუთვნება:

1. შეტყობინებისა და კავშირგაბმულობის სფეროში:

ა) ურთიერთურთთანამშრომლობა განგაშის სიგნალის ადრესატებამდე მიწოდებისა და საგანგებო სიტუაციების განვითარების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით. კავშირგაბმულობის სამხედრო არხების გამოყენება, ასევე, რადიო და სატელეფონო კავშირგაბმულობის საშუალებების გამოყოფა საგანგებო სიტუაციების მართვის უზრუნველსაყოფად;

ბ) საგანგებო სიტუაციების განვითარების შესახებ ურთიერთინფორმირება და ამ მიზნით სახელმწიფო საუწყებო კავშირის არხების გამოყოფა. ასევე, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების გამოყენება ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე.

2. მართვის სფეროში:

ა) დაცული მართვის პუნქტების ურთიერთსარგებლობაში გადაცემა და მოძრავი მართვის პუნქტების გამოყოფა;

ბ) მიღებული გადაწყვეტილებების, ბრძანებებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ურთიერთინფორმირება.

3. მოსახლეობისა და სამოხილიზაციო რესურსების დაცვის სფეროში:

ა) სამხედრო ნაწილების სათადარიგო დისლოკაციის რაიონების გამოყენება მოსახლეობის თავშესაფრებად;

ბ) დაზარალებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისათვის სავლელ სამხედრო ჰოსპიტლების გაშლა;

გ) საგანგებო სიტუაციის ზონიდან მოსახლეობისა და მატერიალური ფასეულობების ევაკუაციისათვის ტრანსპორტის გამოყოფა;

დ) მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით სავლელ წყალმომარაგების პუნქტების მოწყობა;

ე) განსაკუთრებული დანიშნულების ობიექტების დაცვის გაძლიერებაში მონაწილეობა;

ვ) სავაკუაციო მარშრუტებისა და უსაფრთხო განთავსების ზონების შერჩევა და სამხედრო ხელმძღვანელობასთან შეთანხმება;

ზ) სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების ევაკუაციის ხელშეწყობა;

თ) გადაზიდვების მარშრუტზე მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ერთობლივი ძალების გამოყენებით;

ი) სამკურნალო დაწესებულებების გამოყოფა.

4. დაზვერვის სფეროში:

დაზვერვის საწარმოებლად ძალებისა და საშუალებების გამოყოფა და სპეციალიზებული დაზვერვის მოპოვებული ინფორმაციის ურთიერთმიწოდება და გაცვლა.

5. საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების წარმოების სფეროში:

ა) საგანგებო სიტუაციების ზონის იზოლირება, ასევე სამაშველო ოპერაციების ჩასატარებლად ძალებისა და საშუალებების გამოყოფა. საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ყოველმხრივი უზრუნველყოფის მიზნით ურთიერთდახმარება;

ბ) მეორეული ფაქტორების საფრთხის შესახებ ინფორმაციის ურთიერთმიწოდება და სამხედრო დასახლებებში საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო ძალებისა და საშუალებების გამოყოფა.

თავი V. საგანგებო სიტუაციაში ქვევის წესები

1. ზოგადი მითითებანი

ცოტაა ისეთი ქვეყანა, რომელსაც იმდენი სახის სტიქიური უბედურება და ტექნოგენური ავარია ემუქრებოდეს, რამდენიც საქართველოს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, დღესდღეობით კავკასია მსოფლიოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონია, არ არის გამორიცხული, სამხედრო-დივერსიული საგანგებო სიტუაციებიდან და ტერორისტული აქტებიდან გამომდინარე საფრთხეებიც კი.

საგანგებო სიტუაციებში ქვევისა და მოქმედების წესების შესწავლა, თითოეული ჩვენთაგანისათვის, გარდა იმისა, რომ კონკრეტული ხერხების ცოდნისა და რაციონალური ქმედებების გამომუშავების განმსაზღვრელია, ამავე დროს განაპირობებს ექსტრემალურ სიტუაციებში ადამიანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას და თვითრწმენის განმტკიცებას. ამ მხრივ, მომზადებული ადამიანი, რომელსაც აქვს კონკრეტული რეალური ცოდნა საგანგებო სიტუაციების, მათგან გამომდინარე დამაზიანებელი ფაქტორებისა და, რაც მთავარია, მათი საწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ, უფრო თავდაჯერებულია. მას ძნელად დაეუფლება პანიკა და გაბედულად განახორციელებს საკუთარი თავისა და გვერდით მყოფთა დახმარების ღონისძიებებს. ეს კი ყველაზე დიდ შანსს იძლევა გადარჩენისათვის, თუნდაც მეტად რთულ საგანგებო ვითარებაში.

ამიტომ საგანგებო სიტუაციებში ქვევის წესების შესწავლა და მისი მოთხოვნების შესრულება, გარკვეული გარანტიაა საგანგებო სიტუაციებში საკუთარი თავის, ოჯახის წევრებისა და ახლობლების დასაცავად და გადასარჩენად.

საგანგებო სიტუაციაში ქვევის წესების შესწავლაში დაგეხმარებათ სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში დაგეგმილი სწავლებები და ტრენინგები. წინასწარ, ოჯახის წევრებთან ერთობლივად, მე-3 დანართში მოცემული ალგორითმის საფუძველზე შეიმუშავეთ საოჯახო საგანგებო გეგმა. ის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ოჯახის ყველა წევრისათვის და ხდებოდეს მისი პერიოდულად განახლება და სრულყოფა. გაეცანით სამუშაო ადგილის მიხედვით ორგანიზაციის საგანგებო მართვის გეგმას, ასევე შენობებში თვალსაჩინოდ გამოფენილ საევაკუაციო გეგმებს.

საგანგებო სიტუაციის წინმსწრები მოვლენის დაფიქსირების ან საგანგებო ინციდენტის შემთხვევაში, მათ შორის, როდესაც სახლში ვინმე შეუძლოდ არის ან ქუჩაში დაინახე შეუძლოდ მყოფი ადამიანი, რომელსაც დახმარება ესაჭიროება; ვიდაცას აყაჩაღებენ; სადმე ხანძარი ან ავარი (სატრანსპორტო და საწარმოო ხასიათის, კომუნალურ-ენერგეტიკული ქსელებისა და სხვ.); ჩაიკეტე სახლში ან ლიფტში - ანუ ყველა მსგავს

სიტუაციაში, როდესაც საჭიროა დახმარება და აუცილებელია პოლიციის, სასწრაფო-სამედიცინო დახმარებისა და სახანძრო-სამაშველო ბრიგადების გამოძახება, უნდა დარეკო გადაუდებელი დახმარების ნომერზე - 112, ამისთვის პირდაპირ უნდა აკრიფო ნომერი 1-1-2 და მაშინვე დაუკავშირდებით ზარის მიმღებს. 112-ზე დარეკვა შესაძლებელია მაშინაც კი, თუ სახლის ან მობილური ტელეფონი ორმხრივად არის გათიშული ან მობილურ ტელეფონში სიმზარათი არ დევს. თუ ევროპაში იმყოფები, შეგიძლია, დახმარების მოთხოვნის მიზნით აკრიფო 1-1-2, ისევე, როგორც საქართველოში. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში 112-ის ნაცვლად უნდა აკრიფო 911. გახსოვდეთ - 112-ზე დარეკვა უფასო! კატეგორიულად დაუშვებელია დროის გასაყვანად, გართობისა და ცრუ გამოძახების მიზნით 112-ზე დარეკვა ეს დასჯადია, ვინაიდან ამ შემთხვევაში საფრთხე ექმნება იმ ადამიანების სიცოცხლეს, რომლებსაც ნამდვილად სჭირდება დახმარება. როდესაც 112-ზე დახმარების სათხოვნელად რეკავთ, ოპერატორს უნდა მიაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

რა მოხდა? - აღწერეთ სიტუაცია ან შექმნილი საგანგებო ვითარება;

სად მოხდა? - გარკვევით დაასახელეთ ინციდენტის ადგილის მისამართი;

მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი, ისაუბრეთ გარკვევით და სანამ ოპერატორი საუბარს არ დაასრულებს, არ გათიშოთ ტელეფონი.

საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინების სიგნალის ან ინფორმაციის მიღების შემთხვევაში აუცილებელია: არ დაიბნეთ, გამოირჩინეთ სიმშვიდე, მოთმინება, არ გამოიწვიოთ თქვენი მოქმედებით პანიკა.

როგორც კი გაიგებთ შეტყობინებას საგანგებო სიტუაციის შესახებ (სირენით, პოლიციის საპატრულო მანქანებით, ქარხნებისა თუ გემების საყვირებითა და ა.შ.), ჩართეთ ტელევიზორი ან რადიომიმღები ცენტრალურ არხზე და ყურადღებით მოუსმინეთ საგანგებო ვითარების შესახებ ინფორმაციას - რა მოხდა და რა უნდა გააკეთოთ.

ყურადღება მიაქციეთ პოლიციის მანქანის სიგნალს, რომელიც დაუბლირებას გაუკეთებს გადმოცემულ ინფორმაციას.

საქმის კურსში ჩააყენეთ მეზობლები, შეიძლება მათ არ გაუგიათ გადმოცემული ინფორმაცია.

სწრაფად და ზუსტად იმოქმედეთ შეტყობინების სიგნალებისა და საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული მითითებების შესაბამისად.

არ ევადოთ ბავშვების წამოყვანას სკოლიდან და საბავშვო ბაღიდან. ამაზე შეიძლება მათი უსაფრთხო ადგილზე გადაყვანის შეფერხება გამოიწვიოს. თქვენს ბავშვებს მოუვლიან, მათი დაცვა პირველი რიგის ამოცანაა.

მაქსიმალურად შეზღუდეთ ტელეფონით ლაპარაკი. სატელეფონო კავშირი აუცილებელია სამსახურებრივი საჭიროებისათვის, ხელმძღვანელობისა და მართვის ორგანოებისათვის.

ეცადეთ, თავდაჭერილად გადაიტანოთ ფიზიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური დატვირთვა, ზუსტად შეასრულოთ უსაფრთხოების წესები.

აქტიური მონაწილეობა მიიღეთ სამაშველო სამსახურების მიერ ორგანიზებულ სამაშველო ღონისძიებებში.

2. მიწისძვრა

მიწისძვრა არის დედამიწის ქერქში ან ზედა მანტიაში სეისმური ფილემების უცარი გადაადგილებით ან რღვევით გამოწვეული მიწისქვეშა ბიძგები, რომელიც განაპირობებს დედამიწის ზედაპირის რყევას და დიდ მანძილზე გადაიცემა სეისმური ტალღების მაშვობით. წერტილს დედამიწის ქერქში, საიდანაც ვრცელდება სეისმური ტალღები, ეწოდება მიწისძვრის ჰიპოცენტრი, დედამიწის ზედაპირზე მიწისძვრის ჰიპოცენტრიდან უმოკლესი მანძილით (ამავდროულად ეს მანძილი მიწისძვრის კერის სიღრმეა) დაცილებულ ადგილს - ეპიცენტრი. მიწისძვრის დროს თავისუფლდება დიდი რაოდენობის ენერგია. სეისმური ტალღების საერთო ენერგია ანუ მიწისძვრის სიმძლავრე იზომება მაგნიტუდებში, რომელიც გამოიყენება მიწისძვრის ენერგეტიკული კლასიფიკაციისათვის. რიხტერის სკალით 1-დან 9-მდე მაგნიტუდის მიწისძვრის ეფექტი, გამომდინარე მისი სიძლიერიდან (ინტენსივობიდან), ფასდება 12-ბალიანი ("EMS-98" – ევროპის ერთიანი მაკროსეისმური სკალით) სეისმური სკალით. ბალის სიდიდე დამოკიდებულია ეპიცენტრიდან დაშორებაზე, კერის სიღრმესა და მაგნიტუდაზე, ასევე, დედამიწის იპოცენტრული მანძილის მომცველი ზედაპირის გეოლოგიურ აგებულებაზე. პირობითად, მიწისძვრის ბალის სიდიდის მიხედვით განასხვავებენ სუსტ (1-4 ბალი), ძლიერ (5-7 ბალი) და დამანგრეველ (8 და უფრო მეტი ბალი) მიწისძვრებს. შენობა-ნაგებობების სეისმური მედეგობა გათვლილია ბალეზზე.

მიწისძვრის დროს სკდება და იმსხვრევა ფანჯრის მინები, თაროებიდან ცვივა საგნები, ჭერიდან – ბათქაში, ირყევა კარადები, ირხევა ჭალები, კედლებსა და ჭერში ჩნდება ბზარები. ყველაფერ ამას თან სდევს გამაყრუებელი ხმაური. ხშირ შემთხვევაში შენობა-ნაგებობები ინგრევა რყევის დაწყებიდან 10-20 წამის განმავლობაში. ხოლო მიწისძვრა შეიძლება გრძელდებოდეს 2 - 20 წამს, რაც უფრო დიდ ხანს გრძელდება რყევა, მით უფრო ძლიერია დაზიანებები.

გახსოვდეთ, რომ მიწისძვრას თან სდევს წგრევა, დაზიანება და ხშირად ადამიანთა მსხვერპლი. სამწუხაროდ, კაცობრიობას ჯერჯერობით არ შეუქმნია მიწისძვრისაგან უსაფრთხოების უზრუნველყოფი არავითარი საშუალება, გარდა იმისა, რომ შენობა-ნაგებობები აშენდეს და მათი ექსპლუატაცია მოხდეს დადგენილი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით.

როგორ უნდა მოვიქცეთ და რა უნდა ვიყო დეთ მიწისძვრამდე

ეცადეთ, ყოველთვის წინასწარ გქონდეთ გააზრებული მიწისძვრის დროს მოქმედების წესები. ასწავლეთ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ხერხები, განუმარტეთ მათ, რა უნდა იცოდნენ და რა უნდა გააკეთონ მიწისძვრის შედეგად მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების შესამცირებლად.

წინასწარ გაიაზრეთ შენობიდან გამოსვლის მარშრუტი პირველი სართულის ფანჯრების ჩათვლით ისე, რომ შენობის დატოვება შეიძლებოდეს მაქსიმუმ 15-20 წამის განმავლობაში - შესაძლო განმეორებით ბიძგებამდე.

იცოდეთ, რომ მიწისძვრისას ყველაზე საშიშია ლიფტი და კიბის უჯრედი, გარე და შიდა კედლების დიდი შემინული ღიობები, შენობის კუთხეში მდებარე ოთახები.

განსაზღვრეთ ყველაზე უსაფრთხო ადგილი ბინაში, სამსახურში, სამუშაო ადგილთან ახლოს, სადაც შეიძლება ბიძგების შეწყვეტამდე დაცდა. ასაწყობი სამშენებლო კონსტრუქციებით აგებულ შენობებში უსაფრთხო ადგილია კაპიტალური შიდა კედლების ღიობები, ასევე ადგილი ჰორიზონტალური მზიდი კონსტრუქციის (რიგელის) ქვეშ. ხოლო, მონოლითურ კარკასულ და ყველა სხვა დანარჩენი ტიპის შენობებში, სადაც გამოყენებული არ არის გადახურვის ასაწყობი რკინაბეტონის ფილები, უსაფრთხო ადგილებია შიდა მზიდი კედლების ღიობები, ასევე ოთახის შიდა მზიდი კედლების მიმდებარე კუთხეები.

წინასწარ უნდა იქნეს შერჩეული საცხოვრებელი სახლის, სკოლის, ბაღის, სამუშაო შენობიდან უსაფრთხო მანძილზე დაშორებული ღია ადგილი, სადაც შესაძლებელია გაჩერდეთ შენობიდან ევაკუაციის შემდეგ. მიწისძვრისას უსაფრთხო მანძილად ითვლება შენობიდან არა ნაკლებ მისი სიმაღლის ნახევრის ტოლი მანძილი.

ეცადეთ საწოლთან ახლოს ყოველთვის იქონიოთ ჯიბის ფარანი, რადიომიმღები და ჩუსტები.

იქონიეთ 2-3 დღის წყლისა და სურსათის მარაგი (ერთ სულზე 4-5 ლიტრი წყალი, კონსერვები და სხვ.), მედიკამენტები, დოკუმენტები, ძვირფასეულობა, თბილი ტანსაცმელი, რათა დრო არ დაკარგოთ სახლის დატოვების წინ მათ მოძიებასა და გამზადებაზე.

ნუ მოაწყობთ თაროებს დასაძინებელი ადგილების თავზე, შესასვლელი კარების, გაზქურის, პირსაბანისა და უნიტაზის ზემოთ.

ნუ განათავსებთ ზედა თაროებსა და ანტრესოლებზე მძიმე საგნებს.

მყარად მიამაგრეთ კედლებზე წიგნებისა და ჭურჭლის კარადები, თაროები, სტელაჟები და სხვა მძიმე ავეჯი, რომელთა გადაყირავებამაც შეძლება გამოიწვიოს ადამიანის დაზიანება.

წყლის გამაცხელებლების ავზი და გაზქურა კედელზე მიამაგრეთ ლითონის დრეკადი ლენტის საშუალებით.

ნუ მოაწყობთ საძინებელ ადგილებს დიდ ფანჯრებთან ან შემინულ ტიხრებთან. გახსოვდეთ, შენობის დეფორმაციის დროს, პირველ რიგში იმსხვრევა მინა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანთა მნიშვნელოვანი დაზიანებები (დრმა ჭრილობები, ძლიერი სისხლდენა).

საიმედოდ დაამაგრეთ ჭალები, ნუ გამოიყენებთ მინის აბაჟურებს.

ნუ ჩახერგავთ ბინაში შესასვლელს, დერეფანსა და კიბის ბაქანს, ნუ გადატვირთავთ სხვადასხვა საგნით გასასვლელებს, რათა სწრაფად შეიძლებოდეს გამოსვლა და არ შეფერხდეს მასველების მოძრაობა.

შეინახეთ საშიში ნივთიერებები (შხამქიმიკატები, ადვილადაალებადი სითხეები) საიმედო, კარგად იზოლირებულ ადგილზე.

ოჯახი ყველა წევრმა უნდა იცოდეს ელექტროდენის გამომრთველის, შენობაში შემომავალი გაზისა და წყალსადენის ჩასაკეტი ონკანების ადგილი, რათა საჭიროების შემთხვევაში გამოირთოს დენი, გაზი და წყალი.

შეისწავლეთ პირველადი სამედიცინო დახმარების წესები, იქონიეთ პირველადი დახმარების აფთიაქი.

თუ გყავთ სკოლის ასაკის ბავშვები, ასწავლეთ, რა უნდა გააკეთონ მიწისძვრის შემთხვევაში სკოლაში.

თუ გაქვთ გარაჟი ან საგარაკო სახლი, მათი გამოყენება თავშესაფრად შეიძლება მიწისძვრის პირველ დღეებში, მხედველობაშია მისაღები, რომ ასეთი შემთხვევისათვის ნაკლებად საიმედოა მეწყერსაშიშ უზნებზე განლაგებული შენობა-ნაგებობანი;

წინასწარ გქონდეთ განსაზღვრული ევაკუაციის დროს სად შეხვდებით ერთმანეთს თქვენ და თქვენს ოჯახის წევრები.

შენობის რეკონსტრუქციის შემთხვევაში, ყურადღება მიაქციეთ ჰორიზონტალურ ძალებზე გათვლილი კონსტრუქციების (სარტყლების) არსებობას და მათ საიმედოობას.

მეტი ყურადღება დაუთმეთ სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვას, მშენებლობის ხარისხიანად განხორციელებას. ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენ სეისმურად აქტიურ ზონაში ცხოვრობთ!

როგორ უნდა მოვიქცეთ მიწისძვრის დროს

როგორც კი შეიგრძნობთ ბიძგებს და შენობის რყევას, დაინახავთ, რომ ირხევა ჭაღი, ცვივა საგნები, გაიგებთ ძლიერ გუგუნს და მინის მსხვრევის ხმას, პანიკის გარეშე ეცადეთ სასწრაფოდ დაიკავოთ შენობაში წინასწარ განსაზღვრული უსაფრთხო ადგილები. შენობის დატოვება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინასწარ გააზრებული გაქვთ და დარწმუნებული ხართ, რომ დატოვებთ და ამავე დროს დასცილდებით მას უსაფრთხო მანძილზე მაქსიმუმ 15-20 წამის განმავლობაში. ხშირ შემთხვევაში, უკეთესია იპოვოთ თავშესაფარი იქ, სადაც მიწისძვრის დროს იმყოფებით და დაუცადოთ რყევების დამთავრებას.

თან იქონიეთ საბუთები, ფული და პირველი საჭიროების საგნები. შენობიდან გასვლისას არ ისარგებლოთ ლიფტით - ეს საბიფათოა! ქუჩაში გასვლისას, ეცადეთ გაჩერდეთ შენობიდან უსაფრთხო მანძილზე. ვინაიდან შენობასთან ახლოს ნამსხვრევები ასევე დიდ საშიშროებას ქმნიან.

თუ ვერ მოახერხებ შენობის დატოვება და ამავე დროს არ აღმოჩნდით შენობაში წინასწარ განსაზღვრულ უსაფრთხო ადგილას, შეეცადეთ თავი შეაფაროთ მაგიდას, საწოლს ან სხვა მყარ ავეჯს, სადაც ეს შესაძლებელია. ის დაგიცავთ ნგრევის ან რყევის შედეგად ჩამოვარდნილი მძიმე საგნებისა და ნამსხვრევებისაგან. ნუ დადგებით ფანჯარასთან, შემინულ ავეჯთან, ტიხრებთან ახლოს, ასევე ჭადის ქვეშ. თუ თქვენთან არიან ბავშვები, ჩაიხუტეთ ისე, რომ გადაეფაროთ მათ. ნუ შეგვიმინდებთ, თუ კარები გაიჭედა ან კარ-ფანჯრის ჩარჩოები ძლიერ ჭრიალებს - ეს შენობის დეფორმაციის დროს მოსალოდნელია. სასწავლებლებში ბავშვები (მოსწავლეები, სტუდენტები) უნდა შეძვრენ მერხების (მაგიდების) ქვეშ და ხელებით დაიფარონ თავი.

დაუსმებელია მაღლივი შენობის ბოლო სართულების გარე კუთხის ოთახებში ყოფნა, კიბეებზე ჩასვლა და აივანზე ან ტერასაზე გასვლა, აგრეთვე ლიფტით სარგებლობა.

არ აანთოთ სანთელი, ასანთი, სანთებელა - აირის გაჟონვისას შესაძლებელია ხანძარი გაჩნდეს.

შენობის გარეთ თავი აარიდეთ შეკიდული აივნების, კარნიზებისა (ლავეგარდანი) და პარაპეტების მახლობლად ყოფნას, არ შეეხოთ გაწყვეტილ სადენებს.

თუ აღმოჩნდით ავტომობილში, წყნარად შეაჩერეთ მანქანა მაღლივი შენობებისაგან, ელექტროგადამცემი ხაზებისა და ხიდებისაგან მოშორებით, შეაღეთ კარები და არ გადმოხვიდეთ მანქანიდან ბიძგების დამთავრებამდე.

ხშირად, მიწისძვრის მთავარ ბიძგებს თან სდევს შემდგომი, შედარებით სუსტი განმეორებითი ბიძგები (აფტერშოკები), რომლებიც სხვადასხვა ინტერვალითა და ინტენსივობით შეიძლება გრძელდებოდეს რამდენიმე საათი, დღე, კვირა ან ზოგჯერ რამდენიმე თვეც კი. აფტერშოკმა შეიძლება გამოიწვიოს იმ ნაგებობათა ნგრევა, რომლებიც ძირითადი ბიძგის შედეგად დაზიანდა, არაა გამორიცხული დაუზიანებელ ნაგებობათა დაზიანებაც. ამიტომ, ბიძგების ჩაწყნარების შემდეგ დაუყოვნებლივ დატოვეთ შენობა. თან იქონიეთ დოკუმენტები, საოჯახო აფთიაქი, საჭირო ტანსაცმელი. დაკეტეთ კარი გასაღებით.

ნუ შეგემინდებთ, თუ გამოირთვება ელექტროენერგია, სასწრაფოდ გამორთეთ ტელევიზორი. იყავით მზად კედლების დაზიანების, ჭურჭლის წვრილის, ჩამოვარდნილი საგნებისაგან გამოცემული ხმაურისათვის.

თუ გადაადგილდებით მაღლივი შენობის გასწვრივ, სასწრაფოდ დადექით შესასვლელი კარის ღიობთან, რათა თავიდან აიცილოთ ჩამოვარდნილი საგნების დაცემა.

საზოგადოებრივ ტრანსპორტში ყოფნისას დარჩით ადგილზე და სთხოვეთ მძღოლს, არ გააღოს კარები ბიძგების დამთავრებამდე, შემდეგ პანიკის გარეშე დატოვეთ სალონი.

ქუჩაში ყოფნისას არ დადგეთ ხილზე, მის ქვეშ, შენობის ახლოს, საჭაერო ელექტროგადამცემი ხაზის ან ხის ქვეშ.

დაუშვებელია ავტომობილის გაჩერება შენობა-ნაგებობების, ხეების, ბოძებისა და ელექტროსადენების ახლოს, ხილზე, ესტაკადაზე, რომლებიც, ადვილი შესაძლებელია, მიწისძვრის შედეგად დაზიანების შემთხვევაში, ჩაინგრეს. ასევე, დაუშვებელია ავტომობილის გაჩერება, საერთოდ დგომა იმ ობიექტების ახლოს, სადაც ინახება მომწამლავი, ასაფეთქებელი ან ადვილად აალებადი ნივთიერებები.

იარეთ შუა გზაზე, შენობების, ბოძების, საჭაერო ელექტროგადამცემი ხაზებისაგან მოშორებით.

როგორ უნდა მოვიქცეთ მიწისძვრის შემდეგ

აღმოუჩინეთ პირველი სამედიცინო დახმარება დაზარალებულებს.

მონაწილეობა მიიღეთ ჩამონაკცევებიდან ადამიანების გამოყვანაში.

უზრუნველყავით ბავშვების, ავადმყოფებისა და მოხუცების უსაფრთხოება. ჩართეთ რადიომიმღები, მოისმინეთ ინფორმაციას მიწისძვრისა და მათი შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისა და მიმდინარეობის შესახებ.

შეასრულეთ ადგილობრივი ხელისუფლების, საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოების განკარგულებები.

შეამოწმეთ, არის თუ არა ხანძრის საშიშროება. თუ სადმე ალს შეამჩნევთ, სასწრაფოდ ჩააქრეთ იგი.

ფრთხილად იყავით კიბეზე ჩასვლისას, დარწმუნდით მის საიმედოობაში.

შეამოწმეთ, ხომ არ ჟონავს გაზი, გაჟონვის შემთხვევაში, სასწრაფოდ გადაკეტეთ გაზის მილსადენი. გაჟონვა შეამოწმეთ სუნით ან საპნის ქაფით, არავითარ შემთხვევაში არ გაბედოთ ასანთის ანთება, ღია ცეცხლის გამოყენება. წყალსადენის მილების დაზიანების შემთხვევაში გადაკეტეთ მილები და სასწრაფოდ შეატყობინეთ სათანადო სამსახურებს.

ნუ იჩქარებთ ქალაქის დათვალიერებას, ტყუილუბრალოდ ნუ ივლით ქუჩაში, ნუ დაათვალიერებთ დაზიანებულ უბნებს, სამაშველო სამსახურის ნებართვის გარეშე ნუ შეხვალთ გადარჩენილ თუ დაზიანებულ შენობა-ნაგებობებში, ნუ მიუახლოვდებით ძლიერ დაზიანებულ შენობებს, მით უმეტეს ნუ შეხვალთ შიგნით.

არ დალიოთ წყალი ონკანიდან და ჭიდან სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ნებართვის გარეშე. ნუ ისარგებლებთ საპირფარეშოთი, სანამ არ დარწმუნდებით მის საიმედოობაში.

გასუფთავეთ ქიმიკატებით ან ბენზინით გაჭუჭყიანებული ზედაპირები და ამის შესახებ გააფრთხილეთ სხვებიც, შესაბამისად გააკეთეთ სათანადო წარწერები.

ზუად იყავით განმეორებითი ძლიერი ბიძგებისათვის. ასეთი ბიძგები შეიძლება განმეორდეს რამდენიმე საათში, დღე-ღამეში, კვირაში ან თვეშიც კი. დროთა განმავლობაში ძლიერი მიწისძვრის შემდგომი ბიძგების, ე.წ. აფტერშოკების ძალა და სიხშირე თანდათანობით მცირდება. ყველაზე საშიშია მიწისძვრის შემდეგი პირველი საათები, ამიტომ მომდევნო 2-3 საათის განმავლობაში უკიდურესი საჭიროების გარეშე ნუ შეხვალთ შენობაში. განმეორებითი მიწისძვრა იშვიათ შემთხვევაში შეიძლება აღმოჩნდეს პირველზე ძლიერი. არ მოიგონოთ და არ გაავრცელოთ ხმები შესაძლო განმეორებითი ბიძგების შესახებ, ისარგებლეთ მხოლოდ ოფიციალური მონაცემებით.

თუ ელექტროქსელი დაზიანებულია, სასწრაფოდ გამოიღეთ პროდუქტები მაგივრიდან, გამოიყენეთ კონსერვები ან მშრალი პროდუქტები.

შეამოწმეთ, დაზიანებული ხომ არ არის ელექტროგაყვანილობა და ელექტრომოწყობილობები. შეეცადეთ, აღმოფხვრათ დაზიანება ან გამორთოთ ბინაში ელექტროდენი. თუ დაზიანებულია ღუმელი ან საკვამლე მილები, სანამ არ შეაკეთებთ, ნუ დაანთებთ ცეცხლს.

ფრთხილად გააღეთ კარდისა და საკუჭნაოს კარები, რათა უეცრად არ გადმოცვივდეს მძიმე საგნები.

ეცადეთ დაამშვიდოთ ბავშვები და თქვენ გვერდით მყოფნი, რომლებმაც მიწისძვრის შედეგად განიცადეს ფსიქოლოგიური ტრავმა, გაუქარწყლეთ შიში, ნუ გაავრცელებთ ჭორებს.

თქვენ ვალდებული ხართ დახმარება აღმოუჩინოთ პოლიციას, სახანძრო-სამაშველო და სამედიცინო სამსახურებს სამაშველო სამუშაოების ჩატარებაში.

თუ თქვენი სახლი დაინგრა, მიაშურეთ დაზარალებული მოსახლეობის შემკრებ (სარეგისტრაციო) პუნქტს პირველადი მოხმარების ნივთების, საკვები პროდუქტების, წყლის, დროებითი საცხოვრებლისა და სამედიცინო დახმარების მისაღებად.

როგორ უნდა მოვიქცეთ თუ მოვყვებით ნანგრევების ქვეშ

თუ ჩამონაქცევების ქვეშ აღმოჩნდით, მშვიდად შეაფასეთ ვითარება, შეძლებისდაგვარად აღმოუჩინეთ თქვენს თავს დახმარება. ეცადეთ, დაამყაროთ კავშირი ნანგრევებს მიღმა მყოფ ადამიანებთან (ხმით, კაკუნით). გახსოვდეთ, რომ არ შეიძლება ცეცხლის დანთება, შეგიძლიათ დალიოთ წყალი უნიტაზის ჩამრეცხი აზვიდან ან სუფთა წყლის გადარჩენილი რაიმე სხვა რეზერვუარიდან. წყლისა და გაზგაყვანილობის მილები გამოიყენეთ სიგნალის გადასაცემად, ხმითა და კაკუნით მიიპყარით ყურადღება, დაზოგეთ ძალები. გახსოვდეთ, ადამიანს საკვების გარეშე შეუძლია გაძლოს ორ კვირაზე მეტი.

იხსნთქეთ ღრმად, არ შეგეშინდეთ, არ დაეცეთ სულით. ყველანაირად უნდა ეცადოთ, რომ გადარჩეთ.

არ აანთოთ ასანთი, სანთებელა, გაუფრთხილდით ქანგბადს. დარწმუნებული იყავით, რომ აუცილებლად დაგეხმარებიან.

ეცადეთ ცხვირსახოცით ან ტანისამოსით პირისა და ცხვირის დაფარვას.

თუ ზედ გააწევთ ნანგრევები, უნდა შეეცადოთ ფრთხილად და ნელა მოიცილოთ ან უსაფრთხოდ გადაადგილოთ გვერდზე, რომ არ მიიღოთ ჭრილობები ბასრი საგნებით ან/და არ მოხდეს ხელახლა ნგრევა, ვინაიდან აღნიშნული ნანგრევები შეიძლება იყოს სხვა ნატეხების საყრდენი.

თუ არის შესაძლებლობა, თქვენ მაღლა გაამაგრეთ ჭერი ხელთარსებული მასალებით (აგური, ფიცარი და სხვა), რათა არ მოხდეს ჩამონგრევა.

თუ ნანგრევებში ხართ მომწყვდეული, ეცადეთ გადამხრუნდეთ მუცელზე, რომ შეიმსუშუქოთ დაწოლა გულმკერდსა და მუცლის ღრუზე, დაიზილოთ ხელ-ფეხი სისხლის მიმოქცევის აღსადგენად.

ძლიერი წყურვილის დროს პირში ჩაიდეთ ცხვირსახოცი, რაიმე ნაჭრის ნახვევი ან პატარა ქვა და წოვეთ.

თუ ხართ დაჭრილი ან თქვენს გვერდით არის დაჭრილი, პირველ რიგში, უნდა იზრუნოთ სისხლდენის შეჩერებაზე რაიმე ნაჭრის ან ქამრის შემოჭრით.

მოტეხილობისას საჭიროა დაზიანებული კიდურის ან სხეულის ნაწილის იმობილიზაცია - მჭიდროდ შეკვრა, რათა გატეხილი ადგილი დაფიქსირდეს.

არტაშნებად შესაძლებელია გამოიყენოთ მუყაოს, თხელი ფიცრის, ფანერის ნაჭრები.

3. ნამქერი და ქარბუქი

ნამქერი არის ძლიერ თოვასთან დაკავშირებული ჰიდრომეტეოროლოგიური სტიქიური მოვლენა. ის წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როდესაც ძლიერი ქარის დროს ძლიერ თოვს, რაც დიდხანს (ხშირად 12 საათზე მეტ ხანს) გრძელდება.

ქარბუქი არის ქარის მიერ თოვლის გადატანა ჰაერის მიწისპირა ფენაში. განარჩევენ მიწისპირა და ჩვეულებრივ ქარბუქს. მიწისპირა ქარბუქის დროს ხდება ადრეული თოვლის გადანაწილება-გადატანა, ჩვეულებრივი ქარბუქის დროს თოვლის გადატანა მიმდინარეობს თოვასთან ერთად.

ნამქერი და ქარბუქი საშიშროებას უქმნის მოსახლეობას, თოვლით იფარება გზები, დასახლებული პუნქტები და ცალკეული შენობები. ნამქერის სიმაღლე შეიძლება 1 მეტრს, ხოლო მთიან რაიონებში 5-6 მეტრს აღწევდეს. ქარბუქისა და ნამქერის დროს შესაძლოა გზებზე ხილვადობა 20-50 მეტრამდე შემცირდეს, ასევე გამოიწვიოს შენობების და სახურავების

ნაწილობრივი ნგრევა, ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის საპაერო ხაზების გაწყვეტა.

რა უნდა გავაკეთოთ ქარბუქისა და ნამქერის დროს

თუ მიიღეთ გაფრთხილება ძლიერი ქარბუქის შესახებ, მჭიდროდ დახურეთ ფანჯრები, კარები, სხენის სარკმლები და სავენტილაციო მილები. ფანჯრის მინებზე დააკარით ქალადის ლენტები, დახურეთ დარაბები, მოიშადათ წყლისა და საკვების ორდლიანი მარაგი. მოიმარაგეთ: მედიკამენტები, ავტონომიური განათების საშუალებები (ფარანი, ნათის ლამპა, სანთელი), სამზავრო ქურა, ბატარეებზე (ელემენტებზე) მომუშავე რადიომიმღები. აივნიდან და ფანჯრის რაფებიდან აალაგეთ ნივთები, რომლებიც ქარის ნაკადმა შეიძლება აიტაცოს.

ჩართეთ რადიომიმღები და ტელევიზორი ახალი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მისაღებად. იყავით მზად ელექტროენერჯის შესაძლო გათიშვისათვის. გადადით ნაკლებად მყარი ნაგებობიდან უფრო მყარ შენობაში, მოამზადეთ თოვლის ასაღები იარაღი.

როგორ ვიმოქმედოთ ძლიერი ქარბუქის დროს

შენობიდან გასვლა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება. საერთოდ, დაუშვებელია შენობიდან მარტო გასვლა. მოძრაობა ავტომობილით შეიძლება მხოლოდ ფართო გზებსა და გზატკეცილებზე. მანქანიდან გადმოსვლისას არ გასცდეთ მას ხილვადობის მანძილზე მეტად. თუ მანქანა გზაზე გაიჩერდა, პერიოდულად მიეცით განგაშის სიგნალი ავტომობილის წყვეტილი საყვირით, ასწიეთ კაპოტი და ჩამოკიდეთ მასზე კაშკაშა ფერის ქსოვილი, დახმარებას დაელოდეთ მანქანაში. ამასთანავე, ძრავა დატოვეთ ჩართული, მინა ოდნავ ჩაუშვით ვენტილაციისა და მხუთავი აირით მოწამვლის თავიდან აცილების მიზნით.

თუ დასახლებული პუნქტის გარეთ ფეხით გადაადგილებისას დაკარგეთ ორიენტაცია, თქვენი ადგილსამყოფელის დასაზუსტებლად შედით პირველსავე შემხედრ სახლში და იქ დაელოდეთ ქარბუქის დამთავრებას. ყურადღება და სიფრთხილე გამოიჩინეთ უცხო ადამიანებთან კონტაქტის დროს, ვინაიდან სტიქიური უბედურებების დროს მკვეთრად მატულობს კრიმინალური შემთხვევები და მაროდორობა.

როგორ ვიმოქმედოთ ძლიერი ქარბუქის შემდეგ

თუ ძლიერი ნამქერის დროს აღმოჩნდით თოვლით ბლოკირებულ შენობაში, ფრთხილად, პანიკის გარეშე გაარკვიეთ, არის თუ არა შენობიდან დამოუკიდებლად (იქ არსებული ხელსაწყოებისა და დამხმარე საშუალებების გამოყენებით) გამოსვლის შესაძლებლობა. შეატყობინეთ პოლიციას ან დასახლებული პუნქტის ადმინისტრაციას ნამქერის შესახებ. თუ დამოუკიდებლად ვერ ახერხებთ თოვლის ნამქერის გაწმენდას, ეცადეთ, დაუკავშირდეთ სამაშველო სამსახურს. ჩართეთ რადიომიმღები ან ტელევიზორი და შეასრულეთ ადგილობრივი ხელისუფლების მითითებები,

მიიღეთ ზომები სითბოს შესანარჩუნებლად და სურსათის მარაგის ეკონომიურად ხარჯვისათვის.

პირველი დახმარება სხეულის მოყინვის დროს

გაითბეთ სხეულის მოყინული ნაწილი და მშრალი რბილი ქსოვილით დაიზილეთ. შემდეგ თბილ წყალში მოათავსეთ და ტემპერატურა თანდათანობით 40-45 გრადუსამდე გაზარდეთ. თუ, ტკივილმა გაიარა და მგრძობელობა აღდგა, გაიმშრალეთ, ჩაიცვიეთ თბილად და შეძლებისდაგვარად შეეცადეთ მიმართოთ ექიმს.

4. გვალვა

გვალვა გარკვეულ ტერიტორიაზე ნალექების ხანგრძლივი ნაკლებობაა, ხშირ შემთხვევაში ჰაერის მაღალი ტემპერატურისა და დაბალი ტენიანობის პირობებში.

ძლიერი სიცხე ხასიათდება კონკრეტული ადგილისათვის დამახასიათებელი ჰაერის თვის საშუალო დადებითი ტემპერატურის რამდენიმე დღის განმავლობაში 10 და მეტი გრადუსით მომატებით.

გვალვისა და ძლიერი სიცხის დროს ადამიანის დასიცვის საშიშროებაა ანუ თერმორეგულაცია მკვეთრად ირღვევა და სხეულის ტემპერატურა 39 გრადუსამდე, ზოგიერთ შემთხვევაში კი, უფრო მეტსაც აღწევს. ამგვარი კრიტიკული მდგომარეობა იქმნება ხანგრძლივი და ძლიერი გადახურების შედეგად, რაც შეიძლება გამოიწვიოს მზის დაკვრამაც.

დასიცვის სიმპტომებია: კანის გაწითლება, ლორწოვანი გარსის სიმშრალე, ძლიერი წყურვილი, შესაძლოა გრძნობის დაკარგვაც, გულის და სუნთქვის გაჩერება.

როგორ მოვემზადოთ გვალვისათვის (ძლიერი სიცხისათვის)

მოიმარაგეთ დამატებით ჭურჭელი და საჭიროების შემთხვევაში წინასწარ გაავსეთ წყლით. მოამზადეთ სიცხის შესაფერისი ტანსაცმელი, საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოები (ვენტლატორი, კონდიციონერი). თუ სოფელში იმყოფებით, მოაწყვეთ ფარდულები, ტალავერები, ჭები, აგრეთვე დარაბები ფანჯრებზე. შეძლებისდაგვარად შეიძინეთ ელექტროენერჯის ავტონომიური წყარო საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოების გამოსაყენებლად. ეკონომიურად ხარჯეთ წყალი. უნდა იცოდეთ და ასწავლოთ თქვენი ოჯახის წევრებსაც, როგორ იმოქმედონ დასიცვისა და გადახურების დროს.

როგორ ვიმოქმედოთ გვალვის (ძლიერი სიცხის) დროს

მოერიდეთ მზის უშუალო და მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებას. ატარეთ ღია ფერის ჰაერგამტარი ფეხსაცმელი და ქუდი. გახსოვდეთ, რომ დამწვარი კანი არ გამოყოფს ოფლს და ვერ გრილდება.

იარეთ აუქტარებლად, ეცადეთ ხშირად ჩრდილში იყოთ. არ დალიოთ ლუდი და სხვა ალკოჰოლიანი სასმელები, ეს გამოიწვევს ორგანიზმის საერთო მდგომარეობის გაუარესებას. დასიცხვის დროს თავი დაუყონებლივ შეაფარეთ ჩრდილს, გრილ ადგილს, სადაც ნიაჲია ან მიიღეთ შხაპი. ნელ-ნელა დალიეთ ბევრი წყალი. ეცადეთ გაიგრილოთ ტანი. თუ მზის დაკვრის შედეგად ვინმემ გრძნობა დაკარგა, ჩაუტარეთ გულის მასაჲი და ხელოვნური სუნთქვა.

გახსოვდეთ, რომ გვალვის დროს მატულობს ხანძრის ალბათობა.

5. ზვავი

ზვავი არის თოვლის დიდი მასა, რომელიც მოგორავს ან მოსრიალებს მთების ციცაბო ფერდობებიდან სიმძიმის ძალის ზემოქმედებით 20-30 მ/წ და მეტი სიჩქარით. ზვავის ჩამოწოლის დროს წარმოიქმნება ჰაერის ტალღა, რომელიც წინ მოუძღვება თოვლის მასას და ხასიათდება დამანგრეველი მოქმედებით.

ზვავი წარმოიქმნება ხანგრძლივი თოვის, თოვლის დნობის, მიწისძვრის, ასევე აფეთქებისა და სხვა ანთროპოგენური საქმიანობის შედეგად, რომელიც იწვევს მთის ფერდობებისა და საჰაერო სივრცის რყევას. ჩამოწოლილმა ზვავმა შეიძლება გამოიწვიოს შენობების, საინჲინრო ნაგებობების ნგრევა, გზებისა და მთის ბილიკების შემკვრივებული თოვლით დაფარვა. ზვავის ჩამოწოლის დროს მაღალმთიანი რაიონების მაცხოვრებლებმა, ტურისტებმა, ალპინისტებმა, გეოლოგებმა, მესაზღვრეებმა შეიძლება მიიღონ ტრავმა და აღმოჩნდნენ თოვლის სქელი ფენის ქვეშ.

როგორ ვიმოქმედოთ ზვავსაშიშ ზონაში ყოფნისას

არ წახვიდეთ მთაში ავდარში და თოვის დროს.

მთაში ყოფნისას ყურადღება მიაქციეთ ამინდის ცვლილებას. მთაში წასვლისას უნდა იცოდეთ მგზავრობის ან გასეირნების რაიონში ზვავის შესაძლო ჩამოწოლის ადგილები. თავი აარიდეთ ამგვარ ადგილებზე გავლას. ზვავი უფრო ხშირია მთის იმ ფერდობებზე, რომელთა დახრილობა 30⁰-ს, ხოლო ტყითა და ბუჩქნარით დაუფარავ ფერდობებზე 20⁰-ს აღემატება. ზვავის ჩამოწოლა პრაქტიკულად ყოველი თოვის დროს იმ ფერდობებზე აღინიშნება, რომელთა დახრილობა 45⁰-ზე მეტია.

ზვავის თავიდან ასაცილებელი ღონისძიებები

ზვავის ჩამოწოლის საშიშროებისას ხორციელდება შემდეგი ზვავსაწინააღმდეგო საშუაოები: ზვავსაშიშ ადგილებში ტარდება თოვლის დაგროვების კონტროლი, ხელოვნურად ხდება ზვავის გამოწვევა, ეწყობა დამცავი ნაგებობები, მზადყოფნაში მოდის სამაშველო საშუალებები და

ორგანიზება უკეთდება სამაშველო სამუშაოების განხორციელების მზადყოფნის ღონისძიებებს.

ზვავსაშიშროების პერიოდში თავი აარიდეთ იმ ველ-დაბლობში გადაადგილებას, რომლის ზემოთ ფერდობების დახრილობა 30%-ზე მეტია, ხოლო თოვის შემდეგ იმ ველ-დაბლობებზე მოძრაობას, რომლის ზემოთ ფერდობების დახრილობა 20%-ის ფარგლებშია.

დაიმანხოვრეთ, რომ ზვავის ჩამოწოლის ყველაზე საშიში პერიოდი გაზაფხულისა და ზაფხულის ნათელი დღეა, მზის ამოსვლიდან – მზის ჩასვლამდე.

როგორ ვიმოქმედოთ ზვავის ჩამოწოლის დროს

ზვავის ჩამოწოლის დროს სასწრაფოდ დატოვებულ სახიფათო ადგილი სირბილით ან ჩქარი ნაბიჯით და გადადით უსაფრთხო ადგილას ან მოეფარეთ კლდის შვერილს (არ დადგეთ ნორჩი ხეების უკან). თუ ზვავს ვერ გაექცით, განთავისუფლდით ბარგისაგან, მიიღეთ ჰორიზონტალური მდგომარეობა, თავით ზვავის მოძრაობის მიმართულებით. ამავე დროს შეეცადეთ მჭიდროთ შეკრული ხელებით მიიკრათ მუხლები მუცელზე (მიიღოთ გუნდის ფორმა).

როგორ ვიმოქმედოთ ზვავში მოყოლისას

პირისა და ცხვირის დაცვის მიზნით, სახეზე აიფარეთ ხელთათმანები, შარფი, საყელო. ეცადეთ, ზვავის ზედაპირზე დარჩეთ, ხოლო ხელების ცურვისმაგვარი მოძრაობით ზვავის კიდისაკენ გადაადგილდეთ (ზვავის კიდეზე მისი მოძრაობის სიჩქარე მცირეა). როცა ზვავი გაჩერდება, შეეცადეთ სახისა და მკერდის ირგვლივ თავისუფალი სივრცე შექმნათ, რაც გაგიადვილებთ სუნთქვას. თუ საშუალება გექნებათ, იმოძრავეთ ზევით (საით არის მიწის ზედაპირი, რაიმე ნივთის ან ნერწყვის ვარდნის მიმართულების მეშვეობით გაარკვევთ). ზვავში მოყოლისას არ იყვიროთ – თოვლი მთლიანად ახშობს ხმას, გაუფრთხილდით ძალ-ღონეს, ჟანგბადსა და სითბოს. ეცადეთ, არ დაიძინოთ. გახსოვდეთ, რომ გემებენ. ცნობილია შემთხვევები, როდესაც ზვავში მოყოლილი ადამიანები ხშირად რამდენიმე დღის, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ორი კვირის შემდეგაც კი გადაურჩნიათ.

როგორ ვიმოქმედოთ ზვავის ჩამოწოლის შემდეგ

თუ ზვავის ჩამოწოლის ზონის გარეთ აღმოჩნდით, შეატყობინეთ ნებისმიერი საშუალებით მომხდარი უბედურების შესახებ უახლოესი დასახლებული პუნქტის ადმინისტრაციას და შეუდექით დაზარალებულების ძებნასა და გადარჩენას.

დამოუკიდებლად ან მაშველების დახმარებით თოვლიდან გამოსვლისას ყურადღებით შეათვალიერეთ თქვენი სხეული და საჭიროების შემთხვევაში მოახდინეთ თვითდახმარება. მიმართეთ ადგილობრივ სამედიცინო პუნქტს ან ექიმს იმ შემთხვევაშიც, თუ თვლით, რომ არ

დაზიანებულხართ, შემდეგ კი იმოქმედეთ ექიმის ან სამაშველო რაზმის ხელმძღვანელის მითითებების შესაბამისად.

შეატყობინეთ თქვენს ნათესავებს და ახლობლებს თქვენი მდგომარეობისა და ადგილსამყოფელის შესახებ.

6. ლიპცინული

ლიპცინული არის მკვრივი ცინულის ფენა, რომელიც წარმოიქმნება დედამიწის ზედაპირზე, ტროტუარზე, გზის სავალ ნაწილსა და საგნებზე (ხეებზე, სადენებზე და ა.შ.) წვიმის წვეთებისა და ნისლის გაყინვის შედეგად.

დედამიწის ზედაპირზე ცინულის თხელი ფენა შეიძლება წარმოიქმნას დათბობის ან წვიმის შემდეგ აცივების, აგრეთვე სველი თოვლისა და წვიმის წვეთების გაყინვის შედეგად.

როგორ მოვემზადოთ ლიპცინულის დროს

თუ ამინდის პროგნოზის მიხედვით მოსალოდნელია ლიპცინული, უნდა მიიღოთ ზომები ტრავმების აღბათობის შესამცირებლად - ჩაიცვით ნაკლებად სრიალა ფეხსაცმელი, დაამაგრეთ ქუსლებზე ლითონის ქუსლსაკრავები, ფეხსაცმლის შშრალ ძირებზე დააკარით ლეიკოპლასტიკი ან საიზოლაციო ლენტა. შეგიძლიათ აგრეთვე ძირები დაამუშავოთ ზუმფარის ქაღალდით.

როგორ ვიმოქმედოთ ლიპცინულიანობის დროს

იარეთ ფრთხილად, აუჩქარებლად, მიწაზე დადგით მთელი ტერფი, ამასთანავე ფეხები ოდნავ მოდუნებული, ხელები კი თავისუფალი იქონიეთ. ხანდაზმული ადამიანებისათვის რეკომენდებულია რეზინისბუნკიანი ჯოხით ან სპეციალური წვეტიანი ჯოხით სიარული. თუ ფეხი დაგიცურდათ, ჩაიმუხლეთ, რათა შეამციროთ ვარდნის სიმაღლე. ეცადეთ, გადაადგილდეთ ჯგუფ-ჯგუფად, რათა შეძლოთ დაცემისას მიწაზე დარტყმის შერბილება. დაუშვებელია ჯიბეებში ხელეზაწყობილი მოძრაობა, რადგან ფეხის დაცურებისა და წაქცევის შემთხვევაში ხელების რეფლექსური მოძრაობება შეუძლებელი იქნება.

ლიპცინულს ხშირად თან სდევს მოყინვა. ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ელექტროგადამცემ ხაზებსა და ელექტროტრანსპორტის სადენებს, ვინაიდან არსებობს მათი გაწყვეტის საშიშროება. თუ შეამჩნევთ გაწყვეტილ სადენებს, შეატყობინეთ ამის შესახებ დასახლებული პუნქტის ადმინისტრაციას. დაუშვებელია იმ შენობების, საწვიმარ მილების, ხეების, ბოძებისა და საჰაერო სადენების ქვეშ დგომა ან გადაადგილება, რომლებზეც ცინულის ლოლუები ან გაყინული თოვლის სქელი საფარია. მოლიპულ გზებზე ავტომობილით გადაადგილებისას

მძღოლებმა აუცილებელია ავტომობილები აღჭურვონ მოცურების საწინააღმდეგო საშუალებებით, ამასთან იარონ შედარებით. ნელა და მაქსიმალური ყურადღებით.

ტრავმის მიღების შემთხვევაში მიმართეთ ტრავმატოლოგიური ან გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პუნქტს.

7. ელვა

ელვა არის წყლის წვეთების დრუმელთა გროვაში ელექტროსტატიკური ნაპერწკლის განმუხტვა, რომელსაც თან სდევს თვალისმომკრელი გაელვება და ქუხილი. ელვის ერთ-ერთ საგანგებო ფორმაა მეხი.

ელვის განმუხტვას მოსდევს დენის დიდი ძალა, ხოლო მისი ტემპერატურა 300 000^o-ს აღწევს. ხეზე ელვის მოხვედრა იწვევს მის გაპობას და აალებასაც კი. ხის გაპობის მიზეზია შიდა აფეთქების შედეგად მერქნის შიგა ტენის მყისიერი აორთქლება. ელვის პირდაპირი ზემოქმედება ადამიანებზე მათი მძიმე დაზიანებისა და დაღუპვის მიზეზი ხდება (ყოველწლიურად მსოფლიოში ელვისაგან დაახლოებით 300-მდე ადამიანი იღუპება).

ელექტროსტატიკური განმუხტვა, ჩვეულებრივ, უმცირესი ელექტრული წინაღობის გზაზე ხდება. ვინაიდან სივრცეში ყველაზე მაღალ საგანსა და დრუმელთა გროვას შორის მანძილი უმოკლესია, ამდენად მათ შორის ელექტრული წინაღობაც ნაკლებია. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ელვა პირველ რიგში მაღალ ობიექტებს (ანძაპს, ხეს და ა.შ.) აზიანებს.

ელვის დარტყმამ (მეხის დაცემამ) შეიძლება გამოიწვიოს ნგრევა, ლითონის გადნობა, ხანძარი, ადამიანის მსხვერპლი. შენობა-ნაგებობების ელვისაგან დასაცავად იყენებენ მეხამრიდებს, რომელთაც ანემბსა და ნაგებობების მაღლა გაჭიმული, დამიწებული ლითონის ელემენტებისა და სადენების სახე აქვს.

როგორ ვიმოქმედოთ ელჭექის დროს

ელვა საშიშია მაშინ, როდესაც თან სდევს ქუხილი. ამ შემთხვევაში სასწრაფოდ უნდა მიიღოთ წინასწარი ზომები.

ქალაქარეთ გასვლის წინ დააზუსტეთ ამინდის პროგნოზი. თუ მოსალოდნელია ელჭექი, გადადეთ ქალაქარეთ გასეირნება მეორე დღისათვის.

თუ შეამჩნიეთ ელჭექის ფრონტი, პირველ რიგში განსაზღვრეთ, რა მანძილით ხართ მისგან დაშორებული. მანძილის დადგენა გაელვების შემდეგ პირველი ქუხილის დაყოვნების ხანგრძლივობის მიხედვით ხდება. აგრეთვე შეიძლება განისაზღვროს, ის გვიახლოვდება თუ გვშორდება.

ვინაიდან ელვის (სინათლის) გავრცელების სიჩქარე (300 000 კმ/წ) გაცილებით დიდია, ვიდრე ქუხილის (ზგერის) სიჩქარე (340 მ/წ), ამიტომ ელვას მაშინვე ვხედავთ, ქუხილი კი გარკვეული დროის შემდეგ გვესმის. მაშასადამე, ხმის დაყოვნება ძირითადად ჩვენსა და ელქეის ფრონტამდე მანძილით განისაზღვრება.

მაგალითი: თუ გაეღვიბიდან ქუხილამდე 5 წამი გავიდა, მანძილი ელქეის ფრონტამდე უდრის $340 \text{ მ/წ} \times 5 \text{ წ} = 1700 \text{ მ}$.

თუ სოფელში იმყოფებით, დახურეთ ფანჯრები, კარები, კვამლსადენები და სავენტილაციო მილები. არ დაანთოთ ღუმელი, ვინაიდან მისი მილიდან გამოშვებული მაღალი ტემპერატურის აირებს დაბალი წინაღობა აქვს. არ ილაპარაკოთ ტელეფონით - ელვა შეიძლება ბომბებს შორის გაჭიმულ სადენებს მოხვდეს.

ელვის დროს არ მიხვიდეთ ელექტროგაყვანილობასთან, მებამრიდთან, სახურავიდან წყალგადამყვან მილებთან, ანტენასთან ახლოს, არ დადგეთ ფანჯარასთან, გამორთეთ ტელევიზორი, რადიო და სხვა საყოფაცხოვრებო ელექტრონული ხელსაწყოები.

თუ ტყეში ხართ, თავი შეაფარეთ ტყის დაბალბუჩქოვან უბანს, არ დადგეთ მაღალი ხეების, განსაკუთრებით ფიჭვის, მუხისა და ალვის მახლობლად.

თუ ტბაზე ან მის ნაპირზე იმყოფებით, მოსცილდით ნაპირს, ეცადეთ ჩახვიდეთ მაღლობიდან დაბლობში.

მინდორში (ველზე) ყოფნის დროს ჩადით ხევეში, დაბლობში ან სხვა ბუნებრივად ჩაღრმავებულ ადგილში. არ დაწვეთ მიწაზე, ჩაიცუცქეთ ტერფებზე დაყრდნობით, რათა მაქსიმალურად შემცირდეს თქვენი სიმაღლე და სხეულის მიწასთან შეხების ზედაპირი.

თუ ელქეიში მოყვით, დაუყონებლივ თქვენგან 20-30 მ-ის მოშორებით გადადეთ ლითონის საგნები (მოტოციკლეტი, ველოსიპედი და ლითონის სამუშაო, სავარჯიშო ან სხვა სახის იარაღი).

თუ ელქეის დროს ავტომობილში იმყოფებით, არ გადმოხვიდეთ მანქანიდან, დახურეთ ფანჯრები და ჩაწიეთ რადიომიმღების ანტენა.

ნებისმიერ შემთხვევაში დაუშვებელია მობილური ტელეფონის გამოყენება, უფრო მეტიც, ის აუცილებლად გამორთეთ.

8. წყალდიდობა

წყალდიდობა არის თოვლის დნობის, კოკისპირული წვიმების, ქარისმიერი წყლის მოდენისა ან მდინარეების ჩახერგვის დროს მდინარეების, ტბების ან ზღვის წყლის დონის აწევის შედეგად ტერიტორიის მნიშვნელოვანი დატბორვა. წყალდიდობის მიზეზი შეიძლება იყოს ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ავარია და ზღვის რყევა, რომელნიც ტერიტორიების დატბორვასთან ერთად, იწვევენ მასშტაბურ ნგრევებს წამლევი ტალღის მოვარდნის შედეგად.

წყალდიდობა იწვევს ხიდების, შენობა-ნაგებობების ნგრევას, დიდ ზიანს აყენებს ქვეყნის მეურნეობას, ხოლო ადიდებული წყლის დიდი სიჩქარისა და (4 მ/წ-ზე მეტი) და წყლის მაღალი დონის (2 მ-ზე მეტი) დროს ადამიანებისა და ცხოველების მასობრივ დაღუპვას. წყალდიდობის დროს ნგრევის ძირითადი მიზეზია შენობა-ნაგებობებზე წყლის მასის, დიდი სიჩქარით მოძრავი ყინულის, სხვადასხვა ნამსხვრევების, მცურავი საშუალებების, ასევე უშუალოდ ჰიდრავლიკური დარტყმების ზემოქმედება. წყალდიდობა შეიძლება უცერად დაიწყოს და რამდენიმე საათიდან 2-3 კვირამდე გაგრძელდეს.

როგორ მოვემზადოთ წყალდიდობისათვის

თუ თქვენი რაიონი წყალდიდობისაგან ხშირად ზარალდება, შეისწავლეთ და დაიმახსოვრეთ დატბორვის შესაძლო საზღვრები, აგრეთვე თქვენს საცხოვრებელ ადგილთან უშუალო სიახლოვეს მდებარე ამაღლებული ადგილები, რომლებიც იშვიათად იტბორება და მათთან მისასვლელი უმოკლესი გზები. გააცანით ოჯახის წევრებს ევაკუაციის, აგრეთვე უცერად მოვარდნილი და სწრაფად მიმდინარე წყალდიდობის შემთხვევაში ქვევის წესები. დაიმახსოვრეთ ნაგების, ტივებისა და მათი დამზადებისათვის საჭირო მასალების შენახვის ადგილები. წინასწარ შეადგინეთ ევაკუაციის დროს თან წასაღები საჭირო საბუთების, ნივთებისა და მედიკამენტების ჩამონათვალი. ჩააწყვეთ სპეციალურ ჩემოდანში ან ზურგჩანთაში საჭირო თბილი ტანსაცმელი, პროდუქტების, წყლისა და მედიკამენტების მარაგი.

იმ პირებმა, რომელებიც შესაძლებელია აღმოჩნდნენ დატბორვის ზონაში კაშხლის ქვედა ბიეფში, აუცილებელია წინასწარ დაადგინონ კაშხლის გარღვევის შემთხვევაში, დადგენილი განგაშის სიგნალი, უსაფრთხო ზონა და მისკენ გადაადგილების უსაფრთხო მარშრუტები.

როგორ მოვიქცეთ წყალდიდობის დროს

წყალდიდობის საშიშროებისა და ევაკუაციის შესახებ შეტყობინების სიგნალის მიღებისთანავე, დადგენილი წესით დაუყონებლივ დატოვეთ შესაძლო კატასტროფული დატბორვის ზონა და გადადით უსაფრთხო რაიონში ან ამაღლებულ ადგილზე, თან წაიღეთ საბუთები, ძვირფასეულობა,

საჭირო ნივთები და კვების პროდუქტების ორი დღის მარაგი. გაიარეთ რეგისტრაცია საევაკუაციო პუნქტში. ევაკუაციას ექვემდებარება შინაური ცხოველებიც.

სახლიდან გასვლისას გამორთეთ დენი და გაზი, ჩააქრეთ ცეცხლი ღუმელში, შენობის გარეთ მდებარე ყველა მცურავი საგანი დაამაგრეთ ან მოათავსეთ დამხმარე სათავსებში. თუ დრო საშუალებას იძლევა, ძვირფასი საოჯახო ნივთები გადაიტანეთ სახლის ზედა სართულში ან სხვენზე. დახურეთ კარ-ფანჯრები, საჭიროებისა და დროის არსებობის შემთხვევაში, პირველი სართულის ფანჯრები და კარები გარედან აქედეთ ფიცრებით.

კატასტროფული დატბორვის მოულოდნელი განვითარების დროს გარდევის ტალღის დარტყმისაგან თავდასაცავად საჭიროა სწრაფად დაიკავოთ ამალგებული ადგილი, ადით მსხვილ ხეზე, მყარ ნაგებობათა ზედა იარუსებზე, თუ იმყოფებით წყალში, არ დაიბნეთ და არ შეშინდეთ ტალღის მოახლოებისას, ჩაყვინთეთ მის ფუმესთან ღრმად წყალში. გარკვეული დროის შემდეგ კი (წყალქვეშა ცურვით) ამოყვინთეთ წყლის ზედაპირზე.

წყალში მოხვედრისას ცურვით ან მოცურავე საშუალებების გამოყენებით გამოდით მშრალ ადგილზე, უკეთესია გზის მიწაყრილზე ან დამბაზე, ეს დაუტბორავ ტერიტორიამდე ადვილად მიღწევის საშუალებას მოგცემთ.

დაუშვებელია წყლის ნაკადში სიარული, რადგან ნაკადმა შეიძლება წააქციოს ადამიანი, განსაკუთრებით თუ სწრაფია, თანაც ხასიათდება მყარი ჩამონატანით. აუცილებლობის შემთხვევაში, წყალში გადაადგილებისას რეკომენდებულია მდოვრე წყალში სიარული. ამასთან, წყლის სიღრმისა და ნიადაგის სიმყარის შესამოწმებლად ჯოხის გამოყენება.

დაუშვებელია დატბორილ რაიონებში ავტომობილით გადაადგილება. ამასთან, თუ ავტომობილის გარშემო წყლის დონე მატულობს, აუცილებელია სასწრაფოდ მანქანიდან გადმოსვლა და უსაფრთხო, უფრო შემადლებულ ადგილას გადასვლა, ხოლო, თუ ეს შუძლებელია, საჭიროა მანქანის სახურავზე ასვლა.

ადამიანთა თვითევაკუაცია ფეხით ან ხელმისაწვდომი საცურაო საშუალებებით დასაშვებია შემდეგ შემთხვევებში: პირდაპირ ჩანს დაუტბორავი ტერიტორია, დაგიმთავრდათ კვების პროდუქტები, გარედან დახმარების მიღება უპერსპექტივო ხდება ან გესაჭიროებთ გადაუდებელი სამედიცინო დახმარება.

წყალდიდობის დროს შეეცადეთ, იყოთ მშვიდად და არ აჰყვეთ პანიკას. წესრიგში მოიყვანეთ სანაოსნო საშუალებები, ხოლო მათი უქონლობის შემთხვევაში, ადგილზე არსებული მასალებისაგან (ფიცარი, მორი, ავტოსაბურავი, კასრი და სხვ.) შეეცადეთ მარტივი მცურავი საშუალების დამზადებას.

თუ, აღმოჩნდით წყალში, ეცადეთ თავიდან მოიცილოთ მძიმე ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, გაცურეთ დაუტბორავი ადგილისაკენ. დასაშვებია მოტივტივე საგნის მოძიება და მასზე ჩაჭიდება, ხოლო შემდეგ ცურვით ან ამ მოტივტივე საშუალებების გამოყენებით მშრალი ადგილისაკენ გადაადგილება. ამ შემთხვევაში ფრთხილად უნდა იყოთ წყლის ზედაპირზე მოცურავე საგნების მიმართ, რათა თავიდან აიცილოთ შესაძლო ტრამვა.

თუ არ ტარდება ორგანიზებული ევაკუაცია, მაშველების მოსვლამდე ან წყლის დონის დაწევამდე ადით შენობის ზედა სართულებზე, სახურავზე, ხეზე ან სხვა ამალეებულ საგნებზე. ამავე დროს, განუწყვეტლივ გადაეცით სიგნალი უბედურების შესახებ: დღისით – ჯოხზე დამაგრებული ქსოვილის ნაჭრის გამოფენით ან მისი ქნევით, ხოლო სიბნელეში – შუქსიგნალით და პერიოდული შეხმინებით. მაშველების მოახლოებისას წყნარად, პანიკის გარეშე, ფრთხილად გადადით საცურაო საშუალებაში. ამასთანავე განუხრელად შეასრულეთ მაშველების მოთხოვნები, არ დაუშვათ საცურაო საშუალების გადატვირთვა. მგზავრობის დროს არ დატოვოთ თქვენი ადგილი, არ ჩამოჯდეთ გარე ზღუდარზე, ზუსტად შეასრულეთ ეკიპაჟის უფროსის მითითებები.

როგორ მოვიქცეთ, თუ ადამიანი იხრჩობა

წყალში მყოფ ადამიანს, რომელიც იხრჩობა, გადაუგდეთ მოტივტივე საგანი, გაამხნევით და დაუმახეთ მაშველებს. დაზარალებულამდე ცურვით მიახლოებისას გაითვალისწინეთ მდინარის დინება. თუ ის ვერ აკონტროლებს თავის მოქმედებებს, მიუახლოვდით, ხელი ჩაავლეთ ისე, რომ მაქსიმალურად გამოირიცხოს მისი მხრიდან სხიფათო ზემოქმედება თქვენზე და ნაპირისკენ გაცურეთ.

როგორ ვიმოქმედოთ წყალდიდობის შემდეგ

შენობაში შესვლამდე შეამოწმეთ, არსებობს თუ არა მისი ჩამოქცევის ან რაიმე საგნის დაცემის საშიშროება. გაანიავეთ შენობა, არ ჩართოთ ელექტროგანათება, არ ისარგებლოთ ელექტროხელსაწყოებით, სანამ არ დარწმუნდებით, რომ ისინი კარგად გამოშრა, წყალში დგომის შემთხვევაში, სასტიკად აკრძალულია დენის ან ელმოწყობილობებისა და ხელსაწყოების ჩართვა. არ ისარგებლოთ ღია ცეცხლის წყაროებით, არ აანთოთ ასანთი შენობის სრულ განიავებამდე და გაზომარავების სისტემის გამართულობის შემოწმებამდე. შეამოწმეთ, დაზიანებულია თუ არა წყალსადენი, კანალიზაცია და არ ისარგებლოთ მანამ, სანამ არ დარწმუნდებით მათ გამართულობაში. არ მიიღოთ ის საკვები პროდუქტი, რომელიც წყალთან შეიძლება ყოფილიყო კონტაქტში, არ დალიოთ აუდუღარი წყალი წყლის ადგილობრივი წყაროებიდან.

აუცილებელია გასუფთავდეს და დეზინფექცია გაუკეთდეს ყველა დასველებულ ნივთსა და საგანს, რადგან წყალდიდობის შემდეგ დარჩენილი

ტალახი და წყალი შეიძლება ჩამდინარე ფეკალური წყლებითა და შხამქიმიკატებით იყოს დაბინძურებული. დაუშვებელია წყალდიდობის წყლების გამოყენება, რადგან ის შეიძლება იყოს დაბინძურებული ნაგვით, სავეტომობილო ზეთით, ბენზინითა და კანალიზაციის წყლით.

9. ღვარცოფი

ღვარცოფი არის წყლის და დიდი ოდენობით მთის ქანების ნაშალის (ნამსხვრევების), თიხოვანი ნაწილაკების, დიდი ქვებისა და ლოდების ნარევის დროებითი ქვატალახოვანი ნაკადი, რომელიც უეცრად წარმოიშობა მთის მდინარეების კალაპოტებსა და ველ-მინდვრებში.

ღვარცოფული ნაკადები აღინიშნება ხანგრძლივი და უხვი წვიმების, თოვლის ან მყინვარის ინტენსიური დნობის, წყალსატევების გარღვევის, მიწისძვრისა და ვულკანის ამოფრქვევის შედეგად. ის უეცრად წარმოიშობა და მოძრაობს დიდი სიჩქარით (10 მ/წ და მეტი). ღვარცოფი ხშირად ტალღების ფორმირებით მიმდინარეობს და შეიძლება გაგრძელდეს ათიოდე წუთიდან რამდენიმე საათის განმავლობაში. ღვარცოფული ტალღის სიმაღლემ შეიძლება 15 მეტრსაც მიაღწიოს. მოვარდნილი ღვარცოფის გრგვინვა და გრუხუნი დიდ მანძილზე ისმის. ღვარცოფს დიდი უბედურება მოაქვს: – ილუპებიან ადამიანები (ტურისტები, გეოლოგები, მესაზღვრეები, ადგილობრივი მცხოვრებლები), ინგრევა საცხოვრებელი სახლები, საინჟინრო და საგზაო ნაგებობები.

თითოეულმა ადამიანმა, რომელიც ცხოვრობს ღვარცოფსაშიშ რაიონში, უნდა განსაზღვროს, ხომ არ მდებარებს მისი სახლი ღვარცოფის შესაძლო მოქმედების ზონაში. ასეთ ზონებში, როგორც წესი, უარი უნდა თქვათ სახლის აშენებაზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სახლი უკვე აშენებული გაქვთ, საჭიროა მიიღოთ ზომები სახლის ფუნდამენტისა და კედლების გასამაგრებლად, მიწაყრილების, შემოვლითი სანიაღვრე არხების ასაგებად, ფერდობების ნარგავებით ან საყრდენი კედლებით გასამაგრებლად, საკომუნიკაციო ხაზების დამატებითი დაცვითი ღონისძიებების გასატარებლად.

როგორ მოვემზადოთ ღვარცოფისათვის

ჩვეულებრივ, ცნობილია ის ადგილები, სადაც შესაძლებელია ღვარცოფის მოვარდნა. მთაში გამგზავრებამდე გაიგეთ, არის თუ არა თქვენი მოძრაობის მარშრუტზე ასეთი ადგილები და თავი აარიდეთ მათ, განსაკუთრებით უხვი წვიმების შემდეგ. ყოველთვის გახსოვდეთ, რომ ღვარცოფში მოყოლილი ადამიანის გადარჩენა თითქმის შეუძლებელია. ღვარცოფისაგან თავის დაცვა მხოლოდ მისგან თავის არიდებით შეიძლება.

წინასწარი ევაკუაციის დროს ბინის დატოვებამდე გამორთეთ ელექტროდენი, გაზი და წყალი. მჭიდროდ დახურეთ კარ-ფანჯრები და სავენტილაციო მილები.

წინასწარი ღონისძიებები ღვარცოფის თავიდან ასაცილებლად

ღვარცოფსაშიშ რაიონებში იგება ღვარცოფის საწინააღმდეგო ჯებირები, კაშხლები და ღვარცოფისაგან დამცავი სახედასხვა ტიპის საინჟინრო ნაგებობები, კეთდება შემოვლითი არხები, რეგულირდება და მცირდება მთის ტბების წყლის დონე, ხეების დარგვის გზით ხდება ფერდობებზე მიწის გამაგრება, ტარდება დაკვირვება, იქმნება შეტყობინების სისტემა და იგეგმება ევაკუაცია.

როგორ ვიმოქმედოთ ღვარცოფის დროს

მოახლოებული ღვარცოფული ნაკადის შესახებ გაფრთხილების ან სიგნალის მიღების (სირენით, რადიოთი, ტელეფონით ან რაიმე სხვა წინასწარ დადგენილი საშუალებებით) ან თავისებური გრგვინვის ხმის, აქაფებული წყლის, ქვის ნამსხვრევების ჭახუნის, რომელიც წააგავს დიდი სისწრაფით მოახლოებული მატარებლის გრუხუნს, გაგონების შემთხვევაში აუცილებელია დაუყოვნებლივ ახვიდეთ ველ-დაბლობიდან (წყლის ჩასადინარიდან) 50-100 მეტრით მაღლა. ამავე დროს უნდა გახსოვდეთ, რომ არ არის გამორიცხული, მძვინვარე ნაკადიდან ამოიტყორცნოს მძიმე ქვები, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანების სიცოცხლეს. ეცადეთ, სასწრაფოდ მოახდინოთ ევაკუირება უსაფრთხო ადგილზე წინასწარ განსაზღვრული საევაკუაციო სქემის შესაბამისად.

როგორ ვიმოქმედოთ ღვარცოფის შემდეგ

აღმოუჩინეთ დახმარება დაზარალებულებს, რომლებიც ახორციელებენ ჩამონაქცევებისა და ხერგილების გაწმენდას ღვარცოფის მოძრაობის გზაზე და ღვარცოფული მასის გამოტანის ადგილებში.

10. ზღვის რყევა (ცუნამი) და ჰიდროდინამიკური ავარიის შედეგად წარმოშობილი წამლეკი ტალღა

ზღვის რყევა არის საშიში ბუნებრივი მოვლენა. ის ზღვის ტალღებისაგან წარმოიშობა ძირითადად სანაპირო რაიონში, მიწისძვრის დროს ზღვის ფსკერის კონკრეტული უბნის ძვრის შედეგად. ზღვის რყევა, რომელსაც წყნარ ოკეანეში ცუნამს უწოდებენ, შეიძლება დიდი სიჩქარით (100 კმ/სთ-მდე) ათასობით კილომეტრზე გავრცელდეს. მისი ტალღის სიმაღლე 1 მეტრიდან 5 მეტრამდე მერყეობს, ხოლო წყალმეჩხერ ადგილებში, ნაპირთან მკვეთრად მატულობს და 10-დან 50 მ-ს აღწევს. ნაპირზე მოვარდნილი წყლის ეს უზარმაზარი მასა იწვევს წყალდიდობას,

შენობა-ნაგებობების, ელექტროგადაცემისა და კავშირგაბმულობის ხაზების, გზების, ხიდების, ნავმისადგომების ნგრევას, აგრეთვე ადამიანებისა და ცხოველების დაღუპვას. წყლის ტალღას წინ უსწრებს ჰაერის დარტყმითი ტალღა, რომელიც აფეთქების ტალღის ანალოგიურად მოქმედებს და ანგრევს შენობა-ნაგებობებს. ცუნამი შედგება რამდენიმე ტალღისაგან. ძალიან ხშირად ეს არის ტალღების სერია, რომელიც ენარცხება ნაპირს ერთი ან ერთზე მეტი საათის ინტერვალით.

ზღვის რყევის ანალოგიურ ეფექტს იწვევს ჰიდროდინამიკური ავარიის შემთხვევაში წარმოშობილი წამლეკი (მომვარდნი) ტალღის ზემოქმედებაც. აქედან გამომდინარე, მოსახლეობის მოქმედებისა და ქვევის წესები ორივე შემთხვევაში იდენტურია.

ჰიდროდინამიკური ავარია ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციაა, რომელიც დაკავშირებულია ჰიდროტექნიკური ნაგებობის (კაშხალის, წყალმღობი და წყალშემკრები რაბების) ნგრევასა და წყლის დიდი ნაკადის უმართავ გადაადგილებასთან, რასაც თან სდევს ნგრევა და დიდი ტერიტორიის დატბორვა.

ჰიდროტექნიკური ავარია შეიძლება განვითარდეს სტიქიური მოვლენების შედეგად (მიწისძვრა, ქარიშხალი, კაშხლის წაღვევა, მეწყერი და სხვ.) ან ადამიანის ზემოქმედებით (ბირთვული იარაღის ან მოცულობითი ბომბით დარტყმის მიყენება, დივერსიული აფეთქება), აგრეთვე კონსტრუქციული დეფექტებისა ან დაპროექტებაში დაშვებული შეცდომების გამო.

ზღვის რყევის ნიშნები

ზღვის შესაძლო რყევის შესახებ გამაფრთხილებელი ბუნებრივი სიგნალია მიწისძვრა. როგორც წესი, ზღვის რყევის დაწყებამდე წყალი ნაპირიდან უკან, ზღვის სიღრმეში საკმაო მანძილზე იხევს, ასობით მეტრისა და რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ზღვის ფსკერი შიშვლდება. ზღვის ამგვარი უკუქცევა შეიძლება რამდენიმე წუთიდან ნახევარ საათამდეც გაგრძელდეს.

ტალღების მოძრაობას შეიძლება თან სდევდეს მქუხარე გრუხუნე, რომელიც ისმის ტალღის გამოჩენამდე. ზოგჯერ ცუნამის დაწყებამდე შეიძლება მოხდეს სანაპიროს წყლით მცირედი დატბორვა. მოახლოებული სტიქიური უბედურების მომასწავებელი ნიშანია ცხოველების განსხვავებული ქცევაც - ისინი წინასწარ გრძობენ საშიშროებას და ცდილობენ გადავიდნენ ამაღლებულ ადგილზე.

როგორ მოვემზადოთ ზღვის რყევის შემთხვევისათვის

ყურადღებით უსმინეთ შეტყობინებას ზღვის რყევის პროგნოზის შესახებ, დაიმახსოვრეთ მისი წინმსწრები ნიშნები, გააცანით ოჯახის წევრებს თქვენი რეგიონისათვის დადგენილი ზღვის რყევის საშიშროების შესახებ შეტყობინების სიგნალები. წინასწარ მოიფიქრეთ ზღვის რყევის დროს

თქვენი მოქმედების გეგმა. ეცადეთ, ოჯახის წევრებმა, თანამშრომლებმა და მეგობრებმა იცოდნენ, რა უნდა გააკეთონ ზღვის რყევის დროს. დაადგინეთ, მდებარეობს თუ არა თქვენი საცხოვრებელი სახლი ან სამუშაო ადგილი ზღვის რყევის შედეგების შესაძლო ზეგავლენის რაიონში.

გახსოვდეთ, რომ ყველაზე საშიში ადგილებია მდინარეთა შესართავი, ზღვის ვიწრო უბნები, სრუტეები. აუცილებელია, იცოდეთ განსაკუთრებით საშიში ზონების საზღვრები და უსაფრთხო ადგილზე მისასვლელი გზები. მზად იქონიეთ ევაკუაციის დროს თან წასაღები საბუთები, საჭირო ნივთები და მედიკამენტები. საჭირო ნივთები და მედიკამენტები მიზანშეწონილია ჩააწყოს სპეციალურ ჩემოდანში ან ზურგჩანთაში. წინასწარ გაიაზრეთ ევაკუაციის წესი. გადაწყვიტეთ, ზღვის რყევის საშიშროების შესახებ სიგნალის მიღების შემთხვევაში, სად უნდა შეხვდეთ ერთმანეთს ოჯახის წევრები. ყოველდღიური საქმიანობის დროს სახლში და სამსახურში ნუ გადატვირთავთ დერეფნებს და გასასვლელებს დიდი ზომის ნივთებით, კარადებით, ველოსიპედებით, საბავშვო ეტლებით. ეცადეთ, რომ ყველა გასასვლელი თავისუფალი იყოს სწრაფი ევაკუაციისათვის. შეისწავლეთ ქვევის წესები ზღვის რყევის წარმოქმნის საშიშროების შემთხვევაში. მოიფიქრეთ თქვენი მოქმედების თანმიმდევრობა იმის მიხედვით, ზღვის რყევის დროს სად შეიძლება აღმოჩნდეთ: შენობაში, ღია ადგილზე, თუ წყალში. წინასწარ მოამზადეთ თქვენს ბინაში ადგილი, სადაც შეინახავთ დაუყოვნებლივი ევაკუაციის შემთხვევაში საჭირო საბუთებს, ტანსაცმელს, პირად ნივთებს, კვების არამალფუჭებადი პროდუქტების ორი დღის მარაგს.

როგორ ვიმოქმედოთ ზღვის რყევის დროს

ზღვის რყევის საშიშროების შესახებ სიგნალის მიღებისას დაუყოვნებლივ მოახდინეთ მასზე რეაგირება. ყოველი წუთი გამოიყენეთ თქვენი პირადი უსაფრთხოებისა და ირგვლივ მყოფი ადამიანების დაცვის უზრუნველსაყოფად. ზომების მისაღებად რამდენიმე წუთიდან ნახევარ საათამდე, ზოგიერთ შემთხვევაში, კი შეიძლება უფრო მეტი დროც მოგეცეთ, ამიტომ თუ იმოქმედებთ წყნარად და გააზრებულად, ცუნამისაგან გადარჩენის დიდი შანსი გექნებათ.

თუ იმყოფებით შენობაში, დაუყოვნებლივ გამორთეთ ელექტროდენი და გაზი, დატოვეთ შენობა და გადადით უსაფრთხო ადგილას. უმოკლესი გზით გადაინაცვლეთ ზღვის დონიდან 30-40 მეტრი სიმაღლის ადგილზე ან სწრაფად მოსცილდით სანაპიროს 2-3 კმ-ით. თუ ავტომობილით გადაადგილდებით, იმოდრავეთ უსაფრთხო მიმართულებით და თან წაიყვანეთ ადამიანები, რომლებიც ამ მიმართულებით გარბიან. როდესაც დროის სიმცირის გამო, უსაფრთხო ადგილას თავის შეფარების მიზნით შენობის დატოვება შეუძლებელია, ადით შენობის ზედა სართულებზე, დახურეთ ფანჯრები და კარები. თუ არსებობს შესაძლებლობა, გადადით უფრო საიმედო შენობაში. გახსოვდეთ, რომ შენობაში ყველაზე უსაფრთხო

ზონად ითვლება ადგილები შიდა კაპიტალურ კედლებთან, სვეტებთან, კაპიტალური კედლების კუთხეებთან. ალაგეთ და უსაფრთხოდ შეინახეთ თქვენ ირგვლივ არსებული საგნები, განსაკუთრებით კი მინისა, რათა გამოირიცხოს დამატებით მათი მსხვრევის საშიშროება.

შენობის გარეთ დარჩენის შემთხვევაში ეცადეთ, ახვიდეთ ხეზე ან ისეთ ადგილს შეაფაროთ თავი, რომელიც ნაკლებად განიცდის დარტყმას. უკიდურეს შემთხვევაში, ხელი ჩასჭიდეთ ხეს ან რაიმე სხვა მყარ საყრდენს.

თუ წყალში აღმოჩნდით, რომ არ ჩაიძირით, განთავისუფლდით ფეხსაცმლისა და ტანსაცმლისაგან, გამოიყენეთ წყალში მოტივტივე საგნები. ფრთხილად იყავით, ვინაიდან ტალღამ შეიძლება თან მოიტანოს მსხვილი საგნები და ნამსხვრევები. პირველი ტალღის შემდეგ მოემზადეთ შემდეგი ტალღის შემოტევისათვის, შეძლებისამებრ ეცადეთ, დატოვოთ საშიში რაიონი.

როგორ ვიმოქმედოთ ზღვის რყევის შემდეგ

დაელოდეთ განგაშის დამთავრების სიგნალს. დაუბრუნდით საცხოვრებელ ადგილს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნდებით, რომ ორი-სამი საათის განმავლობაში ზღვაში არც ერთი მაღალი ტალღა არ დაფიქსირებულა. სახლში შესვლისას შეამოწმეთ მისი სიმყარე, კარ-ფანჯრების მთლიანობა. დარწმუნდით, რომ კედლებსა და გადახურვაში არ არის ბზარები, საძირკველი არ არის დაზიანებული. ყურადღებით შეამოწმეთ, ხომ არ გაჟონა შენობაში გაზმა, რა მდგომარეობაშია ელექტროქსელი.

აქტიური მონაწილეობა მიიღეთ დაზიანებულ შენობებში სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩატარებაში, დაზარალებულების ძებნასა და მათთვის პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენაში.

11. მეწყერი

მეწყერი სიმძიმის ძალის გავლენით მთის ქანებისა და გრუნტის ჩამოცურებით გადაადგილება (დაცოცება) მთის, ხეობის, ზღვის, ტბის, მდინარეების ციცაბო კალთებსა და ფერდობებზე. მეწყრის მიზეზია მიწის მასების წონასწორობის დარღვევა, რაც გამოწვეულია გრავიტაციულ და შევიდულობის ძალებს შორის სხვაობით, რასაც იწვევს ფერდობის ძირის გამორეცხვა, ქანების სიმტკიცის შესუსტება გამოფიტვის ან უხვი ნალექებით გადამეტენიანების გამო, სეისმური ზიძვები ან ადგილის გეოლოგიური პირობების გათვალისწინების გარეშე ადამიანის არამართებული სამეურნეო საქმიანობა (მათ შორის აფეთქებითი სამუშაოები და სხვ.).

მეწყრის დროს გადაადგილებული გრუნტის მოცულობა ათობით და ასობით ათას კუბურ მეტრს შეიძლება აღწევდეს, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში - უფრო მეტსაც, სიჩქარე კი მერყეობდეს რამდენიმე მეტრიდან წელიწადში - რამდენიმე მეტრამდე წაშში. გრუნტის მასების გადაადგილებამ შეიძლება გამოიწვიოს საცხოვრებელი და საწარმოო შენობების, საინჟინრო და საგზაო ნაგებობების, მაგისტრალური მილსადენებისა და ელექტროგადამცემი ხაზების დაზიანება და ნგრევა, აგრეთვე ადამიანების დაშავება და სიკვდილი.

მეწყერთან ბრძოლის ეფექტური საშუალებაა მთის კალთებზე ტყის გაშენება და საინჟინრო ნაგებობებით (ხიმიწიგები, საყრდენი კონსტრუქციები, ჯებირი, დამცავი კედლები და სხვ.) გამაგრება.

როგორ მოვემზადოთ მეწყერისათვის

მოიპოვეთ ინფორმაცია მეწყერის შესაძლო წარმოქმნის ადგილებისა და მათი საზღვრების შესახებ.

არ აძოვოთ დამეწყერილ ტერიტორიაზე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, არ მოიყვანოთ ისეთი კულტურები, რომლებიც საჭიროებენ გათოხნასა და ნიადაგის გაფხვიერებას.

დამეწყერილ უბნებს წყალგადამცვანი არხებით უნდა ასცილდეს გრუნტისა და ატმოსფერული ნალექების ნაწრეტი წყლები.

დაიმახსოვრეთ შეტყობინების სიგნალები მეწყერის საშიშროების შესახებ. მეწყერის დაწყების ნიშნებია შენობათა კარებებისა და ფანჯრების გაჭედვა, გზებზე ბზარებისა და ნაპრალების გაჩენა, მეწყერსაშიშ ფერდობებზე წყლის ამოჟონვა. მეწყერის მომასწავებელი ნიშნების გაჩენისას შეატყობინეთ მეწყერსაწინააღმდეგო სადგურის უახლოეს საგუშაგოს, დაელოდეთ ამ სადგურიდან ინფორმაციას, ხოლო თავად იმოქმედეთ ვითარების შესაბამისად წინამდებარე წესების გათვალისწინებით.

როგორ ვიმოქმედოთ მეწყერის დროს

მეწყერის წარმოქმნის საშიშროების შესახებ სიგნალის მიღებისას გამორთეთ გაზისა და ელექტროხელსაწყოები, წყალსადენის ქსელი, მოემზადეთ დაუყოვნებლივი ევაკუაციისათვის წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად. იმოქმედეთ მოწოდებული გამაფრთხილებელი ინფორმაციის შესაბამისად. მეწყერის განვითარების სიჩქარე განაპირობებს გასატარებელი ზომების ხასიათს. კერძოდ, გადაადგილების (დეფორმაციების განვითარების) მცირე სიჩქარის დროს (რამდენიმე მეტრი თვეში) იმოქმედეთ თქვენი შესაძლებლობების მიხედვით ანუ გადაიტანეთ წინასწარ გათვალისწინებულ ადგილზე ავეჯი და ბარგი. თუ მეწყერის გადაადგილების სიჩქარე დღე-ღამეში 0,5-1 მეტრს აღემატება, ევაკუირება უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ, წინასწარ შემუშავებული გეგმების შესაბამისად. ევაკუაციის დროს თან წაიღეთ საბუთები, მატერიალური ფასეულობანი, ხოლო

ვითარებისა და ადმინისტრაციის მითითებების მიხედვით - თბილი ტანსაცმელი და პროდუქტები. სასწრაფოდ გადადით უსაფრთხო ადგილზე.

მეწყერსაშიში ზონიდან სწრაფი გამოსვლის დროს გადაადგილდით მეწყერის გავრცელების პერპენდიკულარული მიმართულებით არსებული მყარი გზებითა და ფერდობებით. დაუშვებელია მეწყერის გავრცელების ზონის ქვევით გადაადგილება, აგრეთვე დაბლობებსა და ხევებში ჩასვლა;

როგორ ვიმოქმედოთ მეწყერის შემდეგ

მეწყერის შემდეგ გადარჩენილ შენობა-ნაგებობებში დაბრუნებისას შეამოწმეთ კედლებისა და გადახურვის მდგომარეობა. შეამოწმეთ, ხომ არ დაზიანდა დენის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელები. დაეხმარეთ მასველებს ჩამონაქცევებში მოყოლილი ადამიანების გამოყვანასა და მათთვის დახმარების გაწევაში.

12. ტყის და ტორფნარის ხანძარი

მასობრივი ხანძარი ტყეშსა და ტორფნარში შეიძლება გაჩნდეს ცხელ და გვალვიან ამინდში მეხის ჩამოვარდნის, ცეცხლთან გაუფრთხილებლობის, მიწის ზედაპირის გაწმენდისა (მშრალი ბალახის ამოწვით) და სხვა მიზეზების გამო. ხანძარმა შეიძლება გამოიწვიოს დასახლებულ პუნქტებში შენობების, ხის ხიდების, ელექტროგადაცემის და კავშირგაბმულობის ხაზების, ხის ბომების, ნავთობპროდუქტებისა და სხვა საწვავი მასალების საწყობების აალება, აგრეთვე ადამიანებისა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველების დაზიანება.

ტყის მასივებში უფრო ხშირად ჩნდება დაბალი ქვედა ხანძარი, რომლის დროსაც იწვის ნორჩი ხეები, ბალახი და ბუჩქები, წაქცეული ხეები, ხის ფესვები და ა.შ. ქარის დროს, გვალვიან პერიოდში, შეიძლება გაჩნდეს მაღალი ხანძარი, რომლის დროსაც იწვის არა მარტო ნიადაგის ზედა საფარი, არამედ მთლიანად ხეები (განსაკუთრებით წიწვოვანი). ხანძარი ვრცელდება ქარის მიმართულებით. დაბალი ხანძრის გავრცელების სიჩქარე 0,1-დან 3-მდე მეტრია წამში, ხოლო მაღალი ხანძრისა – 100 კილომეტრი წამში.

ტორფისა და მცენარეების ფესვების წვის დროს შეიძლება წარმოიშვას მიწისქვეშა ხანძარი, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით ვრცელდება. ტორფი შეიძლება თვითააღდეს და დაიწვას უპაეროდ წყლის ქვეშაც. ცეცხლმოკიდებული ტორფნარის თავზე შეიძლება ცხელი ნაცრისა და აალებული ტორფის მტვრის "სვეტოვანი ადინება", რომელიც ძლიერი ქარის დროს დიდ მანძილზე გადადის და შეუძლია გამოიწვიოს ახალი აალება.

ტყის ხანძრის ქრობა ხდება ტყის ზოლის გაკავებით, გადამღობი ზოლის შექმნითა და სხვ.

სპეციალურ დამცავ საშუალებათა უქონლობისა და აირწინაღების ნაკლებობის შემთხვევაში, წვის პროდუქტებისაგან ადამიანთა დაშავების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ჰაერის მაღალი დაგაზიანების ადგილებში შემცირდეს სამუშაოთა ხანგრძლივობა და მორეაგირეებს მიეცეს დასვენების საშუალება კვამლისაგან გაწმენდილ უბნებში.

ყველამ, ვინც მონაწილეობს ხანძრის ჩაქრობაში, უნდა იცოდეს თავშესაფრების ადგილმდებარეობა და მათთან მისასვლელი გზები. მოერიდეთ დაზიანებულ ძირგამომწვარ ხეებს, რომლებიც შეიძლება წაიქცეს და ქვეშ მოგუყოლოთ. ტყის ხანძრის ზონიდან გამოსვლა ხდება იმ მიმართულებით, საიდანაც უბერავს ქარი. გამოყენებული უნდა იქნეს ღია სივრცე, ველ-მინდვრები, გზები, მდინარეები.

საშიშროების შემთხვევაში, ხანძრის ქრობის მონაწილეთა გაფრთხილება ხდება ხმოვანი სიგნალებით.

ხანძრის ქრობის დროს არ შეიძლება წყლის ნაკადის მისხმა ელექტროდანადგარებსა და ელექტროგადამცემ ხაზებზე.

წვის ზონის გავლის აუცილებლობის შემთხვევაში საჭიროა წყვეტილად სუნთქვის პერიოდულად შეკავება, რათა არ დაგვიზიანდეს სასუნთქი ორგანოები.

აკრძალულია ხანძრის ზონაში დამის გათენება. დამის გასათევი ადგილი დაცილებული უნდა იყოს ხანძრის ლოკალიზაციის ტერიტორიიდან არა ნაკლებ 400 მეტრით და შემოიღობოს არა ნაკლებ 2 მეტრი სიგანის გამყოფი ზოლით.

ტყის და ტორფნარის ხანძრის საწინააღმდეგო წინასწარი ღონისძიებები

მასობრივი ხანძრის დროს მოსახლეობის დასაცავად და ზარალის შესამცირებლად წინასწარ კეთდება ტყის განაკაფები, მინერალიზებული ზოლებისა და ცეცხლსაწინააღმდეგო ბარიერები.

დასახლებულ პუნქტებში ეწყობა საგუბრები და სახანძრო წყალსატევები, რომელთა ტევადობა განისაზღვრება დასახლებული პუნქტის განაშენიანების საზღვართან მიმდებარე ტყის პერიმეტრის სიგრძის ყოველ 1 მეტრზე არანაკლებ 10 ლიტრი წყლის გათვალისწინებით. ამავე დროს ამ წყალსატევების მოცულობა არ უნდა იყოს ნაკლები დასახლებული პუნქტის ფართობის ყოველ 1 ჰექტარზე 30 კუბური მეტრის მოცულობით დადგენილ ოდენობაზე - მინიმუმ 100 მ³-ზე.

ტყისა და ტორფნარის ხანძრის დროს დასახლებული პუნქტების მახლობლად მდებარე ტყეებში სახანძრო ვითარებაზე დაკვირვებისათვის წესდება ხანძარსაწინააღმდეგო რგოლების მორიგეობა.

წინასწარ შეისწავლეთ და განსაზღვრეთ დასახლებულ პუნქტთან ხანძრის საფრთხის შესახებ შეტყობინების სიგნალი.

მიმდებარე ტერიტორიის მოსახლეობამ საჭიროა წინასწარ მოამზადოს ბამბა-დოლბანდის ნიღბები, რესპირატორები და სასუნთქი ორგანოების დაცვის სხვა საშუალებები.

მაქსიმალურად უნდა შეზღუდოთ ტყეში გასვლა ზაფხულის გვალვიან პერიოდში (განსაკუთრებით ავტომობილით).

თუ დმოწნით ტყის ან ტორფნარის ხანძრის კერასთან ახლოს

თუ აღმოჩნდით ტყეში ან ტორფნარში ხანძრის კერის მახლობლად და არ შეგიძლიათ თქვენი ძალებით მისი ლოკალიზაცია და ჩაქრობა, დაუყოვნებლივ შეატყობინეთ ყველას, ვისთანაც კი ხელი მიგიწვდებათ. ხანძრის კერის დაუყოვნებლივ დატოვების შემთხვევაში, აუცილებელია იმოძრაოთ სწრაფად, საშიში ზონიდან ცეცხლის გავრცელების საწინააღმდეგო ან პერპენდიკულარული მიმართულებით. თუ შეუძლებელია ხანძრისგან თავის დაღწევა, შედით წყალსატევეში ან დაიფარეთ სველი ტანსაცმელი. ღია სივრცეში ან ტყის პირას გასვლისას ისუნთქეთ მიწის ზედაპირული ჰაერით, რომელიც ნაკლებად გაკვამლიანებულია. სახეზე აიფარეთ ბამბა-დოლბანდის ნიღბი ან ნაჭერი.

დაბალი ხანძრის ჩაქრობა შესაძლებელია ფოთლოვანი ხეების ტოტებით, წყლით, ტენიანი გრუნტის დაყრით. ტორფის ხანძარს აქრობენ აალებული ტორფის გადახრით და მასზე წყლის დასხმით. ხანძრის ჩაქრობის დროს წინდახედულად უნდა იმოქმედოთ, შორს არ წახვიდეთ გზიდან და განაკაფი ზოლიდან, არ დაკარგოთ მხედველობიდან სხვა მონაწილენი, შეინარჩუნეთ მათთან კავშირი (მხედველობითი და ხმოვანი). ტორფის ხანძრის ჩაქრობის დროს გაითვალისწინეთ, რომ წვის ზონაში შეიძლება წარმოიქმნას ღრმა ორმოები, ამიტომ უნდა იმოძრაოთ ფრთხილად, გზადაგზა შეამოწმოთ ნიადაგის დამწვარი ფენის სიღრმე.

ხანძრის ზონიდან გასვლის შემდეგ შეატყობინეთ დასახლებული პუნქტის, სატყეო ან ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ადმინისტრაციას და ადგილობრივ მოსახლეობას ხანძრის ადგილის, მასშტაბისა და ხასიათის შესახებ.

13. ქარიშხალი, გრივალი, ქარბორბალა

ქარიშხალი არის ხანგრძლივი, ძალიან ძლიერი ქარი, რომლის სიჩქარე 20 მ/წმ-ს აღემატება. ჩვეულებრივ ქარიშხალი ციკლონის გავლის დროს აღინიშნება და ზღვის ძლიერი ღელვითა და ხმელეთზე ნაგებობათა ნგრევით მიმდინარეობს.

გრიგალი ძლიერი ატმოსფერული ქარიშხალია, რომლის დროსაც ქარის სიჩქარეა 35 მ/წმ, ხოლო მიწის ზედაპირთან 55 მ/წმ-ს აღწევს.

ქარბორბალა არის ატმოსფერული ქარიშხალი, რომლის დროსაც ქარის ნაკადი სპირალისებურად მოძრაობს და ელქეის ღრუბლებში წარმოიშობა, ვრცელდება დედამიწის მიმართულებით და ხშირად მის ზედაპირზე ეშვება შავი ღრუბლიანი გიგანტური სახელოს („ხორთუმის“) სახით, რომლის დიამეტრიც ათობით და ასობით მეტრს აღწევს. მისი ხანგრძლივობა ხანმოკლეა და გადაადგილდება დიდი სიჩქარით ღრუბელთან ერთად.

ამგვარი ბუნებრივი მოვლენის შედეგად ზიანდება და ინგრევა გზები და ხიდები, ნაგებობები, ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის საჰაერო ხაზები, მიწისზედა მილსადენები, ხოლო ქარის მიერ ატაცებული ნამსხვრევები დამატებით იწვევს ადამიანთა დაზიანებას.

გრიგალის, ქარიშხლისა და ქარბორბალას წარმოშობის ძირითადი ნიშნებია: ქარის სიჩქარის გაძლიერება და ატმოსფერული წნევის მკვეთრი დაცემა; კოკისპირული წვიმები და წყლის შტორმული მოდინება; ძლიერი თოვა და გრუნტის მტვერის დალექვა.

თუ ცხოვრობთ ტერიტორიაზე, რომელსაც ხშირად თავს ატყდება გრიგალი, ქარიშხალი და ქარბორბალა, წინასწარ უნდა იცოდეთ ამ სტიქიური უბედურების მოახლოების შესახებ შეტყობინების სიგნალები, საშიშროების ზონიდან ევაკუაციის გზები და უსაფრთხო განთავსების რაიონები.

მოსალოდნელი ძლიერი ქარის შესახებ სიგნალის მიღების შემდეგ აუცილებელია:

გამაგროთ სახურავი, სვენიტილაციო და საკვამლე მილები;

ჩაჭედოთ სხვენის ფანჯრები (ფიცრებით ან ფირფიცრებით);

აალაგოთ აივნებიდან და ეზოდან ხანძარსაშიში საგნები;

უსაფრთხო რაიონში ევაკუაციის შემთხვევისათვის მოამზადოთ 2-3 დღის საკმარისი პროდუქტისა და წყლის მარაგი, ფარანი და სხვა აუცილებელი ნივთები;

გადახვიდეთ ნაკლებად მედეგი ნაგებობიდან უფრო მყარ შენობაში ან სპეციალურ დამცავ ნაგებობაში.

როგორ ვიმოქმედოთ ძლიერი ქარის დროს

თუ ძლიერი ქარის დროს იმყოფებით შენობაში, აუცილებელია კარ-ფანჯრებისა და დარბაზების დახურვა და მაგრად ჩაკეტვა, არ დადგეთ ფანჯარასთან, გადადით უსაფრთხო ადგილას შიდა სათავსების კედლებთან, ჩაშენებულ კარადაში, აბაჯანში, საკუჭნაოში, მაგიდის ქვეშ. ჩააქრეთ ცეცხლი ღუმელში, გამორთეთ ელექტროენერგია, დაკეტეთ გაზის ონკანი, ჩართეთ რადიომიმღები ინფორმაციის მისაღებად. შეძლებისდაგვარად, ჩადით სარდაფში, ჩადრმავებულ საფარში, თავშესაფარში და ა.შ. თუ გრიგალმა, ქარიშხალმა ან ქარბორბალამ ქუჩაში მოგისწროთ, არ გაჩერდეთ

ნაგებობის, შენობის, ხიდის, ესტაკადის, ელექტროგადამცემი ხაზის, ანძის, ხის, მდინარის, ტბისა და სამრეწველო ობიექტების მახლობლად, ხოლო, თუ ეს შეუძლებელია, რეკომენდებულია მიწაზე დავეჯდეთ მოხრილი, მუხლებმოკვეცილი და თავზე დაიფაროთ ხელები.

ქარის მიერ ატაცებული ნატეხებისა და მინის ნამსხვრევებისაგან დასაცავად გამოიყენეთ ფანერის, მუყაოსა და პლასტმასის ყუთები, ფიცრები და ხელთ არსებული სხვა საშუალებები. ეცადეთ, სწრაფად შეაფაროთ თავი სარდაფს ან მყარ შენობა-ნაგებობას. არ შეხვიდეთ დაზიანებულ შენობაში, ვინაიდან შესაძლებელია ჩამოინგრეს ქარის შემდეგი ნაკადის ზემოქმედებით.

თოვლიანი ქარიშხლის დროს დარჩით შენობაში. თუ ამ დროს მინდორში ან სოფლის გზაზე აღმოჩნდით, გადით მაგისტრალურ გზაზე, რომელიც პერიოდულად იწმინდება, იქ თქვენთვის დახმარების აღმოჩენის მეტი ალბათობა არსებობს.

მტვრიანი ქარიშხლის დროს დაიცავით სახე დოღბანდით, ნიღბით, ცხვირსახოცით, ქსოვილის ნაჭრით, ხოლო თვალები - სათვალთ. ქარბორბალას მოახლოების შესახებ შეტყობინების მიღებისას, დაუყოვნებლივ ჩადით სახლის სარდაფში ან საფარში, თავი შეაფარეთ საწოლის და სხვა მყარი ავეჯის ქვეშ. თუ ქარბორბალამ ღია ადგილას მოგიწროთ, თავი შეაფარეთ ორმოში, თხრილში, ვიწრო ხევში, მიწას მჭიდროდ მიეკარით, თავი დაიფარეთ ტანსაცმლით ან ხის ტოტებით. თუ ავტომობილში იმყოფებით, აუცილებლად გააჩერეთ, ამასთან შენობა-ნაგებობიდან, ხიდიდან, ესტაკადიდან, ელექტროგადამცემი ხაზებიდან და ქვესადგურებიდან, ანძებიდან, ხეებიდან დაშორებით. ამის შემდეგ ეცადეთ არ დარჩეთ მანქანაში, სწრაფად დატოვეთ ის და თავი დაიცავით ზემოთ მითითებული ხერხებით. დაუშვებელია ტყისა და მინდვრის საზღვარზე გაჩერება, უმჯობესია ტყეში შესვლა. ტყეში ყოფნის დროს აუცილებელია თავის შეფარება დაბალი ხეების ხშირი ტოტების ქვეშ. ასევე, დაუშვებელია მინდორში მარტოდ მდგომი მაღალი ხის ქვეშ დგომა.

14. კლდეზავი, ქვათაცვენა

კლდეზავი არის ციცაბო კლდოვან ფერდობებზე ლოდების უეცრად მოწყვეტა და სწრაფად, თავისუფალი ვარდნით ან გორებით გადაადგილება. კლდეზავის წარმოშობას წინ უძღვის ნაპრალების გაჩენა, რომელთა გასწვრივაც ხდება ლოდების ჩამოშლა.

ქვათაცვენა არის სიმძიმის ძალის ზემოქმედების შედეგად მთის ციცაბო ფერდობებზე ქვების, კლდის ნატეხებისა და ქანების გამოფიტული პროდუქტების ჩამოშლა და გადაადგილება.

კლდეზვავისაგან განსხვავებით; პროცესს პერმანენტული (ხანგრძლივი) ხასიათი აქვს, რის გამოც ფერდობების ძირში წარმოიქმნება ქვათაცვენის პროდუქტების გროვები, ე.წ. კონუსები. ქვათაცვენის მიზეზი შეიძლება იყოს კლდის ნატეხების მოცილება კლდის ძირითადი მასივისაგან ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური გამოფიტვის, მიწისძვრისა და მეხის ზემოქმედების, ასევე ზედაპირული წყლებით გამორეცხვის გამო. ქვათაცვენა უმეტესად აღინიშნება 35 გრადუსზე მეტი ქანობის ფერდობებზე. დღე-ღამის განმავლობაში ტემპერატურის ცვალებადობა განაპირობებს კლდის ზედაპირის დასკდომას. ბზარებში მოხვედრილი წყლის გაყინვა იწვევს ამ ბზარების გაძლიერებას. პროცესის მრავალჯერადობა კი საბოლოოდ იწვევს კლდის მასივის დაშლას. ზამთრის პერიოდში, როგორც წესი, ბზარებში ჩაყინული წყალი ერთგვარად კრავს (ამაგრებს) მასივს. ამდენად ყინვიან დღეებში, ქვათაცვენა ნაკლებად მოსალოდნელია. ის აქტიურდება გაზაფხულობით დღის პირველ ნახევარში, როდესაც მზის თბური აქტივობა მაქსიმუმს აღწევს. ქვათაცვენა ასევე დამახასიათებელია ზაფხულის პერიოდში ინტენსიური წვიმების დროს. გრანიტის კლდეებს კირქვოვან მასივებთან შედარებით ნაკლებად ახასიათებს ქვათაცვენა.

ქვათაცვენა დიდ საშიშროებას უქმნის საავტომობილო და სარკინიგზო მონაკვეთებს. ხშირად ქვათაცვენის კატასტროფული ზემოქმედების ქვეშ უშუალოდ საცხოვრებელი სახლებიც აღმოჩნდება ხოლმე. განსაკუთრებით სახიფათოა ის ტურისტული ჯგუფებისა და ალპინისტებისათვის, რომლებიც გადაადგილდებიან ქვათაცვენის თვალსაზრისით საშიშ უბნებზე.

ქვათაცვენის უარყოფითი შედეგების პრევენციის მიზნით ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია ქვათაცვენის აქტიური უბნების გამოვლენა და მათი იზოლირება ლითონის ბადეებით, მთის კალთის დატერასება, ასევე, დამავი კონსტრუქციებისა და ნაგებობების აშენება.

ქვათაცვენა დამახასიათებელია საქართველოს მთიანი რეგიონებისათვის. განსაკუთრებით დიდი პრობლემები შეექმნა ბოლო დროს ქალაქ ჭიათურასა და მის მიმდებარე სოფლებს. ქვათაცვენა შედარებით დამახასიათებელია აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ფერდობებისათვის. ქვათაცვენის თვალსაზრისით, საშიში ადგილებია: ხეობები, მდინარეთა კალაპოტები და ყველა სახის ჩადრმავებები, რომლებიც მიმართულების მიცემით ხელს უწყობენ ქვათა მოძრაობას. ქვათაცვენა შეიძლება გამოიწვიოს თავად ალპინისტმაც არასწორი ქმედებებით კლდეზე გადაადგილების დროს.

უსაფრთხოების წესები ქვათაცვენის უბნებზე გადაადგილებისას წინასწარ მოიძიეთ ინფორმაცია გადაადგილების მარშრუტზე ქვათაცვენის თვალსაზრისით სახიფათო უბნების შესახებ.

მოძრაობისათვის შეარჩიეთ წლისა და დღე-ღამის უსაფრთხო დრო (პერიოდი).

სახიფათო ადგილები გადალაზეთ ბორცვოვანი მონაკვეთების გამოყენებით.

სახიფათო ადგილები გადალაზეთ სათითაოდ, მაქსიმალური დაზღვევის გათვალისწინებით.

ქვათაცვენის ჩამონაყარში გადაადგილებისას, ასვლის ან ჩასვლის მომენტში, მოლაშქრეთა შორის ინტერვალი უნდა იყოს რაც შეიძლება, მცირე.

მოლაშქრეთა გადაადგილებისას დაუშვებელია მათი ერთმანეთის ზემოთ ყოფნა, განსაკუთრებით, ორი ჯგუფის ერთდროულად მოძრაობის შემთხვევაში.

ქვათაცვენის უბნებზე გადაადგილებისას, გულმოდგინედ უნდა შეამოწმეთ დასაყრდენი წერტილები, რათა მათზე დაყრდნობისას არ გამოვიწვიოთ მათი ჩატება ან კლდიდან მოწყვეტა. ყოველი დამრული ქვა შემოღებისდაგვარად უნდა შეაკავოთ და გააფრთხილოთ სხვები მათ შესახებ.

ქვათაცვენის უბნებზე გადაადგილება დაუშვებელია წვიმის, თოვლის, ელქექისა და ძლიერი ქარის დროს.

ქვათაცვენის უბნებზე გადაადგილებისას მოლაშქრეთაგან ერთ-ერთი უნდა იყოს ქვათაცვენის პროცესზე უშუალო დამკვირვებელი, რომელიც ხმოვანი სიგნალით: - „ქვები“, ამცნობს მოლაშქრეებს მოსალოდნელი საფრთხის ანუ ქვათაცვენის დაწყების შესახებ. იმავე სიგნალს იძლევა ის მოლაშქრე, რომელიც საყრდენზე დაბიჯებით გამოიწვევს ქვის ვარდნას.

ქვათაცვენის შემთხვევაში უნდა აეკრათ კლდეს მის კიდეზე მიჯრით ან თავი შეაფაროთ გამონაშვერის ქვეშ. თუ ამის საშუალება არ არსებობს, მაშინ უნდა დარჩეთ ადგილზე, თვალი ადევნოთ ქვების ვარდნას და ბოლო მომენტში, მისგან თავის არიდების მიზნით გახტეთ გვერდზე.

15. რადიაციული ავარიები

ბირთვული და რადიაციული ავარია არის მაიონიზებული გამოსხივების წყაროს მართვასა ან ამ წყაროზე კონტროლის დაკარგვა. ის ძირითადად გამოწვეულია ბირთვული მასალების, რადიოაქტიური ნივთიერებების ან/და ნარჩენების გარემოში უკონტროლო გაბნევით, რის შედეგადაც გარემოს რადიაციული ფონის დონემ შეიძლება გადააჭარბოს დასაშვებ ზღვარს. ასეთი ავარიები დიდ საფრთხეს უქმნის ადამიანსა და გარემოს. რადიოაქტიური ნივთიერებების გამოფრქვევის რისკის შემცველი ზონები და ობიექტებია: ატომური ელექტროსადგურები, სამეცნიერო-კვლევითი და გემის რეაქტორები,

ბირთვული საწვავის მოპოვების, წარმოებისა და ტრანსპორტირების ობიექტები, რადიოაქტიური ნივთიერებებისა და ნარჩენების სამარხები ან/და შენახვის ადგილები, ბირთვული იარაღის საცავები და კომპლექტაციის ადგილები, აგრეთვე ბირთვული იარაღის მატარებელი და ბირთვულ საწვავზე მომუშავე ტექნიკა.

სიგნალის - „რადიაციული საშიშროება“ და რადიაციული ავარიის შესახებ ინფორმაციის მიღებისას მოსახლეობამ საჭიროა იმოქმედოს ქვემოთ მოცემული რეკომენდაციების შესაბამისად:

იმ შემთხვევაში, თუ მიღებული ინფორმაცია არ შეიცავს სამოქმედო რეკომენდაციებს, საჭიროა სასუნთქი გზების დაცვა ხელმისაწვდომი საშუალებებით (ცხვირსახოცი, ხელსახოცი), შემლებისდაგვარად თავი შეაფარეთ ახლომდებარე შენობას, უკეთესია საკუთარ ბინას. შენობაში შესვლისთანავე გაიხადეთ ზედა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და მოათავსეთ პოლიეთილენის პარკში, დახურეთ კარები და ფანჯრები, გამორთეთ ვენტილაცია, ჩართეთ ტელევიზორი, რადიომიმღები, დაიკავეთ ადგილი ფანჯრებისაგან მოშორებით და იყავით მზად ინფორმაციისა და მითითებების მისაღებად.

თუ გაქვთ რადიაციული მონიტორინგის (რენტგენომეტრი) ხელსაწყო, განსაზღვრეთ შენობაში რადიაციის დონე, გამოსხივების დოზა და (პროდუქტების, წყლისა და სხვ.) დაბინძურების ხარისხი. გაითვალისწინეთ შემდეგი სარეკომენდაციო სიდიდეები:

გარემოს ბუნებრივი რადიაციული (გამოსხივების დოზის სიმძლავრე) ფონი - 10-დან - 60-მდე მიკროზივერტია საათში;

ადამიანისათვის რადიაციული უსაფრთხოების საორიენტაციო ნორმები: კვარტალური დოზა - 30 მილიზივერტი; წლიური - 50 მილიზივერტი; კრიტიკული ანუ სხივური დაავადების განვითარების ქვედა ზღვარი - 1 ზივერტი; ლეტალური დოზა - 7 ზივერტი;

საყოფაცხოვრებო პირობებში დასხივების დოზები: კუჭის არეში რენტგენზე გაშუქება - 0,3 ზივერტი; კბილის რენტგენზე გაშუქება - 0,03 ზივერტი; ერთი საათის განმავლობაში ტელევიზორის ყურების შედეგად დასხივება - 0,01 მიკროზივერტი;

მოახდინეთ შენობის ჰერმეტიზაცია და კვების პროდუქტების დაცვა.

ამ მიზნით ხელმისაწვდომი საშუალებებით დაგმანეთ ღრეჩო ფანჯრებსა და კარებზე, ამოქოლეთ სავენტილაციო ხვრელები. საკვები პროდუქტები მოათავსეთ პოლიეთილენის პარკებში ან შეახვიეთ ცელოფანში. მოიმარაგეთ წყალი დახურულ ჭურჭელში. პროდუქტები და წყალი მოათავსეთ მაცივარში ან დახურულ კარადაში (საკუჭნაოში).

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მითითების მიღებისთანავე ჩაიტარეთ პროფილაქტიკა იოდის პრეპარატებით. მათი არქონის შემთხვევაში გამოიყენეთ იოდის 5%-იანი ხსნარი: უფროსებისათვის იოდის 3-5 წვეთი -

ჭიქა წყალზე, ხოლო 2 წლამდე ბავშვებისათვის – 1-2 წვეთი. 5-7 სთ-ის შემდეგ უნდა გაიმეოროთ იგივე;

საკვების მომზადებისა და მიღებისას ყველა პროდუქტი, რომელიც იტანს წყლის ზემოქმედებას, უნდა გაირეცხოს გამდინარე წყლით;

შეცავთ დაიცავთ პირადი ჰიგიენის წესები, რაც თავიდან აგაცილებთ ან მნიშვნელოვნად შეამცირებს ორგანიზმის შინაგანი დასხივების შესაძლებლობას.

აუცილებლობის შემთხვევაში (შენობის დაბინძურებისას), დაიცავით სასუნთქი ორგანოები ხელთ არსებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით: გაიკეთეთ აირწინალი, ბამბა-დოლბანდის ნიღბები, რესპირატორები, ბამბა-ქსოვილის სახვევები, მტვერსაწინალო ქსოვილის ნიღბები ან გამოიყენეთ ცხვირსახოცები, ხელსახოცები და ქსოვილისგან დამზადებული სხვა ნივთები.

შენობის დატოვება შეიძლება მხოლოდ უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში, ისიც მცირე დროით. შენობიდან გასვლის დროს დაიცავით სასუნთქი ორგანოები აირწინალით, რესპირატორით, ბამბა-დოლბანდის სახვევით. ასევე, გამოიყენეთ ლაბადები, მოსასხამები და კანის დაცვის საშუალებები. შენობაში დაბრუნების შემდეგ ტანსაცმელი გამოიცვალეთ.

მოემზადეთ შესაძლო ევაკუაციისათვის. ამისათვის მოამზადეთ აუცილებელი ნივთები: ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (სინთეზური წყალგაუმტარი ლაბადები, მოსასხამები, რეზინის ჩექმები, ხელთათმანები და სხვ.), ტანსაცმელი და ფეხსაცმელი სეზონის მიხედვით, კვების პროდუქტების ორი ან სამი დღის მარაგი, წამლები ავადმყოფებისათვის, თეთრეული, საბუნთები, ფული, სხვა ძვირფასი და უკიდურესად აუცილებელი ნივთები.

ევაკუაციისას ზედმეტი ნივთების წაღება არ შეიძლება. ნივთები და პროდუქტები ჩაალაგეთ ჩემოდნებში ან ზურგჩანთებში. მათ უნდა ჰქონდეს ისეთი ზომა და წონა, რომ ერთ ადამიანს არ გაუჭირდეს მათი გადატანა, ამავე დროს, არ მოხდეს ევაკუირანსპორტის გადატვირთვა. ჩემოდნები და ზურგჩანთები შეფუთეთ პოლიეთილენში ან სხვა სინთეზურ სახვევში.

ევაკუაციის დროს, შენობიდან გამოსვლისას გაათავისუფლეთ მაცივრები, გამორთეთ ელექტროხელსაწყოები, გაზი, ნაგავსაყრელში გადაყარეთ მალფუჭებადი პროდუქტები, სითხეები და ნაგავი. მითითების ან შექმნილი მდგომარეობის შესაბამისად მოახდინეთ შენობიდან ევაკუირება.

წასვლისას დაკეტეთ ბინა. ტრანსპორტში ჩასხდომისას ან ქვეითი კოლონის ფორმირებისას გაიარეთ რეგისტრაცია საევაკუაციო შემკრებ პუნქტებში.

თუ იმყოფებით ღია დაბინძურებულ ადგილას, არ მოიხსნათ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, თავი აარიდეთ გზაზე მტვრის დაყენებას და მაღალ ბუჩქნარში ან ბალახებში გადაადგილდეთ.

აუცილებლობის გარეშე არ დაჯდეთ და არ შეეხოთ უცხო საგნებს. აკრძალულია ღია ადგილებში წყლის დაღვრა, საკვების მიღება და მოწევა. აუცილებელია კანის დაცვის საშუალებებით პერიოდულად ჩაიტაროთ ტანსაცმლისა და ნივთების ნაწილობრივი დეზაქტივაცია, მათი ფრთხილი ჩამოწმენდის გზით; ასევე, სხეულის დაუფარავი ნაწილების ნაწილობრივი სანიტარიული დამუშავება ჩამორეცხვით ან ჩამოწმენდით.

ევაკუირების რაიონში მისვლისას ჩააბარეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და ტანსაცმელი დეზაქტივაციის ან უტილიზაციისათვის, გამოიბანეთ თვალები სასმელი სოდის 2%-იანი ხსნარით ან სუფთა წყლით, გამოირეცხეთ პირი და ყელი, ორჯერ დაიბანეთ ტანი საპნით, დოზირებული კონტროლის გავლის შემდეგ ჩაიცვით სუფთა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

სააგარაკო ნაკვეთზე მოთიბეთ ბალახი, დილაობით მიზანშეწონილია ნაკვეთის დანამვა. შენობა დაასუფთავეთ სველი წესით, გულმოდგინედ გადაწმინდეთ მტვერი ავეჯიდან და ფანჯრის რაფებიდან. არ შეიძლება ხალიჩებისა და სხვა ქსოვილის საფენების დაბერტყვა. ისინი უნდა გაიწმინდოს მტვერსასრუტით ან სველი ნაჭრით. სასურველია სახლის (ბინის) გარეთ დატოვოთ ზედა საგარეო ტანსაცმელი. დალაგების დროს გამოყენებული ქსოვილის ნაჭრები და მტვერსასრუტიდან ამოღებული ნაგავი აუცილებლად ჩამარხეთ სპეციალურად ამოთხრილ ორმოში, რომლის სიღრმე არანაკლებ 50 სმ-ია.

საველე სამუშაოების ჩატარების დროს აუცილებელია ბამბა-დოლბანდის სახვევების, მტვერსაწინააღმდეგო ქსოვილის ნიღბების ან რესპირატორების, გამოსაცვლელი სპეცტანსაცმლისა და თავსაბურავების გამოყენება. სამუშაო დღის დასასრულს აუცილებლად მიიღეთ შხაპი.

თუ ეწევით აგარაკზე მეურნეობას, მოსაყვანი პროდუქტების რადიოაქტიური დაბინძურების შეზღუდვისათვის ნიადაგში უნდა შეიტანოთ კირი, კალიუმი და სხვა სასუქები, ასევე ტორფი. მოსავლის აღების დროს არ შეიძლება ხილისა და ბოსტნეულის დაგროვება უშუალოდ ნიადაგზე. მოსავალს საჭიროა ჩაუტარდეს დოზირებული კონტროლი. დაბინძურების ხარისხის დადგენის შემდეგ ისინი უნდა გაირეცხოს (გასუფთავდეს) და ხელმეორე კონტროლის შედეგების გათვალისწინებით გამოიყენოთ დანიშნულებისამებრ ან საქონლის საკვებად.

სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, ფრინველებისა და ფუტკრის პროდუქციას შერჩევით უნდა ჩაუტაროთ დოზირებული კონტროლი. რძის, კვერცხის, თაფლის, ხორცის დაბინძურების გამოვლენისას აუცილებელია მათი ჩაბარება შემდგომი გაუვნებლებისა ან უტილიზაციისათვის. პირუტყვისათვის სასმელი წყლის მიცემა ხდება დახურული წყაროებიდან.

არ არის რეკომენდებული ადგილობრივ წყალსაცავებში მოშენებული თევზის საკვებად გამოყენება, განსაკუთრებით კი წვრილი თევზისა, რადგან მათში რადიოაქტიური ნივთიერებები მეტი კონცენტრაციით გროვდება.

ველურად მზარდი ხილის, სოკოს, სამკურნალო ბალახების შეგროვება დასაშვებია მხოლოდ განსაზღვრულ ტერიტორიაზე ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვით (შერჩევითი დოზირებული კონტროლის ჩატარების შემდეგ).

16. ქიმიური ავარიები

ქიმიური საფრთხის შემცველ ობიექტებზე ავარიის შემთხვევაში მომწამლავი ნივთიერებები, რომლებიც გარემოში შეიძლება გამოთავისუფლდნენ, ძირითადად იწვევენ ადამიანთა და ცხოველთა ფართომასშტაბიან მოწამვლას, ასევე გარემოს დაბინძურებას. ეს ნივთიერებები შეიძლება იყოს, როგორც თხევად, ასევე აირად ან მყარ მდგომარეობაში. ისინი დანიშნულების მიხედვით იყოფა სამხედრო (საომარ) და საყოფაცხოვრებო (საწარმო) გამოყენების ნივთიერებებად. საყოფაცხოვრებო ნივთიერებები ძირითადად გამოიყენება სოფლის მეურნეობაში, სამედიცინო, ქიმიურ და სხვა სახის საწარმოებში. მათგან ყველაზე ფართოდ გავრცელებულია: ქლორი, ამიაკი, ბუნებრივი აირი და მისი წვის შედეგად მიღებული მხუთავი აირები, რომელთა დაღვრა, გაჟონვა ან ამოფრქვევა იწვევს ადამიანთა სერიოზულ დაზიანებას და ზოგჯერ ფატალური შედეგითაც კი მთავრდება. განსაკუთრებით ხშირია საყოფაცხოვრებო პირობებში მხუთავი აირებით მოწამვლა. ეს აირები წარმოიქმნება ან გამოიყოფა საბრძოლო მოქმედებების, საწარმოო ან სატრანსპორტო ავარიების დროს დაღვრის ან ამოფრქვევისას, ასევე საავტომობილო ძრავებსა და ბუნებრივ აირზე (მეთანი, გაზი) მომუშავე გასათბობ საშუალებებში საწვავის არასრული წვისას. მათი მოწამვლის ყველაზე დიდი საფრთხე არსებობის შენობებში, ავტომობილის სალონში ან სხვა დახურულ სივრცეში. თუმცა, მათი მომწამლავი თვისებებიდან გამომდინარე, ადამიანი შესაძლებელია გარეთ - ღია ცის ქვეშაც კი მოიწამლოს. ამას ემატება ისიც, რომ მხუთავი აირების უმრავლესობას ფერი და სუნე არ გააჩნია და მათი გამოყოფის შესახებ შეიძლება მიგვანიშნოს მხოლოდ ჭკვარტლისა და კვამლის არსებობამ, ასევე ბუნებრივი აირის ყვითელი ალით წვამ, ამიტომაც ამ ნიშნებისა ან/და სიმპტომების შენიშვნისთანავე საჭიროა სათანადო ზომების დაუყოვნებლო მიღება.

მხუთავი აირით მოწამვლის სიმპტომებია: თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, ყურებში შუილი, გულისრევისა და შუბლზე დაწოლის

(სიმბიძის) შეგრძნება, გულისრევა და მკერდის არეში ტკივილი. მოწამვლის მიმე ფორმის დროს აღინიშნება: გრძნობის დაკარგვა, სპაზმი, სუნთქვის დარღვევა, გულის უკმარისობა, ტვინის შეუქცევადი დაზიანება და ზოგჯერ მყისიერი სიკვდილიც. მოწამვლის სიმბიძეზე ძირითად ზეგავლენას ახდენს აირის კონცენტრაცია და ორგანიზმზე მისი ზემოქმედების ხანგრძლივობა.

სახლის პირობებში მხოლოდ აირით მოწამვლის თავიდან ასაცილებლად:

- აუცილებელია გაზისა და გათბობის სისტემების გამართული მუშაობის სისტემატური და ხარისხიანი შემოწმება;

- აუცილებელია გაზის გაჟონვის დეტექტორების დაყენება და საკვამურის გამწოვის შემოწმება;

- აუცილებელია ავტონომიური გათბობისა და ბუნებრივი აირის ხელსაწყოების ექსპლუატაციისა და უსაფრთხო გამოყენების წესების მკაცრად დაცვა;

- აუცილებელია ავტონომიური გათბობისა და ბუნებრივი აირის ხელსაწყოების ძილის წინ გადაკეტვა და საკვამურის ღია დატოვება;

- აუცილებელია იმ ოთახების ხშირი და რეგულარული განიავება, სადაც გაზზე მომუშავე ხელსაწყოები არის მოთავსებული;

- დაუშვებელია ოთახის გასათბობად გაბჭურის გამოყენება, ძრავართული მანქანის დიდი ხნით ავტოფარებში დატოვება, აგრეთვე სარდაფსა და უფანჯრო ან უსარკმელო ოთახში ბუნებრივი აირსა და შიდა წვის ძრავაზე მომუშავე ხელსაწყო-მოწყობილობების გამწოვის ან ვენტილაციის გარეშე ფუნქციონირება.

შენობაში, სარდაფსა ან ავტოფარებში მხოლოდ აირების აღმოჩენის შემთხვევაში, საჭიროა შემდეგი მოქმედებების თანმიმდევრული და სწრაფი შესრულება:

- აუცილებელია ფანჯრების, სარკმლებისა და კარების გაღება, გამწოვის ან ვენტილაციის ჩართვა და მხოლოდ აირის გამოყოფილი ხელსაწყო-მოწყობილობების გამორთვა;

- აუცილებელია დაზარალებული პირების სუფთა ჰაერზე რაც შეიძლება სწრაფად გაყვანა, პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა და სასწრაფო დახმარების გამოძახება ან სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანა;

- მხოლოდ აირით გაჯერებულ ოთახში შესვლა დასაშვებია მხოლოდ დამხმარე (დამზღვევი) პირთან ერთად, რადგანაც, ადვილი შესაძლებელია, ოთახში საშველად შესულმა თვითონ დაკარგოს გონება. ამასთან დაუშვებელია შუქის ან ასანთის (სანთებელას) ანთება.

მხოლოდ აირებით მოწამვლის დროს აუცილებელია:

- ადამიანის სუფთა ჰაერზე გამოყვანა, ნიშადურით მოსულიერება და ფილტვებში ჰაერის თავისუფლად მიწოდებისთვის ტანსაცმლის შეხსნა,

გათობა და სიმშვიდე, ხოლო, სუნთქვის გაჩერების შემთხვევაში - ხელოვნური სუნთქვის ჩატარებაზე;

- დაზარალებულის გრძნობაზე ყოფნის შემთხვევაში მისთვის დიდი რაოდენობით სითხის (ჩაის, წყლისა ან ნატურალური წვენი) მიცემა.

ქიმიურად საშიშ ობიექტებზე ავარიის დროს მოსახლეობისა და პერსონალის დაცვის ძირითადი ღონისძიებებია:

ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისა და სრული იზოლაციის რეჟიმში მომუშავე თავშესაფრების გამოყენება; ანტიდოზებისა და კანის დასამუშავებელი საშუალებების გამოყენება; დაბინძურებულ ტერიტორიაზე მოქმედების რეჟიმის დაცვა; ავარიის შედეგად წარმოქმნილი დაბინძურებული ზონებიდან ადამიანთა ევაკუაცია და მათი სანიტარიული დამუშავება, ტანსაცმლის, ტერიტორიის, ნაგებობების, ტრანსპორტის, ტექნიკისა და ქონების დეგაზაცია.

ზოგიერთი ძლიერმოქმედი შხამიანი ნივთიერების არსებობა და ჰაერში მათი კონცენტრაცია უნდა განისაზღვროს აირანალიზატორით.

ქიმიურად სახიფათო ობიექტების პერსონალმა და ახლოს მცხოვრებმა ადამიანებმა უნდა იცოდეს ამ ობიექტებზე გამოყენებულ ძლიერმოქმედ შხამიან ნივთიერებათა თვისებები, მათი განმასხვავებელი ნიშნები და პოტენციური საშიშროება, მათგან დაცვის ინდივიდუალური საშუალებები, შეეძლოთ მოქმედება ავარიის დროს და დაზიანებულებისათვის პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.

მუშა-მოსამსახურეები, შეტყობინების სიგნალის მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ იცვამენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს, პირველ რიგში - საწარმოო აირწინაღებს. თითოეული, თავის სამუშაო ადგილზე ახორციელებს ავარიის შედეგების შემცირებისათვის საჭირო ყველა შესაძლო ღონისძიებას (უზრუნველყოფს ენერგოწყაროების უავარიო გამორთვას, უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვით თიშავს აირის, ორთქლისა და წყლის ქსელებს), შემდეგ კი მიდის თავშესაფრებში ან სწრაფად ტოვებს მოწამლულ ზონას.

ევაკუაციის შესახებ გადაწყვეტილების გამოცხადებისას მუშა-მოსამსახურეები ვალდებული არიან, მივიდნენ ობიექტის სევეაკუაცია მიმდებ პუნქტებში.

ქიმიურად სახიფათო ობიექტებთან ახლოს მცხოვრებელი ადამიანები რადიოთი, ტელევიზიითა და სხვა საშუალებებით ავარიის შესახებ სიგნალის მიღებისთანავე ვალდებული არიან, გაიკეთონ აირწინაღები, ჩაკეტონ ფანჯრები, გამორთონ ელექტროგამაცხელებელი და სხვა საყოფაცხოვრებო ხელსაწყოები, გაზი, ჩაქრონ ღუმელი, ჩააცვან ბავშვებს, აიღონ აუცილებელი თბილი ტანსაცმელი და პროდუქტები, გააფრთხილონ მეზობლები, სწრაფად, მაგრამ პანიკის გარეშე, გავიდნენ საცხოვრებელი მასივიდან მითითებული ან ქარის მიმართულების

პერპენდიკულარული მიმართულებით არანაკლებ 1,5 კმ-ით დაშორებულ მაღლობ ადგილზე და დაელოდონ შემდგომ განკარგულებებს. აირწინადის არქონის შემთხვევაში აუცილებელია მოწამლული ზონიდან სწრაფად გამოსვლა სუნთქვის პერიოდული (რამდენიმე წამით) შეკავებით. სასუნთქი ორგანოების დასაცავად შეიძლება ხელთ არსებული ქსოვილის, წყალში დასველებული ტანსაცმლის ნაწილების გამოყენება. მათი პირზე აფარებით მცირდება ჩასუნთქული მავნე აირის ოდენობა და მამსადაამე, დაზიანების სიმძიმეც.

მოწამლულ გარემოში მოძრაობისას აუცილებელია დაცვათ შემდეგი წესები: იმოძრავეთ სწრაფად, მაგრამ არა სირბილით, რათა თავიდან აიცილოთ ამტკერება; არ მიეყრდნოთ შენობებს და არ შეეხოთ გარშემო მყოფ საგნებს; არ დააბიჯოთ გზაში სითხეს ან უცნობ ფხვნილისებრ ნივთიერებას; არ მოიხსნათ ინდივიდუალური დაცვის საშუალება შესაბამის განკარგულებამდე; ძლიერმოქმედი შხამიანი ნივთიერებების წვეთები კანზე, ტანსაცმელზე, ფეხსაცმელზე, ინდივიდუალური დაცვის საშუალებებზე მოიშორეთ ქაღალდის ტამპონით ან ცხვირსახოცი.

შემდგომისდაგვარად აღმოუჩინეთ დახმარება დაშავებულ ბავშვებს, მოხუცებს, რომელთაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაადგილება. მოწამლული ზონიდან გამოსვლის შემდეგ საჭიროა სანიტარიული დამუშავების ჩატარება. ვისაც მიღებული აქვს უმნიშვნელო დაზიანებები (აღწიწნებათ ხველა, გულისრევა და სხვ.), უნდა მიმართონ სამედიცინო დაწესებულებებს დაზიანების ხარისხის განსაზღვრისა და პროფილაქტიკური თუ სამკურნალო პროცედურების ჩასატარებლად.

საცხოვრებელ სახლებში, საწარმოს შენობებში, სარდაფებსა და სხვ. შესვლა ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩატარებულია საკონტროლო შემოწმება ჰაერში ძლიერმოქმედი შხამიანი ნივთიერებების შემცველობაზე.

ქლორით მოწამლულისათვის პირველადი დახმარების გაწევისას საჭიროა:

დაშავებულისათვის აირწინადის გაკეთება (თუ აირწინადები არ გააჩნიათ მისი მაგივრობა შეიძლება გაგიწიოთ 2%-იანი საჭმელი სოდის წყალხსნარში დასველებულმა ბამბა-დოლბანდის ნიღბამა);

დაშავებულის გამოყვანა უსაფრთხო ტერიტორიაზე და აირწინადის მოხსნა;

განთავისუფლება სუნთქვის შემზღვეველი ტანსაცმლისაგან;

სუნთქვის შეწყვეტის შემთხვევაში ხელოვნური სუნთქვის ჩატარება, უპირატესად მეთოდით – „პირიდან-პირში“;

გაღზიანების შესამცირებლად მიზანშეწონილია დაშავებულისათვის 0,5%-იანი სასმელი სოდის ხსნარის აეროზოლისა და ჟანგბადის შესუნთქვინება;

2%-იანი სოდის ხსნართ კანის გაწმენდა ან ლორწოვანი გარსის გამორეცხვა;

დიდი რაოდენობის სითხის (თბილი სოდიანი წყალი, ჩაი, ყავა) მიღება;

დაშავებულის თვითნებურად გადაადგილების აღკვეთა და მისი შემდგომი ტრანსპორტირება მხოლოდ მწოლიარე მდგომარეობაში;

სიცივეში დაშავებულის გათბობა და მისთვის მშვიდი გარემოს შექმნა.

ამიაკით დაზიანებულისათვის პირველი დახმარება მოიცავს:

- მისთვის შესაბამისი საწარმოო აირწინადის გაკეთებას ძალიან მაღალი კონცენტრაციისას კი – მაიზოლირებელი აირწინადისას. თუ აირწინადი არ გაგაჩნიათ, მისი მაგივრობა შეიძლება გაგაწიოთ 5%-იანი ლიმონმჟავას (ან ბორმჟავას) წყალხსნარში დასველებულმა ბამბა-დოლბანდის ნილაბმა (პირსახვევმა);

- დაშავებულის დაზიანების ზონიდან გამოყვანას, აირწინადისა და დაზინტურებული ტანსაცმლის გახდას;

- თბილი წყლის ორთქლის შესუნთქვასა და თბილი რძის მიცემას;

- ამიაკის კუჭში მოხვედრისას გულისრევის ხელოვნურად გამოწვევას;

- 5%-იანი ლიმონმჟავას (ან ბორმჟავას) ხსნართ კანის გაწმენდას ან ლორწოვანი გარსის გამორეცხვას;

- დამწვრობისას გამაყუჩებელი საშუალების გაკეთებასა და გადახვევას;

- დაზიანებულისთვის მშვიდი და თბილი გარემოს უზრუნველყოფას.

17. ხანძარი და აფეთქება

რა უნდა ვიცოდეთ ხანძრის პრევენციის თაობაზე

ხანძრის დროს უსაფრთხოების წესების დაცვა და მარჯვედ მოქმედება ხელს უწყობს ხიფათის შესუსტებას, ადამიანებისა და ქონების გადარჩენას.

საწარმოებსა და ორგანიზაციებში ხანძრისა და აფეთქების აღსაკვეთად მოქმედებს დადგენილი ხანძარსაწინააღმდეგე წესები, ტექნოლოგიური ინსტრუქციები, უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის ნორმები.

ყოფა-ცხოვრებაში ხანძრისა და აფეთქების აღსაკვეთად, ადამიანთა სიცოცხლისა და ქონების გადასარჩენად, საჭიროა ზოგი აკრძალვისა და მარტივი წესების დაცვა.

ხანძრის თავიდან ასაცილებლად საჭიროა გამოირიცხოს სახლში ადვილად აალებადი, ფეთქებადი და თხევადი საწვავის დიდი რაოდენობით შენახვა. მათი უნმიშვნელო რაოდენობა უნდა ინახებოდეს მჭიდროდ დახურულ ქურჭელში, გამაცხელებელი ხელსაწყოებიდან მოშორებით, მექანიკური და თბური ზემოქმედებისაგან დაცულ მდგომარეობაში.

განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო საყოფაცხოვრებო ქიმიური ნივთიერებების გამოყენებისას, არ შეიძლება მათი გადაყრა ნაგავში, ღია ცეცხლზე მასტიკისა და ლაქის, აეროზოლური ბალონების გაცხელება, ბენზინით რეცხვა. ასევე არ შეიძლება კიბის ბაქნებზე ავეჯის, საწვავი ნივთიერებების შენახვა, სარდაფებისა და სხვენების ჩახერგვა, სარეცხის გაშრობა ანთებულ გაზქურაზე ან ღუმელზე. არ არის რეკომენდებული წვად საგნებთან ელექტროგამათბობელი ხელსაწყოების ახლოს მოთავსება. აკრძალულია ელექტროქსელის გადატვირთვა, ელექტროგამათბობელი ხელსაწყოებისა და ტელევიზორის დატოვება ჩართულ მდგომარეობაში, ხოლო სახლიდან გასვლისას საჭიროა მათი ქსელიდან საერთოდ გამორთვა. რეგულარულად უნდა შემოწმდეს ელექტროსისტემები და გაყვანილობა. აუცილებელია სიფრთხილის დაცვა სიგარეტის მოწევის დროს, არ შეიძლება საწოლში მოწევა.

დაუშვებელია ჩაუმქრალი სიგარეტის (პაპიროსის) ფანჯრიდან, აიენიდან ან ტრანსპორტიდან გადაგდება, ასევე ნაგვის ურნაში ჩაგდება ან ქუჩაში გადაგდება. აუცილებელია არსებული ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების - ცეცხლმაქრების, სახანძრო სახელოების (შლანგები), ჰიდრანტების გამართულობის პერიოდულად შემოწმება და მათი სამუშაო მდგომარეობაში მოყვანა. ასევე მათი მართებულად გამოყენების შესწავლა და ოჯახის წევრებისა და ახლობლებისთვისაც სწავლება, რადგანაც ხანძრის შემთხვევაში ინსტრუქციების კითხვის დრო არ არის. ბავშვებმა უნდა იცოდნენ ხანძრის შემთხვევაში 112-ზე დარეკვა და ხანძრის დროს ქვევის ელემენტარული წესები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ბავშვებმა თამაშისას ხანძარი არ გააჩინონ. აუკრძალეთ მათ ასანთით თამაში, ელექტროხელსაწყოების ჩართვა და გაზქურის ანთება, დაუშვებელია ბავშვების უმეტესაწარმოოდ დატოვება. სახანძრო უსაფრთხოების წესების თანახმად აკრძალულია: შენობებთან და სახანძრო ჰიდრანტებთან მისასვლელი გზების ჩახერგვა, მრავალბინიან სახლებში საერთო შესასვლელის ჩაკეტვა. აუცილებელია გამართულ მდგომარეობაში გვქონდეს ხანძრის დეტექტორები, ე.წ. გადამწოდები, კვამლგამწოვი და ხანძარსაქრობი სისტემები. ყველა შენობისთვის წინასწარ დგება ხანძრის დროს სამოქმედო

გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია შენობიდან ადამიანების გამოყვანისა და ქონების გადარჩენის წესი. გეგმაში მითითებულია უმოკლესი და ყველაზე უსაფრთხო გზები.

უფრო ხშირად შენობაში ხანძარი იწყება უმნიშვნელო ალისა და კვამლის წარმოქმნით, რასაც ყოველთვის წინ უსწრებს აალებადი ნივთიერებებისა და საწვავი მასალების გაცხელების ან ფუფის (ბჟუტვის) გარკვეული პერიოდი. გადახურებული ნივთიერებებიდან გამოყოფილი კვამლი და სუნი თავდაპირველად ოდნავ შეიმჩნევა, შემდეგ სუნი სულ უფრო მეტად მძაფრდება, კვამლი კი სქელდება და მუქდება, რაც ხანძრის გაჩენის პირველი და უტყუარი ნიშანია.

ამიტომ მათი შემჩნევისთანავე აუცილებელია სათანადო მოქმედებების დაუყოვნებლივ განხორციელება. შენობა-ნაგებობებში (განსაკუთრებით ძველ შენობებში) საკმაოდ ხშირია ელსადენების გადახურებით ან მოკლე ჩართვით გამოწვეული ხანძარი, რომელსაც თან სდევს რეზინის წვისათვის დამახასიათებელი სუნი, რის შემდეგაც ხდება იზოლაციის აალება და ცეცხლის გაჩენა. ასეთ შემთხვევაში დამახასიათებელია სინათლის ჩაქრობა ან ნათურების ციმციმი, რაც ასევე მიანიშნებს ელსადენების იზოლაციის წვასა და მოკლე ჩართვაზე. შენობა-ნაგებობებში ხანძრის გავრცელებას ხშირად ხელს უწყობს სავენტრაციო არხები, ღია ფანჯრები და კარები, საიდანაც შემოდის სუფთა ჰაერი და მასთან ერთად ჟანგბადის დამატებითი ნაკადი. სწორედ ამიტომ ხანძრის შემთხვევაში დაუშვებელია ფანჯრების ჩამსხვრევა და მომიჯნავე კარების გაღება. აღსანიშნავია, რომ კარ-ფანჯრის მჭიდროდ გამოხურვით შესაძლებელია ცეცხლის გავრცელების („გაღვივების“) შერეობა 10-15 წუთით მაინც.

როგორ უნდა მოვიქცეთ ხანძრის შემთხვევაში

თუ საზოგადოებრივ შენობაში გაისმა სახანძრო განგაშის სიგნალი, აუცილებელია პანიკის გარეშე დაუყოვნებლივ დატოვოთ შენობა.

ხანძრის დროს ადამიანებისათვის ყველაზე დიდ საფრთხეს ქმნის ჰაერის მაღალი ტემპერატურა, კვამლი, ნახშირჟანგის დიდი კონცენტრაცია, შენობა-ნაგებობების შესაძლო ჩამონგრევა, ტექნოლოგიური მოწყობილობებისა და ხელსაწყოების აფეთქება.

ხანძრის დროს საჭიროა თავდაჭერილობის შენარჩუნება, მდგომარეობის სწრაფად შეფასება და სწორი გადაწყვეტილებების მიღება, საკუთარ თავში დაბნეულობის, ნერვიულობისა და პანიკის დათრგუნვა. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, რაც შეიძლება სწრაფად დარეკვა ნომერზე - 112, სიტუაციის სწრაფი შეფასება და მეხანძრე-მაშველთა მოსვლამდე ხელთარსებული ცეცხლმაქრი საშუალებებითა და შესაძლებლობების ფარგლებში მოქმედება.

შენობაში კვამლის ან ხანძრის შენიშვნისას, 112-ზე დარეკვის შემდეგ, აუცილებელია სახლში - ოჯახის წევრებისა და მეზობლებისთვის, ხოლო სამსახურში ხელმძღვანელი თანამდებობის პირისა და თანამშრომლებისთვის ამ ფაქტის დაუყოვნებლივ შეტყობინება. ძლიერი ხანძრის დროს აუცილებელია ყველა ფანჯრის, სარკმლისა და კარის დაკეტვა, ხოლო შემდეგ ბინის დაუყოვნებლივ დატოვება. შენობიდან ევაკუაციის შემთხვევაში აუცილებელია სავაკუაციო გეგმის მიხედვით მოქმედება. თუ დამოუკიდებლად ვერ ახერხებთ შენობის დატოვებას, მიდით ფანჯარასთან და იქ გაჩერდით, რათა ქუჩაში მყოფთა ყურადღება მიიქციოთ. ხანძრის დროს, თუ ამის დრო და შესაძლებლობა არსებობს, რეკომენდებულია პირსა და ცხვირზე სველი ცხვირსახოცის ან პირსახოცის აფარება.

შენობიდან გამოსვლის დროს სხვა ოთახში გასასვლელად კარის სახელურზე ხელის შეხებით შეამოწმეთ გახურებულია, თუ არა. ასევე, გაარკვეით, კარის ღრეჩოებიდან კვამლი ან სიმხურვალე ხომ არ შემოდის, რათა კვლავ აღმოკიდებულ ოთახში არ აღმოჩნდეთ. შენობიდან ევაკუაცია უნდა განხორციელდეს ორგანიზებულად, ერთმანეთის მიმართ გარკვეული დისტანციის დაცვითა და კიბეზე ჩასვლისას კედლის გასწვრივ გადაადგილებით, რადგან მეორე მხარეს მოძრაობენ მეხანძრეები.

არ არის რეკომენდებული ზედა სართულებიდან (მესამე სართული და მაღლა) თოკის, წყალსადენი მილის, გადამბული ზეწრებისა და ფარდების გამოყენებით ჩამოსვლა, არც ფანჯრიდან ან აივნიდან გადმოხტომა, რადგან ეს უმეტესად დაღუპვით მთავრდება. თუმცა, მიუხედავად ამისა, მეხანძრე-მაშველების მოსვლამდე მხედველობაში მისაღებია ევაკუაციის ეს გზაც. ამ უკიდურეს შემთხვევაში, ტრავმების შემსუბუქების მიზნით, უმჯობესია, ქვემოთ ჩამოიყაროს რაც შეიძლება ბევრი ლეიბი, ბალიში ან ხელთარსებული ყველა რბილი ნივთი და საგანი.

ხანძრის საწყის ეტაპზე წვის მავნე პროდუქტები ოთახში ძირითადად გროვდება ადამიანის სიმაღლეზე ან უფრო მაღლა, ამიტომაც უმჯობესია ოთახიდან გამოხვიდეთ დაჩოქილი ან ფორთხვით, თავით იატაკთან ახლოს. ამასთან იატაკთან ახლოს ჰაერის ტემპერატურა უფრო დაბალია, ჟანგბადი კი - მეტი.

დაუშვებელია დენში ჩართულ აპარატურაზე წყლის დასხმა. ამიტომ ტელევიზორის, მაგივრის, უთოს ან სხვა ელმოწყობილობის წვისას აუცილებელია მათი შტეფსელიდან გამორთვა ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას ადამიანის სიცოცხლეს.

პატარა ცეცხლის შემთხვევაში შეიძლება ცეცხლზე სქელი ქსოვილის გადაფარება და ამით ჟანგბადის მიწოდების შეწყვეტა.

დაუშვებელია თავის შეფარება კარადაში, საკუჭნაოში, კუთხეში, საწოლის ან მაგიდის ქვეშ და ა.შ.

ხანძრის დროს დაუშვებელია ლიფტით სარგებლობა, რადგან კვამლი ადვილად აღწევს ლიფტის შახტასა და კაბინაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ლიფტში მყოფების გაგუდვა, გარდა ამისა, არსებობს აგრეთვე დენის გათიშვის დიდი ალბათობაც.

თუ მხედველობის არის სიღრმე 10 მ-ზე ნაკლებია, დაკვამლიანების ზონაში შესვლა სახიფათოა, ამიტომ, დაუშვებელია კვამლის მიმართულებითა და კვამლის დიდი კონცენტრაციის ადგილისაკენ გადაადგილება, ასევე დაკვამლიანებული კიბის უჯრედის გამოყენება ამ შემთხვევაში სველი ტილო ვერ დაგიცავთ მხოთავი აირისაგან.

თუ ადამიანს ტანსაცმელზე ცეცხლი წაეკიდა და ამასთან ვერტიკალურ მდგომარეობაშია, ცეცხლის ალის ზემოთ გავრცელების შედეგად უზიანდება სახე, თმა და სასუნთქი ორგანოები. გაქცევით თავის შველა დაუშვებელია, რადგან ეს მხოლოდ აძლიერებს ცეცხლს. ამიტომ ცეცხლმოკიდებული უნდა შეეცადოს, სწრაფად გაიხადოს ტანსაცმელი, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, დაწვეს იატაკზე (მიწაზე) და შეეცადოს გორაობით ჩააქროს ცეცხლი. ცეცხლის ჩაქრობა შეიძლება აგრეთვე არასინთეზური ქსოვილის გადაფარებითაც, ხოლო თუ ახლომახლოს არის წყლის რეზერვუარი ან წყლით სავსე რაიმე ჭურჭელი, მასში ჩაწოლით ან თავსა და სხეულზე წყლის გადასხმით.

ცეცხლმოკიდებული შენობებიდან დაზარალებულების გადარჩენისას და ხანძრის ჩაქრობისას საჭიროა შემდეგი წესების დაცვა:

ცეცხლმოკიდებულ შენობაში შესვლამდე გადაიფარეთ სველი ლაბადა, მკვრივი ქსოვილის ნაჭერი და სხვა. დაკვამლიანებული შენობის კარები შეაღეთ ფრთხილად, რათა ჰაერის ახალი ნაკადის სწრაფი მიწოდებისას თავიდან აიცილოთ უეცარი აალება. ძლიერ დაკვამლიანებულ შენობებში საჭიროა ხოხვით ან მოხრილ მდგომარეობაში გადაადგილება. მხოთავი აირისგან თავის დასაცავად ცხვირსა და პირზე სველი ნაჭერი აიფარეთ.

დაიმახსოვრეთ! პატარა ბავშვები შიშისაგან ხშირად იმალებიან ლოგინის ქვეშ, კარადში, იყუქებიან კუთხეებში.

ხანძრის ჩაქრობის დროს საჭიროა ცეცხლმაქრის, სახანძრო ონკანების, ასევე წყლის, ქვიშის, მიწის, გადასაფარებლებისა და სხვა საშუალებების გამოყენება.

ცეცხლმაქრი ნივთიერება უნდა მივმართოთ უმეტესად ინტენსიური წვის ადგილებისა და არა ცეცხლის ალისკენ. თუ იწვის ვერტიკალური ზედაპირი, წყალი უნდა მიესხას მის ზედა ნაწილს. დაკვამლიანებულ შენობაში მიზანშეწონილია წყლის გაფანტული ჭავლის გამოყენება, რაც ხელს უწყობს კვამლის დაჯდომასა და ტემპერატურის შემცირებას. ცეცხლი საწვავ სითხეებზე უნდა ჩავაქროთ ქაფწარმოქმნელი ნივთიერებებით,

დავაყაროთ ქვიშა ან მიწა, ხოლო თუ ხანძრის კერა დიდი არ არის, გადავაფაროთ ბრეუნენტი, მძიმე ქსოვილი, ტანსაცმელი და ა.შ.

თუ იწვის დენის სადენები, პირველ რიგში საჭიროა ელექტროდენის გამორთვა (ჩამრთველის ან ელმცველების გათიშვა), მხოლოდ შემდეგ უნდა დაიწყოს ხანძრის ჩაქრობა. ხანძრის ზონიდან გამოსვლა ხდება იმ მიმართულებით, საიდანაც უბერავს ქარი.

თუ ხანძრის ჩაქრობას ვერ ვახერხებთ, მეხანძრეების მოსვლამდე საჭიროა ევაკუირება. ამისათვის პირველ რიგში უნდა გამოვიყენოთ კიბის უჯრედი, მათი დაკვამლიანების შემთხვევაში კი დავეშვათ სახანძრო კიბით.

შენობის ქვედა სართულებიდან ევაკუირება შეიძლება დამოუკიდებლად, ფანჯრიდან, აივნიდან, აგრეთვე ხელთ არსებული საშუალებების (თოკების, ზეწრების, სატვირთო ქამრებისა და ა.შ.) გამოყენებით.

18. ხალხის უმართავ მასებთან ურთიერთობა

ქალაქის სინამდვილეში ე.წ. ბრბოსთან დაკავშირებული საფრთხე ანუ უმართავი ხალხის დიდი მასის არაკონტროლირებადი გადაადგილება მრავალი ადამიანის მსხვერპლის მიზეზი შეიძლება გახდეს, რამეთუ პანიკაში ჩავარდნილი ბრბოს ზემოქმედება, არა მარტო თვით მათზე, არამედ გარშემო მყოფთათვისაც სტიქიური უბედურების ტოლფასია. ბრბოში მოხვედრილი ადამიანები, უნებურად ხდებიან აგრესიულები, ასოციალურები, ხასიათდებიან შემცირებული თვითკონტროლისა და თვითკრიტიკის უნარით. ადამინთა უმართავი მასა წარმოიშობა მასობრივი მღელვარებისა და გამოსვლების, პოლიციის მიერ დემონსტრაციების ან მიტინგების დარბევისა და ადამიანთა მასობრივი თავშეყრის ადგილებში (სტადიონზე, საკონცერტო დარბაზში, მეტროპოლიტენში, ბაზრობაზე და სხვ.) ტერორისტული აქტების განხორციელების შემთხვევაში.

ბრბოს მოახლოებისას:

ეცადეთ, სწრაფად გადახვიდეთ გვერდით, პარალელურ ქაჩაზე, ჩასახვევში, გამჭოლ ეზოში ან უკიდურეს შემთხვევაში თავი შეაფარეთ სადარბაზოს;

დაუშვებელია მოძრაობა ბრბოს გადაადგილების საწინააღმდეგო მიმართულებით, ჩიხში, ვიწრო ან გადათხრილ ქუჩაზე გადასვლა;

მოერიდეთ შენობის კედლებზე მიკვრას, ვიტრაჟებსა და საწვიმარ მილებს;

უმჯობესია მოიხსნათ ყელსახვევი, შარფი, სათვალე, სხვადასხვა სამკაული: ბეწვეი, სამაჯური, საყურე. შემოიჭირეთ ქაშარი, მჭიდროდ გაიკვანძეთ ფეხსაცმლის თასმები;

დაუშვებელია ბრბოსთვის წინააღმდეგობის გაწევა, ხელის ჩავლება უძრავი საგნებისათვის, მით უმეტეს მიეკრათ მათ;

დაუშვებელია დახრა დავარდნილი ნივთების აღების ან ფეხსაცმლის თასმის შეკვრის მიზნით. დაიმასხოვრეთ, ბრბოში დაცემა სიკვდილის ტოლფასია;

ასევე ეცადეთ განთავისუფლდეთ გაბარიტული და მიმე საგნებისაგან;

დაუშვებელია ხელების აწევა თავის მაღლა, ისევე როგორც ჯიბეში ჩაწყობა ან დაბლა დაშვება. ეცადეთ, ხელები გეჭიროთ მკერდის არეში, რათა ხელებითა დაიფაროთ გულმკერდი;

თუ თან გახლავთ პატარა ბავშვი, ეცადეთ, დაიჭიროთ ის ბრბოზე მაღლა.

19. მოქმედების წესები ტერორისტული აქტისა და ტერორისტის მიერ ადამიანის მძევლად აყვანის შემთხვევაში

ტერორისტული აქტი არის სახელმწიფო მოსამსახურეების ან მოსახლეობის მასობრივად განადგურების ან დაზიანების მიზნით ტერორისტების მიერ განხორციელებული ქმედებები. ეს ქმედებები შეიძლება იყოს: აფეთქება, შეიარაღებული თავდასხმა, ხანძრის გაჩენა, რადიოაქტიური და ქიმიური მომწამლავი ნივთიერების მასობრივი თავშეყრის ადგილებში გამოთავისუფლება (გამოყენება) და სხვა სახის ქმედებები, რომლებიც იწვევენ ადამიანთა სიკვდილსა და დასახიჩრებას, მოსახლეობის დაშინებას, კერძო და სახელმწიფო ქონების მნიშვნელოვან დაზიანებას ან სხვა რაიმე მიმე შედეგს.

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში საეჭვო პაკეტის (ყუთის, ჩანთისა და ა.შ.) აღმოჩენის შემთხვევაში ყოველად დაუშვებელია მისი გახსნა, ხელში აღება, საერთოდ, შეეხებაც კი. ამასთან აუცილებელია ნაპოვნის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოთ პოლიციას ან/და დარეკოთ 112-ზე. ტერორისტული აქტის საფრთხის არსებობისას, შენობიდან ევაკუაციის შემდეგ დაუშვებელია მის ახლოს ყოფნა და თავშეყრა, რადგან ეს ხელს შეუშლის შენობასთან პოლიციის, სპეცსამსახურების, სასწრაფო-სამედიცინო და სახანძრო მანქანების მიახლოებასა და მოხერხებულად განთავსებას. ამასთან შენობის ახლოს ყოფნა დიდ რისკსა და ხიფათს შეიცავს.

ტერორისტული აქტის შემთხვევაში, ნებისმიერი ადამიანი შეიძლება აღმოჩნდეს ტერორისტების ტყვეობაში. ისინი ამას აკეთებენ გარკვეული პოლიტიკური მოთხოვნებისა და ამოცანების შესრულების, გამოსასყიდის მიღების, შურისძიების ან სხვა მიზნების მისაღწევად. მძევალი ხდება ტერორისტების ვაჭრობის საგანი. ტერორისტი, როგორც წესი, სამიზნედ ირჩევს ხალხმრავალ ადგილებს, როგორცაა დიდი ქალაქები, საერთაშორისო აეროპორტები, მნიშვნელოვანი საერთაშორისო ღონისძიებების გასამართი ადგილები, საერთაშორისო დონის კურორტები, დიდი რაოდენობის მგზავრების გადაწყვანი ან სახიფათო ტვირთის გადამტანი სატრანსპორტო საშუალებები და ა.შ. ამდენად, ასეთ ადგილებში, საჭიროა დიდი სიფრთხილისა და ყურადღების გამოჩენა. ზემოქანოთვლილ შენობებში უნდა გავარკვიოთ და გავიაზროთ შენობიდან ევაკუაციის მარშრუტები და სათადარიგო-ავარიული გასასვლელების ადგილები, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება დაიკარგოს გადარჩენისათვის საჭირო ძვირფასი წუთები.

მძევლად აყვანის შემთხვევაში:

არ დაიბნეთ, დამშვიდდით და ეცადეთ, პანიკას არ აჰყვეთ.

დაუშვებელია მკაცრი, გამომწვევი და ხმამაღალი საუბრი, რადგან ეს უფრო მეტად გააღიზიანებს ტერორისტებს, ამიტომ უმჯობესია მშვიდი და დაბალი ხმით საუბარი.

არ შეიძლება იმ ქმედების განხორციელება, რაც გამოიწვევს ტერორისტების მხრიდან იარაღის გამოყენებასა და ადამიანთა დაშვებას ან/და მსხვერპლს ანუ ყოვლად დაუშვებელია: სირბილი, გაქცევა, მათზე თავდასხმა, იარაღის წართმევის მცდელობა ან/და შებრძოლება.

უშედეგოა ტერორისტებთან შერიგების, დარწმუნებისა და დაყოლების მცდელობა, მათთვის თვალეში შეხედვა და გამომწვევად მოქცევა, აგრეთვე თხოვნა ან/და ტირილი. გადარჩენის შანსის გაზრდის მიზნით უმჯობესია მათი მხრიდან განხორციელებული დამცირების, შეურაცხყოფისა და წამების მოთმენა.

დაუშვებელია ტერორისტების შეწინააღმდეგება, უნდა ვცადოთ, რომ ჩვენი ქმედებებით საკუთარი და სხვების სიცოცხლე რისკის ქვეშ არ დავაყენოთ. ამასთან ნებისმიერი ქმედების (დაჯდომა, ადგომა, წყლის მოტანა, ტულეტში გასვლა და ა.შ.) განსახორციელებლად აუცილებელია, მათ ნებართვა სთხოვოთ.

შესაძლებლობის ფარგლებში, საჭიროა ტერორისტების მოთხოვნებისა და ბრძანებების შესრულება, თუ კი ეს ძალიან არ ეწინააღმდეგება მძევლის სასიცოცხლო უნარ-ჩვევებსა და პრინციპებს.

სასიცოცხლო ძალების შენარჩუნების მიზნით, აუცილებელია მათ მიერ მოცემული ყველაწარი საკვების ჭამა, მაშინაც კი, თუ უგემურია.

სასურველია ტერორისტთა დამახასიათებელი ნიშნების, სახეებისა და სახის განმასხვავებელი ნაკვთების, მათი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის, სახელებისა და მეტსახელების, ნაიარევების, ჭრილობებისა და ტატუს, მანერებისა და მეტყველების თავისებურების, აგრეთვე საუბრის თემატიკისა და ა.შ. კარგად დამახსოვრება.

უნდა იცოდეთ, რომ თქვენი მძევლად აყვანის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე უშიშროების სამსახურები გასათავისუფლებლად დაუყოვნებლივ იწყებენ მოქმედებას და იღებენ საჭირო ყველა ზომას.

მძევალთა (თქვენი) განთავისუფლების ოპერაციას გამართობთ განსაკუთრებული თავდაჭერილობა და შემდეგი წესების დაცვა:

იატაკზე დაწვეთ პირქვე, თავი ხელებით დაიფაროთ და შეეცადოთ გაუნძრევლად იყოთ.

ყოვლად დაუშვებელია სპეცრაზმელებისაკენ ან მათგან საწინააღმდეგო მიმართულებით გაქცევა, რადგანაც შესაძლებელია, მძევალი მიჩნეულ იქნეს ტერორისტად და მოხდეს მისი ლიკვიდირება.

რამდენადაც ეს შესაძლებელია, სასურველია ფანჯრიდან და კარიდან რაც შეიძლება შორს ყოფნა.

შტურმის დროს უყოყმანოდ უნდა შეასრულოთ სპეცრაზმელების ბრძანებები და მითითებები, მათი მხრიდან გამოჩენილმა შესაძლო უხეშობამ და მიყენებულმა მორალურმა ან ფიზიკურმა ზიანმა მძევალი არ უნდა აღაშფოთოს, რადგანაც შექმნილ სიტუაციაში ამგვარი ქმედება გამართლებულია.

20. უსაფრთხოება ფეთქებად საშუალებებთან მიმართებაში

ფეთქებადი საშუალება არის ძირითადი ან ნარჩენი აუფეთქებელი საბრძოლო მასალა, ფეთქებადი იარაღი ან ასაფეთქებელი მოწყობილობა, მათ შორის ნაღმი, რომელიც ჯერ არ აფეთქებულა ან ბოლომდე არ აფეთქებულა და მასში ჯერ კიდევ ჩარჩენილია ასაფეთქებელი მასალა (დენთი, ე.წ. ტროტილი და ა.შ.). ვიდრე ამა თუ იმ ტერიტორიაზე ფეთქებადი ნარჩენი არსებობს, საფრთხე ექმნება იქ მყოფ როგორც ადამიანებს, ისე შენობებს, სატრანსპორტო საშუალებებსა და სხვა ქონებას. მით უმეტეს, რომ ომის დროს დარჩენილი ფეთქებადი მასალა შესაძლებელია აფეთქდეს მრავალი ათწლეულის შემდეგაც კი. რაც შეეხება უშუალოდ ნაღმს, ის ფეთქებადი საბრძოლო იარაღია, რომელიც ფეთქდება მასთან მიკარებისას ან მასზე დაბიჯებისას. არსებობს სახმელეთო და საზღვაო ნაღმები. სახმელეთო ნაღმები პირობითად იყოფა ორ ტიპად: ქვეითსაწინაღო ნაღმებად, რომლებიც გამოიყენება ცოცხალი ძალების – ადამიანების წინააღმდეგ და ტანკსაწინაღო ნაღმებად, რომლებიც მიმართულია

ტანკის, ჯავშან-ტრანსპორტიორების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მოძრავი საშხედრო თუ სხვა სახის სამოქალაქო ტექნიკის გასანადგურებლად.

ტერორისტული აქტების შემთხვევაში ტერორისტი, როგორც წესი, იყენებს თვითნაკეთ (ნაღმის ტიპის) ასაფეთქებელ მოწყობილობას, რომელსაც ხშირად ეძლევა თითქოს უვნებელი საგნის ან თუნდაც ბავშვის სათამაშოს ფორმა. ასეთი ნაკეთობები ცნობილია მახე-ნაღმების სახელწოდებით.

როგორ უნდა ვიმოქმედოთ ფეთქებადი საშუალებების არსებობის საფთხის შემთხვევაში

შენობაში საეჭვო პაკეტის (ყუთის, ჩანთისა და ა.შ.) აღმოჩენის შემთხვევაში, ყოვლად დაუშვებელია მისი გახსნა, ხელში აღება და მასთან შეხებაც კი. ნაპოვნის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პოლიციას ან/და დარეკოთ 112-ზე.

ფეთქებადი საშუალებების არსებობის საფთხის შემთხვევაში, ხიფათის შემცველ ტერიტორიაზე ყურადღება გაამახვილეთ გამაფრთხილებელ ნიშნებზე, რომელიც კონკრეტულ ტერიტორიასა და შენობა-ნაგებობებში ფეთქებადი საშუალებების არსებობაზე შეიძლება მიუთითებდეს. ასეთი ნიშნების აღმოჩენისას არ შეხვიდეთ სახიფათო ტერიტორიაზე. ფეთქებადი საშუალების აღმოჩენისას არ შეეხოთ მას და გააფრთხილეთ სხვებიც არსებული საშიშროების შესახებ. აუფეთქებელი საბრძოლო მასალის შემჩნევის შემთხვევაში, შეინარჩუნეთ სიმშვიდე, შეატყობინეთ პოლიციის ადგილობრივ განყოფილებას და დაელოდეთ დახმარებას.

გახსოვდეთ, ფეთქებადი საშუალებების შესახებ საინფორმაციო ნიშნების მარკირების ფერებია: წითელი – ფეთქებადი საშუალებების მომცველი (დანადგმული) ტერიტორიის საზღვრები, ყვითელი – ნაპოვნი ნაღმი/აუფეთქებელი საბრძოლო ნარჩენი, მწვანე – შიდა კონტროლის ნიშანი (გამნადგმელებისთვის), ცისფერი – შიდა კონტროლის ნიშანი გამნადგმელთა ზედამხედველებისთვის. ფეთქებადი საშუალებების შესახებ საინფორმაციო არაფორმალური მარკირების გამაფრთხილებელი აღნიშვნები შეიძლება იყოს შემდეგი: „თავის ქალა და ძვლები“; წითელი სამკუთხედი, ზოგიერთ შემთხვევაში შუაში შავი დიდი წერტილით; წარწერა „ფთხილად, ნაღმი“ ქართულად ან ინგლისურად „Mine“; გამაფრთხილებელი ლენტი.

21. დაზიანებულთა ძებნა და ტრიაჟი

კატასტროფის დროს გადარჩენილი ადამიანების უპირველესი მოვალეობაა დახმარება გაუწიონ დაზიანებულებს და შესაბამისად აქტიური მონაწილეობა მიიღონ სამამველო სამუშაოებში, დაეხმარონ პროფესიონალ მანველებს. ეს გამოიხატება როგორც დაზიანებულთა ძებნის მიზნით

ხერგილებისა და ჩამონაქვევების გაწმენდის სამუშაოების, ასევე, ე.წ. ტრიაჟის ანუ დაზარალებულთა დაზარისხების განხორციელებაში.

ძებნის ოპერაციების წარმართვა. ძებნის ოპერაციები მოიცავს ორსაფეხურიან პროცესს: პოტენციური დაზიანებულის ადგილმდებარეობის განსაზღვრასა და მის გამოყვანას უსაფრთხო ადგილზე პირველი სამედიცინო დახმარებისა და ტრიაჟის მიზნით. ძებნა უნდა განხორციელდეს უწყვეტად, ყოვლისმომცველად და შეძლებისდაგვარად მუშაობის დოკუმენტირებით.

სისტემური ძებნის განხორციელება გულისხმობს გარკვეული მიმართულებით ორგანიზებულ ძებნას (მაგ. ქვემოდან ზევით ან ზევიდან ქვევით, მარჯვენა კედელიდან ან მარცხენა კედელიდან და სხვ.). ძებნის პროცესში საჭიროა, ხშირად შეგვრდეთ მოსასმენად, მუშაობის დროს დაიყოთ ჯგუფებად. ეს ერთი და იმავე ადგილის სხვადასხვა კუთხით დანახვის საშუალებას მოგვცემთ.

მონიშნეთ ის ადგილები, სადაც ძებნა უკვე ჩატარებულია. ამ მიზნით შენობაში შესვლის წინ ჩამოუსვით ერთი დიაგონალური ხაზი კარებზე ან კარების გვერდით, ხოლო, როდესაც ყველა დაზარალებული და ბოლო მაშველი გამოვა და დამთავრდება საქმენი სამუშაოები, ჩამოუსვით მეორე საწინააღმდეგო დიაგონალური ხაზი. X – ნიშანი იმის მომასწავებელია, რომ აქ სრულად ჩატარდა ძებნის ოპერაცია.

საქმენი სამუშაოების შედეგების დოკუმენტირება გულისხმობს ჩანაწერების გაკეთებას ჩატარებული სამუშაოების შედეგების შესახებ (ცინ გამოიყვანეთ, რა მდგომარეობაში იყო, რა მოიმოქმედეთ და ა.შ.).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამაშველო საქმიანობის პროცესში უსაფრთხო გარემოს შექმნა: იარაღის ეფექტურად გამოყენება, ხელთათმანებით მუშაობა, კედელ-კედელ გადაადგილება, პარალელურად შენობის დაზიანების შეფასება.

შენობის დაზიანების ხარისხებია:

მსუბუქი ხარისხის დაზიანება – აღინიშნება ზედაპირული ან „კოსმეტიკური“ დაზიანებები.

საშუალო ხარისხის დაზიანება – საეჭვოა კონსტრუქციული სტაბილურობა, არის ნანგრევები, კედლები გადახრილია, ფუნდამენტი - დამრული, რკინაბეტონის კონსტრუქციებში არმატურა ნახევარზე მეტად გაშიშვლებულია, კონსტრუქციებში შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ზომის ამონატეხები ან ჩამონატეხები.

მძიმე ხარისხის დაზიანება – აშკარაა კონსტრუქციული არასტაბილურობა, კედლები ან სვეტები ნაწილობრივ ან მთლიანად დანგრეულია, ქერი - ჩამონგრეული და ა.შ.

გახსოვდეთ, კატეგორიულად იკრძალება დაზვერვითი სამუშაოების საფუძველზე სპეციალური სამშენებლო ღონისძიებების გატარებამდე ძლიერ დაზიანებულ შენობებში შესავლა და იქ სამაშველო ოპერაციების ჩატარება.

ჩამონაქვევების გასუფთავების მიზნით, დაუშვებელია ხერგილიდან, პირველ რიგში, დიდი ზომის კონსტრუქციების გამოღება (გამოდრობა).

უნდა ვვცადოთ, ჯერ ზედაპირზე მოქცეული მცირე ზომის ნატეხებისაგან გავათავისუფლოთ ხერგილები. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია, გამოვიწვიოთ ხერგილების ქვეშ შექმნილი სივრცეების ჩანგრევის პროვოცირება, რაც, არ არის გამორიცხული, საბედისწერო აღმოჩნდეს იქ მომწყვედელი ადამიანებისათვის.

სამაშველო სამუშაოების მიმდინარეობისას დაზარალებულთათვის ფსიქოლოგიური დახმარების გაწევას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ამ მხრივ რეკომენდებულია გაითვალისწინოთ შემდეგი:

დაამყარეთ კონტაქტი დაზარალებულთან; სთხოვეთ მას, გესაუბროთ თავისი გრძნობების შესახებ: რა უჭირს, რა სტკივა, რა უნდა; უთანაგრძნეთ; აგრძნობინეთ, რომ ეს ყველაფერი თქვენთვის ძალიან გასაგები და მტკივნეულია; პატივი ეცით მის კონფიდენციალურობას; ნუ გაიმეორებთ მის პირად ინფორმაციას სხვასთან, აუხსენით შექნილი ვითარება, ანუგეშეთ, განუმარტეთ, რის გაკეთებას აპირებთ მისი უსაფრთხოების მიზნით და ა.შ.

ტრიაჟი. ტრიაჟის ანუ დაზიანებულთა დახარისხების დროს განისაზღვრება დაზიანებულთა მდგომარეობა, უტარდებათ საჭირო პირველი სამედიცინო დახმარება და ხდება მათი გადანაწილება დაზიანებულთა ე.წ. "სასწრაფო ან მოსაცდელ" ჯგუფებად. დახარისხების მიზანია, მოხდეს რაც შეიძლება მეტი დაზარალებულის დახმარება. ტრიაჟის დროს დაზარალებულთა მდგომარეობის შეფასება ხდება 3 კატეგორიად:

პირველი კატეგორია – გადაუდებელი (უკეთდება ნიშანი – I). დაზარალებულს მიღებული აქვს სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებები (სასუნთქი გზების დახშობა, სისხლდენა, შოკი), რის გამოც იგი სასწრაფოდ საჭიროებს დახმარებას.

მეორე კატეგორია – მოიცდის (უკეთდება ნიშანი – D). ის, ვისი მდგომარეობაც მოიცდის, საქმე გვაქვს ისეთ დაზიანებებთან, რომლებიც გადაუდებელი დახმარების გაუწევლობის შემთხვევაში არ გამოიწვევენ დაზარალებულის დაღუპვას.

მესამე კატეგორია – გარდაცვლილი (უკეთდება ნიშანი აღნიშვნით – DEAD). სასუნთქი გზების გახსნის ორჯერ მცდელობის შემდეგ დაზარალებული არ სუნთქავს (მესამე მცდელობა არ არის რეკომენდებული).

ტრიაჟის ჩატარების წესები

ტრიაჟის ძირითადი პროცედურა წარმართება შემდეგი ნაბიჯების განხორციელებით:

ნაბიჯი 1 - შეჩერდი, შეხედე, მოუსმინე, განსაჯე - სანამ დაიწყებდე მოქმედებას, შეაფასე სიტუაცია, განაზღვრე, როგორ დაეხმარო კონკრეტულ შემთხვევაში დაზიანებულს;

ნაბიჯი 2 - წარმართე დახარისხება (ტრიაჟი). უპირველესად, ხმამაღლა წარმოთქვი "მაშველი ვარ, თუ გესმით ჩემი და შეგიძლიათ, გამოდით ჩემი ხმის მიმართულებით". თუ სადმე გადარჩენილები არიან, მიუთითეთ მათთვის განკუთვნილი ადგილი და განაგრძეთ დახარისხება.

ნაბიჯი 3 - გამოიყენეთ მუშაობის სისტემური სქემა. დაიწყეთ ახლოს მყოფი დაზარალებულებით და შემდეგ თანდათან გადადით შორს მყოფ დაზარალებულებზე.

ნაბიჯი 4 - შეაფასეთ თითოეულის მდგომარეობა, ზედ გაუკეთეთ მისი დაზიანების აღმნიშვნელი ნიშანი (გადაუდებელი, მოიცდის, მკვდარი). არ დაგავიწყდეთ, რომ აუცილებელია ფეხზემდგომი დაზარალებულების შეფასებაც.

ნაბიჯი 5 - ნიშანი "I - გადაუდებელით" მონიშნულ დაზარალებულს ჩაუტარეთ გადაუდებელი დახმარება: გაუხსენით სასუნთქი გზები, შეუჩერეთ სისხლდენა, გამოიყვანეთ შოკიდან.

ნაბიჯი 6 - დოკუმენტურად ჩაიწერეთ დახარისხების შედეგები.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმ პირთა უსაფრთხოებას, რომლებიც სამაშველო საქმიანობას ეწევიან დაზიანების კერაში ან ეხმარებიან მაშველებს ტრიაჟის დროს. აუცილებელია ისინი აღიჭურვონ დამცავი საშუალებებით (სპეციალური ტანსაცმლი, ხელთათმანები და სხვ.), ეცადეთ, საფრთხეში არ ჩაიგდოთ სიცოცხლე.

ტრიაჟის შემთხვევაში დაზიანებულთა შეფასება უნდა დაიწყოს სასუნთქი გზებით. თუ დაზარალებული არ პასუხობს მიმართვაზე, მაშინ ეცადეთ სასუნთქი გზების გახსნას. თუ ორი მცდელობის შემდეგ არ სუნთქვა აღდგა, მაშინ ეს ადამიანი ჩაითვლება დაღუპულად.

ტრიაჟის დროს შემოწმების შემდეგი ეტაპებია სისხლდენის გაკონტროლება და გონებრივი მდგომარეობის შეფასება.

აუცილებელია, გაკეთდეს ე.წ. "ბლანშ-ტესტი" - კაპილარების დროულად შევსების უნარის შემოწმება. კაპილარების შევსების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ორ წამს, რადგანაც კანს ნორმალური ფერის აღსადგენად, ჩვეულებრივ, სჭირდება ორი წამი (მეტი დროის შემთხვევაში მდგომარეობა ითვლება გადაუდებლად). ბლანშ-ტესტი ტარდება შემდეგნაირად: კანზე ორი თითის დაჭერით ისე, რომ კანმა დაკარგოს ნორმალური ფერი (ამისათვის რეკომენდებული ადგილებია შუბლი, ხელის გული, ფრჩხილი), შემდეგ კი შევაფასოთ, რა დროში აღდგება კანის ფერი. შედეგის მიხედვით გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნა.

22. პირველი სამედიცინო დახმარება საგანგებო სიტუაციების დროს

სამედიცინო დახმარება არის სამკურნალო - პროფილაქტიკური ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც უტარდება დაზიანებულებს და ავადმყოფებს მაშველებისა და სამედიცინო პერსონალის მიერ დაზიანების კერაში სამედიცინო ევაკუაციის ეტაპზე და სამკურნალო დაწესებულებაში.

სამედიცინო დახმარების კონკრეტული სახე განისაზღვრება მრავალი გარემოებით, კერძოდ, როგორ ადგილზე და რა გარემო პირობებში ხდება მისი აღმოჩენა, როგორია იმ პირთა მომზადების დონე, რომლებიც ახორციელებენ დახმარებას და ბოლოს, რა სახის აუცილებელი სამედიცინო აღჭურვილობა შეიძლება იქნეს გამოყენებული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამედიცინო დახმარების სახეობებია: პირველი სამედიცინო დახმარება; ექიმამდელი დახმარება; პირველი საექიმო დახმარება; კვალიფიციური სამედიცინო დახმარება; სპეციალიზებული სამედიცინო დახმარება; სამედიცინო რეაბილიტაცია.

საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში პირველი სამედიცინო დახმარება უმარტივესი სასწრაფო ზომებია, რომლებიც საჭიროა ადამიანთა დაზიანების, უბედური შემთხვევისა და უცვარი დაზიანების დროს დაზარალებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გადასარჩენად. ის, როგორც წესი, ტარდება თვით- და ურთიერთ-დახმარებით, სამედიცინო ტაბელური ან სახელდახელო საშუალებების გამოყენებით. პირველი სამედიცინო დახმარების დაწყების ოპტიმალურ დროდ ითვლება 5-6 წუთი დაშვებულის მოძებნის ან აღმოჩენის შემდეგ.

პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა ხდება საგანგებო სიტუაციის ზონაში ან ინციდენტის ადგილზე ექიმის მოსვლამდე ან დაზარალებულის საავადმყოფოში მიყვანამდე.

პირველი სამედიცინო დახმარებით იწყება დაზიანებულთა მკურნალობა. მისი მიზანია: დამაზიანებელი ფაქტორის ზემოქმედების შეჩერება; სიცოცხლის შენარჩუნება და ისეთი გართულებების თავიდან აცილება, როგორცაა შოკი, სისხლდენა, ინფექციის განვითარება, ძვლის მოტეხილი ფრაგმენტის შემდგომი დაცილება ნორმალური პოზიციიდან, მსხვილი ნერვებისა და სისხლძარღვების ტრავმირება.

პირველი სამედიცინო დახმარება მოიცავს:

- შოკიდან გამოყვანის ღონისძიებებს;
- ასფიქსიის პრევენციას, სასუნთქი გზების განთავისუფლებას

სისხლისაგან, ლორწოსაგან და ა.შ.;

- სისხლდენის შეჩერებას ყველა შესაძლებელი საშუალებებით;
- ფილტვების ხელოვნურ ვენტილაციას და გულის დახურულ მასაჟს;
- დაზიანებული კიდურების იმობილიზაციას მარტივი საშუალებებით;
- ასეპტიკური ნახვევის დადებას ჭრილობაზე, დამწვრობაზე;

- სიცოცხლისათვის სახიფათო სხვა სახის დაზიანებების პრევენციასა და აუცილებელი ღონისძიებების გატარებას. კეროდ, გამაყუჩებელი პრეპარატების, ანტიდოტების გაკეთებას; გაყინვისა და გადახურების პრევენციას; პერორალური მოწამვლის დროს კუჭის ამორეცხვას და ა.შ.;

უნდა გახსოვდეთ, რომ პირველი სამედიცინო დახმარების დროულად და ხარისხიანად აღმოჩენაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული დაზარალებულის ჯანმრთელობის შემდგომი მდგომარეობა და სიცოცხლე. ზოგიერთი მნიშვნელოვანი დაზიანების დროს სამედიცინო დახმარება შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ პირველი სამედიცინო დახმარებით, ხოლო უფრო სერიოზული ტრავმების დროს (მოტეხილობა, ღრმობა, სისხლდენა, შინაგანი ორგანოების დაზიანება და სხვ.) პირველი სამედიცინო დახმარება საწყისი ეტაპია, ვინაიდან დახმარების აღმოჩენის შემდეგ აუცილებელი ხდება დაზარალებულის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანა. პირველ სამედიცინო დახმარებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ვერასოდეს ვერ შეცვლის კვალიფიციურ (ან სპეციალიზებულ) სამედიცინო დახმარებას, რომელიც დაზარალებულს ესაჭიროება. არ უნდა ეცადოთ უმკურნალოთ დაზარალებულს - ეს ექიმის, სპეციალისტის საქმეა.

შოკი

შოკი არის რთული პათოლოგიური პროცესი, რომელიც ვითარდება მექანიკური ან ფსიქოლოგიური ტრავმის, დამწვრობის, ინტოქსიკაციისა და სხვა ფაქტორების ზემოქმედებით. ის გამოწვეულია სისხლის არაეფექტური ცირკულირებით.

შოკის ძირითადი სიმპტომებია:

- სწრაფი ზედაპირული სუნთქვა (წუთში 30-ზე მეტი);
- ცივი, ფერმკრთალი კანი;
- ბრძანების - „ხელი მომიჭირე!“ ვერშესრულება.

შოკიდან გამოყვანის პროცედურები

ნაბიჯი I - დაზარალებული დააწვინეთ ზურგზე. ფეხები აუწიეთ გულმკერდის დონეზე მაღლა, დაზარალებულს გაუხსენით სასუნთქი გზები;

ნაბიჯი II - შეამოწმეთ, არის თუ არა ხილული სისხლდენა;

ნაბიჯი III - დაზარალებულს შეუნარჩუნეთ სხეულის ტემპერატურა. ამისათვის გადააფარეთ გადასაფარებელი, დაუფინეთ მიწაზე რაიმე.

სუნთქვის აღდგენა - სასუნთქი გზების გახსნა

სასუნთქი სისტემა შედგება: ზედა სასუნთქი გზების, ფილტვებისა და კუნთებისაგან.

სასუნთქი გზების ყველაზე პირველი დამზოზია ენა - დაზარალებულს, საჭიროების შემთხვევაში, უნდა ამოეწვიოთ ენა და გაუხსნათ სასუნთქი გზები. გარდა ამისა, სასუნთქი გზების გახსნის ერთ-ერთი მეთოდია ნიკაპის წინ და ზემოთ წამოწევა.

მოქმედება 1 - დაზარალებულს შეეხეთ ხელით და ხმამაღლა ჰკითხეთ: „გესმით ჩემი?“.

მოქმედება 2 - თუ დაზარალებული ვერ გასაუბრებთ, ერთი ხელი დაადეთ შუბლზე.

მოქმედება 3 - მეორე ხელის ორი თითი ამოუდეთ ნიკაპის ქვემოთ და გამოუჩინეთ ქვედა ყბა ოდნავ წინ, ამ დროს თავი ოდნავ უკან უნდა იყოს გადახრილი.

მოქმედება 4 - თვალყური ადევნეთ მკერდის მოძრაობას.

მოქმედება 5 - თვალყური ადევნეთ სუნთქვას – ჰაერის ჩასუნთქვა-ამოსუნთქვის პროცესს.

მოქმედება 6 - თვალყური ადევნეთ მუცლის მოძრაობას.

როცა ექვობენ, რომ დაზარალებულს აღენიშნება თავის, კისრის ან ხერხემლის დაზიანება, რაც ხშირია შენობების ნგრევის დროს, საჭიროა ნიკაპის წინ წამოწევა თავის უკან გადაწევის გარეშე, რათა თავიდან იქნეს აცილებული გართულებანი. თუ რაიმე მიზეზის გამო ვერ მოხერხდა სასუნთქი გზის გახსნა, ხელმეორედ სცადეთ იგივე.

სისხლდენა

სისხლდენა ეწოდება დაზიანებული სისხლძარღვებიდან სისხლის დენას. სისხლდენა არის ჭრილობების, ტრავმებისა და დამწვრობის ერთ-ერთი ხშირი და საშიში გართულება. ჩვეულებრივ, გაუკონტრებელი სისხლდენა იწვევს სისუსტეს, თუ ის დროულად არ შეჩერდა, დაზარალებულს განუვითარდება შოკი და დაიღუპება. დაზიანებული სისხლძარღვის სახეობის მიხედვით განასხვავებენ არტერიულ, კაპილარულ და ვენურ სისხლდენას.

არტერიული სისხლდენა

არტერიული სისხლდენა აღინიშნება არტერიის დაზიანების დროს და ყველაზე საშიშია. მისი ნიშანია ჭრილობიდან ძლიერი პულსირებადი ალისფერი სისხლის ნაკადი.

პირველმა დახმარებამ უნდა უზრუნველყოს სისხლის შეჩერება, რისი განხორციელება შეიძლება სისხლმდენი სხეულის ნაწილის მაღლა აწევით. სისხლმდენი კიდურის აწევა ხდება ისე, რომ დაზიანებული ნაწილი მდებარეობდეს გულის დონესთან შედარებით მაღლა. ამავე დროს, პარალელურად დასაშვებია სისხლის შეჩერების მეორე მეთოდის – ჭრილობაზე პირდაპირი ზეწოლის გამოყენება.

სისხლის შეჩერება შესაძლებელია ასევე დამწოლი ნახვევის დადებით, კიდურის მაქსიმალური მოხრით, ამავე დროს ამ არეში გამავალ სისხლძარღვებზე დაწოლით, სისხლმდენ მარღვზე თითის დაჭერითა და არტახის დადებით. სისხლძარღვზე დაწოლას ახორციელებენ ჭრილობის ზემოთ, გარკვეულ ანატომიურ წერტილებში, სადაც ნაკლებად გამოხატულია კუნთოვანი მასა, მარღვი ზედაპირულად გადის და შესაძლებელია

სისხლძარღვის მის ქვეშ მდებარე ძვალზე დაჭერა. უმჯობესია არა ერთი, არამედ ორივე ხელის რამდენიმე თითით დაჭერა. ზეწოლის წერტილები მთავარი არტერიისათვის არის პულსის წერტილები, ამიტომ მათი პოვნა შეიძლება ფაქტობრივად პულსის პოვნით.

სისხლდენის დროებითი გაჩერებისათვის ძარღვზე თითის დაჭერას მხოლოდ სასწრაფო დახმარების აღმოჩენის შემთხვევაში მიმართავენ. კიდურებზე ძლიერი არტერიული სისხლდენის დროებითი შეჩერების ყველაზე საიმედო ხერხია სისხლის შესაჩერებელი ლაბტის ან ნაგრების დადება (კიდურზე მისი მაგრად წრიული შემოჭერა). არსებობს სისხლდენის შესაჩერებელი რამდენიმე სახის ლაბტი. თუ ლაბტი არა გაქვთ, შეიძლება ნებისმიერი ხელთარსებული მსგავსი საშუალების (რეზინის მილაკის, ქამრის, ცხვირსახოცის, თოკისა და ა.შ) გამოყენება.

ლაბტის დადების წესი

1. ლაბტი ადებენ კიდურების მსხვილი არტერიების დაზიანების დროს ჭრილობის ზემოთ, რათა არტერია მთლიანად აღმოჩნდეს შემოჭერილი.

2. ლაბტის დადება ხდება მაღლა აწეულ კიდურზე. ლაბტს ქვეშ უდებენ რბილი ქსოვილის, ბინტის ან ბამბის საფენს. ლაბტს რამდენიმეჯერ შემოახვევენ სისხლდენის სრულ შეჩერებამდე, ისე, რომ ნახვევი ერთმანეთის გვერდით განლაგდეს, არ ჩაჰყვეს ტანსაცმლის ნაოჭი და წარმოიქმნას მთლიანი ფართო დამწოლი ზედაპირი. ლაბტის ბოლოებს საიმედოდ აფიქსირებენ (განასკვავენ ან ამაგრებენ ე.წ. მარყუჟისა და კაკვის მეშვეობით). თუ ლაბტი სწორად არის დადებული, მის ქვემოთ კიდური თეთრდება, სისხლდენა ჩერდება და პერიფერული პულსი ქრება;

3. ლაბტზე აუცილებლად მაგრდება ქაღალდი, რომელზეც აღინიშნება ლაბტის დადების დრო;

4. ლაბტს ადებენ არაუმეტეს 1,5-2 საათის, ხოლო სიცივეში – არაუმეტეს 1 საათის განმავლობაში;

5. იმ შემთხვევაში, თუ ლაბტის დადებიდან 1-2 საათზე მეტი დრო გავიდა, საჭიროა ლაბტის 5-10 წუთით ოდნავ მოშვება კიდურში სისხლის მიწოდების აღდგენამდე, ამ დროის განმავლობაში დაზიანებულ ძარღვზე თითის დაჭერით. ასეთი მანიპულაცია შეიძლება რამდენიმეჯერ განმეორდეს, მაგრამ მანიპულაციებს შორის დრო 1,5-2-ჯერ მცირდება. ლაბტი ისე უნდა დაიდოს, რომ ჩანდეს. დაზარალებული დადებული ლაბტით დაუყოვნებლივ გადაჰყავთ სამკურნალო დაწესებულებაში სისხლის დენის საბოლოოდ შესაჩერებლად.

ლაბტის დადების დროს უსაფრთხოების წესებია: ისევე, როგორც სისხლდენის შეჩერება, ლაბტის დადება უნდა მოხდეს სამედიცინო ხელთათმანებით. ლაბტის დადების ადგილი არ უნდა დაიფაროს ტანსაცმლით ან რაიმე ჰქონდეს შემოხვეული. დაზარალებულს ლაბტზე ან

შუბლზე სისხლით ან წითელი მარკერით უკეთდება ნიშანი, რომელიც მიუთითებს ლახტის დადების დროს.

ვენური სისხლდენა

ვენური სისხლდენა აღინიშნება ვენების კედლების დაზიანების დროს. მისი ნიშნებია: ჭრილობიდან ნელა, უწყვეტ ნაკადად მუქი წითელი ფერის სისხლდენა.

პირველი სამედიცინო დახმარების მიზანია სისხლდენის შეჩერება, რისთვისაც საკმარისია კიდურის მაღლა აწევა, სახსარში მისი მაქსიმალურად მოხრა ან მასზე დამწოლი ნახვევის დადება. კიდურს მოხრილი მდგომარეობა დამწოლი ნახვევის დადების შემდეგაც უნდა მიეცეს. ძლიერი ვენური სისხლდენის შეჩერება მარღვზე დაწოლით შეიძლება. დაზიანებულ მარღვს მიაჭერენ ძვალზე ჭრილობის ქვემოთ. ეს ხერხი იმით არის კარგი, რომ არ საჭიროებს არავითარ სპეციალურ საშუალებებს და შეიძლება დაყოვნების გარეშე შესრულდეს.

კაპილარული სისხლდენა

კაპილარული სისხლდენა უწვრილესი სისხლძარღვების - კაპილარების დაზიანების შედეგია, როცა სისხლის ცალკეული წვეთები მოდის ჭრილობის მთელი ზედაპირიდან.

პირველი სამედიცინო დახმარება ხორციელდება დამწოლი ნახვევის დადებით. სისხლდენის ადგილს ადებენ ბინტს (დოლბანდს), შეიძლება სუფთა ცხვირსახოცის ან (თეთრი) სუფთა ქსოვილის გამოყენებაც.

ხელოვნური სუნთქვა

ხელოვნური სუნთქვა არის პირველი სამედიცინო დახმარების გადაუდებელი ზომა წყალში დახრჩობის, გაგუდვის, ელექტროდენით დაზიანებისა და მზის დაკვრის დროს. ის ტარდება მანამ, სანამ დაზარალებულს სრულად არ აღუდგება სუნთქვა.

ხელოვნური სუნთქვის მექანიზმი შემდეგია:

დაზარალებული უნდა იწვეს მაგარ სწორ ზედაპირზე. საჭიროა პირის ღრუსა და ხახის ამოწმენდა ნერწყვის, ლორწოს, მიწისა და სხვა უცხო სხეულებისაგან, პირის გაღება-გაგანიერება;

ავადმყოფს თავი მაქსიმალურად უკან უნდა გადაუწიოთ. შემდეგ მარჯვენა ხელი დაადოთ შუბლზე, ხოლო მარცხენა კისრის არეში ამოუდოთ.

ღრმად ჩასუნთქვის შემდეგ პირით მჭიდროდ (პერმეტულად) დაუხურეთ გაღებული პირი და სწრაფად ძლიერად ჩაბერეთ, რაც 1 წამამდე გრძელდება და ხელს უწყობს დაზარალებულის გულმკერდის აწევას. ხელოვნური სუნთქვის დროს დაზარალებულს ნესტოებზე მოუჭერენ ხელს, ხოლო პირზე აფარებენ დოლბანდს ან ცხვირსახოცს ჰიგიენური მოსაზრებით.

ხელოვნური სუნთქვის სიხშირეა 16-18 ჩაბერვა წუთში.

კუჭში ჰაერის მოხვედრისას, მას პერიოდულად გამოდევნიან კუჭზე ზეწოლით.

გულის მასაჟი

გულის მასაჟი არის გულზე მექანიკური ზემოქმედება მისი გაჩერების შემდეგ გულისცემისა და სისხლის უწყვეტი მიმოქცევის აღდგენამდე.

გულის უეცარი გაჩერების ნიშნებია: გრძობის დაკარგვა, მკვეთრი ფერმკთალობა, პულსის გაქრობა, სუნთქვის შეწყვეტა და გულების გაფართოება.

გულის არაპირდაპირი მასაჟის მექანიზმი შემდეგია:

გულმკერდზე ძლიერი ბიძგისებრი დაწოლის დროს ხდება მისი 3-5 სმ-ზე ჩაზნექა, რასაც ხელს უწყობს აგონიაში მყოფი ადამიანის კუნთების მოდუნება. აღნიშნული მოძრაობა გულზე ზეწოლას ახდენს, რის შედეგადაც გულმა შეიძლება დაიწყოს თავისი ფუნქციის შესრულება – ზეწოლის დროს სისხლის აორტასა და ფილტვის არტერიაში გადატანა, ხოლო გამორთულ მდგომარეობაში ვენური სისხლის შეწოვა.

გულის არაპირდაპირი მასაჟის დროს დაშავებულს აწვეწვენ სწორ და მაგარ ზედაპირზე (იატაკზე, მაგიდაზე, მიწაზე და ა.შ.), უხსნიან ქამარს და ტანსაცმლის საყელოს. დახმარების აღმოჩენი დაშავებულს მიუდგება მარცხენა მხრიდან, ადებს ერთი ხელის გულს მკერდის ქვემოთა მესამედს, მეორე ხელის გულს კი ზემოდან ჯვარედინად და ორივე ხელით ახდენს ძლიერ დოზირებულ ზეწოლას ხერხემლის მიმართულებით. ზეწოლა ხორციელდება სწრაფი, რიტმული ბიძგების სახით არანაკლები 60 დაწოლით წუთში. მოზდილებისათვის ხელებით ზეწოლა საკმარისი არ არის, ეფექტური მასაჟისათვის საჭიროა ძლიერი ზეწოლა, რომელსაც დახმარების აღმოჩენი პირები აძლიერებენ თავისი სხეულის მასით. ბავშვის გულის მასაჟის დროს ზეწოლა ერთი ხელით ხორციელდება, ხოლო ძუძუმწოვარი და ახალშობილი ბავშვის გულმკერდზე ორი თითით – საჩვენებელი და შუა თითის ბოლოებით, წუთში 100-110 ბიძგის სიხშირით. ამ შემთხვევაში, გულმკერდის ძვალი 1,5-2 სმ-ით ჩაიზნიქება.

გულის არაპირდაპირი მასაჟის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად საჭიროა მისი ჩატარება ხელოვნურ სუნთქვასთან ერთად. უფრო მოხერხებულია, როდესაც ამას ორი ადამიანი ატარებს. პირველი ახორციელებს ფილტვებში ჰაერის ერთ ჩაბერვას, შემდეგ, მეორე – გულმკერდზე ხუთ ზეწოლას. თუ დაშავებულს აღუდგა გულის მუშაობა, გაუჩნდა პულსი, სახე გაგარდისფრდა, წყვეტენ გულის მასაჟს, ხოლო იმავე რიტმით აგრძელებენ ხელოვნურ სუნთქვას დამოუკიდებელი სუნთქვის აღდგენამდე. გადაწყვეტილებას დაზარალებულისათვის დახმარების აღმოჩენის შეწყვეტის შესახებ იღებს შემთხვევის ადგილზე გამოძახებული ექიმი.

გულის წასვლა

გულის წასვლა არის უეცარი, ხანმოკლე დროით გრძნობის დაკარგვა, რასაც თან სდევს გულის მუშაობისა და სუნთქვის შეწყობა. ვითარდება თავის ტვინში სწრაფად განვითარებული სისხლნაკლებობის დროს და გრძელდება რამდენიმე წამიდან 5-10 წუთამდე.

გულის წასვლის ნიშნებია: უეცრად ცუდად გახდომა, რაც გამოიხატება თავბრუსხვევაში, სისუსტესა და გონების დაკარგვაში. გულის წასვლას თან სდევს კანის გაფითრება და გაცივება, სუნთქვა შეწყობილია და ზედაპირული, მაჯისცემა სუსტი და ძალიან შეწყობილი (40-50 დარტყმა წუთში).

პირველი სამედიცინო დახმარება. პირველ რიგში საჭიროა გულწასული ადამიანის ზურგზე დაწვენა ისე, რომ თავი ოდნავ დაწეული, ხოლო კიდურები წამოწეული ჰქონდეს. სუნთქვის შესამსუბუქებლად საჭიროა ყელისა და გულმკერდის განთავისუფლება ტანსაცმლისაგან, თბილად დაფარება და ფეხების ქვეშ სათბურას დადება, საფეთქლების ნიშადურის სპირტით დაზღვევა და ცხვირთან ნიშადურით დასველებული ბამბის მიტანა, ხოლო სახეზე ცივი წყლის შეშხევა. თუ ადამიანი გონს ვერ მოდის, ხელოვნური სუნთქვა უტარდება. გონზე მოსვლის შემდეგ კი საჭიროა ცხელი ყავის მიცემა.

ღრმობა

ღრმობა არის სახსრებიდან ძვლების ამოვარდნა, რომელიც ნაწილობრივ ან მთლიანად არღვევს მათ ურთიერთშეხებას. ღრმობის ნიშნებია:

ინტენსიური ტკივილის დაზიანებული სახსრის არეში;

კიდურის ფუნქციის დარღვევა, რაც გამოიხატება აქტიური მოძრაობის შეუძლებლობაში;

კიდურის იძულებითი მდგომარეობა და სახსრის ფრომის დეფორმაცია;

სახსრის თავის ამოვარდნა სასახსრე ფოსოს გამოცარიელებით და კიდურის ზამბარისებრი ფიქსაცია არანორმალურ მდგომარეობაში.

სახსრის ტრავმულ ნაღრმობებს ესაჭიროება გადაუდებელი პირველადი დახმარება, რომელიც, როგორც წესი, მოიცავს დაზიანებული კიდურის ფიქსაციას, ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების მიცემასა და დაზარალებულის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანას. კიდურის ფიქსაცია ხორციელდება მჭიდრო ნახვევით ან ზედა კიდურის შემთხვევაში - მისი კისერზე ყელსახვევით ჩამოკიდებით. ქვედა კიდურის ღრმობის დროს დაზარალებული გადაჰყავთ სამკურნალო დაწესებულებაში მწოლიარე მდგომარეობაში (საკაცით), უძრავად დაფიქსირებული კიდურის ქვეშ ამოდებული ბალიშით. გაურკვეველ შემთხვევაში, როდესაც ძნელია

ნადრძობის მოტეხილობისაგან გარჩევა, პირველადი დახმარების აღმოჩენისას ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც მოტეხილობის დროს.

მოტეხილობა

მოტეხილობა არის ძვლის მთლიანობის დარღვევა, რომელიც გამოწვეულია მასზე ძლიერი ძალისმიერი ზემოქმედებით ან სხვა პათოლოგიური პროცესით. ღია მოტეხილობას ახასიათებს მოტეხილობის არეში ჭრილობის არსებობა, ხოლო დახურულს – კანის მთლიანობის დარღვევის არარსებობა. უნდა გახსოვდეთ, რომ მოტეხილობას ხშირად თან სდევს გართულებები: ძვლის ნამსხვრევებით მსხვილი სისხლძარღვების დაზიანება, რაც იწვევს გარეგან სისხლდენას (ღია მოტეხილობის დროს) ან შიგაქსოვილურ სისხლჩაქცევას (დახურული მოტეხილობის დროს), ნერვების დაზიანება, რომელიც იწვევს შოკს ან დამბლას, ჭრილობის ინფიცირება და სხვ.

თავის ქალას ძვლების მოტეხილობის დროს აღინიშნება გულის რევა, ღებინება, გრძობის დაკარგვა, მაჯისცემის შენელება, ტვინის შერყევის ნიშნები, სისხლდენა ცხვირიდან და ყურებიდან.

მენჯის მოტეხილობას ყოველთვის თან სდევს მნიშვნელოვანი რაოდენობის სისხლის დაკარგვა და შემთხვევების 30% ტრავმული შოკის განვითარებით მიმდინარეობს. ეს გამოწვეულია მენჯის არეში მსხვილი სისხლძარღვებისა და ნერვების დაზიანებით. ვითარდება შარდის გამოყოფისა და დეფეკაციის დარღვევა, შარდსა და განავალში სისხლი ჩნდება.

ხერხემლის მოტეხილობა არის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ტრავმა, რომელიც ხშირად სიკვდილით თავდება, რადგანაც ტრავმის დროს შეიძლება დაზიანდეს ხერხემლის არხში მოთავსებული ზურგის ტვინი. განსაკუთრებით საშიშია კისრის არეში ხერხემლის დაზიანება, რომელიც იწვევს გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის ფუნქციონირების სერიოზულ დარღვევას.

მოტეხილობის დროს პირველადი დახმარება ითვალისწინებს დაზიანებული კიდურის მოტეხილი ძვლის უძრავად დაფიქსირებას (სატრანსპორტო იმობილიზაციას) არტაშანიტ ან ნებისმიერი ჯოხით, ფიცრებით და ა.შ. თუ ხელთ არ გაქვთ იმობილიზაციისათვის საჭირო საგნები, შეგიძლიათ მოტეხილი ფეხი მიახვიოთ ჯანმრთელ ფეხს, იდაყვიში მოხრილი მოტეხილი ხელი – სხეულს. ხერხემლის მოტეხილობისას დაზარალებული ფარზე დაწვენილი გადაჰყავთ. ღია მოტეხილობის დროს, რომელსაც თან სდევს ძლიერი სისხლდენა, კეთდება დამწოლი ანტისეპტიკური ნახვევი და ჩვენებების მიხედვით სისხლდენის შესაჩერებელი ლახტი. ამავე დროს, საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ ლახტის დადების ხანგრძლივობა მინიმალურად დასაშვები ვადით იზღუდება. დაზიანებულს აძლევენ ტკივილგამაყუჩებელ პრეპარატებს:

ბარალგინს, სედელგინს, ანალგინს, ამიდოპირინს, დიმედროლს (დოზირება დამოკიდებულია დაზარალებულის ასაკზე).

ჭრილობები

პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი მიზეზია ჭრილობა. ჭრილობა არის სხეულის მექანიკური დაზიანება, რომელსაც ხშირად თან ერთვის კუნთების, ნერვების, მსხვილი სისხლძარღვების, ძვლების, შინაგანი ორგანოებისა და სახსრების მთლიანობის დარღვევა. დაზიანების ხასიათისა და საგნის სახეობის მიხედვით, რომლითაც მიყენებულია ჭრილობა, განასხვავებენ ნაკვეთ, ნაჩხვლექ, ნაჩეხ, ნაყეუ, ნაგლეჯ, ნაკბენ და ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებულ ჭრილობებს. ჭრილობა შეიძლება იყოს ზედაპირული, ღრმა და სხეულის შიდა ღრუში შეღწეული.

დაჭრის მიზეზი შეიძლება იყოს ფიზიკური ან მექანიკური ზემოქმედება. ამ ზემოქმედებამ თავისი სიძლიერის, ხასიათის, სხეულზე მისი ადგილისა და სხვა თავისებურებათა მიხედვით შეიძლება წარმოქმნას კანის და ლორწოვანი გარსის სხვადასხვა სახის დეფექტები, შინაგანი ორგანოების, ნერვებისა და ძვლების დაზიანებები, სისხლძარღვთა ტრავმა და ძლიერი ტკივილი.

ნაკვეთი ჭრილობა. ნაკვეთ ჭრილობას ჩვეულებრივ აქვს დაღებული პირი, სწორი კიდეები და ძალიან სისხლმდენია. ასეთი ჭრილობის დროს ქსოვილები უმნიშვნელოდ ზიანდება და ნაკლებად აქვს ინფიცირებისადმი მიდრეკილება.

ნაჩხვლექი ჭრილობა არის სხეულის მჩხვლექი საგნებით ან ცივი იარაღით დაზიანების შედეგი. ნაჩხვლექი ჭრილობა ხშირად იწვევს მკერდის, მუცლისა და სახსროვან ღრუებში შეღწევას. ნაჩხვლექი ჭრილობის ფორმა იარაღის სახეობასა და სხეულში შეღწევის სიღრმეზეა დამოკიდებული. ნაჩხვლექი ჭრილობები ხასიათდება ღრმა არხით და ხშირად შინაგანი ორგანოების მნიშვნელოვანი დაზიანებით. ამავე დროს საკმაოდ ხშირია სხეულის ღრუში შინაგანი სისხლდენა, სისხლჩაქცევები და ინფექციის განვითარება.

ნაჩეხი ჭრილობა. ასეთი ჭრილობებისათვის დამახასიათებელია ქსოვილის დიდი და ღრმად დაზიანება, რომლის ირგვლივ ქსოვილი დაჟეჟილია. ნაყეუ და ნაგლეჯ ჭრილობებს ახასიათებს დაჟეჟილი, დაჩრქვნილი და სისხლით გაჟღენთილი ქსოვილების დიდი რაოდენობა. დაჟეჟილი სისხლძარღვები დათრომბილია.

ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრის დროს დაშავებულს ესაჭიროება სასწრაფო კვალიფიციური სამედიცინო დახმარება.

პირველი სამედიცინო დახმარება მოიცავს ნებისმიერი ჭრილობის შეხვევას შემღებინსდაგვარად ანტისეპტიკური (სტერილური) სახვევით, რომელიც უმეტეს შემთხვევაში, შესახვევი სამედიცინო პაკეტია, მისი

არქონის შემთხვევაში – სტერილური ბინტი, ზამბა, უკიდურეს შემთხვევაში – სუფთა ქსოვილი. თუ ჭრილობა ძლიერ სისხლმდენია, საჭიროა მისი ნებისმიერი ხერხით შეჩერება რბილი ქსოვილით. მნიშვნელოვანი ჭრილობების, ძვლების მოტეხილობის, მსხვილი სისხლძარღვებისა და ნერვების დაზიანების დროს აუცილებელია კიდურების ნებისმიერი ტაბელური ან სხვა საშუალებებით იმობილიზაცია. დაზარალებულს აუცილებლად უკეთებენ ტკივილგამაყუჩებელ პრეპარატს და აძლევენ ანტიბიოტიკებს. დამავებული სასწრაფოდ გადაჰყავთ სამკურნალო დაწესებულებაში.

დაჭიმულობა

დაჭიმულობა არის რბილი ქსოვილების (იოგების, კუნთების, მყესების, ნერვების) დაზიანება ძალის ზემოქმედებით, რომელიც არ არღვევს მათ მთლიანობას. უფრო ხშირად ხდება სახსრების საიოგე აპარატის დაჭიმვა არასწორი, უეცარი და ისეთი მოძრაობის დროს, რომელიც ამ სახსრისათვის დამახასიათებელი და ნორმალური მოძრაობის ფარგლებს სცილდება (ფეხის გადაბრუნების, ფიქსირებული ტერფის დროს ფეხის გვერდით მობრუნებისას). უფრო მძიმე შემთხვევებში შესაძლებელია იოგებისა და სასახსრე ჩანთის გაწყვეტა. მისი ნიშნებია: უეცარი ძლიერი ტკივილი, შესივება, სახსრების მოძრაობის დარღვევა, სისხლის ჩაქცევა რბილ ქსოვილებში, დაჭიმული ადგილის მტკინვეულობა ხელით შეხებისას.

პირველი სამედიცინო დახმარება ითვალისწინებს დაზარალებულის სიმშვიდის უზრუნველყოფას, დაზიანებული ადგილის ბინტით მჭიდროდ შეხვევას, რომელიც უზრუნველყოფს მის უძრაობას და სისხლის ჩაქცევის შემცირებას, შემდეგ კი იგი ექიმ-ტრავმატოლოგის დანიშნულ მკურნალობას.

დამწვრობა

დამწვრობა შეიძლება გამოწვეული იყოს ცეცხლით, ქიმიური ნივთიერებით, ელექტროდენით, რადიაციით. დამწვრობის ხარისხი დამოკიდებულია აღმოდებული აგენტის ტემპერატურაზე, ზემოქმედების ხანგრძლივობაზე, დაზარალებულის ასაკსა და დამწვრობის ფართობსა და სიღრმეზე. დამწვრობის კლასიფიკაცია ასეთია:

I ხარისხი – ეპიდერმისის ზედაპირული დაზიანება. აღინიშნება შეწითლება, კანის სიმშრალე, ტკივილი, შემუშვება;

II ხარისხი – ეპიდერმისის, დერმის ნაწილობრივი დაზიანება. აღინიშნება შეწითლება, ბებერები კანზე, სისველე, ტკივილი, შემუშვება;

III ხარისხი – ეპიდერმისისა და დერმის სრული დაზიანება, ჰიპოდერმის შესაძლო დაზიანება. აღინიშნება გათეთრება, გაუხეშება და ყავისფერი ან შავი ფერის დამწვრობა, ტკივილი.

მოქმედებები დამწვრობის შემთხვევაში

პირველ რიგში დაზარალებული უნდა გამოვიყვანოთ ცეცხლის არედან, გავხადოთ აღმოდებული ტანსაცმელი ან რაიმე სქელი ქსოვილი

გადავაფართოთ და ჩავაქროთ ცეცხლი. თუ ტანსაცმელი ან კანი (სხეულის ის ნაწილი, რომელიც არ იფარება: სახე, ხელის მტევნები და თავი) კვლავ ცხელია, გავაგრილოთ ცივი წყლით არა უმეტეს ერთი წუთის განმავლობაში ან დავადოთ ცივი კომპრესი.

ჰაერის შეხებისაგან დასაცავად, ტკივილის შესამცირებლად და ინფექციის თავიდან ასაცილებლად ვადებთ მშრალ სტერილურ საფენს. დამწვარი კიდური უნდა აიწიოს გულის დონეზე მაღლა. შეიძლება ყინულისა და ანტისეპტიკური ნივთიერებების მალამოების, ზეთების და სხვ. გამოყენება.

დაზარალებულთა (დაჭრილთა) მოვლა გულისხმობს სისხლდენის გაკონტროლებას (შეჩერებას) და მეორეული ინფექციის თავიდან აცილებას.

ჭრილობის გასუფთავება ხდება წყლით, შემდეგ რბილი საპნით და წყლით, ბოლოს ისევ სუფთა წყლით ჩამობანით.

საფენი უნდა დაედოს პირდაპირ ჭრილობაზე, ხოლო გადახვევა კეთდება ამ საფენის დასამაგრებლად.

შესაძლო ინფიცირების ნიშნებია:

შეშუპება ჭრილობის ირგვლივ, კანის გაუფერულება, ჩირქოვანი გამონადენი ჭრილობიდან, ჭრილობის ადგილიდან გამომავალი წითელი ზოლები.

დანართი 1.

საქართველო მომხდარი ძლიერი მიწისძვრები





№	თარიღი	შემთხვევის ადგილი	მიწისძვრის ძირითადი ფიზიკური მახასიათებელი	მიწისძვრის შედეგები, მსხვერპლის რაოდენობა	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
1	50 წ.	დიოსკურია	M=5,5 მაგნიტუდა; I=8 ბალი.		
2	400 წ.	სემასტოპოლისი	M=5,5 მაგნიტუდა; I=8 ბალი.		
3	22.05.1088 წ.	სამცხე-ჯავახეთი	M=5,3 მაგნიტუდა; I=8 ბალი.		
4	14.04.1277 წ.	თმოგვი	M=6,7 მაგნიტუდა; I=9 ბალი.		
5	1318 წ.	სამცხე-ჯავახეთი	M=5,5 მაგნიტუდა; I=8 ბალი.		
6	1350 წ.	აწეური	M=6,3 მაგნიტუდა; I=8 ბალი.		
7	1530 წ.	მცხეთა	M=5,7 მაგნიტუდა; I=8 ბალი.		
8	1615 წ.	ლეჩხუმი	M=4,9 მაგნიტუდა; I=8 ბალი.		
9	24.07.1752 წ.	ალავერდი	M=6,0 მაგნიტუდა; I=9 ბალი.		
10	31.12.1899 წ.	ვაიზი	M=6,3 მაგნიტუდა; I=9 ბალი.	დაიღუპა 247 ადამიანი	







1	2	3	4	5	6
11	03.07.1902 წ.	ალავერდი	M=6,3 მგენიტუდა; =8 ბალი.	დაილუბა 7 ადამიანი, დაზიანდა 25 სახლი	
12	14.01.1915 წ.	ახალქალაქი	M=5,4 მგენიტუდა; =7 ბალი	დაილუბა 1 ადამიანი,	
13	20.02.1920 წ.	დაბა ყაზბეგი	M=6,2 მგენიტუდა; =9 ბალი.	დაინგრა 4 საცხოვრებელი სახლი	
14	08.01.1926 წ.	ყაზბეგის მუნიციპ.		დაილუბა 114 ადამიანი, დაშავდა 380 ადამიანი, დაზიანდა 947 შენობა	
15	07.05.1940 წ.	დარიალის ხეობა	=9 ბალი	დაილუბა 11 ადამიანი	
16	15.07.1941 წ.	შიდა ქართლი	M=6 მგენიტუდა; =8 ბალი.	დაილუბა 7, დაშავდა 29 ადამიანი, დაზიანდა 200 სახლი	
17	15.08.1947 წ.	გორი		დაზიანდა შენობა-ნაგებობები	
18	28.03.1955 წ.	ნინოწმინდა	M=4,7 მგენიტუდა; =7 ბალი	დაილუბა 5 ადამიანი, დაზარალდა 44 ოჯახი	
19	29.01.1957 წ.	გორი	M=5,5 მგენიტუდა; =7 ბალი	დაილუბა 1 ადამიანი, დაზარალდა 6 ოჯახი	
20	20.05.1959 წ.	ტაბაწყური	M=4,5 მგენიტუდა; =7 ბალი.	დაინგრა და დაზიანდა შენობა-ნაგებობები	
21	16.07.1963 წ.	სენაკი		დაზიანდა შენობა-ნაგებობები	























1	2	3	4	5	6
22	09.08.1971 წ.	დუმეთი	M=5,3 მაგნიტუდა; I=8 ბალი.	სოფლებში დაზიანდა სახლები, მიწისძვრის თანამდევნი იყო შეწყვეტი და კლდეების ჩამოშლა	
23	02.01.1978 წ.	კუდამყარი	M=5,1 მაგნიტუდა; I=8 ბალი.	დაზიანდა საგბ. სახლების 40 %	
24	13.05.1986 წ.	სოფ. ბარისახო	M=6,4 მაგნიტუდა; I=9 ბალი.	დაინგრა 9 საცხოვრებელი სახლი	
25	29.04.1991 წ.	მარტვილი	M=4,5 მაგნიტუდა; I=6 ბალი	დაიღუპა 3 ადამიანი, სოფლებში დაინგრა სახლები. მიწისძვრის შედეგად ჩამოშლილი მასის ქვეშ მოჰყვა 20-კომლიანი სოფელი 40 მცხოვრებით.	
26	15.06.1991 წ.	ოზურგეთი	M=5,2 მაგნიტუდა; I=8 ბალი.	დაიღუპა 160 ადამიანი, დაინგრა და დაზიანდა დაახლოებით 46 000 საცხოვრებელი სახლი, უსახლკაროდ დარჩა 100 000-მდე ადამიანი. ჩამოიშალა კლდე. გადააკვტა მდინარე ხაზიათისწყლის ხეობა და წარმოიქმნა 100 მეტრი სიგანის და 300მ სიღრმის ტბა.	
27	23.10.1992 წ.	აფხაზეთი, კოდორის ხეობა		სოფლებში: ნიქოზი, ფხვენისი, მეღვრეკისი, ფრისი, ერგნეთი, ბულოთი დაზიანდა საცხოვრებელი სახლები	

1	2	3	4	5	6
28	27.11.1997 წ.	ჩხალთა	I=7 ბალი	დაილუპა 1 ადამიანი, დაზარალდა 17 ოჯახი	მიწისძვრა მკვეთრად იგრძნობოდა თბილისშიც.
29	25.04.2002 წ.	ქ.თბილისი	M=4,5 მაგნიტუდა; I=6-7 ბალი.	დაილუპა 7 ადამიანი, დაზიანდა შენობები.	
30	06.02.2006 წ.	ონი, აშხრილაური და საჩხერის მუნიცი.		დაილუპა 6 ადამიანი, დაშავდა 100-მდე ადამიანი, მთლიანად დაინგრა 6 შენობა, დაზიანდა 134 სკოლა და ბაგა-ბაღი, სულ დაზიანდა 12 ათასი შენობა	ზარალმა 300 ათასი დოლარი შეადგინა,
31	07.09.2009 წ.	რაჭა, ონის მუნიცი.	M=6,9 მაგნიტუდა; I=9 ბალი.	დაშავდა 5 ადამიანი, დაზიანდა 250-მდე სახლი	
32	19.01.2011 წ.	ვანისა და ბაღდათის მუნიცი.		დაზიანდა 1300-ზე მეტი შენობა	
33	25.12.2012 წ.	შავ ზღვაში, ფოთიდან 40 კმ.	M=6,2 მაგნიტუდა; I=8 ბალი	წერევა და მსხვერპლი არ მოჰყოლია.	
34	12.07.2016 წ.	დმანისის მუნიცი.	M=6,3 მაგნიტუდა; I=8 ბალი.	ამ რეგიონში მეგრად დასახლებული სოფლებია და ამიტომ მიწისძვრას მსხვერპლი არ მოჰყოლია.	რყევა თბილისშიც იგრძნობოდა.

შენიშნა-ნაგებობების მოწველადობის კლასები

№	შენიშნათა კონსტრუქციული ტიპები	სარ- თული- ანომა*	მოწველადობის კლასები					
			A	B	C	D	E	F
1	2	3	4	5	6	7	8	9
ქვის ან აგურის მზიდველებთან შენობათა ტიპები								
1	ნატები ან რიყის ქვის წყობის მზიდველებიანი შენობები	1						
2	გამომწვარი აგურის (შზეუ გამომწვარი თიხივანი მიწის ბრიკეტის) წყობის მზიდველებიანი შენობები	1						
3	ქვის მარტევი წყობისაგან აგებული მზიდველებიანი შენობები	2-3						
4	მთლიანტანიანი აგურისა და მთლიანი ბეტონისა და ბუნებრივი ქვიშისაგან (მათ შორის მასიური ქვიშისაგან) აგებული მზიდველებიანი შენობები.	3-4						

1	2									
5	არაარმირებული აგურის წყობისაგან აგებული მზიდკედლებიანი შენობები რკინაბეტონის გადახურვით	3-4								
6	არმირებული ან ჩარჩოდ შეკრული აგურის წყობისაგან აგებული მზიდკედლებიანი შენობები	4								
7	იგივე, რეგულარული კომპლექსური არმირებული ბეტონის სისტემით გაბლიერებული წყობით	4								
8	მსხვილი ბეტონის ან ვიზბრაგურის ბლოკებით აგებული მზიდკედლებიანი შენობები, ასევე, სხვადასხვა სახის შიდა მონოლითური რკინაბეტონის ფენიანი მრავალფენოვანი კედლები.	5								
9	მოცულობითი ბეტონის ბლოკებით აგებული მზიდკედლებიანი შენობები	5								
რკინაბეტონის შენობები										
10	მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებით აგებული მზიდკედლებიანი შენობები	24-მდე								

1	2	3	4	5	6	7	8	9
11	არაკარგასული მსხვილპანელიანი შენობები	9-მდე						
12	ჩარჩოს ტიპის რკინაბეტონის კარკასული შენობები	5-მდე						
13	კუმურბიანი, დიაფრაგმანი ან კომბინირებული რკინაბეტონის კარკასული შენობები (სიხისტისბირთვიანი და სხვ.), მაღლივი შენობების ჩათვლით**	9-მდე						
შენობები ლითონის, ხის და სხვა, მათ შორის, სპეციალური სისტემებით აღჭურვილი კონსტრუქციებისაგან								
14	არქიტექტურულ - კონსტრუქციული გადაწყვეტის თვალსაზრისით ფართო დიაპაზონის ფოლადის კარკასული შენობები (მოქნილი შენობები, თანამედროვე მაღლივი ნაგებობები **)	-						
15	დიდმალიანი სივრცითი კონსტრუქციები, პნევმატური (გასაბერი) ნაგებობები და სხვ.	1						

1	2	3	4	5	6	7	8	9
16	შენობის რეაქციის მარეგულირებელი, სპეციალური სეისმოზოლოგიის და რხევის ჩამშობი სისტემებით აღჭურვილი შენობები							
17	ხის კარგასული კონსტრუქციები	1-2						
18	ხის ძელებითა და მორებით აგებული ძვირძველებიანი შენობები	1-2						

აღნიშვნები:

○ ცველაზე მეტად შესაძლებელი მოწყვლადობის კლასი; — შესაძლებელი დიაპაზონი; ----- ნაკლებად შესაძლებელი დიაპაზონი (იშვიათ შემთხვევაში). * - მითითებულზე მეტი სართულის შემთხვევაში, შესაბამისი ტიპის შენობის მოწყვლადობა რეკომენდებულია, გაიზარდოს ერთი კლასით; ** - აღნიშნულ სტრუქტურაში განხილული შენობების სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 40 მეტრს, ხოლო მათი სიმაღლის ფარდობა მინიმალურ განივ ზომასთან - 6-ს.

საოჯახო საგანგებო გეგმების მომზადების ალგორითმი

1. წინასწარ გაიაზრეთ და ჩამოაყალიბეთ ის საფრთხეები, რომლებიც დიდი ალბათობით მოსალოდნელია საცხოვრებელ ადგილზე, სახლში, ბინაში.
2. განსაზღვრეთ, რა უნდა მოიმოქმედოთ თითოეული ამ საფრთხის განვითარების დროს, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ ოჯახის ყველა წევრი ერთად არ იმყოფებით (შესაძლო უბედურების წინასწარი განხილვა წინაპირობაა მის მიმართ შიშისა და უარყოფითი განცდების შესამცირებლად, ეს ასევე დაგეხმარებათ მართებულად დასახოთ საფრთხეზე გამკლავების ღონისძიებები).
3. განსაზღვრეთ ის უსაფრთხო ადგილები, ზოგადად, სახლში და კონკრეტულად ცალ-ცალკე ყველა ოთახში, სადაც ოჯახის წევრებმა საფრთხის განვითარებისას საჭიროა თავი შეაფარონ.
4. განსაზღვრეთ საფრთხის შემცველი ისეთი ადგილები, ზოგადად, სახლში და კონკრეტულად, ცალც-ალკე ყველა ოთახში, რომელსაც ოჯახის წევრებმა უმჯობესია თავი აარიდონ.
5. მოამზადეთ საგანგებო სიტუაციის დროს სახლიდან (შენობიდან) ევაკუაციის გეგმა. ამ მიზნით, შეისწავლეთ და დააფიქსირეთ სათადარიგო გასასვლელები. შენობიდან (სახლიდან) ევაკუაციის დროს შესაძლებელია გასასვლელები დაბლოკილი აღმოჩნდეს. ამიტომ წინასწარ უნდა განისაზღვროს, რომელ მხრითადაც და სათადარიგო გასასვლელებს გამოიყენებთ საგანგებო სიტუაციის დროს ბინიდან ანდა შენობიდან გასასვლელად. შესაბამისად, დაგეგმეთ რამდენიმე მარშრუტი სათადარიგო გასასვლელების გამოყენებით. სასურველია, ეს მარშრუტები დაიგეგმოს სამაშველო სამსახურების წარმომადგებლების რეკომენდაციების გათვალისწინებით.
6. შეარჩიეთ მინიმუმ ორი ადგილი, სადაც საგანგებო სიტუაციის შემდეგ უნდა შეიკრიბონ ოჯახის წევრები. ერთი ადგილი შეარჩიეთ სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, უცარი საგანგებო სიტუაციის შემთხვევისათვის და მეორე - მეზობელ ტერიტორიაზე. ეს უკანასკნელი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ვერ ხერხდება სახლში დაბრუნება ან წინასწარ გადაწყვეტილია მეზობელი ტერიტორიიდან საცხოვრებელი ადგილის დატოვება (ოჯახის ყველა წევრმა უნდა იცოდეს შეხვედრის ადგილის მისამართი და იქ დამხვედრი პირის ტელეფონის ნომერი).
7. გაწერეთ ოჯახის წევრებს შორის საგანგებო კავშირის სქემა. იმ შემთხვევისათვის, როდესაც ოჯახის წევრები საგანგებო სიტუაციისას ერთად არ იმყოფებიან (მაგალითად ბავშვები არიან სკოლაში ან ბაღში, უფროსები სამსახურში სხვადასხვა ადგილას, ამავე დროს მათ დაგეგმილი აქვთ სახლში ან შეხვედრის ადგილზე დაბრუნება).

8. გეგმაში გაითვალისწინეთ, ვინც იქნება საცხოვრებელი ადგილიდან დაშორებულ სხვა რეგიონში მყოფი ოჯახის წევრებისათვის საკონტაქტო პირი (ნათესავი ან მეგობარი), მისი მისამართი და ტელეფონის ნომრები. ეს ის პირია, რომელსაც შეგიძლიათ მიმართოთ საგანგებო სიტუაციის დროს ინფორმაციის მისაღებად ან გადასაცემად (ხშირად საერთაშორისო ზარის განხორციელება ხერხდება, ადგილობრივი ზარები დაბლოკილია).

9. განსაზღვრეთ ქმედებები, რომლებიც საჭიროა იმ შემთხვევისათვის, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლება თქვენგან ითხოვს დაექვემდებაროთ ევაკუაციას. შესაბამისად, გეგმაში უნდა აისახოს და გაიწეროს, რას გააკეთებთ: მიიღებთ ზომებს, რომ გაემგზავროთ ნათესავთან (მეგობართან), რომელიც ცხოვრობს უსაფრთხო ტერიტორიაზე, თუ გაიგებთ შემოთავაზებული თავშესაფრის მისამართს და მოემზადებით ევაკუაციისათვის.

10. შეიმუშავეთ საბუთებისა და სხვა ფასეულობების გადარჩენის ღონისძიებები. წინასწარ განსაზღვრეთ დაცული ადგილი საბუთებისა და სხვა ფასეულობათა შესანახად. შექმენით მნიშვნელოვანი საბუთების ასლები და შეინახეთ წინასწარ გამზადებულ საგანგებო ნაკრებთან ერთად (მაგ. ზურგჩანთაში).

11. შეიმუშავეთ შინაური ცხოველებზე ზრუნვის ღონისძიებები. საზოგადოებრივ თავშესაფარში, სადაც თქვენი ევაკუაცია უნდა განხორციელდეს, ადვილი შესაძლებელია, ჯანდაცვის სამსახურების მიერ, სანიტარული ნორმების მიხედვით, აკრძალული იყოს შინაური ცხოველების მიყვანა. ამ შემთხვევისათვის გაწერეთ ალტერნატიული ქმედებები.

12. გაწერეთ აქტივობები, რომელიც უზრუნველყოფს გამოვლენილი საფრთხეების პრევენციასა და მათზე მზადყოფნას (კონკრეტულად, როდის და რა კეთდება შესაძლო საფრთხეების მიმართ მოწყვლადობის აღმოსაფხვრელად; გვაქვს თუ არა ცეცხლმაქრი, რომელიც ყოველწლიურად უნდა გაიმართოს. საგანგებო სიტუაციების დროს ქცევისა და მოქმედების, სახანძრო უსაფრთხოებისა და ცეცხლმაქრით სარგებლობის წესების შესწავლის მიზნით იგეგმება და ვმონაწილეობთ თუ არა სწავლებებში; ოჯახის წევრები პერიოდულად იხილავენ თუ არა, რა უნდა გაკეთდეს მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციების შედეგების მიტიგაციის მიზნით და ა.შ)

საგანგებო მართვის გეგმის სტრუქტურა

I თავი

1. შესავალი;

1.1. სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი;

1.2. გეგმის მიზანი;

1.2. ტერიტორიის, ობიექტის/დაწესებულების აღწერილობა და ზოგადი მონაცემები;

1.2.1. იმ პირთა გვარი ან თანამდებობა, რომლებიც უფლებამოსილი და პასუხისმგებელი არიან საგანგებო მართვის გეგმის ამოქმედებაზე;

1.2.2. მოსახლეობის, ობიექტის/დაწესებულების პერსონალის რაოდენობა (საერთოდაც ცვლაში მაქსიმალური რაოდენობა);

1.2.3. შენობების ტიპი და მისი არქიტექტურულ-კონსტრუქციული აღწერა. მიმდებარე ტერიტორიის დახასიათება. საფრთხის წინაშე მდგარი მოსახლეობის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების დახასიათება;

1.3. ოპერატიული ცენტრის ან საგანგებო შტაბის წევრთა ფუნქციონალური მოვალეობები ქვემოთ მოყვანილი 1-ლი ცხრილის სახით:

1.4. არსებული ადრეული გაფრთხილების სისტემის აღწერა;

1.5. საფრთხის წინაშე მდგარი მოსახლეობის შეტყობინების ლოკალური სისტემა/აქტუა;

1.6. სახანძრო-სამაშველო ტექნიკა და აღჭურვილობა, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

II თავი

2.1. საფრთხეებისა და რისკების შეფასება და აღწერა.

2.1.1. ვითარების ზოგადი გეოპოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კლიმატურ-ეკოლოგიური დახასიათება;

2.1.2. რისკის შეფასების დრო (თარიღი);

2.1.3. რისკის შეფასების მეთოდები;

2.1.4. რისკის შეფასების შედეგები: რისკების და მათი პრიორიტეტულობის განსაზღვრა. სცენარების შერჩევა პრიორიტეტულობის მიხედვით. გათვალისწინებულ უნდა იქნეს მინიმუმ ორი სცენარი;

№1 რისკი დასახელება და აღწერა;

№2 რისკი დასახელება და აღწერა;

და ა.შ.

2.2. საგანგებო სიტუაციის განვითარების სცენარის აღწერა

სცენარი №1 რისკის მიხედვით;
სცენარი №2 რისკის მიხედვით;
და ა.შ.

III თავი

3. გასატარებელი ღონისძიებების აღწერა საგანგებო სიტუაციების მართვის ფაზების მიხედვით (ფორმა სრულდება მე-3 ცხრილის სახით);

3.1. I ფაზა - პრევენცია/მიტიგაცია:

3.1.1. გასატარებელი ღონისძიებების აღწერა №1 რისკის მიხედვით;

3.1.2. გასატარებელი ღონისძიებების აღწერა №2 რისკის მიხედვით;

და ა.შ.

3.2. II ფაზა - მზადყოფნა:

3.2.1. გასატარებელი ღონისძიებების აღწერა №2 რისკის მიხედვით;

3.2.2. გასატარებელი ღონისძიებების აღწერა №1 სცენარის მიხედვით

და ა.შ.

3.3 III ფაზა - რეაგირება:

3.3.1. შენობიდან ევაკუაციის გეგმა – ის გრაფიკული ნაწილი, რომელიც ყველა სართულზე გამოკრულია თვალსაჩინო ადგილებზე, მისი ასლი თან ერთვის გეგმას;

3.3.2. ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №1 სცენარის მიხედვით;

3.3.3. ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №2 სცენარის მიხედვით

და ა.შ.

3.4. IV ფაზა - აღდგენა:

3.4.1. ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №1 სცენარის მიხედვით;

3.4.2. ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №2 სცენარის მიხედვით

და ა.შ.

IV თავი

4. გეგმის დანართები წარმოდგენილია მე-2 ცხრილის სახით.

№	ოპერატიული ცენტრის/ საგანგებო შტაბის წევრის პოზიცია/საკურატორო საგანგებო დახმარების ფუნქცია	თანამდებობისპირი, რომელთანაც ყოველდღიური მუშაობის რეჟიმში შეთავსებულია ოპერატიული ცენტრის/ საგანგებო შტაბის წევრის პოზიცია	ოპერატიული ცენტრის/ საგანგებო შტაბის წევრის საკურატორო ფუნქციის აღწერის დანართი
1	ოპერატიული ცენტრის/ საგანგებო შტაბის უფროსი		იხ. დანართი № 3, პუნქტი №
2	ოპერატიული ცენტრის/ საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე-საევაკუაციო კომისიის/ჯგუფის უფროსი		იხ. დანართი № 3, პუნქტი №
3	ოპერატიული ცენტრის/ საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე-რეაგირების ძალების/ჯგუფის უფროსი		იხ. დანართი № 3, პუნქტი №
4	ოპერატიული ცენტრის/ საგანგებო შტაბის წევრი		იხ. დანართი № 3, პუნქტი №
5	ოპერატიული ცენტრის/ საგანგებო შტაბის წევრი		იხ. დანართი № 3, პუნქტი №

დანარ. №	დანართის დასახელება
1	2
1	ბრძანება საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცებისა და ოპერატიული ცენტრის/ საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ
2	სახელმძღვანელო ნორმატიული აქტების ჩამონათვალი
3	ოპერატიული ცენტრის/საგანგებო შტაბის წევრები, მათი საკურატორო საგანგებო დახმარების ფუნქციები და მათი ამოცანები
4	ფაზა I. პრევენცია/მიტიგაცია – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების მიხედვით ყოველდღიური ფუნქციონირების რეჟიმში
5	ფაზა II. მზადყოფნა – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების მიხედვით ყოველდღიური ფუნქციონირების რეჟიმში

1	2
6	ფაზა III. რეაგირება – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების, გაძლიერებული მზადყოფნისა და საგანგებო რეჟიმების მიხედვით
7	ფაზა IV. აღდგენა – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების მიხედვით საგანგებო რეჟიმში
8	ოპერატიული ცენტრის/საგანგებო შტაბისთვის შეტყობინების სქემა
9	შენობებიდან ევაკუაციის გეგმები
10	სახანძრო-სამაშველო ტექნიკა-აღჭურვილობის, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ნუსხა
11	საგანგებო სიტუაციების საფრთხეებისა და რისკების საპროგნოზო, ასევე, ენერგომომარაგების ქსელისა და ექსტრემალური ლოჯისტიკის უზრუნველყოფის რუკები
12	საგანგებო სიტუაციების საფრთხეების ადრეული შეტყობინების სქემა, საგანგებო სიტუაციების საფრთხეების შეტყობინების ლოკალური სისტემა/სქემა
13	რეაგირების ჯგუფების შემადგენლობა

მე-2 ცხრილის მე-13 დანართის ფორმა (რეაგირების ჯგუფების შემადგენლობა)

13.1. ————— ჯგუფის შემადგენლობა

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	საკონტაქტო ინფორმაცია

გასატარებელი ღონისძიებების დეტალური გეგმები საგანგებო სიტუაციების მართვის ფაზებისა და ცალკეული სცენარების მიხედვით

№	ღონისძიების დასახელება	ღონისძიების განმახორციელებელი ძირითადი ორგანიზაცია/ პასუხისმგებელი პირი	ღონისძიების განმახორციელებელი დამხმარე ორგანიზაცია/ პასუხისმგებელი პირი	განხორციელების ვადები	შენიშვნა

გამოყენებული ლიტერატურა

1. საგანგებო სიტუაციებში კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის საფუძვლები. თ.მელქაძე. სახელმძღვანელო. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი. 2012წ. (ISBN 978-9941-20-095-3).
2. საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“. 29.05.2014 .
3. კატასტროფების რისკის შემცირების „სენდაის 2015-2030 წლების სამოქმედო ჩარჩო პროგრამა“. 2015 წლის 14-18 მარტი. ქ. სენდაი (იაპონია).
4. EU Risk Assessment and Mapping Guidelines for Disaster Management. Brussels, 21.12.2010 SEC(2010) 1626 final. COMMISSION STAFF WORKING PAPER „Risk Assessment and Mapping Guidelines for Disaster Management“.
5. მიწისძვრებით გამოწვეული მატერიალური ზარალი საქართველოში. გ.ჩეჩელაშვილი, რ.ნაფეტვარიძე, ვ. პაპალაშვილი, ი.აივაზაშვილი, ლ.მახათაძე, თ.გუგუშაშვილი. გამომც. „მეცნიერება“. თბილისი. 1998 წ.
6. ადრეული გაფრთხილების სისტემები. ვ. გრიგოლაშვილი, თ.მელქაძე. ბუნებრივი კატასტროფ-ის რისკების შემცირება სკოლებში პროექტის ფარგლებში სახელმძღვანელო ბროშურა. ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსათვის «RDFG». (სერთაშორისო ორგანიზაცია «World Vision» ფინანსური მხარდაჭერით). თბილისი. 2012 წ.
7. საგანგებო სიტუაციებში მოსახლეობის მოქმედების წესები. თ.მელქაძე, თ. კაპანაძე. გამომცემლობა “აწმყო”. დამხმარე სახელმძღვანელო. თბილისი. 2004წ.
8. მაშველი სამუშაოების ორგანიზაცია და წარმოება სტიქიური უბედურებების, ავარიების და კატასტროფების დროს. ი.გ. კრუგლიაკი, ზ.ვ. ბოგველიშვილი, თ.ვ. მელქაძე. დამხმარე სახელმძღვანელო. სტუ. თბილისი, 1990წ.
9. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილება „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“.
10. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე.
11. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №51 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - „სამოქალაქო უსაფრთხოების საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების“ დამტკიცების თაობაზე.
12. საგანგებო სიტუაციები და სამოქალაქო თავდაცვა. ო. მდივნიშვილი, ო. ტაველიშვილი, თ. მელქაძე. სახელმძღვანელო დამტკიცებული განათლების სამინისტროს მიერ უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის. გამომც. “შერიდიანი”. თბილისი. 2001 წ.
13. Защита населения и территорий в чрезвычайных ситуациях. В.П.Журавлёв, С.Л.Пушенко, А.М.Яковлев. Изд.Ассоциации строительных вузов. Москва 1999 г.

შინაარსი

შესავალი.....	3
თავი I. საგანგებო სიტუაციების რისკის მართვა	6
1. საგანგებო სიტუაციების რისკის ცნება	6
2. საგანგებო სიტუაციათა საფრთხეები	13
3. საგანგებო სიტუაციის ზეგავლენის შეფასება.....	15
4. მოწყვლადობა.....	18
5. ზეგავლენის იდენტიფიცირება.....	21
6. მედეგობის შეფასება.....	33
7. რისკის სცენარები	36
8. რისკის შემცირება	40
9. რისკების მართვის გეგმები.....	42
10. პოტენციური საფრთხეებისა და საგანგებო სიტუაციების რისკების ანალიზის მეთოდური რეკომენდაციები სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებულ ობიექტებზე	44
თავი II. საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემა	51
1. საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის მართვის ორგანოები	51
2. საგანგებო სიტუაციების მართვის დონეები და საგანგებო დახმარების ფუნქციები	73
3. პრევენცია	83
4. მზადყოფნა.....	113
5. რეაგირება.....	125
6. აღდგენა	132
7. მოსახლეობის დაცვის ძირითადი ღონისძიებები საგანგებო სიტუაციისას.....	133
8. ინფორმირება და შეტყობინება	138
თავი III. ევაკუაციის ორგანიზება საგანგებო სიტუაციებისას	146

1. მოსახლეობის ევაკუაციის ორგანიზების საფუძვლები.....	146
2. მოსახლეობის ევაკუაციის დაგეგმვა.....	154
3. მოსახლეობის ევაკუაციის განხორციელება.....	159
4. საგანგებო სიტუაციების დროს სახელმწიფო მნიშვნელობის მატერიალური ფასეულობების საევაკუაციო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება	168
5. საგანგებო სიტუაციების დროს სასოფლო-სამეურნეო ცხოველების საევაკუაციო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება	169
თავი IV. საგანგებო სიტუაციის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების ორგანიზება.....	172
1. საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები ..	172
2. საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების უზრუნველყოფა	183
3. ფორმირების სრულ მზადყოფნაში მოყვანა და რეაგირების ორგანიზება.....	187
4. უსაფრთხოების ზომები საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩატარებისას.....	191
5. სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობა საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის დროს.....	194
თავი V. საგანგებო სიტუაციაში ქცევის წესები	197
1. ზოგადი მითითებანი.....	197
2. მიწისძვრა	199
4. გვალვა.....	207
5. ზვავი	208
6. ლიჰვიინული.....	210
7. ელვა	211
8. წყალდიდობა.....	213
9. ღვარცოფი.....	216

10. ზღვის რყევა (ცუნამი) და ჰიდროდინამიკური ავარიის შედეგად წარმოშობილი წამლევი ტალღა.....	217
11. მეწყერი.....	220
12. ტყის და ტორფნარის ხანძარი.....	222
13. ქარიშხალი, გრიგალი, ქარბორბალა.....	224
14. კლდეზვავი, ქვათაცვენა.....	226
15. რადიაციული ავარიები.....	228
16. ქიმიური ავარიები.....	232
17. ხანძარი და აფეთქება.....	236
18. ხალხის უმართავ მასებთან ურთიერთობა.....	241
19. მოქმედების წესები ტერორისტული აქტისა და ტერორისტის მიერ ადამიანის მძევლად აყვანის შემთხვევაში.....	242
20. უსაფრთხოება ფეთქებად საშუალებებთან მიმართებაში.....	244
21. დაზიანებულთა პეზნა და ტრიაჟი.....	245
22. პირველი სამედიცინო დახმარება საგანგებო სიტუაციების დროს.....	249
დანართი 1.....	260
დანართი 2.....	264
დანართი 3.....	268
დანართი 4.....	270
გამოყენებული ლიტერატურა.....	275

რედაქტორი მ. ლუდუშაური

გადაეცა წარმოებას 13.01.2017. ხელმოწერილია დასაბეჭდად 01.03.2017. ქალაქის
ზომა 60x84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 17.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77





9789941207495